სიცივეს კიბეები



1

ზღვიერი კოშკი

ალრო

სტივენ კინგი

ბნელი კოშკი

მსროლელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

© Akaki Tsitskishvili

სტივენ კინგი
მსროლელი

Stephen King
THE GUNSLINGER

მთარგმნელი ნიკა სამუშია
რედაქტორი ლალი ქადაგიძე

გარეკანის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© Stephen King, 1982, 2003
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-445-8
www.diogene.ge

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეძღვნება ედ ფერმანს,
რომელმაც გარისკა და ერთიმეორის
მიყოლებით დაბეჭდა ეს მოთხრობები.

© *Akaki Tsitskishvili* https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სარჩევი

თავი 1. მსროლელი	23
თავი 2. საფოსტო სადგური	105
თავი 3. მისანი და მთები	165
თავი 4. „ჩლუნგი მუტანტები“	203
თავი 5. მსროლელი და შავსამოსიანი კაცი	265

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შესავალი

როგორია, იყო ცხრამეტი წლის (და კიდევ ცოტა რამ)

I

ცხრამეტი წლის (წიგნების სერიაში, რომლის წაკითხვასაც აპირებთ, ეს რიცხვი ძალიან მნიშვნელოვანია) რომ ვიყავი, ყველას ჰობიტები ეკერა პირზე.

ვუდსტოკის მუსიკისა და ხელოვნების დიდ ფესტივალზე, მაქს იასგერის ატალახებულ ფერმაში, სულ ცოტა, ექვს-ექვსი მერი და პიპინი, ორჯერ მეტი ფროდო და უამრავი ჰიპი გენდალფი დარბოდა. იმ დროს ჯ. რ. რ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“ ძალიან პოპულარული იყო და, მართალია, ვუდსტოკის ფესტივალს ვერ დავესწარი (სამწუხაროდ), მაგრამ ვფიქრობ, ჰიპი ნახევარკაცა მაინც ვიყავი, თუნდაც იმდენად, რომ ტრილოგია წამეკითხა და შემყვარებოდა. „ბნელი კოშკის“

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სერია, ისევე როგორც ჩემი თაობის მრავალი ავტორის მიერ შექმნილი ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებები (სტივენ დონალდსონის „თომას ქავინენტის ქრონიკები“ და ტერი ბრუქსის „შანარას ხმალი“ მრავალთაგან მხოლოდ ორი მაგალითია), ტოლკინისგან იშვა.

ტოლკინის ტრილოგია 1966-67 წლებში წავიკითხე, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკუთარი ნაწარმოების დაწერას არ ვჩქარობდი. ტოლკინის უსაზღვრო წარმოსახვამ და მისი წიგნის მასშტაბურობამ მომაჯადოვა, მაგრამ მე ჩემებური ამბის შეთხზვა მინდოდა. მაშინვე რომ დამეწყო წერა, შედეგად ჩემსას კი არა, ალბათ, ტოლკინის წიგნს მივიღებდით. ეს კი, როგორც ცხონებული დიკი ნიქსონი იტყოდა, ცუდი იქნებოდა. ბატონი ტოლკინის წყალობით მეოცე საუკუნეს ელფები და ჯადოსნები ისედაც არ აკლდა.

1967 წელს წარმოდგენაც კი არ მქონდა, როგორი იყო ჩემებური ამბავი, მაგრამ ეს არ მადარდებდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მას ქუჩაში შეხვედრისთანავე ვიცნობდი. ცხრამეტი წლისა ძალიან თავდაჯერებული ვიყავი; იმდენად თავდაჯერებული, რომ მუზის სტუმრობისა და შედევრის (დიახ, ზუსტად ვიცოდი, რომ ეს შედევრი იქნებოდა) შექმნის იმედით მოცდა ვარჩიე. ჩემი აზრით, ცხრამეტი წლისას თავდაჯერებულობის ყველანაირი უფლება გაქვს; დრო ჯერ კიდევ ბლომად გაქვს, როგორც პოპულარულ ქანთრი-სიმღერაში მღერიან, მას ჯერ კიდევ არ წაურთმევია შენთვის თმა და ბურთის კალათში ჩატენის უნარი. სინამდვილეში დრო უფრო მეტს გართმევს. ეს 1966-67 წლებში არ ვიცოდი, მაგრამ რომც მცოდნოდა, ამაზე მაინც არ ვიდარდებდი. შემეძლო, წარმომედგინა (ისიც გაჭირვებით), როგორი ვიქნებოდი ორმოცი წლისა, მაგრამ ორმოცდაათისა? არა. სამოცისა? არასოდეს! სამოცი გამორიცხული

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო. როცა ცხრამეტის ხარ, ყოველთვის ასე ხდება. ცხრამეტი წელი ის ასაკია, როცა მთელი მსოფლიოს გასაგონად ამბობ: „შემომხედეთ, მე ტროტილს ვეწევი და დინამიტს ვსვამ, ასე რომ, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ, გზა დაუთმეთ სტივის“.

ცხრამეტი წელი ეგოიზმის ასაკია და ამ დროს, საკუთარი თავის გარდა, არაფერი გადარდებს. მხოლოდ ის მინდოდა, დასახული მიზნებისთვის მიმელწია და უსაზღვრო ამბიცია დამეკმაყოფილებინა. ერთი საბეჭდი მანქანა მქონდა და ერთი ბინძური ბინიდან მეორეში დავათრევდი, ჯიბეში ყოველთვის მოსაწევი მედო, სახეზე კი ღიმილი მეხატა. შუა ხნის ასაკის კომპრომისები შორს იყო, ხოლო მოხუცებულობის უძლურება – საერთოდ თვალსაწიერს მიღმა. ბობ სიგერის სიმღერის (რომელსაც ახლა სატვირთო მანქანების გასაყიდად იყენებენ) მთავარი გმირისა არ იყოს, თავს უსაზღვროდ ძლიერად და ოპტიმისტად მივიჩნევდი; ჯიბეები ცარიელი მქონდა, თავი – სავსე აზრებით, რომელთა ხმამაღლა გამოთქმა მსურდა, გული კი – სავსე ამბებით, რომელთა მოყოლა მინდოდა. ახლა ეს ძველმოდურად ჟღერს, მაგრამ მაშინ საუცხოო, უმაგრესი გრძნობა იყო. ყველაზე მეტად ის მინდოდა, მკითხველთა აბჯარი გამერღვია, სრულიად დამეპყრო მათი გული და გონება და ჩემი წიგნებით სამუდამოდ გარდამექმნა. მჯეროდა, რომ ამის ძალა შემწევდა. მჯეროდა, რომ სწორედ ამისთვის მოვევლინე ქვეყნიერებას.

შეიძლება, ძალიან ამპარტავნულად ჟღერს, შეიძლება, არც ისე, მაგრამ ასეა თუ ისე, მობოდიშებას მაინც არ ვაპირებ. ცხრამეტი წლის ვიყავი, წვერში ჭაღარა საერთოდ არ მერია. მქონდა სამი ჯინსის შარვალი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რწმენა იმისა, რომ სამყაროს ჩემ ფერხთით დავაჩოქებდი და

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაფერი, რაც მომდევნო ოცი წლის განმავლობაში მოხდა, ამ რწმენას კიდევ უფრო მიმტკიცებდა. თუმცა მერე, ოცდაცხრამეტი წლის ასაკში, პრობლემები შემექმნა: სმა, ნარკოტიკები, ავტოავარია, რის შედეგად სამუდამოდ შემეცვალა სიარულის მანერა (ბევრ სხვა რამესთან ერთად). ამაზე უკვე ბევრგან მიწერია და აქ აღარ დავწერ. თანაც, თქვენთვის ხომ არაფრის ახსნა არ არის საჭირო. ისედაც იცით! ადრე თუ გვიან, სამყარო ყველას უგზავნის ბოროტ პატრულს, სიჩქარე შეანელეო და უჩვენებს, უფროსი ვინაა. თქვენ, ვინც ახლა ამ სიტყვებს კითხულობთ, ალბათ, უკვე შეხვედრიხართ (ან შეხვდებით) თქვენსას; მე ჩემს პატრულს უკვე შევხვდი და დარწმუნებული ვარ, დაბრუნდება. მან ჩემი მისამართი იცის. ის ბოროტი ტიპია, „ცუდი პოლიციელი", ცელქობის, თავგასულობის, სიამაყის, ამბიციის, ხმამაღალი მუსიკისა და იმ ყველაფრის დაუძინარი მტერი, რაც ცხრამეტი წლის ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია.

თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ ცხრამეტი წელი კარგი ასაკია. ალბათ, საუკეთესო. შეგიძლია, მთელი ღამე იცეკვო, მაგრამ როცა მუსიკა მთავრდება და ორგანიზმი ლუდისგან დაიცლება, აზროვნების უნარი გიბრუნდება. თან ძალიან საინტერესო რამეები გესიზმრება. როდისმე ბოროტი პატრული აუცილებლად გამოგიჭერს და თუ თავიდანვე გულდასმით არ მოჰკიდე ხელი საქმეს, ბოლოს შენგან აღარაფერი დარჩება.

– კიდევ ერთი გამოვიჭირე! – იტყვის ის და გზას გააგრძელებს. ამგვარად, ცოტა (ან თუნდაც მეტისმეტი) თავდაჯერებულობა და ამპარტავნება არც ისე ცუდი რამაა, როგორც ეს, ალბათ, დედამ გასწავლათ. ყოველ შემთხვევაში, დედაჩემი სულ ამას მიმეორებდა: „დაცემას წინ ქედმაღლობა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უსწრებს, სტივენ“ და ორჯერ ცხრამეტი წლის ასაკში თვითონ დავრწმუნდი, რომ ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაეცემი. ან თხრილში გადავარდები. ცხრამეტი წლისა შეიძლება ბარიდან გამოგაგდონ, არასრულწლოვანი ხარ და მაგ შენი საცოდავი მოწმობიანად დაახვიე ქუჩაშიო, მაგრამ როცა რამეს ხატავ, წერ ან ამბავს ჰყვები, ასაკს ვერავინ შეგიმოწმებს და, ამ წიგნის ახალგაზრდა მკითხველო, ყველაფერს გაფიცებ, ნუ მისცემ უფროსებს და ვითომ შენზე ჭკვიანებს იმის ნებას, რომ აზრი შეგაცვლევინონ. კი, პარიზში არასდროს ყოფილხარ. კი, პამპლონაში ხარებთან ერთად არასდროს გირბენია. კი, ერთი უბრალო ბიჭი ხარ, რომელსაც მხოლოდ სამი წლის წინ ამოუვიდა იღლიაში თმა, მაგრამ მერე რა? თუ თავიდანვე გულდასმით არ მოჰკიდე ხელი საქმეს, გზის ბოლომდე როგორ მიაღწევ? დაიკიდე, ვინ რას გეტყვის და შენსას მიაწექი – აი, მე რას ვფიქრობ.

II

ჩემი აზრით, ორი ტიპის რომანისტი არსებობს და ერთ-ერთია ახალბედა მწერალი, როგორიც მე ვიყავი 1970 წელს. ის, ვინც ამ საქმის ლიტერატურული ან „სერიოზული“ მხარით არის დაინტერესებული, საკითხს ასე უდგება: „რაში მჭირდება ასეთი რამის დაწერა?“ ის, ვისაც ბედისწერამ (თუ გნებავთ, კამ) პოპულარული რომანების ავტორობა არგუნა წილად, სრულიად განსხვავებულ კითხვას სვამს: „სჭირდება კი მკითხველს ასეთი ამბავი?“. „სერიოზული“ მწერალი პასუხებს და გამოსავალს თავისთვის ეძებს, „პოპულარული“ მწერალი – მკითხველისთვის. ორივე ტიპის რომანისტი ერთნაირად ეგოისტია. ძალიან ბევრ მწერალს ვიცნობ და ამაზე თავს დავდებ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასეა თუ ისე, ცხრამეტი წლის ასაკშიც კი მივხვდი, რომ ფროდოს ამბავი და მისი ძალისხმევა, ძალაუფლების ბეჭედი მოეშორებინა, მეორე ტიპს განეკუთვნება. „ბეჭდების მბრძანებლის“ ტრილოგია ძირითადად ბრიტანელ პილიგრიმთა თავგადასავალია, რომელიც სკანდინავიურ მითოსურ გარემოში მიმდინარეობს. თავგადასავლის ძიების იდეა მომეწონა, უფრო მეტიც, შემიყვარდა, მაგრამ ტოლკინის სოფლელმა, გლეხმა პერსონაჟებმა დიდად ვერ მომხიბლეს (ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მისი პერსონაჟები არ მომწონს) და ვერც სკანდინავიურმა ტყიანმა პეიზაჟებმა აღმაფრთოვანა. ამ მიმართულებით რომ წავსულიყავი, არასწორი იქნებოდა.

ჰოდა, მეც ვიცდიდი. 1970 წელს უკვე ოცდაორი წლის ვიყავი, წვერში რამდენიმე ღერი ჭაღარა გამომერია (მგონი, დღეში ორ-ნახევარი კოლოფი Pall Mall-ის მოწევასაც გარკვეული ბრალი მიუძღვის ამაში), მაგრამ ოცდაორი წლის ასაკშიც კი შეგიძლია ცოტა ხნით კიდევ მოიცადო. ოცდაორი წლის ასაკში დრო ჯერაც შენს მხარესაა, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტი პატრული უკვე სამეზობლოში დადის და შენზე საეჭვო კითხვებს სვამს.

სწორედ მაშინ, თითქმის ცარიელ კინოთეატრში („ბიჟუში“, შტატ მენის ქალაქ ბანგორში, თუ ზუსტად გაინტერესებთ) სერჯიო ლეონეს „კარგი, ცუდი და ბოროტი“ ვნახე. ფილმი დასრულებული არც იყო, რომ მივხვდი, მინდოდა, ისეთი ნაწარმოები დამეწერა, რომელშიც ტოლკინისეული თავგადასავლის ძიება და მაგია ლეონისეულ ლამის აბსურდულად შთამბეჭდავ ვესტერნის გარემოში გადაინაცვლებდა. თუ ეს გიჟური ვესტერნი მხოლოდ ტელეეკრანზე გინახავთ, მაშინ ვერ მიხვდებით, რას ვამბობ – მაპატიეთ, მაგრამ ასეა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კინოთეატრის ეკრანზე „პანავიჟენის“ ობიექტივით პროეცირებული „კარგი, ცუდი და ბოროტი“ ეპიკური სანახაობაა, რომელიც „ბენ ჰურს“ არაფრით ჩამოუვარდება. კინოთეატრის ეკრანზე კლინტ ისტვუდი ლამის ხუთი მეტრის სიმაღლის ჩანს, მისი წვერის ყოველი ხეშეში ღერი – ნორჩი სეკვოიის ზომისა. ლი ვან კლიფის ტუჩების ღარები კანიონებს ჰგავს. უდაბნო ლამის პლანეტა ნეპტუნის ორბიტამდეა გადაჭიმული, ხოლო რევოლვერის ლულა ჰოლანდიის გვირაბისხელაა.

უფრო მეტად ის მინდოდა, რომ გარემო, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს, ეპიკური, აპოკალიფსური ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ ლეონე ამერიკის გეოგრაფიის აზრზე არ იყო (მისი ფილმის ერთ-ერთ პერსონაჟს თუ დავუჯერებთ, ჩიკაგო არიზონის შტატში, ქალაქ ფენიქსთან ახლოს მდებარეობს), ფილმს შთამბეჭდავი უწესრიგობისა და გადანაცვლების შეგრძნებას სძენს. აღფრთოვანებულს – ჩემი აზრით, მხოლოდ ახალგაზრდას შეუძლია ასე აღფრთოვანდეს – უბრალოდ გრძელი წიგნის კი არა, ისტორიაში ყველაზე გრძელი და პოპულარული წიგნის დაწერა მომინდა. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივაღწიე, მაგრამ ცდა არ დამიკლია; „ბნელი კოშკის“ შვიდი[1] ტომი ერთ ამბავს მოგვითხრობს და პირველი ოთხი ტომი მოცულობით ორი ათას გვერდზე მეტია. ბოლო სამი წიგნის ხელნაწერი კი ორი ათას ხუთასგვერდიანია. იმის თქმას არ ვცდილობ, რომ სიდიდეს ხარისხთან რამე კავშირი აქვს; მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ეპიკური ნაწარმოების დაწერა მინდოდა და რაღაც მხრივ, ეს შევძელი. რომ მკითხოთ, ეს რატომ გინდოდაო, ვერ აგიხსნით. შეიძლება, იმიტომ, რომ ამერიკელი ვარ: ააშენე უფრო მაღალი, ამოთხარე

[1] უკვე მერვე ტომიც გამოიცა (მთ. შენიშვნა).

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფრო ღრმა და დაწერე უფრო გრძელი. კიდევ ერთი ტვინის საჭყლეტი კითხვა: რა გვიბიძგებს ამისკენ? მგონი, ამასაც ამერიკელობასთან აქვს საერთო. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მარტივ პასუხამდე მიდის: „იმ დროს ეს კარგ აზრად მეჩვენებოდა“.

III

ცხრამეტი წლის ასაკი კიდევ იმით გამოირჩევა, რომ ზოგი როგორღაც ახერხებს ამ ასაკში ჩარჩენას (ფიზიკურად თუ არა, გონებრივად და ემოციურად მაინც). წლები გადის და ერთხელ სარკეში საკუთარ ანარეკლს დაბნეული შეჰყურებ. „რატომ მაქვს სახეზე ნაოჭები? – გიკვირს. – ან ეს ღიპი საიდან გაჩნდა. ჯანდაბა, მე ხომ მხოლოდ ცხრამეტი წლის ვარ!“ არც ისე ორიგინალური აზრია, მაგრამ მაინც გაკვირვებს კაცს.

დრო გაჭაღარავებს, დრო კალათში ბურთის ჩატენის უნარს გართმევს, არადა, შენ, სულელს, გგონია, რომ დრო შენს მხარესაა. გონება ყველაფერს ხვდება, მაგრამ გულს ამის დაჯერება არ სურს. თუ ილბლიანი ხარ, პატრული, რომელმაც სიჩქარის გადაჭარბებისა და მეტისმეტი თავგასულობისთვის დაგაკავა, ნიშადურის სპირტსაც დაგაყნოსვინებს. მე სწორედ ასე დამემართა მეოცე საუკუნის მიწურულს, როცა მშობლიურ ქალაქში ავტოფურგონი დამეჯახა და გზისპირა თხრილში გადამაგდო.

ამ უბედური შემთხვევიდან სამი წლის შემდეგ მიჩიგანის შტატის ქალაქ დიერბორნის წიგნის მაღაზიაში ჩემი ახალი წიგნის „ბიუიკ 8-ის“ პრეზენტაციაზე ავტოგრაფებს ვიძლეოდი, როცა რიგის თავში მდგარმა ერთმა ბიჭმა მითხრა, ძალიან, ძა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლიან მიხარია, ისევ ცოცხალი რომ ხართო (სხვათა შორის, ამას ხშირად მეუბნებიან; უფრო ხშირად, ვიდრე: „ჯანდაბა, როგორ გადარჩით?“)

– ჩემს მეგობართან ვიყავი, როცა გავიგეთ, რომ მანქანა დაგეჯახათ, – თქვა მან. – მაგრად გაგვიტყდა, თავებს ვაქნევდით და ვამბობდით, მორჩა, „კოშკი“ აყირავდა, ინგრევა. ჯანდაბა, ამბავს ველარ დაამთავრებს.

დაახლოებით იგივე აზრი მეც დამებადა; შემაწუხებელი აზრი იყო: მილიონობით მკითხველის კოლექტიურ წარმოსახვაში „ბნელი კოშკის“ აგების შემდეგ მისი უსაფრთხოდ შენარჩუნების პასუხისმგებლობა მე დამეკისრა, ყოველ შემთხვევაში იქამდე მაინც, სანამ მკითხველი მის მიმართ ინტერესს არ დაკარგავდა. შეიძლება, ამ ინტერესმა მხოლოდ ხუთ წელიწადს გასტანოს, შეიძლება – ხუთ საუკუნეს. ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებები, ცუდიც და კარგიც (ახლაც კი ბევრი, ალბათ, „ვამპირ ვერნის“ ან „ბერს“[2] კითხულობს) თაროებზე დიდხანს ძლებს. როლანდი კოშკის დაცვას მისი საყრდენი სვეტებისთვის საფრთხის არიდებით ცდილობს. ავარიის შემდეგ მივხვდი, რომ ამას მსროლელის ამბის დასრულებით შევძლებდი.

„ბნელი კოშკის“ პირველი ოთხი წიგნის წერასა და პუბლიკაციებს შორის ხანგრძლივი პაუზებისას ასობით თხოვნის წერილი მივიღე და თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. 1998 წელს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, როცა თავი კვლავ ცხრამეტი წლისა წარმომედგინა და ამ მცდარი შთაბეჭდილებით ვმუშაობდი) 82 წლის ბებიისგან წერილი მივიღე, არ მინდა, შეგაწუხოთ, მაგრამ ბოლო დროს ძალიან ავად ვარ და მგონი, ერთ წელს

[2] ჯეიმს მალკოლმ რაიმერისა და მეთიუ გრეგორი ლუისის გოთიკური რომანები.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერ გავატანო; მაქსიმუმ, 14 თვე ვიცოცხლო, სიმსივნე ერთიანად მომედოო. ვინაიდან ბებოს იმის დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ამ დროში როლანდის ამბავის დასრულებას მოვასწრებდი, მთხოვა, თუ შეიძლება, მხოლოდ მე გამიმხილეთ, ბოლოს რა მოხდებაო. ყველაზე მეტად ერთმა ფრაზამ შემიკუმშა გული (ოლონდ ეს წერის გასაგრძელებად საკმარისი არ აღმოჩნდა): „გპირდებით, კაციშვილს არ ვეტყვიო". ერთი წლის შემდეგ – ავარიის შედეგად საავადმყოფოში რომ აღმოვჩნდი – ჩემმა ერთ-ერთმა თანაშემწემ მარში დი ფილიპომ ერთი ტეხასელი თუ ფლორიდელი სიკვდილმისჯილისაგან წერილი მიიღო, რომელშიც ის ბიჭი თითქმის იმავეს ითხოვდა: გამემხილა, ბოლოს რა მოხდებოდა (სიკვდილმისჯილი მპირდებოდა, საიდუმლოს სამარეში ჩავიტანო. ამ სიტყვების წაკითხვისას ცივმა ჟრუანტელმა დამიარა).

სიამოვნებით მოვუყვებოდი ორივეს როლანდის შემდგომი თავგადასავლების მოკლე შინაარსს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემეძლო. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ გაგრძელდებოდა მსროლელისა და მისი მეგობრების ამბები. იმისთვის, რომ ვიცოდე, უნდა ვწერო. ოდესღაც მონახაზი მქონდა, მაგრამ წერის პროცესში მნიშვნელობა დაკარგა (ეტყობა, არაფრად ვარგოდა). ბოლოს და ბოლოს, 2001 წლის ივლისში წერა გავაგრძელე. მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ცხრამეტი წლის აღარ ვარ და ჩემი ხორციც ემონება სხვადასხვაგვარ სნეულებას. მივხვდი, რომ როდისმე სამოცი ან შეიძლება, სამოცდაათი წლისა გავხდები. ამიტომ, სანამ ცუდი პატრული ბოლოჯერ მომაკითხავს, ამბის დასრულება გადავწყვიტე. სულაც არ მხიბლავდა, რომ შეიძლებოდა, ვინმეს „კენტერბერიულ მოთხრობებთან" ან „ედვინ დრუდის საიდუმლოსთან" ერთად გავეხსენებინე.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შედეგი – ცუდი თუ კარგი – შენ წინაშეა, ერთგულო მკითხველო და მნიშვნელობა არა აქვს, პირველი ტომით იწყებ თუ მეხუთის წასაკითხად ემზადები. მოგწონს თუ არა, როლანდის ამბავი დასრულდა. იმედია, მოგეწონება.

რაც შემეხება მე, ძალიან ვისიამოვნე.

სტივენ კინგი
25 იანვარი, 2003 წელი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

19

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განახლება

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი პირველი

მსროლელი

I

შავსამოსიანი კაცი გაურბოდა, მსროლელი მისდევდა.

უდაბნო – უდაბნოთა ნამდვილი აპოთეოზი – ყველა მხარეს გადაჭიმულიყო: გავარვარებული, თვალისმომჭრელად თეთრი, უწყლო. მხოლოდ ჰორიზონტზე ჩანდა ნისლში ჩაკარგული მთების კონტურები. უდაბნოში არაფერი ხარობდა, გარდა გამაბრუებელი, მომწამვლელი და მომაკვდინებელი ეშმაკის ბალახისა. ალაგ-ალაგ ამოშვერილი საფლავის ქვები მსროლელს გზის გაგნებაში ეხმარებოდა. ვიწრო ბილიკი, მლაშობს რომ კვეთდა, ერთ დროს შარაგზა იყო, რომელზეც საფოსტო ეტლები და ბუკა-ფურგონები მიმოდიოდა. თუმცა მას შემდეგ სამყარო ადგილიდან დაიძრა. სამყარო დაცარიელდა.

მსროლელს წამით თავბრუ დაეხვა. ხშირად ეუფლებოდა ასეთი განცდა. თითქოს ყველაფერი ლივლივებდა. ამ დროს სამყარო ეფემერული და გამჭვირვალე ეჩვენებოდა. თავბრუსხვევამ მალევე გაუარა და გზა განაგრძო. დინჯად მიაბიჯებდა. ძალიან არ ჩქარობდა, მაგრამ არც ფეხს ითრევდა. წელზე ტყავის მათარა ეკიდა, რომელიც თითქმის სავსე იყო წყლით.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი მრავალი წლის განმავლობაში ეუფლებოდა ხეფის ხელოვნებას და უკვე მეხუთე დონისთვის მიეღწია. აი, მენის სექტის პილიგრიმი რომ ყოფილიყო, წყურვილი საერთოდ არ შეაწუხებდა; გულგრილად მიადევნებდა თვალს, როგორ შრება ორგანიზმი და სხეულის ცარიელ ღრუებს მხოლოდ მაშინ ამოივსებდა მაცოცხლებელი სითხით, როცა ამას საღი აზრი უკარნახებდა. თუმცა არც მენი პილიგრიმი იყო და არც კაცი იესოს მიმდევარი, თავს წმინდა ადამიანად არანაირად არ მიიჩნევდა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი მოგზაური იყო და მხოლოდ ის იცოდა დარწმუნებით, რომ სწყუროდა. ეს დიდად არ აწუხებდა. პირიქით, ოდნავ სიამოვნებდა კიდეც. უბრალოდ, უწყლო გარემოში იმყოფებოდა და თავისთავად მოსწყურდებოდა კაცს; თუმცა გამოცდილი მსროლელი ყველანაირ გარემოს ადვილად ეგუებოდა.

ორი ქამარი ჯვარედინად შემოერტყა თეძოებზე. ქამრებზე ღვედებით მიმაგრებული რევოლვერის ბუდეები მოძრაობისას მძიმედ ქანაობდა და ბარძაყებზე ეხახუნებოდა (ამ ადგილას ჯინსის შარვალი გაცვეთილიყო და სილურჯე გადასვლოდა). ბუდეებში ზუსტად მისი ხელისთვის ზედგამოჭრილი რევოლვერები ეწყო, ყვითელი და ლაპლაპა სანდალოზისტარიანები. რევოლვერებს, რომლებიც შედარებით დაბალი და მსუბუქი მამისგან ერგო, ლითონის ფურცლები დააკრა და დაამძიმა. რევოლვერის ბუდეები ქონით ისე გაეპოხა, რომ აქაური მტრული, მწველი მზეც კი ვერ დახეთქავდა. სავაზნე სარტყელში ჩაწყობილი თითბრის ვაზნები მზის სხივებს ირეკლავდა და ჰელიოგრაფივით გზავნიდა შუქის სიგნალებს. მსროლელს ბევრი ვაზნა აღარ დარჩენოდა. ტყავის ბუდეებს ჩუმი შარიშური გაუდიოდა.

მსროლელს წვიმასა თუ მტვერივით უფერული სამოსი ეცვა. ხელით გახვრეტილ საყელოში გაყრილი თასმები გახსნილი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰქონდა და პერანგი გაღეღოდა. ქუდი არ ეხურა. აღარც ბუკი ჰქონდა; მომაკვდავი მეგობრისგან დარჩენილი ბუკი, რომელსაც მრავალი წელი დაატარებდა თან. მეგობარიც ძალიან ენატრებოდა და ბუკიც.

ნელა ავიდა დაბალ დიუნზე (თუმცა უდაბნო ქვიშიანი არ იყო. დაბნელებისას ამოვარდნილი სასტიკი ქარიც მხოლოდ ნაფხვენებს აიტაცებდა ხოლმე გამომხმარი ნიადაგიდან) და საქარე მხარეს, იმ მხარეს, რომელსაც მზე ყველაზე ადრე ტოვებდა, ნაკოცონარი შეამჩნია. ასეთი მცირე კვალიც კი, დასტური შავსამოსიანი კაცის შესაძლო ადამიანობისა, ძალიან ახარებდა. უდაბნოში ხეტიალით აქერცლილი ტუჩებით ოდნავ გაიღიმა და დაიჩოქა.

შავსამოსიან კაცს, რა თქმა უნდა, საწვავად ეშმაკის ბალახი გამოეყენებინა. საწვავად ვარგისი ამ უდაბნოში სხვა არაფერი იზრდებოდა. ბალახი ნელა იწვოდა და იქაურობას მკრთალად ანათებდა. საზღვართან მოსახლეებმა მსროლელს უთხრეს, ეშმაკები ალშიც კი არიან, ამიტომ როცა ბალახს ვწვავთ, ცეცხლში არ ვიყურებითო. ასე თქვეს, ეშმაკი მოგნუსხავს, მიგიზიდავს და გაბრუებულს ცეცხლში შეგიტყუებსო. ხოლო შემდეგი სულელი, ვისაც ცეცხლში ჩახედვის სურვილი სძლევს, შიგ შენს სახეს დაინახავსო.

დამწვარი ბალახის ფერფლს უკვე ნაცნობი იდეოგრამის ფორმა მიელო და, როგორც კი მსროლელმა ხელი მსუბუქად გადაუსვა, მაშინვე უბრალო ნაცრის გროვად იქცა. კოცონის ნარჩენებში მხოლოდ დანახშირებული შაშხის ნაჭერი ეგდო, რომელიც მსროლელმა ჩაფიქრებულმა შეჭამა. ყოველთვის ასე ხდებოდა. უკვე ორი თვე იყო, შავსამოსიან კაცს მისდევდა უდაბნოში, ამ უკიდეგანო, ერთფეროვან, უდაბურ განსაწმენდელში და აქამდე მის არავითარ კვალს არ გადასწყდომია,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გარდა თავად შავსამოსიანი კაცის ნაკოცონარში დატოვებული სტერილური იდეოგრამებისა. არც ერთხელ არ შეხვედრია კონსერვი, ბოთლი, მათარა ან რამე ასეთი (არადა, თვითონ უკვე ოთხი მათარის გამოცვლა მოესწრო, როგორც გველს – ტყავისა). არც განავალი უნახავს. ფიქრობდა, შავსამოსიანი კაცი თავის მოსაქმებულს, ალბათ, მიწაში ფლავსო.

შეიძლება, ეს იდეოგრამები შეტყობინებები იყო, მაგალითად: „ახლოს არ მოხვიდე, მეგობარო“, ან: „დასასრული უკვე ახლოსაა“, ან: „დამიჭირე, თუ მაგარი ხარ“. თუმცა მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას იუწყებოდა ეს იდეოგრამები. მსროლელს ეს შეტყობინებები (თუ ისინი მართლაც შეტყობინებები იყო) სულაც არ აინტერესებდა. მთავარი ის იყო, რომ ეს ნაკოცონარიც ძველების მსგავსად გაცივებულიყო. ისე, რაღაც მაინც შეიტყო. მსროლელი მიხვდა, რომ მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ საიდან ხვდებოდა, არ იცოდა. შეიძლება, გული უგრძნობოდა. არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა. მაინც ივლიდა, სანამ რამე არ შეიცვლებოდა; და თუ არაფერი შეიცვლებოდა, მაინც არ გაჩერდებოდა. წამოდგა და ხელებიდან ნაცარი ჩამოიფერთხა.

სხვა არანაირი კვალი არ ჩანდა. სუსხიან ქარს, რასაკვირველია, უკვე წაეშალა ის მკრთალი ნაფეხურები, რომელიც ამ მყარ ფიქალზე შეიძლებოდა დარჩენილიყო. არც განავალი, არც ნაგავი. არანაირი კვალი. სრულიად არაფერი. მხოლოდ ნაკოცონარები სამხრეთისაკენ მიმავალი ნაშარაგზალის გასწვრივ. და კიდევ, განუწყვეტლივ მომუშავე მანძილსაზომი მსროლელის გონებაში. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მას მხოლოდ წინათგრძნობა არ იზიდავდა.

ჩამოჯდა და მათარიდან ერთი ყლუპი წყალი მოსვა. გაახსენდა წამიერი თავბრუსხვევა, შეგრძნება, რომელმაც ლამის სამყაროს მოსწყვიტა და გაიფიქრა, ნეტა ეს რას უნდა ნიშნავ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დესო. რატომ გაახსენა ამ თავბრუსხვევამ ბუკი და უკანასკნელი ძველი მეგობარი, რომლებიც იერიქონის ბორცვზე დაკარგა? არა უშავს, მამის რევოლვერები ჯერაც თან ჰქონდა და ისინი ბუკებზე ან თუნდაც მეგობრებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო.

თუ არა?

ეს კითხვა ცოტა აწუხებდა, მაგრამ, რადგან მხოლოდ ერთი აშკარა პასუხი ჰქონდა, ფიქრი დროებით თავიდან ამოიგდო. უდაბნოს მოავლო თვალი. ახედა მზეს, რომელიც ცის შორეულ კვადრანტში ეშვებოდა. მსროლელს ის აშფოთებდა, რომ იმ მხარეს დასავლეთი არ იყო. წამოდგა, ქამრიდან გაცვეთილი ხელთათმანები ამოიძრო და კოცონის გასაჩაღებლად ეშმაკის ბალახი დაგლიჯა. ცეცხლი ახლაც შავსამოსიანი კაცის დატოვებულ ნაკოცონარზე დაანთო. ამ ფაქტის ირონიულობა ისევე, როგორც წყურვილი, მსროლელს მწარე, მაგრამ მაინც სიამოვნებას ჰგვრიდა.

კვესი მანამ არ გაუკრავს, სანამ დღის დარჩენილი ნაწილი მის ფეხქვეშ გამხმარ ნიადაგს შეხიზნულ სითბოდ და დასავლეთის მონოქრომულ ჰორიზონტზე გავლებულ დამცინავ ფორთოხლისფერ ხაზად არ გადაიქცა. მოთმინებით გაჰყურებდა სამხრეთს, მთებს. არანაირი იმედი არ ჰქონდა, რომ იმ მხარეს შავსამოსიანი კაცის დანთებული კოცონიდან ამომავალი კვამლის წვრილ ზოლს ან ცეცხლის ნაპერწკლებს დაინახავდა. თუმცა მაინც იყურებოდა, რადგან ეს დევნის ნაწილი იყო და ესეც ერთგვარად სიამოვნებდა.

„იმას, რასაც არ ეძებ, ვერც დაინახავ, მატლო, – ეტყოდა, ალბათ, კორტი, – ეგ თვალები ტყუილად ხომ არ გიბოძა ღმერთმა, ჰა?“

არაფერი ჩანდა. დევნილთან სიახლოვე მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ეს სიახლოვე კვამლის ან ნაპერწკლების დასანახავად არ კმაროდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელმა კვესი გაჰკრა, ნაპერწკალი გააღვივა, გამხმარი ბალახის ნაგლეჯებს ცეცხლი წაუკიდა. თან ძველი და უაზრო შელოცვა წარმოთქვა:

ნაპერწკალო, გამინათე ღამე,
მამაჩემთან მიმასწავლე გზა მე!
გინდა ვიძინო, გინდა ვიფხიზლო,
დაე კოცონმა დილამდე იგიზგიზოს!

უცნაურია, მაგრამ ზოგიერთი ბავშური ცელქობა და შელოცვა სამუდამოდ აგეკვიატება ხოლმე და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო გიმძიმს მათი მოშორება, ზოგი კი გზადაგზა გცილდება და უკან რჩება.

პატარა კოცონთან იმ მხრიდან დაწვა, საიდანაც ქარი უბერავდა, რომ გამაბრუებელი კვამლისთვის თავი აერიდებინა. ქარი თანაბრად ქროდა, მხოლოდ ხანდახან დააყენებდა ხოლმე ფხვიერი მტვრის ბულს.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ოღონდ ისინი არ ციმციმებდნენ. მილიონობით მზე და სამყარო. თავბრუდამხვევი თანავარსკვლავედები. ყველა ძირითადი ფერის სუსხიანი შუქი. სანამ მსროლელი მათ უყურებდა, იისფერი ცა აბანოზისფრად შეიღება. „მოხუცი დედის“ ზემოთ მეტეორმა შთამბეჭდავი კამარა შეკრა და გაქრა. ეშმაკის ბალახი ნელ-ნელა იწვოდა და კოცონი გარშემო უცნაურ ჩრდილებს ფენდა. ნაცარმა უცხო სიმბოლოების ფორმა მიიღო: იდეოგრამებისა არა, მაგრამ თავისებური შინაარსითა და სიცხადით ცოტა არ იყოს შემაძრწუნებელი ჯვარედინი ხაზებისა. მსროლელს ბალახი საგანგებოდ არ დაუწყვია ისე, რომ ნაცარს იდეოგრამის სახე მიეღო, უბრალოდ, ასე უკეთ წაეკიდებოდა ცეცხლი. ეს წყობა შავსა და თეთრზე მეტყველებდა; იმ ადამიანზე მეტყველებდა, ვინც

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცხო სასტუმროს ნომერში კედელზე ცერად დაკიდებულ სურათს ასწორებს. ორი წყობა – ბუნებრივი და ხელოვნური – ერთმანეთს შეერწყა. ნელი, თანაბარი ცეცხლის გავარვარებულ გულში ლანდები როკავდნენ. თუმცა მსროლელს ისინი არ დაუნახავს. ჩაეძინა. ქარმა ამოიკვნესა, იმ ალქაჯივით, რომლის წიალშიც სიმსივნე იზრდება. დროდადრო თავნება ქარი კვამლის ბოლქვებს აიტაცებდა და მძინარე მსროლელს გარს ახვევდა. ჩასუნთქული კვამლი სიზმრებს ბადებდა, როგორც ხამანწკის ნიჟარაში შეჭრილი გამაღიზიანებელი წარმოქმნის ხოლმე მარგალიტს. მერე მსროლელმაც ქართან ერთად დაიწყო კვნესა. ვარსკვლავები ამასაც ისე გულგრილად დასცქეროდნენ, როგორც უამრავ ომს, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომას. მსროლელს ესეც, ალბათ, ძალიან ესიამოვნებოდა.

II

მსროლელი უკანასკნელი გორაკიდან დაეშვა, თან უდაბნოს ხვატისაგან თვალებგადმოკარკლულ, ქანცგაწყვეტილ ჯორს მიათრევდა. ბოლო ქალაქში სამი კვირის წინ გამოიარა. ახლა მიტოვებული შარაგზის გასწვრივ მხოლოდ საზღვართან მოსახლეების ჩალით დაფარული ქოხები თუ ჩანდა. სოფლებიც დაცარიელებულიყო, ქოხმახებში ძირითადად კეთროვნები და შეშლილები ცხოვრობდნენ. შეშლილები საუკეთესო კომპანიონობას უწევდნენ მსროლელს. ერთ-ერთმა უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული „სილვას“ კომპასი მისცა და კაცი იესოსთვის მისი გადაცემა სთხოვა. მსროლელმა სერიოზული სახით გამოართვა კომპასი და დაჰპირდა, აუცილებლად გადავცემო. დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ იესოს მართლაც შეხვდებოდა, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელი იყო. მაგალითად,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთხელ ტაჰინი დაინახა და დაუძახა, მაგრამ მახინჯი არსება ჩხავილით გაიქცა. ვინ იცის, რას ამბობდა, შეიძლება, იგინებოდა კიდეც.

ხუთი დღე გასულიყო, რაც ბოლო ქოხი მოიტოვა უკან და აღარც ეგონა, რომ ისევ ნახავდა სადმე. თუმცა, როცა მუდმივი ქარებისაგან გამოფიტულ გორაკზე ავიდა, ჩალისსახურავიანი დაბალი ქოხი დაინახა.

ქოხის ბინადარი, გასაკვირად ახალგაზრდა კაცი, წელამდე ხეშეში, ხენდროსფერი თმით, გულმოდგინედ მარგლავდა ახალამოსულ სიმინდს. ჯორმა დაიფრუტუნა. ხმის გაგონებაზე ქოხის ბინადარმა აიხედა და ლურჯი თვალები დაჟინებით მიაპყრო მსროლელს. შეუიარაღებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. ორივე ხელი ასწია მისალმების ნიშნად, მერე ისევ დაიხარა და ეშმაკის ბალახისა და გამხმარი სიმინდის ამოგლეჯა განაგრძო. უდაბნოს მხრიდან ქარი ქროდა და თმას უფრიალებდა.

მსროლელი ნელა ჩავიდა გორაკიდან, თან წყლის ტიკებაკიდებული ჯორიც ჩაიყვანა. პაწაწინა ყანას მიადგა და მათარიდან ერთი ყლუპი წყალი მოსვა, პირში ჩაიგუბა და გვალვიან ნიადაგზე გადააპურჭყა.

– გიმრავლოს მოსავალი!

– შენც! – მიუგო ქოხის ბინადარმა და გაიმართა. ზურგის ძვლები გაუტკაცუნდა. მსროლელი უშიშრად შეათვალიერა. სახის ნაკვთებზე, რომელიც ხშირ თმა-წვერს შორის მოუჩანდა, კეთრის კვალი არ ეტყობოდა და არც შეშლილს ჰგავდა, თუმცა კი გიჟური გამოხედვა ჰქონდა. – გრძელ დღეებსა და სასიამოვნო ღამეებს გისურვებ, უცხოელო.

– შენც, ორმაგად!

– მეეჭვება, ეგ სურვილი ამისრულდეს, – უპასუხა ქოხის ბინადარმა და ჩაიღიმა. – სიმინდისა და ლობიოს მეტი არაფერი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაქვს, – უთხრა მსროლელს. – სიმინდი უფასოა, ლობიოს საფასური უნდა გადამიხადო. ერთ კაცს მოაქვს ხოლმე, ხანდახან შემოივლის და მალევე მიდის, – ჩაიცინა მოსახლემ, – სულების ეშინია. კიდევ ჩიტკაცასი.

– ეგ ჩიტკაცა მეც ვნახე. გამექცა.

– ჰო, გზააბნეულია. რაღაც ადგილს ეძებს. ამბობს, ალგულ სიენტო ჰქვიაო, ოღონდ ზოგჯერ „ლურჯ ნავსაყუდელს“ ან „ზეცას“ ეძახის. არც ერთზე არაფერი გამიგია. შენ?

მსროლელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ჰო, რა ვიცი... არ იკბინება და აქ არ რჩება, ასე რომ მკიდია, რას ეძებს. შენ ცოცხალი ხარ თუ მკვდარი?

– ცოცხალი, – უპასუხა მსროლელმა. – მენის მიმდევარივით ლაპარაკობ.

– ცოტა ხანს მათთან ვცხოვრობდი, მაგრამ მომწყინდა. ძალიან გულღიები არიან და სამყაროში სულ ხვრელებს ეძებენ.

მართალს ამბობსო, გაიფიქრა მსროლელმა. მენის მიმდევრები დიდი მოგზაურები იყვნენ.

– ალბათ, შენც სული ჰგონიხარ.

– ალბათ.

ცოტა ხანს ჩუმად ათვალიერებდნენ ერთმანეთს. ქოხის ბინადარმა ხელი გამოუწოდა.

– ბრაუნი მქვია.

მსროლელმა ხელი ჩამოართვა და სახელი უთხრა. ამ დროს დაბალი ქოხის ჩალის სახურავზე შემომჯდარმა მჭლე ყორანმა დაიყრანტალა. მოსახლემ თავით ანიშნა მასზე.

– ეს ზოლტანია.

თავისი სახელის გაგონებაზე ყორანმა ხელმეორედ დაიყრანტალა და მათკენ გამოფრინდა. ბრაუნს თავზე შეასკუპდა, კლანჭები აბურდულ თმაში ჩაავლო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეგეცი, – მხიარულად წამოიძახა ყორანმა, – შენც შეგეცი და მაგ შენს ცხენსაც.

მსროლელმა თავაზიანად დაუკრა თავი.

– ლობიო, ლობიო მუსიკალური საჭმელია, – შთაგონებით ჩამოარაკრაკა ყორანმა, – რაც მეტს ჩაუშვებ მუცელში, მით უფრო ხშირად აკუებ.

– ამას შენ ასწავლი?

– მგონი, მარტო ასეთი რამეების დამახსოვრება უყვარს, – თქვა ბრაუნმა. – ერთხელ ვიფიქრე, „მამაო ჩვენოს“ ვასწავლი-მეთქი, – წამით უკაცრიელ, უსახურ უდაბნოს გახედა, – მაგრამ, როგორც ხედავ, ეს „სამამაოჩვენო“ მხარე არ არის. შენ მსროლელი ხარ, არა?

– დიახ, – უპასუხა მსროლელმა, ჩაცუცქდა და თუთუნი და პაპიროსის ქაღალდი ამოიღო. ზოლტანი ბრაუნის თავიდან წამოფრინდა და ფრთების ფართხუნით მსროლელს მხარზე შეასკუპდა.

– მეგონა, შენნაირები აღარ არსებობდნენ.

– როგორც ჩანს, ტყუილად გეგონა.

– შიგა სამყაროდან მოხვედი?

– დიდი ხნის წინ, – უპასუხა მსროლელმა.

– იქ რამე გადარჩა?

მსროლელს არ უპასუხია, მაგრამ ქოხის ბინადარს გამომეტყველებით ცხადად ანიშნა, რომ ამაზე ლაპარაკი არ უნდოდა.

– მგონი, იმ მეორეს მისდევ.

– დიახ, – მიუგო მსროლელმა და ენაზე გარდაუვალი შეკითხვა მოადგა: – აქ როდის გაიარა?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ბრაუნმა, – აქ დროც უცნაურია, მიმართულებაც და მანძილიც. ალბათ, ორ კვირაზე მე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტია, მაგრამ ორ თვეზე ნაკლები. მას მერე მელობიემ ორჯერ შემოიარა. ჩემი აზრით, ექვსი კვირის წინ. თუმცა, შეიძლება, ვცდები.

– რაც მეტს ჩაუშვებ მუცელში, მით უფრო ხშირად აკუებ, – წამოიძახა ისევ ზოლტანმა.

– აქ შეჩერდა? – ჰკითხა მსროლელმა.

– ვახშმად დამეწვია, – თავი დაუქნია ბრაუნმა, – ალბათ, შენც დამეწვევი. ცოტა ვისაუბრეთ და დრო გავიყვანეთ.

მსროლელი წამოდგა. აღშფოთებული ყორანი ჩხავილით დაუბრუნდა ჩალის სახურავს. მსროლელი უჩვეულო მოუთმენლობამ შეიპყრო.

– რა თქვა?

ბრაუნმა ალმაცერად გამოხედა.

– რა ვიცი, მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამს. მეკითხებოდა, აქ ოდესმე თუ წვიმს, უდაბნოში როდის დასახლდი და ცოლი ხომ არ გარდაგცვლიაო. მკითხა, მენის მიმდევარი ხომ არ იყოო. ძირითადად მე ვლაპარაკობდი, რაც ცოტა უჩვეულოა, – კაცი წუთით დადუმდა. მხოლოდ ქარის ზუზუნი ისმოდა. – ჯადოქარია, არა?

– დიახ.

– ასეც ვიცოდი, – თავი დაუქნია ბრაუნმა, – მანტიის სახელოდან გამოშიგნული და შესაწვავად გამზადებული კურდღელი დააძრო. შენც ჯადოქარი ხარ?

– ჯადოქარი? – გაეცინა მსროლელს. – მე მხოლოდ ადამიანი ვარ.

– იმას ვერასოდეს დაიჭერ.

– დავიჭერ.

ერთმანეთს მიაშტერდნენ, უეცარი ურთიერთგაგება გაჩნდა გამომშრალ, მტვრის ბუღში გახვეულ ყანაში ახალგაზ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რდასა და ქვაღორღიანი დაღმართის პირას მდგარ მსროლელს შორის. მსროლელმა ტალ-კვესისკენ წაიღო ხელი.

– ამით მოუკიდე, – ბრაუნმა ჯიბიდან ასანთის ღერი დააძრო, ჭუჭყიან ფრჩხილზე გაჰკრა და მსროლელს გაუწოდა. მსროლელმა სიგარეტი მოქაჩა და ბოლი ღრმად ჩაისუნთქა.

– გმადლობ.

– მიდი, ტიკები აავსე, – უთხრა ბრაუნმა და ქოხისკენ შეტრიალდა, – ქოხის უკან, სახურავის ქვეშ, წყაროა. მე სადილს მოვამზადებ.

მსროლელმა ფრთხილად გადააბიჯა სიმინდის კვალს და ქოხს შემოუარა. წყარო ხელით ამოთხრილი ჭის ძირას იყო. ჭა ქვებით იყო ამოშენებული, რომ ფხვიერი მიწა წყალში არ ჩაცვენილიყო. მორყეული კიბით ჭაში ჩასვლისას მსროლელმა გამოთვალა, რომ ჭის ქვებით ამოშენებას ორი წლის შრომა მაინც დასჭირდებოდა: ქვების ამოთხრა, მოთრევა და დაწყობა... წყალი სუფთა იყო, მაგრამ ძლივს მოწანწკარებდა, და ტიკების ავსებამ დიდი დრო წაიღო.

უკვე მეორე ტიკს ავსებდა, როცა ზოლტანი ჭის თავზე შემოსკუპდა.

– შეგეცი და შევეცი მაგ შენს ცხენსაც, – ჩასძახა ქვემოთ.

მსროლელი შეკრთა და მაღლა აიხედა. ჭა ხუთი მეტრის სიღრმისა მაინც იქნებოდა: ბრაუნი ადვილად შეძლებდა ქვის ჩამოგდებას, მისთვის თავის გატეხას და ყველაფრის მოპარვას. ამას კეთროვანი ან შეშლილი არ იზამდა, მაგრამ ბრაუნი არც ერთი იყო და არც – მეორე. მაგრამ ბრაუნი რატომღაც მოეწონა, ამიტომ ეჭვები თავიდან ამოიგდო – ღმერთი რას ინებებს, ეგ კას საქმეა და არა ჩემიო – და მშვიდად განაგრძო ღვთის ბოძებული წყლით ტიკების ავსება.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ქოხის კარი შეაღო და საფეხურები ჩაიარა (ქოხი მიწური იყო, რათა ღამის სიგრილე შეენარჩუნებინა), ბრაუნი ხის ჩოგნით ნაკვერცხალზე დაწყობილ სიმინდის ტაროებს ატრიალებდა. იატაკზე გაშლილი ნაცრისფერი პლედის აქეთ-იქით კიდეებმომტვრეული თეფშები ეწყო. ჯაჭვზე დაკიდებულ ქვაბში ლობიოს წყალი ბუყბუყებდა.

– წყლის საფასურსაც გადაგიხდი.

– წყალი ღვთის საჩუქარია, – თავი არ აუწევია ბრაუნს, – ლობიო კი მამილო დოკს მოაქვს.

მსროლელი ფხუკუნით დაჯდა ძირს, ქოხის ტლანქ კედელს მიეყრდნო, გულზე ხელები დაიკრიფა და თვალები დახუჭა. მალე შემწვარი სიმინდის სუნი ეცა. მერე თითქოს წვრილი კენჭების ჩხრიალი მოესმა – ბრაუნმა ერთი პარკი ლობიო ქვაბში ჩაყარა. კაკ-კუკ, კაკ-კუკ – სახურავზე შემოსკუპებული ზოლტანი არ ისვენებდა. მსროლელს არაქათი ჰქონდა გამოცლილი. დღეში თექვსმეტ, ხანდახან თვრამეტ საათსაც დადიოდა მას მერე, რაც ბოლო დასახლებაში, ტალში, საზარელი რამ შეემთხვა. უკანასკნელი თორმეტი დღის განმავლობაში კი სულ ფეხით იარა, რადგან ჯორი სულს ღაფავდა. ოდესღაც ერთ ბიჭს იცნობდა, შიმის, რომელსაც ჯორი ჰყავდა. შიმი მოკვდა; ყველა მოკვდა და მხოლოდ ორნი დარჩნენ: მსროლელი და შავსამოსიანი კაცი. ამ სამყაროს იქით სხვა, მწვანით მოსილი შუა სამყარო არსებობსო, გაეგონა, მაგრამ მსროლელს ამის დიდად არ სჯეროდა. ამ სამყაროში მწვანე მიწები ბავშვურ ფანტაზიას ჰგავდა.

კაკ-კუკ, კაკ-კუკ.

ორი კვირა, ან, შეიძლება, ექვსიც კიო, უთხრა ბრაუნმა. სულერთია! ტალში კალენდარი ჰქონდათ და იქ შავსამოსიანი კაცი დაამახსოვრდათ, რადგან გზად გავლისას მოსაწევით

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაბრუებული ვილაც ბერიკაცი სიკვდილისგან იხსნა. ოცდათხუთმეტი წლის ბერიკაცი. თუ ბრაუნი არ ცდებოდა, მსროლელი შავსამოსიან კაცს მიახლოებია. მაგრამ ჯერ უდაბნო იყო გასავლელი. ნამდვილი ჯოჯოხეთი.

კაკ-კუკ, კაკ-კუკ.

„შენს ფრთებს რომ მათხოვებდე, ყორანო, ფართოდ გავშლიდი და ჰაერის თბილ ნაკადს ფრენით გავყვებოდი".

მსროლელს ჩაეძინა.

III

ბრაუნმა ერთი საათის შემდეგ გააღვიძა. ბნელოდა. მხოლოდ ნაკვერცხლები ბჟუტავდა.

– შენი ჯორი მოკვდა, – უთხრა ბრაუნმა, – ვწუხვარ. საღილი უკვე მოვამზადე.

– როგორ?

– შევწვი და მოვხარშე! წუნია ხომ არ ხარ?

– არა, ჯორზე გეკითხები.

– წაიქცა და მოკვდა. ეტყობა, ბებერი იყო, – მერე მობოდიშებით დაამატა: – ზოლტანმა თვალები ამოსჩიჩქნა.

– ო, – სულ არ გაკვირვებია მსროლელს, – არა უშავს.

როცა პლედზე დასხდნენ, მაგიდის მაგივრობას რომ სწევდა, ბრაუნმა კიდევ ერთხელ გააოცა – დალოცვა სთხოვა: წვიმა, ჯანმრთელობა და სულიერი აღმაფრენა.

– საიქიოს არსებობის გჯერა? – ჰკითხა მსროლელმა, როცა ბრაუნმა თეფშზე სამი ტარო შემწვარი სიმინდი დაუდო.

– მგონი, სწორედ მანდ ვართ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

IV

ლობიო ტყვიასავით იყო, არც სიმინდი იყო რბილი. გარეთ უდაბნოს ქარი ზუზუნებდა. დამშეული მსროლელი სწრაფად ჭამდა; საჭმელს ოთხი ჭიქა წყალი დააყოლა. შუა ჭამისას კარზე ისეთი კაკუნი ატყდა, გეგონებოდა, ტყვიამფრქვევი აკაკანდაო. ბრაუნი ადგა და ზოლტანი შემოუშვა. ყორანი ოთახში შემოფრინდა და კუთხეში უხალისოდ მოიბუზა.

– მუსიკალური საკვებია, – ჩაიბურტყუნა მან.

– მის შეჭმაზე არ გიფიქრია? – ჰკითხა მსროლელმა ბრაუნს.

– მოლაპარაკე ცხოველებს არ ჭამენ, – გაეცინა ბრაუნს. – მოლაპარაკე ფრინველები, ლობიო-კაცები ძნელი დასაღეჭია...

ნასადილევს მსროლელმა მასპინძელს თამბაქო შესთავაზა. ბრაუნმა სიამოვნებით გამოართვა.

„ახლა კი კითხვების დრო დგება“, – გაიფიქრა მსროლელმა.

მაგრამ ბრაუნს კითხვები არ დაუსვამს. წლების წინ გარლანში მოყვანილ თამბაქოს ეწეოდა და მბჟუტავ ნაკვერცხლებს მისჩერებოდა. ქოხში შესამჩნევად აგრილდა.

– და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, – უეცრად წინასწარმეტყველურად განაცხადა ზოლტანმა.

მსროლელი შეკრთა, თითქოს ტყვია ესროლესო. ისეთი განცდა დაეუფლა, რომ ეს ყველაფერი ილუზია იყო, შავსამოსიანმა კაცმა მოაჯადოვა და გამაღიზიანებლად ირიბად, სიმბოლოებით ცდილობდა მისთვის რაღაცის თქმას.

– ტალზე გსმენია რამე? – ჰკითხა უცებ ბრაუნს.

ბრაუნმა თავი დაუქნია.

– აქ იქიდან მოვედი, – თქვა მან. – ერთხელ სიმინდის გასაყიდად და ვისკის დასალევად დავბრუნდი იქ. იმ წელს იწვიმა. თხუთმეტ წუთს წვიმდა. მიწამ თითქოს პირი დააღო და

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წყალი ჩაყლაპა. ერთი საათის შემდეგ ძველებურად თეთრი და გამომშრალი იყო. აი, სიმინდი კი, ღმერთო, სიმინდი თვალდათვალ იზრდებოდა. ეს კიდევ რაა, ლამის სიმინდის ხმა გესმოდა, თითქოს წვიმამ აამეტყველაო. ბედნიერი ხმა არ ყოფილა. სიმინდი ოხვრა-კვნესით მოიკვლევდა გზას მიწის სილრმიდან, – ბრაუნმა მცირე პაუზის შემდეგ გააგრძელა: – მოსავალიც მეტი მქონდა. მამილო დოკმა შემომთავაზა, ნამატს მე წავიღებო, მაგრამ ხომ ვიცი, მომატყუებდა. ჰოდა, თვითონ წავედი ტალში.

– ქალაქი არ მოგეწონა?

– არა.

– იქ კინაღამ მომკლეს, – თქვა მსროლელმა.

– ვითომ?

– თავს დავდებ, ეგრე იყო. მოვკალი კაცი, რომელსაც ღვთის მარჯვენა შეეხო, – თქვა მსროლელმა. – ოღონდ ის მარჯვენა ღვთისა კი არა, იმ კაცისა იყო, სახელოში კურდღელს რომ მალავს. შავსამოსიანი კაცისა.

– მან მახე დაგიგო.

– მართალია.

სიბნელეში ერთმანეთს ჩუმად შეჰყურებდნენ. ამ სიჩუმეში ერთგვარი დასრულებულობა იგრძნობოდა.

„ახლა კი კითხვების დრო დგება“.

თუმცა ბრაუნი მაინც არაფერს ეკითხებოდა. სიგარეტი ბოლომდე მოსწია და, როცა მსროლელმა ისევ ქისისკენ წაიღო ხელი, უარის ნიშნად თავი გააქნია.

ზოლტანმა ერთი შეიფრთხიალა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისევ მოიბუზა.

– გინდა მოგიყვე, რაც მოხდა? – შესთავაზა მსროლელმა ბრაუნს. – დიდი მოსაუბრე ნაღდად არ ვარ, მაგრამ...

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ზოგჯერ საუბარი გშველის. მოგისმენ.

მსროლელმა ვერ მოიფიქრა, რით დაეწყო.

– წავალ, მოვფსამ, – თქვა ბოლოს.

– სიმინდებში მოფსი, თუ შეიძლება, – სთხოვა ბრაუნმა.

მსროლელმა საფეხურები აიარა და გარეთ გავიდა. მაღლა ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ქარი რიტმულად ქროდა. მისი შარდი კამარისებრად ესხმებოდა სიმინდის ყანის ფხვიერ მიწას.

აქ შავსამოსიანმა კაცმა შემოიტყუა. გამორიცხული არაა, ბრაუნი იყოს შავსამოსიანი კაცი; შეიძლება, მართლაც იყოს...

მსროლელმა თავიდან ამოიგდო ეს უსარგებლო და შემაწუხებელი აზრები. ერთადერთ რამეს ვერ დაუშვებდა და გადაიტანდა – გაგიჟებას. ისევ ქოხში დაბრუნდა.

– ბოლოს და ბოლოს, რა დაასკვენი, მართლა ბრაუნი ვარ თუ თავს გაჩვენებ? – ხალისიანად ჰკითხა მასპინძელმა.

გაკვირვებული მსროლელი კიბის საფეხურზე შედგა. მერე ქვემოთ ნელა ჩავიდა და დაჯდა.

– ამ აზრმა მართლაც გამიელვა თავში. თავს მაჩვენებ?

– შეიძლება, ვერაფერს გეტყვი.

არც ისე სასიამოვნო პასუხი იყო, მაგრამ მსროლელი არ ჩასძიებია.

– ტალის შესახებ უნდა მეამბა შენთვის, – თქვა მან.

– იზრდება ქალაქი?

– ჩაკვდა, – უპასუხა მსროლელმა, – მისი ყველა მცხოვრები მოვკალი. – აპირებდა დაემატებინა: „ახლა კი შენც მოგკლავ თუნდაც იმიტომ, რომ ღამით ცალთვალგახელილს ძილი არ მინდაო“, მაგრამ განა ამისთვის მოვიდა აქ? თუ კი, თუ იმას დაემსგავსებოდა, ვისაც მისდევდა, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა გზის გაგრძელებას?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერს გთხოვ, მსროლელო, – თქვა ბრაუნმა, – მხოლოდ ის მინდა, შენს გზაზე რომ წახვალ, მე ცოცხალი დავრჩე. არ მომკლა-მეთქი, არ შეგეხვეწები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამქვეყნად კიდევ ცოტა ხანს დარჩენაზე უარს ვიტყოდი.

მსროლელმა თვალები დახუჭა. აზრები ერთმანეთში ერეოდა.

– მითხარი, ვინ ხარ, – მოსთხოვა ბრაუნს.

– ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც არაფერს გავნებს. და თუ არ გადაგიფიქრებია, კვლავაც მზად ვარ, მოგისმინო.

მსროლელმა არაფერი თქვა.

– მგონი, ეჭვი გეპარება, რომ ეს მართლა მინდა, – თქვა ბრაუნმა, – ამიტომ თვითონ გთხოვ, მომიყევი ტალის შესახებ!

თავისდა გასაკვირად, მსროლელმა ამჯერად ზუსტად იცოდა, რით დაეწყო. მისი მოკლე-მოკლე ფრაზები თანდათან თანაბარ, მონოტონურ თხრობაში გადაიზარდა. რატომღაც ამბის მოყოლა ძალიან სიამოვნებდა. შუალამემდე ილაპარაკა. ბრაუნს ერთხელაც არ შეუწყვეტინებია. არც ყორანს.

V

ჯორი პრაისტაუნში იყიდა. ტალში რომ ჩავიდა, პირუტყვი ჯერაც ჯანზე იყო. მზე ერთი საათის ჩასული იქნებოდა, მაგრამ ცაზე ქალაქის შუქი ირეკლებოდა და მსროლელიც იქით მიდიოდა. პიანინოს უჩვეულოდ მკაფიო ხმა მოესმა და იქით გასწია. „Hey Jude“-ს უკრავდნენ. გზას განშტოებები შეუერთდა და შესამჩნევად გაფართოვდა. აქა-იქ ფარნები ხვდებოდა, მაგრამ არც ერთი არ ანათებდა.

ტყე კარგა ხნის წინ მოეტოვებინა უკან და ახლა ერთფეროვან პრერიაში მიაბიჯებდა; მოჩანდა ტიმოთელათი და დაბალი ბუჩქებით დაფარული უკიდეგანო, გავერანებული მინდვრები;

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იდუმალი, მიტოვებული კარ-მიდამოები, რომლებსაც მხოლოდ ჩუმი და ბნელი, უეჭველად აჩრდილებით სავსე სახლები იცავდა; ცარიელი, უბადრუკი ქოხმახები, საიდანაც ხალხი გადასახლდა ან ძალით გადაასახლეს; რომელიმე იშვიათი მოსახლის ქოხს მხოლოდ ალის ციმციმა წერტილი თუ გასცემდა სიბნელეში, ხოლო დღისით – ყანაში სამუშაოდ მიმავალი გარყვნილი, გადაგვარებული ოჯახის პირქუში და სიტყვაძუნწი წევრები. თითქმის ყველგან სიმინდი ეთესა, თუმცა ზოგან ლობიოსა და ჭიაფერასაც მოჰკრავდით თვალს. მსროლელს მურყნის მესრის იქიდან ხანდახან გაძვალტყავებული ძროხაც მიაშტერდებოდა ხოლმე უსიცოცხლოდ. ოთხმა საფოსტო ეტლმა ჩაუარა; ორი იქით მიდიოდა, საითაც მსროლელი, ორი – აქეთ. იქით მიმავლები თითქმის ცარიელი იყო, აქეთ, ჩრდილოეთის ტყეებისკენ მომავალ ეტლებში უფრო მეტი ხალხი იყო. დროდადრო ფურგონის ფარზე ფეხშემოდებული ფერმერებიც ჩაუვლიდნენ ხოლმე, თუმცა შეიარაღებულ მსროლელს თვალს არიდებდნენ.

მახინჯი მხარე იყო. რაც მსროლელი პრაისტაუნიდან წამოვიდა, მხოლოდ ორჯერ იწვიმა, ისიც ზანტად. ტიმოთელაც კი გაყვითლებული და დაღონებული ჩანდა. ამ მხარეში დარჩენა არავის მოუნდებოდა. მსროლელს შავსამოსიანი კაცის ნიშანწყალი არსად უნახავს. ის, ალბათ, რომელიმე საფოსტო ეტლს გაჰყვა.

გზამ მკვეთრად მოუხვია. მოსახვევში მსროლელმა ჯორი გააჩერა და ტალს ზემოდან გადახედა. ქალაქი ღრმა, მრგვალი ტაფობის ძირას მდებარეობდა და იაფფასიან ბუდეში ჩასმულ უვარგის ძვირფას ქვას ჰგავდა. რამდენიმეგან შუქი ენთო, ძირითადად იმ ადგილის ახლომახლო, საიდანაც მუსიკა ისმოდა. ქალაქში სულ ოთხი ქუჩა იყო. სამი მათგანი საფოსტო გზასთან (რომელიც იმავდროულად ქალაქის მთავარი ქუჩა იყო) მართი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კუთხით მიიწევდა. ნაკლებ სავარაუდო კი იყო, მაგრამ მსროლელმა იფიქრა, იქნებ იქ სადმე კაფე იყოსო და ჯორს შეუძახა.

გზის აქეთ-იქით ახლა უფრო ხშირად მოჩანდა სახლები, თუმცა მათი უმეტესობაც ცარიელი და მიტოვებული იყო. მსროლელმა უკან მოიტოვა დამპალი, წამოქცეული, ერთიანად ეშმაკის ბალახმოდებული სარებით შემოღობილი პატარა სასაფლაო და კიდევ ასორმოცდაათიოდე მეტრის გავლის შემდეგ მიადგა კიდეებშემოკბეჩილ საგზაო ფირნიშს წარწერით: ტალი.

საღებავაქერცლილი წარწერა ძლივს იკითხებოდა. ოდნავ მოშორებით კიდევ ერთი ფირნიში იყო, მაგრამ მასზე მსროლელმა საერთოდ ვერ გაარჩია ასოები.

როცა მსროლელმა ქალაქში შეაბიჯა, მთვრალების ქორომ ერთხმად დასჭექა „Hey Jude"-ის ბოლო სტროფი: „ნაა-ნაა-ნაა ნაა-ნა-ნა-ნა... ეი, ჯუდ..." ყრუ და გაწელილი ხმა იყო, თითქოს ქარი ზუზუნებდა დამპალი ხის ფუღუროში. პიანინოს პროზაული ჟღარუნი რომ არა, მსროლელი სერიოზულად დაეჭვდებოდა, შავსამოსიანმა კაცმა მიტოვებულ ქალაქში მოჩვენებები დაასახლაო. ამის გაფიქრებაზე გაეღიმა.

ქუჩებში ხალხი მიმოდიოდა, ოლონდ ცოტა. სამმა ქალმა (სამივეს შავი შარვალი და ერთნაირი, მაღალსაყელოიანი კოფთა ეცვა) მოპირდაპირედ ფიცარნაგზე ისე ჩაიარა, რომ მსროლელისკენ განზრახ არ გამოუხედავთ. ტანი არ უჩანდათ და მათი თავები, თვალებიან მკრთალ ბურთულებს რომ ჰგავდა, თითქოს ჰაერში დაცურავდა. მსროლელს სავაჭრო ფარდულის საფეხურებიდან ჩალისქუდიანი მოლუშული ბერიკაცი მისჩერებოდა. გალეული თერძი გვიან კლიენტს მოსწყდა და ფანჯრიდან თვალი გააყოლა, თან, მსროლელის სახის უკეთ დასანახად, ლამპა მაღლა ასწია. მსროლელმა მისალმების ნიშნად თავი დაუქნია. არც თერძს და არც მის კლიენტს არ უპასუხიათ. მსროლელი გრძნობდა, რომ ისინი რე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვოლვერის ბუდეებს არ აშორებდნენ თვალს. დაახლოებით ცამეტი წლის ბიჭმა და გოგომ, რომელიც შეიძლება ბიჭის და ან მეგობარი იყო, გზაჯვარედინთან ქუჩა გადაჭრეს. მათ ნაკვალევზე მტვერი წამოიშალა. ქალაქში გზისპირა ფარნები თითქმის ყველგან ენთო, თუმცა განათება ელექტრული არ იყო. ფარნების ქარსის შუშები გამურულიყო. ზოგიერთი ფარანი ჩამტვრეული იყო. მსროლელმა ფასიან საჯინიბოსაც მოჰკრა თვალი, რომელიც მხოლოდ იმის წყალობით სულდგმულობდა, რომ ქალაქში საფოსტო გზა გადიოდა. საჯინიბოს გვერდითა შესასვლელის წინ მიწაზე დახატულ წრესთან სამი ბიჭი ჩაცუცქულიყო მარმარილოს ბურთულებით სათამაშოდ. ბიჭები სიმინდის ფუჩეჩის პაპიროსს ეწეოდნენ. ეზოში მათი გრძელი ჩრდილები გაფენილიყო. ერთს ქუდის ლენტში მორიელის კუდი ჩაეყოლებინა, მეორეს მარცხენა თვალი გასივებოდა.

მსროლელმა ბიჭებს ჩაუარა და ნახევრად ბნელ საჯინიბოში შეიხედა. შიგნით მხოლოდ ერთი ლამპა ბჟუტავდა. კედელზე ლანდი ხტოდა. კომბინეზონიანი ბერიკაცი ტიმოთელას თივას ფიწლით იღებდა და სათივეში ყრიდა.

– ეი, – დაუძახა მსროლელმა.

ფიწალი გაჩერდა და მეჯინიბემ ყვითელი თვალები შეანათა მსროლელს.

– რა ეი? – თქვა ბერიკაცმა.

– ჯორი მყავს.

– გილოცავ!

მსროლელმა ნახევრად ბნელში მძიმე, უსწორმასწოროკიდეებიანი ოქროს მონეტა ისროლა. მონეტა ჩალით მოფენილ იატაკზე ჟღარუნით დაეცა და გაიბრწყინა.

მეჯინიბე წინ გამოვიდა, დაიხარა, მონეტა აიღო და თვალებმოწკურული მიაშტერდა მსროლელს. მერე რევოლვერის ბუდეებზე გადაიტანა მზერა და კუშტად დააქნია თავი.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რამდენი ხნით ტოვებ?

– ერთი-ორი ღამით. შეიძლება, უფრო მეტითაც.

– ოქროს ხურდა არ მაქვს.

– არ მჭირდება.

– სისხლიანი ფული, – ჩაილაპარაკა მეჯინიბემ.

– რა თქვი?

– არაფერი, – მეჯინიბემ ჯორს აღვირში ჩასჭიდა ხელი და საჯინიბოში შეიყვანა.

– გაასუფთავე, – მიაძახა მსროლელმა, – იცოდე, მოვალ და შევამოწმებ, სუნი ხომ არ ასდის!

ბერიკაცი არც კი შემოტრიალებულა. მსროლელი ბურთულებით მოთამაშე ბიჭებთან მივიდა. ისინი მეჯინიბისა და მსროლელის საუბარს დამცინავი ინტერესით უსმენდნენ.

– გრძელი დღეები და სასიამოვნო ღამეები თქვენ! – საუბრის წამოწყება სცადა მსროლელმა.

არავინ უპასუხა.

– ბიჭებო, ამ ქალაქში ცხოვრობთ?

ამჯერადაც არავის უპასუხია, მხოლოდ მორიელისკუდიანმა ბიჭმა დააქნია ოდნავ თავი.

ერთ-ერთმა ბიჭმა უშნოდ გახვეული სიმინდის ფუჩეჩის პაპიროსი პირიდან გამოიღო, მწვანე ბურთულას – კატისთვალას – ხელი დაავლო და წრეში ისროლა. ბურთულა „ყიყინას“ დაეჯახა და ის წრის გარეთ აღმოჩნდა. ბიჭმა მწვანე ბურთულა აიღო და ხელახლა სასროლად მოემზადა.

– ამ ქალაქში კაფე არის? – იკითხა მსროლელმა.

ყველაზე უმცროსმა ბიჭმა ამოხედა. პირის კუთხეს ჰერპესი „უმშვენებდა“, დიდრონი თვალებით უცოდველად იმზირებოდა (ამ სანაგვეში ეს უცოდველობა, ალბათ, დიდხანს არ გაგრძელდებოდა). ის მსროლელს ცუდად შენიღბული გაკვირ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვებით უყურებდა. მისი გაკვირვებული მზერა ერთდროულად შეგძრავდა და დაგაფრთხობდა კიდეც.

– შებთან ჰამბურგერს გაჭმევენ.

– ეგ ის ბარია?

– ჰო, – ბიჭმა თავი დაუქნია. მისი მეგობრების მზერა მაშინვე მტრული გახდა. ძმაკაცს უეჭველად მაგრად მოსდებდნენ იმისთვის, რომ ენას კბილი არ დააჭირა.

მსროლელი ქუდის ფარფლს შეეხო.

– დიდი მადლობა. მიხარია, რომ ამ ქალაქში ვიღაცას მაინც ეყო ჭკუა, რომ პასუხი გაეცა ჩემთვის.

მსროლელი ბიჭებს გასცდა, ფიცარნაგზე შეაბიჯა და „შების ბარისკენ“ გაიხედა. უკნიდან რომელიღაც ბიჭის მკაფიო, დამცინავი ხმა, ლამის ბავშვური დისკანტი მოესმა:

– ბალახიჭამიავ! დიდი ხანია, საკუთარ დას ხმარობ, ჩარლი? ბალახიჭამიავ! – რასაც დარტყმის ხმა და ტირილი მოჰყვა.

„შების ბარის“ წინ ნავთის სამი ლამპა ეკიდა: ორი – შესასვლელის აქეთ-იქით, ერთი – მრუდედ დაკიდებული მოქანავე კარის თავზე. მთვრალების გუნდს „Hey Jude“-ის სიმღერა შეეწყვიტა და პიანინოზე ახლა სხვა ძველ ბალადას უკრავდნენ. მსროლელი წუთით შეყოვნდა კართან და შიგნით შეიხედა: იატაკზე – ნახერხი, ფეხებმორყეული მაგიდების გვერდით – ჩასაფურთხებლები; დახლი – შეშის დასახერხ ჯოჯგინაზე გადებული ფიცარი, დახლს უკან – დალაქავებული სარკე, რომელშიც მუდმივად ტაბურეტზე ჯდომისაგან მხრებში მოხრილი პიანისტი ირეკლებოდა. პიანინოსთვის წინა პანელი მოეხსნათ და, როცა პიანისტი ამ უჩვეულო მოწყობილობას აამუშავებდა, ზემოთ-ქვემოთ მოხტუნავე ხის ჩაქუჩები მოჩანდა. ბარის მეპატრონე ჩალისფერთმიანი ქალი იყო, რომელსაც ჭუჭყია-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნი ლურჯი კაბა ეცვა. ერთ-ერთი ბრეტელი ქინძისთავით დაემაგრებინა. ოთახის ბოლოში ექვსიოდე კაცი იჯდა; სვამდნენ და უხალისოდ თამაშობდნენ „მიყურეს“. კიდევ ექვსი კლიენტი პიანინოს შემოხვეოდა ირგვლივ, ოთხი თუ ხუთი კაცი დახლთან ტრიალებდა. ერთი თმააწეწილი, ჭაღარა ბერიკაცი შესასვლელთან მდგარ მაგიდაზე დამხობილიყო. მსროლელი ბარში შევიდა.

მაშინვე ყველამ ერთად მოატრიალა თავი მის და მისი რევოლვერების შესათვალიერებლად. ლამის სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ თავდავიწყებას მიცემული პიანისტი აგრძელებდა პიანინოზე ჟღარუნს. მერე ქალმა დახლი ტილოთი გადაწმინდა და ყველაფერი ისევ ძველებურად გაგრძელდა.

– მიყურე, – თქვა კუთხეში მჯდარმა ერთ-ერთმა მოთამაშემ და სამი გულის კარტი ოთხი ყვავის კარტით გაჭრა. პარტია დასრულდა. იმან, ვინც გულს ჩამოვიდა, შეიგინა, ფსონი მაგიდის შუაგულისკენ გასწია და შემდეგი ხელი ჩამოარიგეს.

მსროლელი დახლს იქით მდგარ ქალს მიუახლოვდა.

– ხორცი გაქვს? – ჰკითხა.

– კი, – ქალმა უშიშრად გაუსწორა თვალი. ოდესღაც ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას შემდეგ სამყარო შეიცვალა და ადგილიდან დაიძრა. ახლა სახე გასივებოდა და შუბლზე მკრთალი ნაიარევი მიიკლაკნებოდა. ქალს ნაიარევი პუდრის სქელი ფენით დაეფარა, მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა. – სუფთა ხორცია, მოვლილი საქონლის, ოღონდ ძვირია.

„სუფთა ხორცი არა, ჩემი ფეხები! – გაიფიქრა მსროლელმა. – საყინულეში, ალბათ, სამთვალა ან ექვსფეხა საქონლის ხორცი გიდევს, ჩემო ლედი-სეი“.

– სამი ჰამბურგერი და ლუდი, თუ შეიძლება.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვლავ შეარხია ჰაერი ჩუმმა ბგერებმა. სამი ჰამბურგერი. პირები ნერწყვით გაივსო, ტუჩები ენით გაილოკეს მადააღძრულებმა. სამი ჰამბურგერი. ნეტა აქ მსხდომებს ერთ ჭამაზე სამი ჰამბურგერი ოდესმე თუ უჭამიათ?

– შენზე ხუთი ბაქსია. ბაქსი გაქვს?

– ანუ დოლარი?

ქალმა თავი დაუქნია.

– ლუდთან ერთად? – ღიმილით ჰკითხა მსროლელმა. – თუ ამაში ლუდის საფასური არ შედის?

ქალს საპასუხოდ არ გაუღიმია: – ლუდისაც მაგაში შედის, ოღონდ ჯერ მაჩვენე, რა ფერის ფული გაქვს!

მსროლელმა დახლზე ოქროს მონეტა დადო და ყველა იმ მონეტას მიაშტერდა.

დახლს უკან, სარკის მარცხნივ, მდგარ ქურაში ნახშირი ბჟუტავდა. ქალი ქურის უკან, პატარა ოთახში, გაუჩინარდა და იქიდან ქაღალდზე დადებული ხორცით გამოვიდა. სამი პატარა ნაჭერი ჩამოჭრა და ცხაურაზე დააგდო. გასაგიჟებელი სურნელი დატრიალდა. მსროლელი აუღელვებლად იდგა და ვითომ ვერ ამჩნევდა, როგორ დადუმდა პიანინო, როგორ შეწყვიტეს კარტის თამაში და რა ალმაცერად გამოხედეს ბარის ხშირმა სტუმრებმა.

მისკენ ერთი კაცი წამოვიდა, მაგრამ მსროლელმა სარკეში დაინახა და შუა გზაზე გააჩერა.

– შენს ადგილზე დაჯექი, – უთხრა მას მსროლელმა. – შენთვისვე აჯობებს, მეგობარო.

თითქმის მთლიანად მელოტი კაცი, რომელსაც ქამარზე რევოლვერის ბუდესავით მიმაგრებული ვეება სანადირო დანის ტარისთვის მაგრად ჩაევლო ხელი, შემცბარი გაჩერდა და თავისდა უნებურად, ზედა ტუჩი ძაღლივით ასწია. წამით სიჩუმე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩამოვარდა. მერე კაცი თავის მაგიდასთან დაბრუნდა და დაძაბული ატმოსფეროც განიმუხტა.

მსროლელს ლუდი გაბზარული ტოლჩით მოუტანეს.

– ოქროს ხურდა არ მაქვს, – უკმეხად უთხრა ქალმა.

– არც მინდა.

ქალმა ბრაზიანად დაუქნია თავი, თითქოს სიმდიდრის ამ გამოვლინებამ, თუნდაც მის სასარგებლოდ, ძალიან აღაშფოთაო. ოქრო მაინც აიღო და რამდენიმე წამში არც ისე სუფთა თეფშით ნახევრად შემწვარი ჰამბურგერები მიუტანა მსროლელს.

– მარილი გაქვს?

ქალმა დახლს ქვემოდან პატარა სამარილე გამოიღო. მსროლელმა მარილის ნატეხები თვითონვე დაფშვნა.

– პური?

– პური არ გვაქვს.

ქალი აშკარად იტყუებოდა, მაგრამ მსროლელმა იცოდა, რატომაც და აღარ ჩასძიებია. მელოტი კაცი ღვარძლიანად მისჩერებოდა, მაგიდის გაბზარულ და დაჩხაპნილ ზედაპირზე მუშტებს ხან შეკრავდა, ხან გახსნიდა. ნესტოები განუწყვეტლივ ებერებოდა და ხორცის სუნს ხარბად იყნოსავდა. ეს მაინც იყო უფასო.

მსროლელი ჭამას შეუდგა. გემოზე ყურადღებას არ ამახვილებდა, ჰამბურგერს ჭრიდა, ნაჭერს ჩანგლით პირში იდებდა და ცდილობდა, არ ეფიქრა, რას ჰგავდა ის ძროხა, რომლის ხორცსაც ჭამდა. სუფთა ხორციაო, უთხრა ქალმა. კი, აბა! ჰო, კიდევ ღორები კამალას ცეკვავენ მეწვრილმანის მთვარის შუქზე.

მსროლელმა ჰამბურგერები თითქმის გაათავა და კიდევ ერთი ტოლჩა ლუდის შეკვეთას და სიგარეტის მოწევას აპირებდა, რომ მხარზე ხელი დაადეს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაშინღა შეამჩნია, რომ ოთახში კვლავ სიჩუმეს დაესადგურებინა და ვითარება დაძაბულიყო. შეტრიალდა და იმ კაცის სახე დაინახა, რომელიც ბარში შემოსვლისას კართან მძინარე დაინახა. საშინელი სახე ჰქონდა. ეშმაკის ბალახის სუნად ყარდა. მზერაც საზარელი ჰქონდა, გაშტერებული, იმ კაცივით იყურებოდა, თვალები გახელილი რომ აქვს, მაგრამ ვერაფერს ხედავს; მისი მზერა ყოველთვის შიგნითკენ, უმართავი სიზმრების სტერილური ჯოჯოხეთისკენ, არაცნობიერის მყრალი ჭაობიდან წამოშლილი თავაწყვეტილი კოშმარებისკენ არის მიმართული.

დახლს უკან მდგარმა ქალმა წამოიკვნესა.

დახეთქილი ტუჩები დაიმანჭა, გაიხსნა და გამწვანებული, თითქოს ხავსმოდებული კბილები გამოჩნდა. მსროლელმა გაიფიქრა: „ბალახს კი აღარ ეწევა, ღეჭავს. ნამდვილად ღეჭავს“.

და გონებაშივე დაამატა: „მკვდარია. ერთი წლის მკვდარი მაინც იქნება“.

და ისევ გონებაში დაამატა: „ეს შავსამოსიანი კაცის ნამოქმედარია“.

ერთმანეთს მისჩერებოდნენ – მსროლელი და ჭკუიდან შეშლილი ბერიკაცი.

მოხუცმა დაილაპარაკა და მსროლელს, თავისდა გასაკვირად, გალაადის უზენაეს ენაზე მიმართეს.

– გაიღეთ მოწყალება, მსროლელო-სეი. ოქროს მონეტა მიბოძეთ! მხოლოდ ერთი, მეტი არა!

უზენაესი ენა. მსროლელმა ძლივს დაიჯერა. ღმერთო, საუკუნეები, ათასწლეულები გავიდა. უზენაესი ენა აღარ არსებობდა. თვითონ ბოლო იყო, ბოლო მსროლელი. დანარჩენები...

ენაჩავარდნილმა მსროლელმა გულის ჯიბიდან ოქროს მონეტა ამოიღო. მოხუცმა დახეთქილი ხელი გამოუწოდა, მონეტა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოართვა და მაღლა ასწია. მასზე ნავთის ლამპების მქრქალი შუქი აირეკლა. მონეტა ამაყად ბრწყინავდა: ოქროსფრად, წითლად, სისხლისფრად.

– اااااا

ქალმა დაჟინებით შემოხედა. მისი სიბრაზე დაცხრა. ჭოჭმანი დაეტყო. მერე თვალები მოუწყლიანდა და აუციმციმდა – მსროლელს ეს არაერთხელ ენახა. ბარის დაგვერდებული შენობა თავისთვის ჭრიალებდა. სადღაც შორს გამაყრუებლად ყეფდა ძაღლი. მსროლელი იცდიდა. ქალი მიხვდა, რომ მსროლელმა იცოდა და ციმციმი უიმედობამ შეცვალა, უტყვმა სურვილმა, რომელსაც ვერ ამოთქვამდი.

– ალბათ, იცი, სანაცვლოდ რასაც მოვითხოვ, – თქვა ქალმა. – ადრე სურვილს იოლად ვიკმაყოფილებდი, ახლა უკვე ვეღარ.

მსროლელმა მტკიცედ შეხედა ქალს. ნაიარევი სიბნელეში არ ჩანდა. საკმაოდ გამხდარი იყო და მიმზიდველად გამოიყურებოდა; როგორც ჩანს, უდაბნოს, ქვიშასა და მძიმე შრომას ბოლომდე ვერ მოედრიკა. თანაც, ეტყობოდა, რომ ოდესღაც ლამაზი იყო, შეიძლება, ძალიან ლამაზიც. თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თუნდაც მისი საშოს უნაყოფო სიშავე საფლავის მატლების ბუდე ყოფილიყო, მაინც სულერთი იქნებოდა. ყველაფერი წინასწარ იყო დაწერილი. სადღაც ვილაცამ ყველაფერი კას წიგნში ჩაწერა.

ქალმა სახეზე ხელები აიფარა. მასში ჯერ კიდევ დარჩენილიყო ცოტაოდენი წვენი – სატირლად საკმარისი.

– ნუ მიყურებ! ეგრე აგდებულად ნუ მიყურებ!

– ბოდიში, – უთხრა მსროლელმა, – შენი წყენინება არ მინდოდა.

– ხო, ეგ არავის უნდა! – წამოიყვირა ქალმა.

– დაკეტე აქაურობა და შუქი ჩააქრე.

ქალი სახეზე ხელებაფარებული ტიროდა. მსროლელს უხაროდა, რომ ქალს სახე არ უჩანდა. ნაიარევის გამო კი არა, იმიტომ, რომ ტირილი ქალს ქალწულობას თუ არა, ახალგაზრდო-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბას მაინც უბრუნებდა. ქინძისთავი, რომელიც კაბის ბრეტელს უმაგრებდა, მკრთალ შუქში ციმციმებდა.

– რამეს მოიპარავს? თუ იპარავს, გარეთ გავაგდებ.

– არა, ნორტი არასდროს არაფერს იპარავს, – დაიჩურჩულა ქალმა.

– მაშინ შუქი ჩააქრე!

ქალმა მსროლელი წინ გაუშვა და ხელები მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოუშვა. ლამპები ერთიმეორის მიყოლებით ჩააქრო – პატრუქს დაუწია და ცეცხლს სული შეუბერა. მერე მსროლელს ხელი მოჰკიდა. კაცს თბილი ხელი ჰქონდა. ქალმა მსროლელი მეორე სართულზე აიყვანა. იქ შუქი არ ენთო, ამიტომ ალერსის დამალვა საჭირო არ იყო.

VI

მსროლელმა სიბნელეში ორ სიგარეტს მოუკიდა და ერთი ქალს მიაწოდა. ოთახში ქალის სურნელი ტრიალებდა – ქორფა იასამნის, შესაბრალისი. თუმცა იასამნის სურნელს უდაბნოს სუნი ამძიმებდა. უეცრად მსროლელს ძალიან შეეშინდა უდაბნოსი, წინ რომ ელოდა.

– მას ნორტი ჰქვია, – უთხრა ქალმა. ხმა კვლავინდებურად უხეში ჰქონდა. – უბრალოდ, ნორტი. ის მოკვდა.

მსროლელს არაფერი უთქვამს.

– მას ღვთის მარჯვენა შეეხო.

– ღმერთი არასდროს მინახავს, – თქვა მსროლელმა.

– რაც თავი მახსოვს, სულ აქ ცხოვრობდა – ნორტი, ღმერთი კი არა, – ჩაიფხუკუნა ქალმა სიბნელეში. – ერთი ნაკელმოსაბნევი ჰქონდა და კარგა ხანს მაგით გაჰქონდა თავი. ჯერ სმა დაიწყო, მერე – ბალახის ყნოსვა, ბოლოს – მოწევა. ბავშვები

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კუდში დასდევდნენ და ძაღლებს უქსევდნენ. ბინძური მწვანე შარვალი ეცვა. ხვდები?

– ჰო.

– მერე ბალახის ღეჭვა დაიწყო. ბოლოს, სულ იჯდა და აღარაფერს აკეთებდა. გონებაში, ალბათ, მეფედ წარმოედგინა თავი – ბავშვები თავისი მასხარები ეგონა, ძაღლები – თავადები.

– ჰო.

– ზუსტად ამ შენობის წინ მოკვდა, – თქვა ქალმა. – ფიცარნაგზე მობაკუნებდა – ჩექმები არ უცვდებოდა, ძველ მახარისხებელ სადგურში ნაპოვნი მექანიკოსის ჩექმები ჰქონდა – და, როგორც ყოველთვის, ბავშვები და ძაღლები მოსდევდნენ. ერთმანეთში ახორხლილ-გადახლართულ მავთულის ტანსაცმლის საკიდრებს ჰგავდა. თვალებში ჯოჯოხეთის ცეცხლი ენთო და იღიმებოდა, აი ისე, ბავშვები რომ ამოჭრიან ხოლმე ღიმილს გოგრებზე „დიდი მკის“ დღეს. მიწის, სიდამპლისა და ბალახის სუნად ყარდა. სიმყრალე პირიდან მწვანე სისხლივით გამოედინებოდა. მგონი, ბარში შემოსვლას და შების მოსმენას აპირებდა. კართან გაჩერდა და თავი გვერდზე გადახარა. ვუყურებდი. ვიფიქრე, ეტყობა, საფოსტო ეტლი დაინახა-მეთქი, არადა, ეტლს, წესით, ჯერ არ უნდა გამოევლო. უცებ ნორტს გული აერია და სისხლიანი შავი მასა ამოარწყია. ნარწყევი პირიდან ისე მოჩქეფდა, როგორც კანალიზაციის წყალი ცხაურიდან. ისეთი სიმყრალე დააყენა, კაცს გაქცევა მოგინდებოდა. ერთი აიქნია ხელები და მორჩა. გაღიმებული ჩაიხრჩო საკუთარ ნარწყევში.

– მშვენიერი ამბავია.

– მადლობა, სეი. ზუსტად ამ ადგილის შესაფერისი ამბავია.

მსროლელი გრძნობდა, როგორ ცახცახებდა ქალი მის

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვერდით. გარეთ ქარი კვნესოდა, სადღაც შორს ძაღლები ყეფდნენ – მათი ხმა თითქოს სიზმარში ჩაესმოდა. კედლებში თაგვები დაცუნცულებდნენ. მსროლელმა გაიფიქრა, ეს ქალაქში ერთადერთი ადგილია, სადაც თაგვებს თავის რჩენა შეუძლიათო. ქალს მუცელზე დაადო ხელი. ქალი შეკრთა, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა.

– შავსამოსიანი კაცი, – თქვა მსროლელმა.

– აუცილებლად უნდა იცოდე, არა? არ შეგიძლია, უბრალოდ, მიხმარო და დაიძინო.

– აუცილებლად უნდა ვიცოდე.

– კარგი, მოგიყვები, – ქალმა ორივე ხელით ჩაბღუჯა მსროლელის ხელი და მოყოლა დაიწყო.

VII

ის იმ დღეს მოვიდა, როცა ნორტი მოკვდა. ქარი მძვინვარებდა, მიწას და სიმინდის ღეროებს ჰაერში დააქროლებდა. იუბალ კენერლიმ თავისი საჯინიბო ადრიანად დაკეტა. რამდენიმე სხვა ვაჭარმაც დახურა დარაბები და კარი ჩარაზა. ცა დაძველებული ყველივით გაყვითლდა და თანდათან ღრუბლებით დაიფარა, თითქოს ღრუბლები რაღაც საშინელებას გამოექცნენ უდაბნოდან, სადაც ცოტა ხნის წინ იყვნენ.

მსროლელისგან დევნილი შავსამოსიანი კაცი დანჯღრეული, ბრეზენტით გადახურული ორთვალათი მივიდა ქალაქში. სახეზე კეთილგანწყობილი ღიმილი ეხატა. ქალაქელებმა მისი მოსვლა დაინახეს. ფანჯარასთან წამოწოლილმა მოხუცმა კენერლიმ, რომელსაც ცალ ხელში ბოთლი ეჭირა, მეორეში – თავისი მეორე ქალიშვილის მხურვალე მარცხენა ძუძუ, გადაწყვიტა, თუ უცნობი მომიკაკუნებს, არ გავეპასუხებიო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა შავსამოსიანი კაცი საჯინიბოსთან არ გაჩერებულა. ორთვალას თვლები ბრუნავდა და მათ მიერ მიწიდან ადენილ მტვერს ქარი სიხარულით იტაცებდა. უცნობი მღვდელს თუ ბერს ჰგავდა; მტვრიანი გრძელი შავი მანტია ეცვა, განიერი კაპიუშონი თითქმის მთლიანად უფარავდა სახეს, მაგრამ საზარელ, დამცინავ ღიმილს ვერ მალავდა. მანტიის კალთები ფრიალებდა და მძიმებალთიანი ჩექმების ოთხკუთხა ცხვირები მოუჩანდა.

ორთვალა ბართან გააჩერა და ცხენი ბოძზე მიაბა. ცხენმა თავი ჩახარა და დაიხვიხვინა. კაცმა ორთვალადან ტყავის აბგა გადმოიღო, მხარზე გადაიკიდა და ბარის მოქანავე კარი შეაღო.

ელისი დაჟინებით მიაშტერდა, მაგრამ სხვებს ბარში მისი შესვლა არ შეუმჩნევიათ. მუდმივი კლიენტები უკვე გალეშილიყვნენ. შები მეთოდისტთა ჰიმნს რეგტაიმის სტილში უკრავდა და ჭაღარა უსაქმურები, რომლებიც ავდარს გამოექცნენ და თან ნორტის ქელეხზე მოვიდნენ, ხრინწიანი ხმით მღეროდნენ. ლამის უგონოდ მთვრალი და იმით გაბრუებული შები, რომ თვითონ ჯერაც ცოცხალი იყო, თავდავიწყებით უკრავდა: მისი თითები კლავიშებზე ბადმინტონის ბურთის სიმსუბუქით დაფრინავდა.

ღრიანცელი იდგა, რომელიც ქარის ზუზუნს ვერ ფარავდა, მაგრამ ზოგჯერ საკმაოდ უძალიანდებოდა. კუთხეში მჯდარ ზაქარის ემი ფელდონისთვის კაბა აეწია და მუხლებზე „მკის“ სიმბოლოებს ახატავდა. ოთახში კიდევ რამდენიმე ქალი ტრიალებდა. ყველა აგზნებული ჩანდა. მოქანავე კარიდან შემომავალი მკრთალი შუქი კი თითქოს ყველას დასცინოდა.

ნორტი შუა ოთახში ორ მაგიდაზე დაესვენებინათ. მის მექანიკოსის ჩექმებს იდუმალი V-ს ფორმა წარმოექმნა. ვიღაცას მისთვის თვალები დაეხუჭა და ზედ მონეტები დაეწყო, მაგრამ პირი ღია დარჩენოდა, თითქოს უშნოდ იღრიჯებაო. ხელები

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გულზე დაეკრიფათ და ხელებშუა ეშმაკის ბალახის კონა ჩაედოთ. ცხედარს შხამის სუნი ასდიოდა.

შავსამოსიანმა კაცმა კაპიუშონი გადაიხადა და დახლს მიუახლოვდა. ელისი თვალს ადევნებდა, თან გრძნობდა, მღელვარებასთან ერთად როგორ ღვივდებოდა მასში ნაცნობი წადილი. უცნობს არანაირი რელიგიური სიმბოლო არ ჰქონდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა.

– ვისკი, – ითხოვა მან ჩუმი და სასიამოვნო ხმით. – ოღონდ საუკეთესო, ძვირფასო.

ელისმა დახლს ქვემოდან „სტარის“ ბოთლი გამოიღო. კი შეეძლო, ადგილობრივი იაფფასიანი, წყალწყალა ვისკი მიესაღებინა საუკეთესოდ, მაგრამ არ ქნა. ქალმა ვისკი დაუსხა. შავსამოსიანი კაცი უყურებდა. დიდი, მბრწყინავი თვალები ჰქონდა. ოთახში მეტისმეტად ბნელოდა, რომ ელისს მისი თვალების ფერი გაერჩია. ქალს სურვილი გაუმძაფრდა. უკან ღრიანცელი არ წყდებოდა. შები, უვარგისი საჭურისი, ქრისტიან ჯარისკაცებზე უკრავდა, ხოლო ვიღაცას დეიდა მილი სასიმღეროდ დაეყოლიებინა. მისი უსიამოვნო ხმა ხმაურს ისე კვეთდა, როგორც ბლაგვპირიანი ნაჯახი ხბოს თავის ქალას სასაკლაოზე.

– ეი, ელი!

ქალი კლიენტის მოსამსახურებლად წავიდა. ელისი შეწუხებული იყო უცნობის სიჩუმით, მისი თვალების უფერულობით და თავისი გახურებული შორისით. საკუთარი სურვილების ეშინოდა. ახირებული და უმართავი სურვილები ჰქონდა. ეშინოდა, რადგან ეს სურვილები, შეიძლებოდა, ცვლილების ნიშანი ყოფილიყო, რაც, თავის მხრივ, მის დაბერებას მოასწავებდა – ტალში კი სიბერე ზამთრის დაისივით ხანმოკლე და მწარე იყო.

ლუდის ერთი კასრი დაიცალა და ქალმა მეორე გახსნა. შებისთვის თხოვნა რომ არ ღირდა, კარგად იცოდა. შები მა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შინვე ერთგულ ფინიასავით კი მოირბენდა, მაგრამ ან შემთხვევით თითებს მოიჭრიდა, ან ყველგან ლუდს დაუღვრიდა. ელისი გრძნობდა, რომ სანამ თვითონ კასრს დასტრიალებდა, უცნობი თვალს არ აშორებდა.

– ბევრი ხალხია, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა, როცა ელისი მისკენ მიტრიალდა. ვისკისთვის ხელი არ ეხლო.

– ქელეხია.

– შევამჩნიე მიცვალებული.

– უსაქმურები, – უეცრად სიძულვილი გამოერია ხმაში ელისს. – ყველა უსაქმურია.

– უხარიათ. ის მოკვდა, თვითონ კი ცოცხლები არიან.

– ცოცხალს დასცინოდნენ და მკვდარს მაინც ნულარ დასცინებენ. ეს... – ელისს ხმა ჩაუწყდა. არ იცოდა, სიტყვებით როგორ გამოეხატა თავისი აზრი: რა იყო ეს, რაც ხდებოდა ან რატომ იყო უზნეობა.

– ბალახიჭამია იყო?

– ჰო. სხვა რა დარჩენოდა?

ელისი თითქოს საყვედურობდა, მაგრამ შავსამოსიან კაცს წარბი არ შეუხრია. ქალი წამოწითლდა.

– უკაცრავად. თქვენ მღვდელი ბრძანდებით? ალბათ, გული გერევათ ამ ყველაფერზე.

– მღვდელი არ ვარ და არც გული მერევა, – შავსამოსიანმა კაცმა ვისკი ერთ ყლუპად დალია ისე, რომ სახე არც კი დამანჭვია. – კიდევ ერთი, თუ შეიძლება. როგორც მეზობელ სამყაროში იტყვიან, კიდევ ერთი, სულით და გულით.

ქალი ვერ მიხვდა, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ ჩაძიება ვერ გაბედა.

– ჯერ ფული უნდა მაჩვენო. ბოდიში.

– საბოდიშო არაფერია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შავსამოსიანმა კაცმა დახლზე უსწორმასწორო მონეტა დადო, ცალი კიდე სქელი ჰქონდა, მეორე – თხელი. როგორც სჩვეოდა, ქალმა თქვა: – ამის ხურდა არ მაქვს.

შავსამოსიანმა კაცმა თავი გააქნია, ხურდა არ მჭირდებაო და მშვიდად მიაჩერდა ჭიქას, რომელშიც ქალმა ვისკი დაუსხა.

– აქ გავლით ხართ? – ჰკითხა ელისმა.

შავსამოსიან კაცს დიდხანს არ უპასუხია და ელისი შეკითხვის გამეორებას აპირებდა, როცა კაცმა მოუთმენლად გააქნია თავი და თქვა: – უმნიშვნელო რამეებზე ნუ მელაპარაკები აქ, სიკვდილის თანდასწრებით.

განაწყენებული და გაოცებული ქალი შეკრთა. მაშინვე გაიფიქრა, ეტყობა, ჩემ გამოსაცდელად იცრუა, როცა თქვა, მღვდელი არ ვარო.

– შენ ის მოგწონდა, – გულგრილად თქვა შავსამოსიანმა კაცმა. – ხომ ასეა?

– ვინ? ნორტი? – გაიცინა ელისმა და აღშფოთებული სახე მიიღო, რომ დაბნეულობა დაემალა. – გირჩევნიათ...

– გულკეთილი ხარ, თან ცოტათი გეშინია, – განაგრძო შავსამოსიანმა კაცმა. – ნორტი კი ბალახზე იყო შემჯდარი და ჯოჯოხეთში უკანა კარიდან იყურებოდა. ახლა კი აი, ეგერ წევს. ჯოჯოხეთის კარიც დახურეს, შენ კი გეშინია, რომ აღარ გააღებენ, სანამ იქ შენი შესვლის დრო არ დადგება. ხომ ასეა?

– თქვენ რა, მთვრალი ხართ?

– მისტერ ნორტონი მკვდარია, – წაიმღერა შავსამოსიანმა კაცმა და მისმა სიტყვებმა დამცინავად გაიჟღერა. – მკვდარია, როგორც ყველა. მკვდარია შენსავით და ყველასავით.

– გაეთრიეთ ჩემი ბარიდან! – ქალმა იგრძნო, როგორ იფეთქა მასში მთრთოლვარე ზიზღმა, თუმცა მუცლის ქვედა ნაწილი ჯერაც უხურდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყველაფერი რიგზეა, – რბილად თქვა შავსამოსიანმა კაცმა. – ყველაფერი რიგზეა. მოითმინე. ცოტა მოითმინე.

მას ცისფერი თვალები ჰქონდა. ქალი უეცრად დამშვიდდა. თავში სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს ბანგი დაელიოს.

– მკვდარია, როგორც ყველა, – გაიმეორა შავსამოსიანმა კაცმა. – ხვდები?

ქალმა სულელივით დააქნია თავი და შავსამოსიანმა კაცმა ხმამაღლა და ძლიერად გაიცინა. ყველამ მისკენ მიიხედა. დეიდა მილმა სიმღერა შეწყვიტა, მისი მკვეთრი მაღალი ნოტი ჰაერში გაიფანტა. შები რიტმიდან ამოვარდა და გაჩერდა. ოთახში მყოფებმა შეშფოთებით შეხედეს უცნობს. გარეთ, შენობის კედლებზე ქვიშა ხრაშუნობდა.

სიჩუმე უსაშველოდ გაიწელა. ელისს სული შეეხუთა. თავი დახარა და დაინახა, რომ დახლს ქვემოთ ორივე ხელი მუცელზე მიედო. ყველა შავსამოსიან კაცს უყურებდა და შავსამოსიანი კაცი ყველას უყურებდა. მან ისევ გაიცინა – ამჯერად უფრო გარკვევით, ძლიერად და ყველას გასაგონად. თუმცა სიცილში არავინ აჰყოლია.

– სასწაულს გიჩვენებთ! – წამოიძახა შავსამოსიანმა კაცმა. ოთახში შეკრებილები მხოლოდ მორჩილი ბავშვებით იდგნენ, თითქოს ილუზიონისტს უყურებენ, მაგრამ მისი ფოკუსების დასაჯერებლად უკვე მეტისმეტად დიდები არიანო.

შავსამოსიანი კაცი მკვეთრად გაქანდა წინ. დეიდა მილი შიშით ჩამოეცალა გზიდან. შავსამოსიანმა კაცმა მრისხანედ გაიღიმა და ღიპში გაშლილი ხელი სტკიცა. დეიდა მილმა უნებლიეთ წამოიკისკისა, შავსამოსიანმა კაცმა კი თავი უკან გადახარა.

– ასე არ ჯობია?

დეიდა მილმა კიდევ ერთხელ წამოიკისკისა, მერე ცრემლები წასკდა და აქვითინებული გავარდა ბარიდან. დანარჩენებმა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მდუმარედ გააყოლეს თვალი. ქარიშხალი ახლოვდებოდა. შავი ღრუბლები ერთმანეთს მოსდევდნენ, ცაზე ფუვდებოდნენ და იფუშებოდნენ. პიანინოსთან მდგარმა კაცმა, რომელსაც ლუდით სავსე ტოლჩა ეჭირა, ამოისლუკუნა.

შავსამოსიანი კაცი ღიმილით დაადგა ნორტს თავზე. გარეთ ქარი ყმუოდა და ღმუოდა. შენობის გვერდითა კედელს რაღაც დიდი და მსხვილი დაეჯახა და შეარყია, მერე განზე გადავარდა. დახლთან მდგარი ერთ-ერთი კაცი შედრკა და დიდი, გროტესკული ნაბიჯებით, ალბათ, უფრო უსაფრთხო ადგილისკენ გაემართა. დამაყრუებლად დაიქუხა, თითქოს რომელიღაც ღმერთმა დაახველაო.

– მაშ, ასე! – ღიმილით თქვა შავსამოსიანმა კაცმა. – მოდი, საქმეს მივხედოთ!

მან ნორტს სახეში დამიზნებით ფურთხება დაუწყო. ფურთხი გარდაცვლილის შუბლზე აციმციმდა და გლუვ, კეხიან ცხვირზე მარგალიტისფერ წვეთებად ჩაცურდა.

დახლქვეშ ელისის ხელები უფრო სწრაფად ამუშავდა.

შებმა გიჟივით გადაიხარხარა და წელში მოიხარა. ხველება აუტყდა. წებოვანი ნახველი ამოჰქონდა. შავსამოსიანმა კაცმა მოწონებით იღრიალა და შებს ზურგზე ხელი დაუტყაპუნა. შებმა გაიღიმა და ოქროს კბილი აუბრჭყვიალდა.

ვიღაცეები გაიქცნენ. დანარჩენები ნორტის ირგვლივ შეგროვდნენ. სახე და მამლის ბიბილოსავით დანაოჭებული კისერი და მკერდი სულ სველი ჰქონდა – სველი ამ ხრიოკ და მშრალ მხარეში. და უცებ, თითქოს უხილავი ნიშანი მისცესო, ფურთხის წვიმა შეწყდა. ოთახში მძიმე ხვნეშა გაისმა.

უეცრად შავსამოსიანი კაცი გაქანდა და ნორტის ცხედარს კატასავით გადაახტა, მისმა სხეულმა ჰაერში რკალი მოხაზა. ლამაზი ნახტომი იყო – წყლის ჭავლივით. შავსამოსიანი კა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცი ხელებსა და ფეხებზე დახტა, მაშინვე გასწორდა, გაიღიმა და უკან ისკუპა. ერთ-ერთმა აღფრთოვანებულმა მაყურებელმა ტაში დაუკრა, მაგრამ უცებ თვალები დაენისლა და შეძრწუნებულმა უკან დაიხია, პირზე ხელი აიფარა და გასასვლელისკენ გაიქცა.

შავსამოსიანი კაცის მესამე ნახტომზე ნორტი შეირხა.

მაყურებლებმა ერთი დაიჩურჩულეს და ისევ გაჩუმდნენ. შავსამოსიანმა კაცმა თავი უკან გადასწია და აყმუვლდა. სწრაფად და რიტმულად სუნთქავდა. სულ უფრო სწრაფად ახტებოდა აქეთ-იქით ნორტის ცხედარს, თითქოს წყალი იღვრებოდა ერთი ჭიქიდან მეორეში. ოთახში მხოლოდ მისი ქშენა და ქარიშხლის ღრიალი ისმოდა.

და აი, ნორტმა ღრმად ჩაისუნთქა. ხელები გაანძრია და უაზროდ დააბრახუნა მაგიდაზე. შებმა წამოიხავლა და ოთახიდან გავიდა. მას ერთი შიშისგან თვალებდაჭყეტილი ქალი მიჰყვა თავსაბურავის ფრიალ-ფრიალით.

შავსამოსიანი კაცი კიდევ ერთხელ გადაახტა ნორტს, მერე – მეორედ, მესამედ. მაგიდაზე დასვენებული სხეული უკვე ძაგძაგებდა, ცახცახებდა და იკრუნჩხებოდა, როგორც უზარმაზარი, მაგრამ უსიცოცხლო მოსამართი თოჯინა. ჰაერში სიდამპლის, განავლისა და ხრწნის სულისშემხუთველი სუნი დატრიალდა. და ბოლოს ნორტმა თვალები გაახილა.

ელისმა დაბუჟებული და მგრძნობელობადაკარგული ფეხებით თავისდა უნებურად უკან დაიხია. ზურგით სარკეს დაეჯახა, შეარყია და, შიშისგან დაბრმავებული, ირემივით სწრაფად გავარდა ოთახიდან.

– ესეც შენ, სასწაული! – მიაძახა აქოშინებულმა შავსამოსიანმა კაცმა. – შენ გიძღვნი. ამიერიდან მშვიდად დაიძინებ. *სიკვდილიც* კი არ არის დაუძლეველი!.. ისე... მართლა... სა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საცილოა! – და კვლავ ხარხარი აუტყდა. მისი ხმა თანდათან მიწყნარდა, როცა ელისმა მეორე სართულზე აირბინა და დერეფნის კარი ჩარაზა.

მერე ჩაკეტილ კართან კედელს ზურგით მიყრდნობილმა დაიჩოქა და ისტერიკული სიცილი აუტყდა. წინ და უკან ირწეოდა. მერე სიცილი მოთქმაში გადაიზარდა, რომელიც ქარის ზუზუნს ერწყმოდა. ჩაესმოდა ხმები, რომელსაც გაცოცხლებული ნორტი გამოსცემდა – მუშტების ბრახუნი მაგიდაზე. ნეტა მის გაცოცხლებულ გონებაში რამე მოგონება თუა ჩაბეჭდილიო, გაიფიქრა გულში: რამე თუ ნახა, სანამ მკვდარი იყო? ან თუ ნახა, რა ახსოვს? რამეს თუ გაამხელს? იქნებ ქვემოთ სამარისეული საიდუმლოებები იცდის? ყველაზე საშინელი ისაა, რომ ამ კითხვების დასმა ჩემს რაღაც ნაწილს ნამდვილად უნდაო, დაასკვნა ელისმა.

დაბორიალებული ნორტი გარეთ, ქარში გაბარბაცდა ბალახის დასაგლეჯად. ბარში დარჩენილი ერთადერთი კლიენტი, შავსამოსიანი კაცი ღიმილით ადევნებდა თვალს.

როცა ელისმა იმ საღამოს ქვემოთ ჩასვლა გაბედა ცალ ხელში ლამპით და მეორეში – შეშის მსხვილი ღერით, შავსამოსიანი კაცი აღარსად ჩანდა, წასულიყო. თუმცა ნორტი ბარში იყო, კართან მდგარ მაგიდასთან ისე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. კვლავ ბალახის სუნი ასდიოდა, მაგრამ ისეთი მძაფრიც არა, როგორსაც ელისი ელოდა.

ნორტმა ქალს შეხედა და გაუბედავად გაუღიმა.

– გამარჯობა, ელი.

– გამარჯობა, ნორტ, – ელისმა შეშის ნაჭერი დააგდო და ლამპების ანთებას შეუდგა, ოღონდ ცდილობდა, ნორტისთვის ზურგი არ შეექცია.

– ღვთის მარჯვენა შემეხო, – საჩქაროდ განაგრძო ნორტმა. – აღარასდროს მოვკვდები. ასე მითხრა. დამპირდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან კარგი, ნორტ, – ელისს კვარი ხელიდან გაუვარდა და ასაღებად დაიხარა.

– ძალიან მინდა, ბალახის ღეჭვა შევწყვიტო, – თქვა ნორტმა. – აღარ მსიამოვნებს. კაცს, რომელსაც ღმერთი შეეხო, ბალახის ღეჭვა არ შეშვენის.

– მერედა, რატომ არ წყვეტ?

ელისი აღშფოთდა და ამ აღშფოთებამ აიძულა, კვლავ ადამიანი დაენახა ნორტში და არა ჯოჯოხეთური სასწაული. მის თვალწინ იდგა ბალახისგან ოდნავ გაბრუებული, დამწუხრებული და დარცხვენილი არსება არამზადის გამომეტყველებით. მისი აღარ ეშინოდა.

– მაკანკალებს, – თქვა ნორტმა, – და ძალიან მინდა. ვერ ვჩერდები. ელი, შენ ყოველთვის კარგად მექცეოდი... – უეცრად ასლუკუნდა. – შარდის შეკავებაც კი აღარ შემიძლია, ქვეშ ვიფსამ. ვინ ვარ? რა ვარ?

ელისი მის მაგიდასთან მივიდა და გაჩერდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

– ხომ შეეძლო, ჩემთვის ბალახის ღეჭვის სურვილიც დაეკარგვინებინა, – თქვა აცრემლებულმა ნორტმა. – მკვდარი გამაცოცხლა და არც ეგ გაუჭირდებოდა. არ ვწუწუნებ. არ მინდა, ვიწუწუნო... – შეწუხებულმა მიმოიხედა და ჩურჩულით დაამატა: – რომ ვიწუწუნო, შეიძლება მომკლას.

– ალბათ, გეხუმრა. როგორც შევატყვე, იუმორის გრძნობა არ აკლდა.

ნორტმა პერანგქვეშ კისერზე დაკიდებული ქისიდან მუჭით ბალახი ამოიღო. ელისმა დაუფიქრებლად დააყრევინა ძირს და მერე შეშინებულმა ხელი უკან გასწია.

– თავს ვერ ვიკავებ, ელი, თავს ვერ ვიკავებ, – თქვა ნორტმა და ხელი მოუქნელად კვლავ ქისისკენ წაიღო. ელისს აღარ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეუჩერებია. ლამპების ანთება განაგრძო. გადაღლილი იყო, თუმცა სულ ახლახან მოსაღამოვებულიყო. იმ საღამოს ბარში მოხუცი კენერლის გარდა მაინც არავინ შემოსულა, რომელმაც ყველაფერი გამოტოვა. მას ნორტის დანახვა დიდად არც გაჰკვირვებია, შეიძლება, ვილაცამ უამბო, რაც მოხდა. მან ელისს ლუდი შეუკვეთა, ჰკითხა, შები სად არისო და უკანალზე ხელიც მოუფათურა.

მოგვიანებით ნორტი მიუახლოვდა და აკანკალებული ხელით, რომელიც წესით, ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო, დაკეცილი ფურცელი გაუწოდა.

– ეს იმან დაგიტოვა, – უთხრა ქალს ნორტმა, – კინაღამ დამავიწყდა მოცემა; რომ დამვიწყებოდა, დაბრუნდებოდა და უეჭველად მომკლავდა.

ქაღალდი ძვირფასი და მოსაფრთხილებელი საქონელი იყო, მაგრამ ელისს მისი შეხება არ ესიამოვნა. მძიმე და საშიში მოეჩვენა. დაკეცილ ფურცელზე ზემოდან ერთადერთი სიტყვა ეწერა: „ელისს“.

– ჩემი სახელი საიდან იცოდა? – ჰკითხა ქალმა ნორტს, მაგრამ ნორტმა მხოლოდ თავი გააქნია.

ელისმა ფურცელი გახსნა და წაიკითხა:

ვიცი, რომ გინდა, სიკვდილზე უფრო მეტი შეიტყო.
ნორტს სიტყვა დავუტოვე. ეს სიტყვაა „ცხრამეტი“.
თუ ამ სიტყვას ეტყვი, გონება გაეხსნება. გეტყვის,
რა ხდება იქ, საიქიოში. გეტყვის, იქ რა ნახა.

ეს სიტყვაა „ცხრამეტი“.
მისი ცოდნა ჭკუიდან შეგშლის.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ალრე თუ გვიან, მაინც ჰკითხავ.
თავს ვერ შეიკავებ.
კარგ დღეს გისურვებ ☺
უოლტერ ო'დიში

P. S. სიტყვაა „ცხრამეტი". ეცდები, დაიკიწყო, მაგრამ ალრე თუ გვიან, ვერ მოითმენ და წამოგცდება, ნარწყევივით გადმოანთხევ პირიდან.

ცხრამეტი

და მართლაც, ღმერთო, მაშინვე მიხვდა, რომ ასეც იქნებოდა. სიტყვა მაშინვე ენაზე მოადგა. „ცხრამეტი. ნორტ, მისმინე: ცხრამეტი" – ვეტყვი ნორტს და სიკვდილისა და საიქიოს ყველა საიდუმლო ჩემთვის გაცხადდებაო, გაიფიქრა ელისმა.

„ალრე თუ გვიან, მაინც ჰკითხავ".

მეორე დღეს ყველაფერი თითქმის ჩვეულებრივად იყო. ერთი ეგაა, რომ ნორტს ბავშვები აღარ დასდევდნენ. ორი დღის შემდეგ დაცინვაც განახლდა. ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. ბავშვებმა ამოძირკვული სიმინდი შეაგროვეს და ნორტის გაცოცხლებიდან ერთი კვირის თავზე შუა ქუჩაში დაწვეს. ცეცხლი მაშინვე აბრიალდა და ბარის მუდმივი კლიენტები კოცონის სანახავად გაბარბაცდნენ. პირველყოფილი ადამიანებივით უხაროდათ ცეცხლის დანახვა. მათი სახეები თითქოს ცეცხლის ალსა და მოკრიალებული ცის ბზინვარებას შორის დაცურავდა. ელისი უყურებდა მათ და ამ სამყაროს უბედობა მწუხარებით აღავსებდა. ქვეყნიერებას ავი დრო დაუდგა. ყვე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლაფერი იშლებოდა. სამყარო ნაწევრდებოდა და აღარაფერი იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. სადღაც რაღაც ირყეოდა და, როცა ეს რაღაც წაიქცეოდა, აღსასრული დადგებოდა.

ელისს ოკეანე არასდროს ენახა და ვეღარც ნახავდა.

– გამბედაობა რომ მყოფნიდეს, – დაიჩურჩულა ქალმა. – რომ არ მეშინოდეს, რომ არ მეშინოდეს...

მისი ჩურჩულის გაგონებაზე ნორტმა თავი ასწია და ჯოჯოხეთიდან გულუბრყვილოდ გაუღიმა. ელისს გამბედაობა არ ჰყოფნიდა. შეკითხვის დასმის ძალა არ ჰქონდა; ჰქონდა მხოლოდ ბარი და ნაიარევი. და კიდევ – სიტყვა. სიტყვა, რომელიც მისი ბაგეებიდან თავის დაღწევას ლამობდა. ხომ არ დავუძახო და სიტყვა ყურში ჩავჩურჩულოო, – გაიფიქრა ელისმა. აი, მაშინ კი ნორტის თვალები შეიცვლებოდა და *იმის*, შავმანტიიანი კაცის, თვალებს დაემსგავსებოდა; და ნორტი ეტყოდა, რა ხდება სიკვდილის სამეფოში, მიწისა და მატლებს მილმა.

„არა, არასდროს არ ვეტყვი ამ სიტყვას“.

თუმცა კაცმა, რომელმაც ნორტი გააცოცხლა და დაუტოვა წერილი – სიტყვა, რომელსაც ჩახმახშეყენებული პისტოლეტივით ერთხელაც საფეთქელზე მიიდებდა – კარგად იცოდა, რაც ქნა.

„ცხრამეტი“ საიდუმლოს გასაღები იყო.

„ცხრამეტი“ თავად იყო საიდუმლო.

ელისმა აღმოაჩინა, რომ დახლზე დაღვრილი ლუდის გუბეში თავისდა უნებურად ცხრამეტი შემოეხაზა და სასწრაფოდ წაშალა, ნორტმა არ დაინახოსო.

კოცონი სწრაფად ჩაქრა და კლიენტები ბარში დაბრუნდნენ. ელისმა „სტარის“ სმა დაიწყო და შუალამეს გალეშილი შეხვდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

VIII

ქალმა თხრობა დაასრულა და რაკი მსროლელმა არაფერი თქვა, იფიქრა, ეტყობა, ჩემმა ამბავმა დაღალა და ჩათვლიმაო. თვითონაც უკვე ძილი ერეოდა, როცა კაცმა უეცრად ჰკითხა:
– სულ ეს არის?

– ჰო. სულ ეს არის. უკვე გვიანია.

– ჰმ, – მსროლელმა კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა.

– ფერფლი ლოგინში არ დამიყარო, – მეტისმეტად მკაცრად გამოუვიდა ნათქვამი ელისს.

– არა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სიგარეტის წვერი სიბნელეში ბჟუტავდა.

– ხვალ დილით წახვალ, – უხალისოდ აღნიშნა ქალმა.

– უნდა წავიდე. აქ, ალბათ, მახე დამიგო. ისევე, როგორც შენ დაგიგო მახე.

– მართლა გგონია, რომ რიცხვი...

– თუ გინდა, საღ გონებაზე დარჩე, ნორტთან ის სიტყვა არ წამოგცდეს, – უთხრა მსროლელმა. – გონებიდან ამოიგდე. როგორმე შთააგონე თავს, რომ თვრამეტის შემდეგ ოცი მოდის. რომ ოცდათვრამეტი, გაყოფილი ორზე, ჩვიდმეტია. კაცს, რომელიც უოლტერ ო'დიმს უწოდებს თავს, შეიძლება, ბევრი რამე დააბრალო, მაგრამ მატყუარა ნამდვილად არ არის.

– კი, მაგრამ...

– როცა რიცხვის წარმოთქმის ძლიერი ჟინი წამოგივლის, აქ ამოდი, საბნის ქვეშ შეიმალე, რამდენჯერაც გინდა გაიმეორე, თუ გინდა, იყვირე, სანამ სურვილი არ გადაგივლის.

– ერთხელაც ეს სურვილი აღარ გაქრება.

მსროლელმა არაფერი უპასუხა, თუმცა იცოდა, რომ ელისი არ ცდებოდა. შავსამოსიანმა კაცმა მას საზარელი მახე დაუგო,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომლისგანაც თავს ვერ დაიძვრენდა. ვინმემ რომ გითხრას, დედაშენს შიშველს თუ წარმოიდგენ, ჯოჯოხეთში მოხვდებიო (ბავშვობისას მსროლელისთვისაც უთქვამთ მსგავსი რამ), ადრე თუ გვიან, მაინც ასე მოიქცევი. რატომ? იმიტომ, რომ დედის შიშვლად წარმოდგენა არ გინდა. იმიტომ, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრა არ გინდა. იმიტომ, რომ თუ გაქვს დანა და ხელი, რომლითაც ამ დანას დაიჭერ, ერთხელაც ამ დანას აუცილებლად აიღებ. იმიტომ კი არა, რომ ამის გაკეთება გინდა, არამედ იმიტომ, რომ არ გინდა. სხვანაირად ჭკუიდან შეიშლები.

„ადრე თუ გვიან, ელი ნორტს დაუძახებს და სიტყვას ეტყვის“.

– არ წახვიდე, – სთხოვა მსროლელს ქალმა.

– ვნახოთ.

მსროლელი გადაბრუნდა და ელისს ზურგი შეაქცია, თუმცა ქალი მისმა პასუხმა დაამშვიდა, სამუდამოდ თუ არა, ცოტა ხანს მაინც უსათუოდ დარჩებაო და თვალები დახუჭა.

ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფმა კვლავ გაიხსენა, როგორ უცნაურად დაელაპარაკა ნორტი მსროლელს. მისმა უცნობმა საყვარელმა იმ ერთადერთხელ გამოხატა ემოცია. მასთან ალერსის დროსაც კი ჩუმად იყო, მხოლოდ დასასრულს აუჩქარდა და ორიოდ წამით შეეკრა სუნთქვა. რომელიღაც ზღაპრისა თუ მითის საარაკო, სახიფათო გმირს ჰგავდა.

„ნეტა სურვილებსაც ხომ არ ასრულებს? ალბათ, კი, – გაიფიქრა ელისმა, – ჩემი სურვილი ხომ უკვე აასრულა, ცოტა ხანს კიდევ დარჩება“. ეს მისნაირი უბედური, ნაიარევიანი ძუკნასთვის საკმარისზე მეტი იყო. „ხვალ მეორე სურვილს მოვიფიქრებ, ზეგ – მესამესო“, – ამ ფიქრებით ჩაეძინა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

IX

დილით მსროლელს შვრიის ფაფა მოუხარშა. მსროლელმა უხმოდ შეჭამა. ფაფას კოვზით ჩაფიქრებული ურევდა და ელისს საერთოდ ვერ ამჩნევდა. ხვდებოდა, რომ გზა უნდა გაეგრძელებინა. სანამ თვითონ აქ უქმად იჯდა, შავსამოსიანი კაცი უფრო და უფრო შორდებოდა. ალბათ, უკვე უდაბნომდეც მიაღწია. ის პირდაპირ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიიწევდა და მსროლელმა იცოდა, რატომაც.

– რუკა გაქვს? – ჰკითხა ქალს.

– ქალაქის? – გაეცინა მას. – არც ისე დიდია, რუკა რომ სჭირდებოდეს.

– ქალაქის არა, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით რაცაა, იმის.

ელისს სახიდან ღიმილი გაუქრა.

– იქით უდაბნოა, მეტი არაფერი. მეგონა, ცოტა ხანს დარჩებოდი.

– უდაბნოს იქით რა არის?

– საიდან უნდა ვიცოდე? უდაბნოში არავინ დადის. რაც აქ ვცხოვრობ, მისი გადავლა არავის უცდია, – ქალმა წინსაფარზე შეიწმინდა ხელები, ტილო აიღო და ქვაბი, რომლითაც წყალს აცხელებდა, ნიჟარაში ჩადგა. – ყველა ღრუბელი იქით მიცურავს, თითქოს რაღაც ისრუტავს...

მსროლელი ადგა.

– სად მიდიხარ? – ქალს ხმაში შიში გამოერია და ეს თვითონვე არ მოეწონა.

– საჯინიბოში. მეჯინიბეს უფრო ეცოდინება რამე, – მსროლელმა ქალს მხრებზე დააწყო ხელები. უხეში, მაგრამ თბილი ხელები ჰქონდა, – თან ჯორსაც მივხედავ. ცოტა ხანს აქ დავრჩები, მაგრამ როცა გამგზავრებას დავაპირებ, მინდა, ჯორი მზად იყოს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ესე იგი, გამგზავრებას ჯერ არ აპირებ“, – ელისმა მსროლელს შეხედა. – კენერლის უფრთხილდი, არ მოგატყუოს. შეიძლება, არაფერი იცოდეს, მაგრამ რამე მოიგონოს.

– გმადლობ, ელი.

მსროლელი გავიდა, ქალი კი ნიჟარისკენ შებრუნდა. ღაწვები მადლიერების თბილმა ცრემლებმა დაუსველა. აღარც კი ახსოვდა, ბოლოს მადლობა როდის გადაუხადა ვინმემ, მით უმეტეს, მისთვის მნიშვნელოვანმა ადამიანმა.

X

კენერლი ერთი უკბილო, უსიამოვნო ავხორცი იყო, რომელსაც უკვე ორი ცოლი დაემარხა, სამაგიეროდ, ქალიშვილები ჰყავდა ბლომად. ორი მოზარდი გოგო მტვრიანი საჯინიბოს ნახევრად ბნელიდან უჭვრეტდა მსროლელს. ახალფეხადგმული გოგო ბედნიერი იდორბლებოდა მიწაზე. ერთი ზრდასრული გოგო, ქერა, ბინძური და ვნებიანი, შენობის გვერდით ტუმბოსთან იდგა. მან ცნობისმოყვარედ გამოხედა მსროლელს, თითებით ძუძუს კერტები დაისრისა, თვალი ჩაუკრა და წყლის ტუმბვა განაგრძო.

მეჯინიბე მსროლელს საჯინიბოსა და ქუჩას შორის შეხვდა. მისი მანერები ერთდროულად მტრულ სიძულვილსაც გამოხატავდა და ლაჩრულ მლიქვნელობასაც.

– ნუ დარდობთ, კარგად ვუვლი, – შეაგება მსროლელს და მისი პასუხისთვის არც დაუცდია, ქალიშვილს მუშტი მოუღერა. – შედი შიგნით, სუბი! ახლავე შიგნით შედი!

მოღუშულმა სუბიმ ვედროს დაავლო ხელი და ქოხისკენ წავიდა.

– ჩემს ჯორს გულისხმობდი? – ჰკითხა მსროლელმა მეჯინიბეს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, სეი. კარგა ხანია, ჯორი არ მინახავს. მით უმეტეს, ასეთი წესიერი... ორთვალა, ოთხფეხა... – კენერლიმ სახე დამანჭა, მაგრამ წესიერად ვერ გაარკვევდი, იმის ჩვენება სურდა, რომ მართლა წუხდა თუ იმისა, რომ იხუმრა. მსროლელმა დაასკვნა, ალბათ, იხუმრაო, თუმცა თვითონ იუმორის გრძნობა ნაკლებად, უფრო ზუსტად კი საერთოდ არ ჰქონდა.

– ერთ დროს უამრავი ჯორი იყო, მაგრამ მას შემდეგ სამყარო ადგილიდან დაიძრა. მე მხოლოდ რამდენიმე მუტანტი ხარი და ფოსტის ცხენები მინახავს... სუბი, შეეთრიე სახლში, თორემ მოგხვდება!

– რა იყო, კი არ ვიკბინები, – უთხრა მსროლელმა.

დაღრეჯილი კენერლი მოიბუზა. მსროლელმა მის თვალებში მოკვლის სურვილი ამოიკითხა და, მართალია, მეჯინიბის არ ეშინოდა, გონებაში, როგორც ქაღალდის ფურცელზე, ეს სასარგებლო ინფორმაცია მაინც ჩაინიშნა.

– არა, სეი, როგორ გეკადრებათ, ღმერთებო, თქვენ არაფერ შუაში ხართ, – მეჯინიბემ სულელურად გაიღიმა, – სუბი დაბადებიდან ჩერჩეტია. ეშმაკი ჰყავს შეჩენილი. ხანდახან გადაირევა ხოლმე, – და თვალები გაუშავდა. – ქვეყნიერების აღსასრული დგება, მისტერ. ხომ იცით, როგორ წერია საღმრთო წერილში. შვილები მშობლების წინააღმდეგ ამხედრდებიან და ჭირი შეიწირავს მრავალთ. ასე გვასწავლის მქადაგებელი ქალი.

მსროლელმა თავი დაუქნია და მერე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიუთითა.

– იქით რა არის?

კენერლიმ კვლავ ფართოდ გაიღიმა და ღრძილები და ჯერ კიდევ შერჩენილი რამდენიმე გაყვითლებული კბილი გამოაჩინა.

– მოსახლეები. ბალახი. უდაბნო. სხვა რა უნდა იყოს? – ჩაიხითხითა მეჯინიბემ და მსროლელი ცივად შეათვალიერა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უდაბნო რამხელაა?

– დიდია, – კენერლიმ რაც შეიძლებოდა სერიოზული სახე მიიღო, თითქოს სერიოზულ შეკითხვას პასუხობსო. – შეიძლება ათასი ბორბალი იყოს, შეიძლება ორი ათასი. ზუსტად ვერ გეტყვით, მისტერ. უდაბნოში ეშმაკის ბალახისა და დემონების გარდა არაფერია. მსმენია, უდაბნოს იქით მოლაპარაკე რკალებიაო, მაგრამ, მგონი, მონაჩმახია და მეტი არაფერი. ის კაცი, ავადმყოფ ნორტს რომ დაეხმარა, იქით წავიდა.

– ავადმყოფს? მე მითხრეს, მკვდარი იყოო.

კენერლის სახიდან ღიმილი არ სცილდებოდა.

– ჰო, ეგრე ამბობენ, მაგრამ მე და თქვენ ხომ პატარა ბავშვები არ ვართ.

– დემონების არსებობის რომ გჯერა?

კენერლიმ განაწყენებული სახე მიიღო.

– ეგ სულ სხვა რამეა. მქადაგებელი ამბობს...

მეჯინიბე ალაქლაქდა. მსროლელმა ქუდი მოიხადა და შუბლი მოიწმინდა. მზე მაგრად აცხუნებდა. კენერლის სიცხე საერთოდ არ აწუხებდა. ენას არ აჩერებდა, მაგრამ აზრიანს არაფერს ამბობდა. საჯინიბოს გვერდით ვიწრო ჩრდილში მჯდარი პატარა გოგონა მონდომებით ითხუპნიდა სახეს ტალახით.

ბოლოს და ბოლოს, მსროლელს მოთმინება დაელია და მეჯინიბეს სიტყვა გააწყვეტინა.

– ის თუ იცი, უდაბნოს იქით რა არის?

– რამე იქნება, – მხრები აიჩეჩა კენერლიმ. – ორმოცდაათი წლის წინ იქით საფოსტო ეტლები მიდიოდნენ. მამაჩემისგან მსმენია. ის ამბობდა, იქ მთებიაო, სხვები ამბობდნენ, ოკეანეო. ვილაცეების აზრით, იქ ქვეყნიერების კიდეა. მხოლოდ თვალისმომჭრელი სიკაშკაშეა და სახე ღმერთისა, რომლის დაფჩენილ პირში დაბრმავებული ხალხი ცვივა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სისულელეა, – მოკლედ აღნიშნა მსროლელმა.

– მეც მაგას ვამბობ, – მხიარულად წამოიძახა კენერლიმ და კვლავ მოიბუზა, სიძულვილით, შიშითა და მოწიწებით აღსავსე.

– ჩემს ჯორს კარგად მოუარე, – მსროლელმა კენერლის კიდევ ერთი მონეტა გადაუგდო, რომელიც მეჯინიბემ ჰაერშივე დაიჭირა. მსროლელმა ის ძაღლს მიამგვანა, პატრონის გადაგდებულ ბურთს რომ იჭერს.

– რა თქმა უნდა. ცოტა ხანს დარჩებით ჩვენთან?

– ალბათ, კი. იქნება წყალი...

– ...თუ ღმერთი ინებებს. დიახ, დიახ! – წამოიძახა უხალისოდ კენერლიმ. მის მზერაში იოლად ამოიკითხავდით სურვილს იმისას, რომ მსროლელი მის ფერხთით მკვდარი გდებულიყო. – ისე, როცა უნდა, ელი საკმაოდ მომხიბვლელია, არა? – მეჯინიბემ ერთი ხელი მომუშტა და შიგ მეორე ხელის საჩვენებელი თითის ჩაყოფა-ამოყოფა დაიწყო.

– რამე მითხარი? – გულგრილად ჰკითხა მსროლელმა.

კენერლის თვალებში შიში ჩაუდგა, თითქოს ჰორიზონტზე ტყუპი მთვარე ამოიწვერა. მურაბის მოპარვაზე წასწრებული ონავარივით ზურგს უკან დამალა ხელები.

– არა, სეი, ხმა არ ამომიღია. ბოდიში, თუ რამე წამომცდა, – უცებ ფანჯარაში გადმოყუდებულ სუბის მოჰკრა თვალი და აღრიალდა: – ახლა კი მაგრად მიგტყეპავ, შე პატარა კახპავ! ღმერთს გეფიცები! მოვალ და...

მსროლელმა მეჯინიბეს ზურგი აქცია. იცოდა, რომ კენერლი თვალს არ აშორებდა. იცოდა, რომ მიტრიალებულიყო, მის სახეზე ნამდვილ, შეუნიღბავ გრძნობას შეამჩნევდა. მაშ, თავი რატომღა შეეწუხებინა? ძალიან ცხელოდა, თანაც იცოდა, ეს რა გრძნობაც იქნებოდა: ზიზღი. უცხოს ზიზღი. მსროლელმა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკვე ყველაფერი მიიღო, რის მიღებაც ამ მოხუცისგან შეიძლებოდა. უდაბნოს შესახებ ზუსტად მხოლოდ ის დაადგინა, რომ ის ძალიან დიდი იყო. ქალაქის შესახებ ზუსტად მხოლოდ ის დაადგინა, რომ აქ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულიყო. ჯერ არა.

XI

ის და ელისი იწვნენ, როცა შებმა წიხლისკვრით შეაღო კარი და დანამოღერებული შევარდა მათთან.

ოთხი დღე თვალის დახამხამებაში გავიდა. მსროლელი ჭამის, ძილისა და ელისთან წოლის გარდა არაფერს აკეთებდა. ელისი თურმე ვიოლინოს უკრავდა და მსროლელმა სთხოვა, ჩემთვის დაუკარიო. ქალი განთიადის რძისფერ შუქში ფანჯარასთან პროფილში ჩამოჯდებოდა და გაჭირვებით უკრავდა რაღაც მელოდიას, რომელიც ნამდვილი მუსიკოსის ხელში აშკარად ბევრად უკეთ გაიჟღერებდა. მსროლელის გასაკვირად, ქალი სულ უფრო მეტად იზიდავდა და ბოლოს, იეჭვა კიდეც, იქნებ სწორედ ეს არის ის მახე, შავსამოსიანმა კაცმა რომ დამიგოო. ხანდახან გარეთ დასეირნობდა. თითქმის არაფერზე ფიქრობდა.

არც კი გაუგია, როგორ ამოვიდა პიანისტი მეორე სართულზე. ოთხ დღეში რეფლექსები მოუდუნდა. მართალია, ამწუთას ეს არ ანაღვლებდა, მაგრამ სხვა დროს და სხვა ადგილას, ალბათ, ძალიან დაფრთხებოდა.

ელისი შიშველი იყო. პლედი მკერდს ქვემოთ ჩაეწია და საალერსოდ ემზადებოდნენ.

– გთხოვ, – ეუბნებოდა ელისი, – ისევ ისე, როგორც მაშინ. ისევ ისე...

კარი ბრახუნით გაიღო და საძინებელში მოუქნელად შემოვარდა პიანისტი. სასაცილო სანახავი იყო. ელისს არც კი დაუ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კივლია, თუმცა შებს ოცდახუთსანტიმეტრიანი ხორცის საჭრელი დანა ეჭირა. პიანისტი რაღაცას გაურკვევლად ლულლულებდა. ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ტალახით სავსე ვედროში ახრჩობენო. დანა ორივე ხელით მოიქნია, მაგრამ მსროლელმა მაჯებში სტაცა ხელები და გადაუგრიხა. დანა ძირს დავარდა. შებმა დაჟანგული კარივით დაიღრჭიალა. მაჯებგადამტვრეულმა მარიონეტივით გააქნია ხელები. ფანჯარას ქარი დაეტაკა. ელისის დაორთქლილ და ოდნავ მრუდე კედლის სარკეში საძინებელი ირეკლებოდა.

– ელი ჩემი იყო! – ქვითინებდა შები. – ჩემი იყო! პირველად ჩემი იყო!

ელისმა შეხედა და საწოლიდან ადგა. ტანზე პლედი შემოიხვია. მსროლელს შეებრალა პატარა კაცი, რომელმაც დაკარგა რაღაც, რაც, მისი აზრით, ოდესღაც ეკუთვნოდა. უეცრად გაახსენდა, სად ენახა ადრე შები. გაახსენდა, რომ ოდესღაც ამ პატარა კაცს იცნობდა.

– ეს შენთვის იყო, – ქვითინებდა შები, – მხოლოდ შენთვის, ელი. შენ პირველი იყავი და ეს ყველაფერი შენთვის იყო. მე... აჰ, ღმერთო... ღმერთო... – პიანისტის სიტყვები მოზღვავებულ ემოციებსა და ცრემლებში ჩაიკარგა. მაჯებდამტვრეული ხელები მუცელზე მიეკრა და წინ და უკან ქანაობდა.

– ჩშშშ, ჩშშშ. აბა, მაჩვენე, – ელისმა მის წინ ჩაიმუხლა. – მოტეხილია. შებ, შე სულელო, ახლა თავის სარჩენ ფულს როგორღა იშოვი? არ იცი, ღონიერი რომ არ ხარ? – ქალი პიანისტს წამოდგომაში დაეხმარა. შებმა ხელების სახეზე აფარება სცადა, მაგრამ ხელები არ დაემორჩილა და მოურიდებლად ატირდა. – მოდი, მაგიდასთან დავსხდეთ და რამეს ვიზამ.

ელისმა ის მაგიდასთან დასვა და მაჯები ნაფოტებით დაუმაგრა. შები ულონოდ სლუკუნებდა და ცახცახებდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეჯისი, – თქვა მსროლელმა და პატარა პიანისტმა თვალებგაფართოებულმა გამოხედა. მსროლელმა თავი დაუქნია. რაკი შები დანის ჩარტყმას აღარ უპირებდა, თითქმის დამშვიდებულიყო. – მეჯისი, – გაიმეორა მან, – სუფთა ზღვის პირას.

– მერე რა?

– იქ იყავი, ხომ ასეა? დიდხანს ცხოვრობდი იქ.

– დავუშვათ, ასეა. მერე რა? შენ არ მახსოვხარ.

– გოგო ხომ გახსოვს? სიუზენი? „მკის“ ღამე ხომ გახსოვს? – მსროლელს ხმა გაუმკაცრდა. – კოცონთან ხომ იჯექი?

პატარა კაცს დორბლით დასველებული ტუჩები აუთრთოლდა. მის თვალებში იკითხებოდა, რომ მიხვდა, რაც ელოდა. მიხვდა, რომ ახლა უფრო ახლოს იყო სიკვდილთან, ვიდრე მაშინ, როცა დანამომარჯვებული შემოვარდა საძინებელში.

– გაეთრიე აქედან! – უთხრა მსროლელმა.

შებს ყველაფერი გაახსენდა.

– კი, მაგრამ შენ ხომ პატარა ბიჭი იყავი! სულ სამი ბიჭი იყავით! პირუტყვის დასათვლელად მოხვედით. ნაძირალა ელდრედ ჯონასიც იქ იყო და...

– გაეთრიე, სანამ შეგიძლია, – გააწყვეტინა მსროლელმა და შებიც წავიდა, წინ გაშვერილი მოტეხილი მაჯებით.

ელისი საწოლში დაბრუნდა.

– ეს რა იყო?

– შენი საქმე არაა, – უპასუხა მსროლელმა.

– კარგი. სად გავჩერდით?

– არსად, – მსროლელი გვერდზე გადაბრუნდა და ქალს ზურგი შეაქცია.

– შებისა და ჩემი ურთიერთობის შესახებ ისედაც იცოდი, – აუღელვებლად თქვა ელისმა. – ბევრი არაფერი შეეძლო, მაგრამ რასაც შეეძლო, აკეთებდა და მეც რასაც შემეძლო, ვიღებ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დი მისგან, რადგან მჭირდებოდა. ამას ველარაფერს მოვუხერხებთ. მეტი რა? – ქალი მსროლელს მხრებზე შეეხო. – მიხარია, რომ ასეთი ლონიერი ხარ.

– ახლა არა, – უთხრა მსროლელმა.

– ის გოგო ვინ იყო? – ჰკითხა ელისმა და იქვე დაამატა: – შენ რომ გიყვარდა.

– შემეშვი, ელი.

– შემიძლია, უფრო ძლიერი გაგხადო...

– არა, – თქვა მსროლელმა. – არ შეგიძლია.

XII

მეორე საღამოს ბარი არ მუშაობდა. ტალში დასვენების დღე იყო, რაღაც წმინდა შაბათის მსგავსი. მსროლელი სასაფლაოს გვერდით მდგარ ნახევრად დანგრეულ პატარა ეკლესიაში წავიდა, ხოლო ელისმა ძლიერმოქმედი სადეზინფექციო საშუალებებით მაგიდები გაწმინდა და ნავთის ლამპის შუშები საპნიან წყალში გარეცხა.

უჩვეულო, მეწამული ბინდი ჩამოწვა და, გზიდან რომ შეგეხედათ, შიგნიდან განათებული ეკლესია გახურებულ ქურად მოგეჩვენებოდათ.

– ეკლესიაში არ დავდივარ, – განუცხადა მსროლელს ელისმა. – ის ქალი რწმენას კი არა, შხამს ქადაგებს.

მსროლელი კარიბჭესთან, ნახევრად ბნელში მიმალული დადგა. ეკლესიიდან ხის მერხები გაეტანათ და მრევლი ფეხზე მდგარი უსმენდა ქადაგებას. მსროლელმა კენერლი და მისი ნაშიერები, პაწაწინა, ქალაქში ერთადერთი მზა პროდუქტის მაღაზიის მეპატრონე კასტნერი და მისი გალეული ცოლი, ბარის რამდენიმე მუდმივი კლიენტი, აქამდე უნახავი რამდენიმე „ქა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლაქელი“ ქალი და რაც უნდა გასაკვირი იყოს, შები შეამჩნია. მრევლი გაუმართავად და ხმაშეუწყობლად მღეროდა რომელიღაც საგალობელს. მსროლელმა გაოცებით შეხედა კათედრაზე მდგარ ვეებერთელა ქალს. წამოსვლამდე ელისმა უთხრა:

– მქადაგებელი მარტო ცხოვრობს. ხალხს იშვიათად ხვდება. მხოლოდ კვირაობით გამოდის სახლიდან ჯოჯოხეთის ცეცხლის მსახურებისთვის. სილვია პიტსტონი ჰქვია. გიჟია, მაგრამ ძალიან მოსწონთ, მრევლი თითქოს მოჯადოებული ჰყავს. მიაჩნიათ, რომ მათნაირია.

ქალის ზომას ენით ვერ აღწერდით. ძუძუები მიწაყრილებს მიუგავდა. სქელ კისერ-სვეტზე ცომივით თეთრსახიანი თავი-მთვარე ედგა. დიდრონი თვალები ისეთი შავი ჰქონდა, იფიქრებდით, უძირო ტბებიაო. წაბლისფერი თმა კეფაზე შამფურისოდენა სარჭით უწესრიგოდ დაემაგრებინა. ჯუთის ქსოვილისგან შეკერილი კაბა ეცვა. ქვის ფილებივით ხელებში ფსალმუნის წიგნი ეჭირა. რძისფერი კანი ჰქონდა, უზადო და ლამაზი. მსროლელის აზრით, ქალი ას ოცდაათი კილო მაინც იქნებოდა. რატომღაც ქალის დაუფლების ისეთი მწველი ჟინი აღეძრა, რომ ჟრუანტელმა დაუარა. მსროლელმა განზე გაიხედა.

შევგროვდეთ ყველანი, შევგროვდეთ მდინარესთან,
ულამაზეს, უმშვენიერეს მდინარეეეეესთან.
შევგროვდეთ ყველანი, შევგროვდეთ მდინარესთან,
ღვთის სამეფოში რომ მიედინება.

ბოლო ნოტი წაიმღერეს და გალობა დასრულდა. ფეხების ფრატუნისა და ჩახველების დრო დადგა.

მქადაგებელი იცდიდა. როცა მრევლი დაშოშმინდა, ქალმა ხელები გაშალა, თითქოს მათ ლოცავსო. თუმცა ეს მოგონებების გამოსაწვევი ჟესტი აღმოჩნდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემო ქრისტესმიერო ძმებო და დებო.

შთამბეჭდავი ფრაზა იყო. მსროლელს შიშნარევი სევდა მოეძალა, თან რატომღაც დეჟა-ვიუს განცდა დაეუფლა.

„ეს სიზმარში მინახავს. თუ აქ წინათაც ვყოფილვარ? თუ ვყოფილვარ, როდის? მეჯისში ხომ არ მინახავს?“ – გაიფიქრა მსროლელმა. არა, იქ არაო, თავი გააქნია, რომ უსიამოვნო ფიქრები თავიდან ამოეგდო. მრევლი – ასე ოცდახუთი ადამიანი – მკვდარივით გაჩუმებულიყო. ყველა მქადაგებელ ქალს მისჩერებოდა.

– დღევანდელი განსჯის საგანია მაცდური, – ქალს მელოდიური ხმა ჰქონდა.

მრევლს ჩუმმა ბუტბუტმა გადაუარა და მალევე მიწყნარდა.

– ასე მგონია, – დაფიქრებით დაიწყო სილვია პიტსტონმა, – ყველას, ვინც კი საღმრთო წერილშია ნახსენები, პირადად ვიცნობ. ბოლო ხუთ წელიწადში სამი წიგნი შემომეფლითა კითხვისგან ხელში, მანამდე – კიდევ უფრო მეტი, თუმც კი ჩვენს დროში მისი შოვნა ძალიან ძნელია. მიყვარს საღმრთო წერილში მოთხრობილი ამბები და ამ ამბების გმირები. დანიელთან ხელიხელჩაჭიდებული ჩავსულვარ ლომების ორმოში. დავითის გვერდით ვმდგარვარ, როცა აუზში მობანავე ბერსაბემ აცდუნა იგი. სედრაკთან, მისაკთან და აბედნაქოსთან ერთად ჩამაგდეს გახურებულ ღუმელში. სამსონთან ერთად ორი ათასი მეომარი მოვკალი და პავლესთან ერთად დავბრმავდი დამასკის გზაზე. მარიამთან ერთად გოლგოთაზე ვტიროდი.

მრევლმა ჩუმად ამოიოხრა.

– მე ვიცნობდი მათ და მიყვარდა ისინი. არსებობს მხოლოდ ერთი, – მქადაგებელმა ერთი თითი ასწია, – ერთადერთი პერსონაჟი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი დრამისა, რომელსაც არ ვიცნობ.

– ერთადერთი, ვინც გარეთ დგას და მის სახეს ჩრდილი გადაჰფენია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ერთადერთი, ვის გახსენებაზეც ჟრუანტელი მივლის და სულს მიფორიაქებს.

– მეშინია მისი.

– არ ვიცი მისი განზრახვანი და მეშინია მისი.

– მეშინია მაცდურის.

კვლავ გაისმა ოხვრა. ქალს, რომელმაც უნებლიეთ ამოიოხრა, ხელები პირზე აეფარებინა და წინ და უკან ქანაობდა, თითქოს ოხვრის შეკავება უჭირსო.

– მაცდურის, რომელიც მტვერში მუცელზე მხოხავი, დაკლაკნილ-დაგრეხილი გამოეცხადა ევას. მაცდურისა, რომელიც ისრაელის ხალხს შორის დააბიჯებდა, სანამ მოსე მთაზე იყო ასული, და მათ ყურში უჩურჩულებდა, კერპი – ოქროს ხბო აღემართათ და მისთვის ეცათ თაყვანი.

ოხვრა-კვნესა. თავის ქნევა.

– მაცდური!

– ის იეზაბელთან ერთად აივანზე იდგა, როცა გადავარდნილმა და ძირს დანარცხებულმა მეფე აქაზმა სული განუტევა, ხოლო მისი სისხლი ძაღლებმა ალოკეს. ო, ჩემო ძმებო და დებო, უფრთხილდით მაცდურს!

– ო, დიახ, უფალო იესო... – ეს ის ჩალისქუდიანი კაცი იყო, რომელიც მსროლელს პირველი შემოხვდა ტალში.

– ის ყოველთვის აქ არის, ჩემო ძმებო და დებო, მაგრამ უცნობია ჩემთვის მისი ზრახვანი. არც თქვენ იცით მისი ზრახვანი. ვის ძალუძს ჩასწვდეს იმ საზარელ წყვდიადს, მის გონებაში რომ დაუსადგურებია, იმ ქედმაღლობას, მკრეხელობას, იმ უწმინდურ აღტაცებას? ან იმ სიგიჟეს! უსაზღვრო სიგიჟეს, ადამიანის ყველაზე საშინელ სურვილებსა და ოცნებებში რომ დააბიჯებს, დაიპარება და დაიკლაკნება.

– ო, მაცხოვარო იესო...

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სწორედ მან აიყვანა ჩვენი უფალი მთაზე...

– დიახ...

– სწორედ მან შესთავაზა მთელი ქვეყნიერება და ქვეყნიერების სიამენი, რათა ეცდუნებინა...

– დიახ...

– სწორედ ის დაბრუნდება უკანასკნელ ჟამს... და ეს ჟამი ახლოვდება, ნუთუ ვერ გრძნობთ, ჩემო ძმებო და დებო?

– დიაახ...

აქვითინებული და შეძრული მრევლი აზვირთებულ ტალღად იქცა; მქადაგებელი ქალი თითქოს ყველა მათგანს უყურებდა და თან – არც ერთს.

– სწორედ ის მოვა ანტიქრისტედ, ალისფერ მეფედ სისხლიანი თვალებით და მარადიული წაწყმედის ცეცხლოვანი წიალისკენ, უკეთურების სისხლიანი აღსასრულისკენ გაუძღვება კაცთა მოდგმას, როცა ცაზე ვარსკვლავი აბზინდა აკიაფდება, ყრმათა შიგნეულობას წყლულები გამოხრავს, ქალთა საშოებიდან ურჩხულნი გამოვლენ და ადამიანთა ნახელავი სისხლად იქცევა...

– ააა!...

– ო, ღმერთო...

– ოოოო...

ვიღაც ქალი დავარდა, ფეხებს იატაკზე აბრაგუნებდა. ცალი ფეხსაცმელი გასძვრა.

– სწორედ ის დგას ყოველი ხორციელი სიამოვნების უკან... მან შექმნა ჯოჯოხეთური მანქანა „ლამერკის“ იარლიყით. მან! მაცდურმა!

„ლამერკი, – გაიფიქრა მსროლელმა. – თუ ლემარკი თქვა“. ეს სიტყვა ბუნდოვნად ახსოვდა, მაგრამ რას ახსენებდა, ზუსტად ვერ იტყოდა. ყოველი შემთხვევისთვის, ეს სიტყვაც ჩაი-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიშნა გონებაში; გონება და მეხსიერება კი ერთობ ტევადი ჰქონდა.

– დიახ, უფალო! – გაჰყვიროდა მრევლი.

ერთი კაცი მუხლებზე დაეცა, ხელები თავზე იტაცა და აბღავლდა.

– როცა სვამ, ვის უჭირავს შენი ბოთლი?

– მაცდურს.

– როცა სათამაშო მაგიდას მიუჯდები, ვინ არიგებს კარტს?

– მაცდური.

– როცა სხვის წიაღში მრუშობ, როცა საკუთარი მარჯვენით თავს იბილწავ, ვის აბარებ შენს სულს?

– მაც...

– ო, იესო... ო...

– დურს...

– ო-ო-ო.

– და ვინ არის ის? – დაიყვირა მქადაგებელმა. თუმცა მსროლელმა მის ყვირილში შინაგანი სიმშვიდე, თავდაჭერილობა და მასაზე მბრძანებლობა შეამჩნია. უეცრად, თავისდა შესაზარად, ნათლად მიხვდა, რომ კაცმა, რომელიც საკუთარ თავს უოლტერ ო'დიმს უწოდებდა, ამ ქალში დემონი ჩაასახლა. ქალი ეშმაკით იყო შეპყრობილი. შეშინებულმა, კვლავ დაუოკებელი ლტოლვა იგრძნო ქალისადმი. ეტყობა, ეს ლტოლვა იმ სიტყვასავითაა, შავსამოსიანმა კაცმა ელისს მახედ რომ დაუგო, გაიფიქრა გულში.

კაცი, რომელიც ხელებით თავს იმაგრებდა, წამოხტა და წინ გაბარბაცდა.

– ჯოჯოხეთში ვარ! – დაუყვირა მქადაგებელს. სახეს ისე მანჭავდა, თითქოს კანქვეშ გველები დაიკლაკნებიანო. – ვიმრუშე! ფულზე ვითამაშე! მოვწიე! შევცოდე! – თანდათან მისი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეძახილები გაურკვეველ ღმუილად გადაიქცა. თავი ხელებით ეჭირა, თითქოს ეს-ესაა მწიფე ნესვივით გაუსკდებაო.

გეგონება, ნიშანი მისცესო, მრევლი გაჩუმდა და ექსტაზში ჩავარდნილი ხალხი ნახევრად ეროტიკულ პოზებში გაშეშდა.

სილვია პიტსტონი კათედრიდან გადმოიხარა და კაცს თავზე შეეხო. როგორც კი ღონიერი და თეთრი, ნაზი და უზადო თითები თმაში შეუცურა, კაცმა ღმუილი შეწყვიტა.

– ვინ იყო შენთან შეცოდებისას? – ჰკითხა კაცს და ღრმად, ნაზად და ცივად ჩახედა თვალებში.

– მაც... მაცდური.

– და რა ჰქვია მას?

– სატანა.

– გმობ მას?

– დიახ, დიახ, უფალო იესო, – მონდომებით წამოიყვირა კაცმა.

ქალმა კაცს თავზე ხელი დაადო და დაახრევინა. კაცი ფანატიკოსის უაზრო, გაბრწყინებული თვალებით მიაჩერდა მქადაგებელს.

– ახლა რომ ამ კარიდან შემოვიდეს, – თითით ანიშნა დაჩრდილულ კარიბჭეზე, სადაც მსროლელი იდგა, – დაგმობ მას?

– დედის სახელს ვფიცავ, დავგმობ!

– იესოს საუკუნო სიყვარულისა თუ გწამს?

– კი, მწამს, მწამს, – აქვითინდა კაცი.

– უფალი შეგინდობს, ჯონსონ.

– დიდება უფალს, – სლუკუნით თქვა ჯონსონმა.

– ვიცი, რომ შეგინდობს. ისიც ვიცი, რომ თავისი სავანიდან გაყრის და განაპირა სამყაროს იქით აალებულ წყვდიადში გადაუძახებს იმათ, ვინც ცოდვებს არ მოინანიებს.

– დიდება უფალს! – საზეიმოდ წარმოთქვა მრევლმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისიც ვიცი, რომ მაცდური, სატანა, ბატონი ბუზებისა და გველებისა, დაემხობა და გაისრისება... გასრეს მას, თუ შეხვდები, ჯონსონ?

– დიახ და დიდება უფალს! – ქვითინებდა ჯონსონი. – ორივე ფეხით გავსრეს!

– გასრესთ მას, თუ შეხვდებით, ძმებო და დებო?

– დიახ!

– ხვალ მთავარ ქუჩაზე მოსრიალე რომ დაინახოთ?

– დიდება უფალს!

მსროლელი ეკლესიიდან გავიდა და ქალაქისკენ გაემართა. ჰაერში უდაბნოს სუნი ტრიალებდა. გზის გაგრძელების დრო მოვიდა.

თითქმის.

XIII

ისევ საწოლში.

– არ შეგხვდება, – თქვა ელისმა. დამფრთხალი ჩანდა. – ის არავის ხვდება. მხოლოდ კვირაობით გამოდის და ყველას შიშით გულს უხეთქავს.

– დიდი ხანია, აქ ცხოვრობს?

– თორმეტი წელია, შეიძლება – მხოლოდ ორი. თავადაც იცი, დრო უცნაური რამაა. მოდი, მაგ ქალზე ნულარ ვილაპარაკებთ.

– საიდან მოვიდა? რომელი მხრიდან?

– არ ვიცი, – აშკარად იცრუა ელისმა.

– ელი!

– არ ვიცი!

– ელი!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, კარგი! უდაბნოდან მოვიდა! უდაბნოს ბინადარი უნდა იყოს!

– ეგრეც ვიფიქრე! – მსროლელს გულზე ოდნავ მოეშვა. ესე იგი, მქადაგებელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოსულა. იქიდან, საითაც თვითონ ეჭირა გეზი. თუმცა, მსროლელის აზრით, მქადაგებელი უდაბნოს ბინადარი სულაც არ უნდა ყოფილიყო, უდაბნოს იქიდან მოსულს ჰგავდა. ნეტა ამხელა გზა როგორ გამოიარა? იქნებ რამე ტრანსპორტი რაღაც სასწაულით ჯერაც მუშაობდა და მას მოჰყვა, მაგალითად, მატარებელს. – სად ცხოვრობს?

– თუ გეტყვი, მომეფერები? – ხმას დაუწია ელისმა.

– ნებისმიერ შემთხვევაში მოგეფერები. თუმცა აუცილებლად უნდა მიპასუხო.

ელისმა ამოიოხრა. ძველი, გამომშრალი ხმა იყო, გაყვითლებული ფურცლების შრიალის მსგავსი.

– ეკლესიის უკან, ბორცვზე, პატარა ქოხში ცხოვრობს. იმ ქოხში ნამდვილი მღვდელი ცხოვრობდა... სანამ ქალაქიდან წავიდოდა. საკმარისია? დაკმაყოფილდი?

– ვერა, ჯერ ვერა, – თქვა მსროლელმა და ქალს ზემოდან მოექცა.

XIV

მსროლელმა იცოდა, რომ ეს ბოლო დღე იყო.

ცა უშნოდ გალურჯებულიყო, ამომავალი მზის პირველ სხივებს ქვემოდან უჩვეულოდ გაენათებინა. ელისი მოჩვენებასავით დადიოდა, ლამპებს ანთებდა და ტაფაზე სიმინდის კვერებს წალმა-უკულმა ატრიალებდა, რომ არ დამწვარიყო. მას შემდეგ, რაც მსროლელმა მისგან ის შეიტყო, რაც სჭირდე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა, ვნებიანად მოეფერა ქალს. ელისმაც იგრძნო დასასრულის მოახლოება და თექვსმეტი წლის გოგოს მონდომებითა და ენერგიით ყველაფერი გააკეთა მსროლელის სასიამოვნებლად, გააკეთა დილის მოლოდინით სასოწარკვეთილმა. ამ დილას, მორიგი მენოპაუზის ზღვარზე მყოფი, გაფითრებული ჩანდა.

უსიტყვოდ დაუდგა თეფში. მსროლელი სწრაფად ჭამდა, ლუკმას ყლაპავდა და ეგრევე ყავას აყოლებდა. ელი ბარის მოქანავე კართან მივიდა და გარეთ გაიხედა. დილის ცაზე ღრუბლების ბატალიონი ნელა მიცურავდა.

– დღეს ქარიშხალი ამოვარდება.

– არ მიკვირს.

– ოდესმე რამე გიკვირს? – ირონიულად ჰკითხა ელისმა და მსროლელისკენ მიტრიალდა. მსროლელმა ქუდი დაიხურა და გვერდით ჩაუარა.

– ზოგჯერ, – უპასუხა ქალს. ეს იყო მისი ბოლოსწინა შეხვედრა ცოცხალ ელისთან.

XV

სილვია პიტსტონის ქოხთან რომ მივიდა, ქარი უკვე ჩამდგარი იყო და მთელი სამყარო რაღაცის მოლოდინში გარინდულიყო. მსროლელი უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა უდაბნოს და იცოდა, რომ რაც უფრო დიდხანს გრძელდება დროებითი დაცხრომა, მით ძლიერია ქარიშხალი. ყველაფერს უჩვეულო, უფერული შუქი ეფინა.

ნახევრად წამოქცეული და დანგრეული ქოხის კარზე ხის დიდი ჯვარი მიეჭედებინათ. მსროლელმა კარზე დააკაკუნა და შეიცადა. არავინ გამოეხმაურა. კიდევ ერთხელ დააკაკუნა. არც ამჯერად გამოეხმაურნენ. მსროლელმა ოდნავ უკან დაიხია

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ქოხის კარს წიხლი ჰკრა. კარი მხოლოდ პატარა ურდულით იყო ჩაკეტილი და ადვილად გაიღო, ჯახუნით მიეხეთქა ხის კედელს. ხმაურით დამფრთხალმა ვირთხებმა გაქცევით უშველეს თავს. სილვია პიტსტონი მისაღებში, მაგარმერქნიანი ხის სარწეველაში იჯდა და მსროლელს დიდი შავი თვალებით უყურებდა. ავდრის მომასწავებელი სინათლე ლოყებზე საზარელ ნახევარტონებად ეფინებოდა. შალი მოეხურა. სარწეველა ოდნავ ჭრიალებდა.

მსროლელი და მქადაგებელი წუთით ერთმანეთს მიაჩერდნენ. ეს ერთი წუთი თითქოს საუკუნე გაგრძელდა.

– მას ვერასდროს დაიჭერ, – უთხრა ქალმა. – ბოროტების გზას მიუყვები.

– ის შენთან მოვიდა, – თქვა მსროლელმა.

– და ჩემთან იწვა. უზენაეს ენაზე მელაპარაკა. მან...

– მან გიხმარა. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ქალს წარბი არ შეუხრია.

– ბოროტების გზას მიუყვები, მსროლელო. წყვდიადში დგახარ. წუხელ ეკლესიაშიც ბნელში იდექი. გგონია, ვერ გხედავდი?

– ბალახიჭამია რატომ განკურნა?

– ღვთის ანგელოზია. ეს თვითონ მითხრა.

– იმედია, ამის თქმისას გაეცინა.

მაქადაგებელმა ქალმა გაუცნობიერებლად მხეცივით დაკრიჭა კბილები.

– მან მითხრა, რომ მოხვიდოდი. ისიც მირჩია, როგორ მოვქცეულიყავი. მითხრა, რომ ანტიქრისტე ხარ.

მსროლელმა თავი გააქნია.

– მას ეს არ უთქვამს.

ქალმა ზანტად გაუღიმა.

– მითხრა, შენთან დაწოლა მოუნდებაო. ეს სიმართლეა?

– როდისმე ისეთ კაცს თუ შეხვედრიხარ, შენთან დაწოლა რომ არ მონდომებია?

– ჩემი სხეულის ფასი შენი თავია, მსროლელო. მან ბავშვი ჩამისახა. თავისი კი არა, დიდი მეფის ბავშვი. თუ დამეუფლები... – ქალმა აზრი ზანტი ღიმილით დაასრულა. იმავდროულად, ვეებერთელა ბარძაყები შეარხია. კაბის ქვეშ მისი ფეხები მარმარილოს ფილებივით მოჩანდა. შთამბეჭდავი სანახავი იყო.

მსროლელმა რევოლვერებისკენ წაიღო ხელი.

– შენში მეფე კი არა, დემონია ჩასახული, დედაკაცო. ნუ გეშინია, ახლავე მოგაცილებ.

ქალი დაიზაფრა. ის სავარძლის საზურგეს აეკრა და დამფრთხალ სინდიოფალას დაემსგავსა.

– არ შემეხო! არ მომეკარო! ღვთის სასძლოსთვის ხელის ხლებას ვერ გაბედავ!

– ეგრე გგონია? – თქვა მსროლელმა და ქალისკენ გააბიჯა. – როგორც კარტის მოთამაშემ თქვა იმ დღეს, აბა, მიყურე!

მთა-ქალი აცახცახდა და მისი სახე შიშის კარიკატურულ ნიღბად იქცა. გადაჯვარედინებული თითებით მსროლელის წინ „თვალის“ ნიშანი გამოსახა.

– უდაბნო! – თქვა მსროლელმა. – რა არის უდაბნოს იქით?

– მას ვერასდროს დაიჭერ! ვერასდროს! ვერასდროს! ეს თვითონ მითხრა!

– დავიჭერ, – თქვა მსროლელმა. – ეს ორივემ ვიცით. რა არის უდაბნოს იქით?

– არ გეტყვი!

– მიპასუხე!

– არა!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი მუხლებზე დადგა და ხელი სტაცა ფეხებში, რომლებიც გირაგს უგავდა. ქალი უცნაურად, ვნებიანად სლუკუნებდა.

– მაშინ, დემონი გარეთ გამოვა, – თქვა მსროლელმა.

– არა...

მსროლელმა ერთმანეთზე მიდებული ფეხები გააშლევინა და ერთი რევოლვერი დააძრო.

– არა! არა! არა! – სულშეხუთული ყვიროდა ქალი.

– მიპასუხე!

ქალმა სავარძელი შეაქანა და ხის იატაკი აჭრიალდა. მისი ბაგეებიდან ლოცვები და საღმრთო წერილის ფრაგმენტები გადმოიფრქვა.

მსროლელი რევოლვერის ლულით მიაწვა და უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა, როგორ გაივსო ქალის ფილტვები ჰაერით. მან ხელები თავში დაუშინა; ფეხებს იატაკზე აბრახუნებდა. იმავდროულად, მისი უზარმაზარი სხეული უცხო საგნის თავის წიაღში შესრუტვას ცდილობდა. მხოლოდ მტვრიანი, გალურჯებული ცა ხედავდა მათ.

ქალმა ხმამაღლა და გაურკვევლად წამოიკივლა.

– რა თქვი?

– მთები!

– რა მთები?

– ის... მეორე მხარეს გაჩერდება... უფალო იესოოო!.. ძალღონის მოსაკრებად. მედიტაციისთვის, ხომ ხვდები? ო, მე... მე...

ხორცის უზარმაზარი მასა უეცრად წინ გადმოიხარა და ზემოთ აიზიდა, ოღონდ ყურადღებით იყო, რომ უნებლიეთ მსროლელს არ შეხებოდა.

მერე თითქოს ჩამოჭკნა და დაპატარავდა. მუხლებზე ხელებდაწყობილი ატირდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესეც ასე, – წამოდგა მსროლელი, – დემონს უკვე მოვემსახურეთ.

– გაეთრიე. შენ ალისფერი მეფის შვილი მოკალი. ამისთვის სამაგიერო მოგეზღვება. გეფიცები, ამისთვის პასუხს აგებ. ახლა კი წადი, წაეთრიე.

მსროლელი ზღურბლზე შედგა და უკან მიიხედა.

– არავითარი ბავშვი, – თქვა მან, – არავითარი ანგელოზი, პრინცი და დემონი.

– მომშორდი!

და მსროლელიც წავიდა.

XVI

როცა მსროლელი კენერლის საჯინიბოში მივიდა, ჩრდილოეთის ჰორიზონტს უცნაური ბინდი გადაჰკვროდა. მსროლელი მიხვდა, რომ ეს მტვერი იყო. თუმცა ტალში ჰაერი ჯერჯერობით არ იძვროდა.

კენერლი მას ჩალით მოფენილ ფიცარნაგზე უცდიდა, რაც საჯინიბოს იატაკის მაგივრობას სწევდა. მსროლელს პირფერულად გაუღიმა და ჰკითხა:

– მიდიხართ?

– ჰო.

– ქარიშხლის ჩადგომას არ დაელოდებით?

– გავასწრებ.

– ჯორით ქარიშხალს ვერავინ გაასწრებს. ღია სივრცეში ქარიშხალს ცოცხალი ვერ გადაურჩებით.

– ჩემი ჯორი მომიყვანე, – გულგრილად მოითხოვა მსროლელმა.

– ახლავე, – თქვა კენერლიმ, მაგრამ არც განძრეულა, თითქოს კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა; იდგა და როგორც

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სჩვეოდა, საძაგლად იღიმებოდა, თან მსროლელის უკან რაღაცას გაფაციცებით უყურებდა.

მსროლელი განზე გადგა და იმავდროულად, უკან მიტრიალდა. შეშის მსხვილმა ნაჭერმა ჰაერში გაიშხუილა და მსროლელს მხოლოდ იდაყვი გადაუყვლიფა. შეშა ისე ძლიერად იყო მოქნეული, რომ სუბიმ ველარ შეაკავა და ხელიდან გაუვარდა. ნაჭერი ისეთი ხმაურით დაეცა, სათივიდან შეშინებული მერცხლები წამოფრინდნენ.

გოგო გონებაჩლუნგივით მიაშტერდა მსროლელს. რეცხვისგან გაცრეცილი პერანგიდან გაფუებული ძუძუები ამოჰბურცოდა. თითქოს სიზმარშიაო, ცერა თითი ნელა ჩაიდო პირში.

მსროლელი კენერლისკენ შებრუნდა. კენერლი ფართოდ იღიმებოდა. კანი ცვილივით გაჰყვითლებოდა. თვალებს აქეთიქით აცეცებდა.

– მე... – დაიჩურჩულა, მაგრამ ხველამ სიტყვა გააწყვეტინა.

– ჯორი, – რბილად შეახსენა მსროლელმა.

– დიახ, დიახ, – წაიბურტყუნა კენერლიმ და დაღრეჯილ სახეზე უნდობლობა გამოესახა, თითქოს ვერ იჯერებს, რომ ჯერაც ცოცხალიაო. ჯორის მოსაყვანად წაფრატუნდა.

მსროლელი ისეთ ადგილას დადგა, რომ ბერიკაცის დანახვა შეძლებოდა. მეჯინიბემ ჯორი გამოიყვანა და სადავე მსროლელს მიაწოდა.

– შედი და შენს დას მიხედე, – უთხრა სუბის.

სუბიმ თავი გააქნია და არ განძრეულა.

მსროლელმა ასევე დატოვა ისინი; მტვრიან, ალაგ-ალაგ ნაკელით დაფარულ ფიცარნაგზე იდგნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ: ბერიკაცი თავისი ავადმყოფური ღიმილით, მისი ყეყეჩი ქალიშვილი უსიცოცხლო სიჯიუტით. გარეთ კვლავაც აუტანლად ცხელოდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი შუა ქუჩაში მიაბიჯებდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მტვრის პატარა ბუღი დგებოდა. წყლით სავსე ტიკები ჯორისთვის აეკიდა.

ბართან შეჩერდა, მაგრამ ელისი იქ არ დახვდა. ბარი ცარიელი იყო, ქარიშხლის მოლოდინში ფანჯრები ფიცრებით აეჭედათ. შიგნით ამჟავებული ლუდის სუნი ტრიალებდა – წუხანდელს მერე ელისს იქაურობისთვის ხელი არ ეხლო.

მსროლელმა სამგზავრო ტომარა გამხმარი და შემწვარი სიმინდით და საყინულიდან გამოღებული ჰამბურგერებისთვის განკუთვნილი ნახევრად უმი ხორცით აივსო. დახლზე ოთხი ოქროს მონეტა დატოვა. ელისი ქვემოთ არ ჩამოვიდა. შების კბილებგაყვითლებული პიანინო უხმოდ დაემშვიდობა. მსროლელი გარეთ გავიდა და სამგზავრო ტომარაც ჯორს აჰკიდა. უსიამოვნო შეგრძნება აწუხებდა, ყელში თითქოს ბურთი ჰქონდა გაჩხერილი. ხაფანგიდან თავის დაღწევის შანსი ჯერაც ჰქონდა, მაგრამ ძალიან მცირე. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მაცდურად გამოაცხადეს.

მსროლელმა ჩაუარა დარაბებდახურულ, გარინდულ სახლებს. იგრძნო, როგორ უჭვრეტდნენ ღრიჭოებიდან ცნობისმოყვარე თვალები. შავსამოსიანმა კაცმა ტალში ღმერთად გამოაცხადა თავი. მან მეფის ძე, წითელი უფლისწული ახსენა. ნეტა ეს მხოლოდ უზარმაზარი ირონიის გამოვლინება იყო თუ ამაზე მართლა ღირდა დაფიქრება?

უკნიდან ტკივილით აღსავსე კივილი მოისმა და უეცრად კარი გაიღო. ქუჩაში ხალხი გამოცვივდა. ხაფანგი ჩაიკეტა. მორბოდნენ კომბინეზონიანი მამაკაცები. სარჟის სამუშაო შარვლიანი მამაკაცები. შარვლიანი თუ გაცრეცილკაბიანი ქალები. ბავშვებიც კი მოსდევდნენ მშობლებს. ყველას ჯოხი ან დანა ეჭირა ხელში.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელმა მყისიერად, ავტომატურად, ინსტინქტურად იმოქმედა. ქუსლებზე შეტრიალდა, ბუდეებიდან რევოლვერები დააძრო და ტარები მაგრად ჩაბღუჯა. რაღა თქმა უნდა, მისკენ პირველი ელისი წამოვიდა, სახედაბრეცილი და შუბლზე ნაიარევაწითლებული ელისი. მსროლელი მიხვდა, რომ ის მძევლად აეყვანათ. მის ზურგს უკნიდან სახედამანჭული შები იჭყიტებოდა, როგორც ალქაჯის შინაური ცხოველი. ელისი მისი ფარი და მსხვერპლი იყო. მსროლელმა ეს ყველაფერი ცხადად, გარკვევით დაინახა სტერილური სიჩუმის გაშეშებულ, უსიცოცხლო შუქში და ელისის ხმაც მოესმა:

– მომკალი, როლანდ, მომკალი! მე სიტყვა წამომცდა. „ცხრამეტი“ წარმოვთქვი და მან მიამბო... ამას ველარ გავუძლებ...

მსროლელის ხელები გაწაფული იყო იმაში, რასაც ელისი ითხოვდა. ის უკანასკნელი მსროლელი იყო, თავისი მოდგმის ბოლო წარმომადგენელი და არა მხოლოდ უზენაესი ენა იცოდა. ჰაერი რევოლვერების ძლიერმა, ატონალურმა მუსიკამ შეარხია. ელისს ყბა ჩამოუვარდა და სხეული მოუმჩვარდა. კვლავ გაისმა გასროლა. უკანასკნელი, რაც ქალს სახეზე გამოესახა, ალბათ, მადლიერება იყო. შების თავი მკვეთრად გადაიხარა უკან. შებიც და ელიც მტვრიან მიწაზე დაეცნენ.

„ორივენი „ცხრამეტის“ მხარეში წავიდნენ, – გაიფიქრა მსროლელმა, – თუ იქ მართლა არსებობს რამე“.

ჯოხების წვიმა წამოვიდა. მსროლელი უკან გახტა, რომ ისინი აეცილებინა. ერთი ლურსმნიანი ჯოხი მკლავზე მოხვდა და ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდა. წვერგაუპარსავი, ოფლით იღლიებდალაქავებულპერანგიანი კაცი ბლაგვი სამზარეულო დანით გამოექანა მისკენ. მსროლელმა კაცს შუბლი გაუხვრიტა და ის შუა ქუჩაში დავარდა. კბილების პროთეზი პირიდან

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადმოუვარდა. სახეზე დორბლით აბზინვარებული დაღრეჯილი ღიმილი შეეყინა.

– სატანა! – გაჰკიოდა ვილაც. – წყეული! მოკალით!

– მაცდური! – ყვიროდა სხვა. კვლავ ჯოხები დაუშინეს. მსროლელის ჩექმაზე დანა ასხლტა. – სატანა! ანტიქრისტე!

მსროლელი სირბილით მიიკაფავდა გზას და უკან გვამებს ტოვებდა. მისი ხელები იოლად და საზარელი სიზუსტით ისროდა მიზანში. კიდევ ორი კაცი და ერთი ქალი დაეცა ძირს, მსროლელი გაჩენილ სივრცეში გაიჭრა და ქუჩის მეორე მხარეს, „შების ბარის“ პირდაპირ მდებარე ნახევრად დანგრეული მაღაზიისა და სადალაქოსკენ გაიქცა. გადარეული ბრბო უკან მიჰყვა.

ტროტუარზე ფეხი შედგა თუ არა, მიტრიალდა და დარჩენილი ტყვიები უახლოეს მდევრებს დაახალა. უკან, შუა ქუჩაში, მტვრიან მიწაზე შების, ელისისა და სხვათა გვამები ეყარა.

მდევრები არ ჩერდებოდნენ, რატომლაც არც კი ფრთხებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მსროლელი ყოველ ტყვიას მიზანში ახვედრებდა და თანაც, ბევრს რევოლვერი, ალბათ, თვალითაც არ ენახა.

მსროლელმა უკან დაიხია. მოცეკვავესავით სხარტად და მოქნილად მოძრაობდა, რათა მისკენ ნასროლი საგნები აეცილებინა. რევოლვერებს გზადაგზა, შეუჩერებლად ტენიდა, რაშიც ასევე გაწაფული იყო. მისი გაწვრთნილი თითები სავაზნე სარტყელსა და რევოლვერების ცილინდრებს შორის მოძრაობდა. ბრბო უკვე ახლოს იყო. მსროლელი მაღაზიაში შევარდა და კარი ჩარაზა. მარჯვნივ დიდი ვიტრინა ჩაამსხვრიეს და შიგნით სამი კაცი შემოძვრა. სამივეს ფანატიკურად უაზრო გამომეტყველება ჰქონდა, თვალებში ნელი ცეცხლი უციმციმებდათ. მსროლელმა სამივე მოკლა და მათ კვალდაკვალ შემოსული კი-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დევ ორიც ზედ მიაყოლა. ისინი ვიტრინიდან გადაცვივდნენ, მინის წვეტიან ნამსხვრევებს დაეგნენ და შემოსასვლელი ჩახერგეს.

ხალხი კარს აწვებოდა. კარი მათ სიმძიმეს ძლივს უძლებდა და ზანზარებდა. მსროლელმა მქადაგებელი ქალის ხმა გაიგონა:
– მკვლელი! ჩვენი სულები! ეშმაკის ჩლიქები!

კარი ანჯამებიდან მოწყდა, იატაკზე ბრახუნით დაეცა და მტვრის ბული დააყენა. კაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა მსროლელს შეუტიეს. ფურთხისა და ჯოხების წვიმა წამოვიდა. მსროლელმა ტყვიები დაახალა თავდამსხმელებს. ისინი კეგლის ფიგურებივით ცვიოდნენ ძირს. მსროლელმა სადალაქოსკენ დაიხია. გზად ფქვილით სავსე კასრი ააყირავა და მდევრებისკენ გააგორა. მერე მათკენ მდუღარე წყლით სავსე ჯამი ისროლა, რომელშიც ორი დაკბილული სამართებელიც ეგდო. გაშმაგებული ბრბო მაინც არ ჩერდებოდა და უთავბოლო წივილ-კივილით მისდევდა მსროლელს. საიდანღაც სილვია პიტსტონი აქეზებდა მათ, ხან ხმამაღლა გასცემდა მითითებებს, ხან – აუღელვებლად და მშვიდად. მსროლელი ვაზნებს გახურებულ ცილინდრებში ტენიდა, საპარსი ქაფისა და შეჭრილი თმის სუნს ისუნთქავდა, შესივებული თითის წვერებიდან დამწვარი ხორცის სუნი ასდიოდა.

უკანა კარიდან ვერანდაზე გავარდა. მის ზურგს უკან ხმელი ბუჩქნარით დაფარული მიწა გადაჭიმულიყო. შენობის კუთხიდან სამი კაცი გამოვარდა. სამივე ავის მომასწავებლად ილრიჭებოდა. მათ მსროლელი დაინახეს და მიხვდნენ, რომ მსროლელმაც დაინახა ისინი: სახეებიდან ღიმილი წაეშალათ და იმავე წამს მსროლელის ტყვიით მოცელილები დაეცნენ. კაცებს აყმუვლებული ქალი მოჰყვებოდა. ეს ის ზორბა და მსუქანი ქალი იყო, რომელსაც შების ბარში დეიდა მილის სახელით

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იცნობდნენ. მსროლელმა გაისროლა. ქალი უკან გაფრინდა და მეძავივით ფეხებგაფარჩხული და ბარძაყებს შორის კაბაშეჩურთული გაიშხლართა ძირს.

მსროლელი ვერანდიდან ჩავიდა და უკუსვლით დაიხია უდაბნოსკენ. ათი ნაბიჯი გადადგა, ოცი. უცებ სადალაქოს უკანა კარი წიხლისკვრით გაიღო და იქიდან ბრბო გამოვარდა. მსროლელმა სილვია პიტსტონს მოჰკრა თვალი და ცეცხლი გახსნა. დახოცილთაგან ზოგი პირქვე ეცემოდა, ზოგი – პირაღმა, ზოგი ვერანდიდან ვარდებოდა. დღის უცვლელ მეწამულ შუქში მიწაზე ჩრდილს არ ფენდნენ. უცებ მსროლელი მიხვდა, რომ ყვიროდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუჩერებლად ყვიროდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს თვალების ნაცვლად დაბზარული ბურთულასაკისრები ჰქონდა. სათესლეები ლამის მუცელზე აჰკვროდა. ფეხები გაშეშებოდა. ყურები დაგუბებოდა.

ბრბო სმენად და მზერად ქცეული მსროლელისკენ დაიძრა. მსროლელი იდგა და დაცლილ რევოლვერებს ყვირილით ტენიდა. გონებით სადღაც სხვაგან დაფრინავდა. ხელები თავისით აკეთებდნენ საქმეს. დიდი სიამოვნებით ასწევდა ხელს და ეტყოდა მათ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ეუფლებოდა სროლისა და კიდევ სხვა ხელოვნებას, უამბობდა რევოლვერებსა და სისხლზე, რომლითაც ისინი მოინათლნენ... მაგრამ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელი იყო. სათქმელს მისი ხელები ამბობდნენ.

თავდამსხმელები უკვე ხელის გაწვდენაზე მოახლოებოდნენ, როცა მსროლელმა რევოლვერების გატენა დაასრულა. ვილაცის ნასროლმა ჯოხმა შუბლი გადაუყვლიფა და სისხლი წვეთებად წამოუვიდა. სულ ცოტაც და ხელს სტაცებდნენ. წინა რიგებში კენერლი შეამჩნია; კენერლის უმცროსი ქალიშვილი,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე თორმეტი წლისა; სუბი; ბარის ორი მუდმივი კლიენტი; მეძავი, სახელად ემი ფელდონი. მსროლელმა ყველას აგემა თავისი წილი ტყვია. არც მათ უკან მდგომნი დაინდო. ტვინისა და სისხლის ნიაღვარი მოედინებოდა.

წამით ყველა დაფრთხა და შეჩერდა. ბრბოს ერთი მთლიანი სახე ინდივიდუალურ სახეებად იქცა. ვიღაც კაცი წრეზე დარბოდა და გაჰყვიროდა. დაკოჟრილხელებიანმა ქალმა თავი გადასწია და შეშლილივით გადაიხარხარა. მოხუცმა, პირველმა ტალელმა, რომელიც მსროლელმა სავაჭრო ფარდულის კიბის საფეხურზე მჯდარი დაინახა, უეცრად შარვალში ჩაისვარა.

მსროლელმა ერთი რევოლვერის ხელახლა გატენა მოასწრო.

მერე მისკენ ხის ჯვრების ქნევით სილვია პიტსტონი გამოქანდა.

– ეშმაკი! ეშმაკი! ბავშვის მკვლელი! ურჩხული! გაანადგურეთ, ძმებო და დებო! გაანადგურეთ ბავშვის მკვლელი მაცდური!

მსროლელმა თითო ჯვარს თითო ტყვია დააჭედა და ნაფოტებად აქცია. კიდევ ოთხი ტყვია ქალს თავში დაახალა. ქალი თითქოს აკორდეონივით შეიკუმშა და ცხელი ჰაერივით ათახთახდა.

ბრბო შეთხელდა; მსროლელმა თითქოს ცელით მოთიბა ისინი. ეგონა, მქადაგებლის მოკვლის შემდეგ შედრკებოდნენ, მაგრამ ვიღაცამ დანა ესროლა. დანის ტარი ზუსტად თვალებშუა მოხვდა და წააქცია. გამძვინვარებული ბრბო დაესია. მსროლელმა ისევ დაცალა რევოლვერები. ცარიელი ვაზნები ზედ ეყრებოდა. თავი უსკდებოდა და თვალწინ დიდი ყავისფერი წერტილები დაუცურავდა. ერთი ტყვია ააცილა, დანარჩენით კი თერთმეტი კაცი მიაწვინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა ცოცხლები თავს დაესხნენ. ცილინდრში ოთხი ტყვიის ჩადება მოასწრო და ოთხივე გაისროლა. ამასობაში მისწვდნენ, ზოგმა ხელი მოუქნია, ზოგმა – დანა. ორი თავდამსხმელი მარცხენა ხელით მოიგერია და განზე გადაგორდა. მისმა თითებმა შეუცდომლად განაგრძეს რევოლვერის დატენა. მხარში დაჭრეს. ზურგში დაჭრეს. ჩანგლით უკანალი დაუჩხვლიტეს. პატარა ბიჭუნა ბრბოში გამოძვრა და წვივი დაუსერა. მსროლელმა მას ტვინი გაასხმევინა.

დამფრთხალი ბრბო გაიფანტა და მსროლელმა ამჯერად უკნიდან მიაყოლა მათ ტყვიები. ცოცხლად გადარჩენილები უფერული შენობებისკენ იხევდნენ, მაგრამ მსროლელის ხელები თავიანთ საქმეს მაინც აკეთებდნენ. მეტისმეტად მონდომებულ ძაღლებს ჰგავდნენ, რომლებიც შენს დასანახად თუნდაც მთელი ღამე იკოტრიალებენ ზურგზე: გაქცეულებს შეუბრალებლად ცელავდნენ. უკანასკნელმა მათგანმა სადალაქოს კიბემდე მიირბინა, მაგრამ იქ მსროლელის ტყვიამ კეფა გაუხვრიტა.

– ააჰ! – შეჰყვირა კაცმა და წაიქცა. ეს იყო უკანასკნელი ხმა, რომელიც ტალში გაისმა.

გაჩენილი სიცარიელე სიჩუმემ აავსო.

მსროლელს ოცი ჭრილობიდან მაინც სდიოდა სისხლი. უმეტესობა ზედაპირული იყო, მხოლოდ წვივი გაეჭრათ ღრმად. მსროლელმა წვივი პერანგის ნაგლეჯით შეიხვია, მერე წამოდგა და სისხლისღვრის ადგილი დაათვალიერა.

სისხლიანი ნაკვალევი სადალაქოს კარიდან იწყებოდა და იქამდე მოიკლაკნებოდა, სადაც თვითონ იდგა. დახოცილები ყველანაირ პოზაში ეყარნენ. მძინარეს არც ერთი არ ჰგავდა.

მსროლელი სიკვდილის ნაკვალევს გაჰყვა, გზადაგზა დახოცილებს ითვლიდა. მაღაზიაში ერთ კაცს გულში ტკბილეუ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის გატეხილი ქილა ჩაეხუტებინა, რომელიც წაქცევისას ჩამოეგდო თაროდან.

მსროლელი იქ დაბრუნდა, სადაც ყველაფერი დაიწყო – დაცარიელებულ მთავარ ქუჩაზე. საერთო ჯამში, ოცდაცხრამეტი კაცი, თოთხმეტი ქალი და ოთხი ბავშვი მოეკლა. ტალის მთელი მოსახლეობა გაეჟლიტა.

მშრალმა ქარმა დაუბერა და გულისამრევად ტკბილი სუნი მოიტანა. მსროლელი სუნს გაჰყვა. მერე მაღლა აიხედა და თავი დააქნია. ნორტი შების ბარის ფიცრულ სახურავზე ხელფეხგაფარჩხული დაეჭედებინათ ხის ლურსმნებით; მისი გვამი უკვე იხრწნებოდა. პირი და თვალები ღია დარჩენოდა. ჭუჭყიან შუბლზე ეშმაკის ჩლიქის დიდი მეწამული დაღი აჩნდა.

მსროლელი ქალაქიდან გავიდა. მისი ჯორი საფოსტო გზისგან ორმოციოდე მეტრის მოშორებით ხმელ ბუჩქნარში იდგა და ბალახს წიწკნიდა. მსროლელმა ჯორი კენერლის საჯინიბოში წაიყვანა. გარეთ ქარი რეგთაიმის სტილში ზუზუნებდა. მსროლელმა ჯორი დროებით ბაგაში დააბა, თვითონ კი ბარში დაბრუნდა. ფარდულში მისადგმელი კიბე იპოვა, სახურავზე ავიდა და ნორტი ჩამოხსნა. ცხედარი ფიჩხის კონასავით მსუბუქი გამოდგა. ნორტი ჩვეულებრივი ხალხის გვერდით დაასვენა, იმათთან, რომლებიც მხოლოდ ერთხელ მოკვდნენ. მერე ბარში შევიდა, ჰამბურგერები შეჭამა და სამი კათხა ლუდი დალია. ამასობაში მოსაღამოვდა და გაძლიერებულმა ქარმა ქვიშა წამოყარა. ღამით იმ საწოლში ეძინა, სადაც ის და ელისი იწვნენ ხოლმე. არაფერი დასიზმრებია. რომ გაიღვიძა, ქარი ჩამდგარიყო და მზე ძველებურად თავდავიწყებით აცხუნებდა. ქარიშხალს დახოცილთა გვამები ბურბურასავით სამხრეთ-აღმოსავლეთით წაელო. მსროლელმა ყველა ჭრილობა შეიხვია და გვიან დილას თვითონაც გზას გაუდგა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XVIII

მსროლელს ეგონა, ბრაუნს ჩაეძინაო. ცეცხლი ძლივსღა ბჟუტავდა. ზოლტანს ფრთის ქვეშ დაემალა თავი. წამოდგომას და ლოგინის გაშლას აპირებდა, როცა ბრაუნმა უთხრა:

– ესეც ასე, ყველაფერი მიამბე. უკეთ ხარ?

მსროლელი შეკრთა.

– ცუდად რატომ უნდა ვიყო?

– იმიტომ, რომ ადამიანი ხარ და არა დემონი. თუ იცრუე?

– არა, – მსროლელი უხალისოდ გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ ბრაუნი მოსწონდა. ნამდვილად მოსწონდა. მას უდაბნოში მოსახლესთვის ტყუილი არ უთქვამს. – ვინ ხარ, ბრაუნ? სინამდვილეში ვინ ხარ?

– უბრალოდ, ბრაუნი ვარ, – არხეინად უპასუხა ბრაუნმა. – რატომ გგონია, რომ ყოველთვის იდუმალ ვითარებაში უნდა ალმოჩნდე?

მსროლელმა სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ ბრაუნისთვის პასუხი არ გაუცია.

– მგონი, მაგ შენს შავსამოსიან კაცთან ძალიან ახლოს ხარ, – უთხრა ბრაუნმა. – სასოწარკვეთილია?

– არ ვიცი.

– შენ?

– ჯერ არა, – უპასუხა მსროლელმა და ბრაუნს ოდნავ გამომწვევად შეხედა. – იქ მივდივარ, სადაც საჭიროა და იმას ვაკეთებ, რაც საჭიროა.

– კარგი, – თქვა ბრაუნმა, გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XIX

მეორე დილას ბრაუნმა ასაუზმა და გააცილა. დღის სინათლეზე ბრაუნი თავისი გაძვალტყავებული, გარუჯული მკერდით, ფანქარივით წვრილი ლავიწის ძვლებითა და აბურდული წითური თმით უჩვეულო სანახავი იყო. მხარზე ზოლტანი ეჯდა.

– ჯორს რა უზამ? – ჰკითხა მსროლელმა.

– შევჭამ, – უპასუხა ბრაუნმა.

– კარგი.

ბრაუნმა ხელი გაუწოდა და მსროლელმა ჩამოართვა. მოსახლემ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გაიქნია თავი.

– მშვიდობით იარე. გრძელ დღეებსა და სასიამოვნო ღამეებს გისურვებ.

– შენც, ორმაგად!

ერთმანეთს თავის ქნევით დაემშვიდობნენ და რევოლვერებიანი კაცი, რომელსაც ელისმა როლანდი უწოდა, წყლის მათარებით დატვირთული გაუდგა გზას. მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან. ბრაუნი გამალებით მარგლავდა თავის პატარა სიმინდის ყანას. ყორანი მისი დაბალი ქოხის სახურავზე გორგულიასავით შემოსკუპებულიყო.

XX

კოცონი ჩაქრა. ცაზე ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ. ქარი დაუღალავად ქროდა და თავის ამბავს სიცარიელეს უყვებოდა. მსროლელი ძილში შეკრთა. სიზმარში ძალიან სწყუროდა. სიბნელეში მთების მოხაზულობა არ ჩანდა. დანაშაულისა და სინანულის ყოველგვარი გრძნობა გაქრა. უდაბნომ შეხრუკა. მსროლელი სულ უფრო მეტად ფიქრობდა კორტზე, რომელმაც სროლა ასწავლა. კორტი შავს თეთრისგან არჩევდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი კიდევ ერთხელ შეირხა და გაეღვიძა. გეომეტრიული ფორმის ნაკოცონარზე მოხაზული ახალი ნაკოცონარის ფორმა შეათვალიერა. მსროლელი რომანტიკოსი იყო. მან ეს კარგად იცოდა და ამ ცოდნას საგულდაგულოდ მალავდა. მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ ცოტასთვის გაემხილა ეს საიდუმლო. ამ მცირეთა შორის იყო სიუზენი, მეჯისელი გოგო.

ამან, რასაკვირველია, კვლავ კორტი გაახსენა. კორტი მოკვდა. ყველა მოკვდა, თავად მსროლელის გარდა. სამყარო ადგილიდან დაიძრა.

მსროლელმა ჩანთა მხარზე გადაიკიდა და თვითონაც დაიძრა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საფოსტო საფგური

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეორე

საფოსტო სადგური

I

მთელი დღე საბავშვო სიმღერა უტრიალებდა თავში. მოსაბეზრებელი გრძნობაა, ლამისაა შეიშალო. მელოდია აგეკვიატება და გონების ნებისმიერ მოთხოვნას, შეგეშვას და თავი დაგანებოს, დამცინავად უგულებელყოფს. სიმღერა ასე ჟღერდა:

წვიმს ესპანეთში, დატბორავს ვაკეს,
ცხოვრება ტკბილია, ზოგჯერ კი – მწარე,
წვიმს ესპანეთში, დატბორავს ვაკეს.

დრო არის სუფრა, ცხოვრება – ლაქა,
ერთხელაც ყველაფერი გაქრება, წავა,
მაგრამ ძველებურად დარჩება კვლავაც.
თუნდ ჭკუა გქონდეს, თუნდ იყო ლაყე,
წვიმა ესპანეთში დატბორავს ვაკეს.

შეყვარებულნი მიწაზე ვსხედვართ
და შებორკილებს გვინდება ფრენა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და როცა წვიმა ტბორავს ესპანეთს,
ციდან თვითმფრინავი ეცემა ვაკეს.

მსროლელს ლექსის ბოლო ორ სტრიქონში თვითმფრინავის ხსენება კონტექსტიდან ამოვარდნილი ეჩვენებოდა, სამაგიეროდ, ხვდებოდა, რატომ გაახსენდა ეს ლექსი ახლა. ბოლო დროს ხშირად ესიზმრებოდა, როგორ იწვა ციხე-კოშკში, თავისი საძინებლის ფერადშუშიან ფანჯარასთან მდგარ პატარა საწოლში სერიოზული სახით და დედა ამ სიმღერას უმღეროდა. დედა ღამით კი არ უმღეროდა, აქაოდა, უზენაესი ენით ასამეტყველებლად დაბადებული ყველა ბიჭი წყვდიადს მარტო უნდა გაუმკლავდესო, არამედ შუადღის ძილის წინ. მსროლელს კარგად ახსოვდა წვიმიანი დღის ნაცრისფერი შუქი, რომელიც საბანზე ცისარტყელას ფერებად ციმციმებდა. დღესაც მაშინდელივით გრძნობდა ოთახის სიგრილეს და საბნის სითბოს, სიყვარულს დედისა და მისი წითელი ბაგეებისადმი, რომლითაც პატარა და უშინაარსო, მაგრამ მელოდიურ სიმღერას საამურად უმღეროდა.

მიაბიჯებდა და ეს მოგონებები მის თავში ისევე შმაგად ტრიალებდა, როგორც საკუთარი კუდის მადევარი ძაღლი. წყალი გამოელია და გადარჩენის დიდი იმედი აღარ ჰქონდა. ასეთ აღსასრულს ნამდვილად არ ელოდა და ძალიან წუხდა. შუადღიდან მოყოლებული თავჩაქინდრული მიჩანჩალებდა და ნაცვლად იმისა, რომ წინ გაეხედა, საკუთარ ფეხებს დასჩერებოდა. ამ მხარეში ეშმაკის ბალახიც კი დამჭკნარიყო და გაყვითლებულიყო. ალაგ-ალაგ მყარი ფიქალიც დაფშვნილიყო და მტვრად ქცეულიყო. მართალია, უდაბნოს პირას მცხოვრები საღად მოაზროვნე შეშლილი ახალგაზრდა კაცის ქოხიდან თექვსმეტი დღის წინ წამოვიდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მთები

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდად არ მოახლოებულა. იმ ახალგაზრდას ყორანი ჰყავდა, მაგრამ მსროლელი მის სახელს ველარ იხსენებდა.

მსროლელი დასჩერებოდა თავის ფეხებს, რომლებიც საქსოვი დაზგის დგიმებივით მოძრაობდა ზევით-ქვევით, გონებაში არეულ-დარეულად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ უმეორდებოდა სულელური გარითმული სიმღერა და სულ იმის მოლოდინში იყო, როდის წაიქცეოდა პირველად. მართალია, არავინ ხედავდა, მაგრამ წაქცევა მაინც არ უნდოდა. პატივმოყვარეობის საკითხი იყო. მსროლელებისთვის სიამაყე ნაცნობია, ეს ის უხილავი ძვალია, რომელიც მათ ქედის მოხრისაგან იცავს. ის, რაც მამისგან არ უსწავლია, გონებაში კორტმა ჩაუბეჭდა. დიახ, სწორედ მან, წითელ და დაბუშტულცხვირიანმა, სახენაიარევმა კორტმა.

უცებ მსროლელი გაჩერდა და ზემოთ აიხედა. თავბრუ დაეხვა და ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ჰაერში ლივლივებდა. შორეულ ჰორიზონტზე მთები ზმანებასავით მოჩანდა. თუმცა წინ, გაცილებით ახლოს, რაღაც სხვაც იყო. იქამდე ათიოდე კილომეტრიც არ იქნებოდა. ქვიშით ამოვსებულ თვალებს მზის შუქი სჭრიდა და მოჭუტა, რომ უკეთ დაენახა. თავი გააქნია და სვლა განაგრძო. გონებაში ისევ სიმღერა უტრიალებდა და ზუზუნებდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მუხლებზე დაეცა და ხელისგულები გადაიტყავა. გაკვირვებულმა დახედა სისხლის წვეთებით დაცვარულ გადაყვლეფილ კანს. არა, სისხლი სულაც არ გაწყალებულა; ჩვეულებრივი სისხლი იყო, რომელიც ჰაერზე თანდათან დედდებოდა. სისხლის წვეთები უდაბნოსავით თვითკმაყოფილი მოეჩვენა. მსროლელმა სიძულვილით დაიბერტყა სისხლი. თვითკმაყოფილი? რატომაც არა? სისხლს არ სწყურია. სისხლს ემსახურებიან. სისხლს მსხვერპლს სწირავენ. სისხლს სისხლს სწირავენ. სისხლმა მხოლოდ უნდა იდინოს და იდინოს... იდინოს და იდინოს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის თვალწინ დაცემული სისხლის წვეთები უჩვეულო სისწრაფით შეიწოვა გამომხმარმა ნიადაგმა. აბა, სისხლო, ეს როგორ მოგწონს?!

„ო, ღმერთო, გავაფრინე!“

მსროლელი მოუხერხებლად წამოდგა და ის რაღაც, რაც ცოტა ხნის წინ დაინახა, უეცრად მის წინ აღიმართა. ისე მოულოდნელად, რომ წამოიყვირა კიდეც; ყრუდ, მტვერნაყლაპი ყვავივით წამოიჩხავლა. ეს შენობა იყო. უფრო ზუსტად, შემოღობილი ორი შენობა. ხის ღობე ძალიან ძველი ჩანდა, ლამის პაწაწინა ელფივით მყიფე და მსხვრევადი; მტვრად ქცევამდე ცოტაღა აკლდა. ერთი შენობა თავლა იყო, მისი ფორმა შეუცდომლად მეტყველებდა ამაზე, მეორე სახლს თუ ფუნდუკს ჰგავდა, სადგურს საფოსტო ეტლებისთვის. ქვიშის დაგვერდებული სახლი (ქარს ხის კედლები ქვიშით დაეფარა და სახლი ზღვის სანაპიროზე აგებული, მზისგან გამომშრალი და გამყარებული ქვიშის კოშკისთვის დაემსგავსებინა) ვიწრო ჩრდილს ფენდა მიწაზე და ამ ჩრდილში ვიღაც იჯდა. ეს ვიღაც სახლის კედელს მიჰყუდებოდა. შენობა თითქოს მის წონას დაემძიმებინა და წელში მოეხარა.

აი, ისიც, ბოლოს და ბოლოს. შავსამოსიანი კაცი.

გაშტერებული მსროლელი გულზე ხელებმიკრული იდგა და ვერც კი ხვდებოდა, რა მედიდურად გამოიყურებოდა. ნაცვლად მოსალოდნელი აღფრთოვანებისა (ან თუნდაც შიშისა თუ გაკვირვებისა), საერთოდ ვერაფერს გრძნობდა – მხოლოდ ბუნდოვან სინანულს განიცდიდა იმის გამო, რომ წეღან საკუთარი სისხლი საშინლად შესძულდა, თან ის საბავშვო სიმღერაც არ შორდებოდა.

„წვიმს ესპანეთში...“

მსროლელმა ერთი რევოლვერი ამოიღო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„...დატბორავს ვაკეს“.

ბოლო ნახევარი კილომეტრი ბარბაცა-ბარბაცით გაირბინა. დამალვას არც კი ცდილობდა: სამალავი მაინც არსად იყო. უკან თავისივე მოკლე აჩრდილი მისდევდა. ვერც კი ხვდებოდა, რომ მისი სახე გადაღლილობის რუხ მტვრიან ნიღბად ქცეულიყო. საერთოდ ვერაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ წინ, ჩრდილში, მჯდარ ფიგურას ხედავდა. მოგვიანებითღა მოაფიქრდა, რომ ის კაცი, შეიძლებოდა, მკვდარი ყოფილიყო.

ერთ-ერთ ფიცარს წიხლი ჰკრა, შეამტვრია (ფიცარი უჩუმრად, ლამის მორიდებით გატყდა შუაზე) და მდუმარე თავლის გაკაშკაშებულ ეზოში რევოლვერმომარჯვებული შევარდა.

– არ გაინძრე! არ გაინძრე! ხელები მაღლა, შე ნაბიჭვარო, შე...

ფიგურა შეირხა და გაჭირვებით წამოდგა.

„ღმერთო ჩემო, ცარიელი ძვალი და ტყავია, რა დაემართა?“ – გაიფიქრა მსროლელმა.

შავსამოსიანი კაცი ლამის ნახევარი მეტრით დადაბლებულიყო და თმა ერთიანად გასთეთრებოდა.

მსროლელი ელდანაცემივით გაშეშდა, თავი უსკდებოდა. გული გადარეულივით უცემდა.

„ვკვდები...“

მხურვალე ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და წამით თავი ჩაქინდრა. როცა თავი კვლავ ასწია, დაინახა, რომ მის წინ შავსამოსიანი კაცი კი არა, მზისგან თმაგახუნებული ბიჭი იდგა და უინტერესოდ აკვირდებოდა. მსროლელმა ცივად შეათვალიერა იგი და გონების მოსაკრებად თავი გაიქნია. ვერ იჯერებდა, მაგრამ მის წინ მართლაც ბიჭი იდგა. ცალ მუხლზე საკერებელდადებული ჯინსის შარვალი და უხეში ქსოვილის ყავისფერი პერანგი ეცვა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელმა კიდევ ერთხელ გააქნია თავი და თავჩაქინდრული და რევოლვერმომარჯვებული თავლისკენ წალასლასდა. ჯერ ვერ ფიქრობდა. აზრები ერთმანეთში ერეოდა. თავის ტკივილი უძლიერდებოდა.

თავლაში სამარისებური სიჩუმე იყო, ბნელოდა და ძალიან ცხელოდა. მსროლელმა გაფართოებული თვალებით მიმოიხედა. მიტრიალებისას მთვრალივით წაფორხილდა და მზერით ბიჭს შეეჩეხა. ის ჩამოგდებული კარის ზღრუბლზე იდგა და უყურებდა. მსროლელს საფეთქლიდან საფეთქლამდე გამჭოლმა ტკივილმა დაუარა და ტვინი თითქოს ფორთოხალივით ორად გაუყო. რევოლვერი ბუდეში ჩაიდო, შექანდა, ხელები აიქნია, გეგონება, მოჩვენებებს აფრთხობსო და მიწაზე პირქვე დაეცა.

II

გონს რომ მოვიდა, პირაღმა იწვა და თავი მსუბუქი, უსუნო თივის მომცრო გროვაზე ედო. ბიჭს მისი აწევა ვერ მოეხერხებინა, მაგრამ ცდილიყო, ცოტა მოხერხებულად მაინც მოეწყო. რატომღაც არ სცხელოდა. ტანზე დაიხედა და აღმოაჩინა, რომ გამუქებული, სველი პერანგი ეცვა. ტუჩები გაილოკა და წყლის გემო იგრძნო. თვალები დაახამხამა.

ბიჭი მის გვერდით იჯდა. დაინახა თუ არა, რომ მსროლელმა თვალები გაახილა, ჩაჭეჭყილი თუნუქის ქილით წყალი მიაწოდა. მსროლელმა აცახცახებული ხელებით გამოართვა ქილა და ოდნავ მოსვა. მოიცადა, სანამ წყალი მუცელში ჩავიდოდა და ცოტაც კიდევ დალია. დანარჩენი სახეზე შეისხა და დაიფრუტუნა. ბიჭმა ოდნავ გაიღიმა.

– საჭმელი ხომ არ გნებავთ, სერ?

– ჯერ არა, – უპასუხა მსროლელმა. დასიცხულს თავი ცო-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტა მაინც სტკიოდა და წყალიც მოუსვენრად წრიალებდა მის მუცელში, თითქოს არ იცის, სად წავიდესო. – შენ ვინ ხარ?

– ჯონ ჩეიმბერსი ვარ. შეგიძლიათ, ჯეიკი დამიძახოთ. ერთი მეგობარი მყავს... მეგობრის მსგავსი, ჩვენთან მუშაობს... და ის ზოგჯერ ბამას მეძახის ხოლმე, მაგრამ თქვენ ჯეიკი დამიძახეთ.

მსროლელი წამოჯდა და მაშინვე თავი უფრო ძალიან ასტკივდა. გული ერეოდა და წინ გადაიხარა, მაგრამ კუჭთან ხანმოკლე ბრძოლაში დამარცხდა.

– წყალი კიდევ მაქვს, – თქვა ჯეიკმა და თავლის ბოლოსკენ წავიდა. გზაში გაჩერდა, შემობრუნდა და გაუბედავად გაუღიმა მსროლელს. მსროლელმა თავი თანხმობის ნიშნად დაუქნია, მერე სახე ხელებში ჩარგო. ბიჭი კარგი აღნაგობის იყო, სიმპათიური, ათი-თერთმეტი წლის იქნებოდა. სახეზე შიშის აჩრდილი გადაჰფარებოდა, მაგრამ ეს უკეთესიც იყო. ბიჭს შიში რომ არ გამოემჟღავნებინა, მსროლელი, ალბათ, ნაკლებად მიენდობოდა.

თავლის ბოლოდან უჩვეულო, ყრუ გუგუნი მოისმა. დაძაბულმა მსროლელმა მაშინვე თავი ასწია და რევოლვერებისკენ წაიღო ხელები. გუგუნი დაახლოებით თხუთმეტ წამს გაგრძელდა და მერე შეწყდა. ბიჭი უკან თუნუქის სავსე ქილით დაბრუნდა.

მსროლელმა ესეც ზომიერად დალია და ამჯერად უფრო ეამა. თავის ტკივილი თანდათან უცხრებოდა.

– არ ვიცოდი, რა მექნა, როცა წაიქეცით, – თქვა ჯეიკმა. – წამით მომეჩვენა, რომ მოკვლას მიპირებდით.

– ვაპირებდი კიდეც. სხვაში შემეშალე.

– მღვდელში?

მსროლელმა გამჭოლი მზერა მიაპყრო ბიჭს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პასუხად ბიჭმა დაუბღვირა.

– ეზოში დაბანაკდა. მე, აი, იმ სახლში ვიყავი. მგონი, იქ ადრე დეპო იყო. ის კაცი არ მომეწონა და გარეთ არ გამოვსულვარ. ღამით მოვიდა და მეორე დღეს წავიდა. თქვენც დაგემალებოდით, მაგრამ როცა მოხვედით, მეძინა, – პირქუშად დახედა ბიჭმა მსროლელს. – არ მიყვარს ხალხი. ტვინს მიბურღავენ და ყოველთვის თავგზას მიბნევენ.

– როგორ გამოიყურებოდა?

– მღვდელს ჰგავდა, – მხრები აიჩეჩა ბიჭმა. – შავი სამოსი ეცვა.

– კაპიუშონიანი მანტია?

– მანტია რა არის?

– სამოსია. კაბის მსგავსი.

ბიჭმა თავი დაუქნია.

– ჰო, ეგეთი რალაც ეცვა.

მსროლელი წინ გადაიხარა. ბიჭი მისმა გამომეტყველებამ რატომღაც დააფრთხო და უკან დაიხია.

– რამდენი ხნის წინ? მითხარი, მამაშენის გულისათვის!

– მე... მე...

– არაფერს დაგიშავებ, – წყნარად უთხრა მსროლელმა.

– არ ვიცი. დროს ვერ ვიხსენებ. აქ ყოველი დღე ერთნაირია.

ამ დროს მსროლელმა პირველად გაიფიქრა, ეს პატარა ბიჭი მრავალ კილომეტრზე გადაჭიმულ ამ მშრალ და მომაკვდინებელ უდაბნოში როგორ აღმოჩნდაო. თუმცა მის გამოსაკითხად არ ეცალა. ჯერჯერობით მაინც.

– დაახლოებით მაინც მითხარი. დიდი ხნის წინ?

– არა, დიდი ხნის წინ არ ყოფილა. დიდი ხანი არაა, რაც აქ ვარ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელში კვლავ აგიზგიზდა ცეცხლი. ოდნავ აცახცახებული ხელებით თუნუქის ქილა აიღო და წყალი მოსვა. ძილისპირული გაახსენდა, მაგრამ ამჯერად დედის სახის ნაცვლად ელისის ნაიარევიანი სახე დაუდგა თვალწინ. ელისისა, რომელიც მისი საყვარელი იყო ახლა უკვე გაუკაცრიელებულ ქალაქ ტალში.

– ერთი კვირაა? ორი? სამი?

– დიახ, – უპასუხა შეცბუნებულმა ბიჭმა.

– რა დიახ?

– ერთი კვირა იქნება. ან ორი, – ოდნავ წამოწითლებულმა ბიჭმა განზე გაიხედა. – სამი მოსაქმების წინ. ახლა დროს მხოლოდ ამის მიხედვით ვზომავ. წყალი საერთოდ არ დაულევია. ვიფიქრე, მღვდლის მოჩვენება ხომ არ არის-მეთქი, როგორც იმ ფილმშია, მაგრამ ზორომ ბოლოს გაარკვია, რომ ის არც მღვდელი იყო და მით უმეტეს, არც მოჩვენება. ერთი ბანკირი იყო, რომელსაც მიწის დაპატრონება უნდოდა, რადგან იქ ოქრო ეგულებოდა. ფილმის სანახავად მისის შოუმ წამიყვანა. კინოთეატრი ტაიმს-სკვერზე იყო.

მსროლელმა ბიჭის ნათქვამს ვერაფერი გაუგო, ამიტომ ხმა არ ამოუღია.

– შემეშინდა, – გააგრძელა ბიჭმა, – თითქმის ყოველთვის მეშინოდა, – ბიჭი აცახცახდა, როგორც ბროლი უკიდურესად ხმამაღალი, გამანადგურებელი ნოტისგან. – კოცონიც კი არ დაუნთია. მხოლოდ იჯდა. მგონი, საერთოდ არ დაუძინია.

რა ახლოს იყო! ასე ახლოს მასთან არასდროს ყოფილა. ჰოი, ღმერთებო! გაუწყლოებულსაც კი, ხელისგულები მღელვარებისგან დაენამა.

– ცოტა გამხმარი ხორცი მაქვს, – თქვა ბიჭმა.

– ძალიან კარგი, შევჭამ, – თავი დაუქნია მსროლელმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭი საჭმლის მოსატანად წამოდგა. მისმა მუხლებმა ოდნავ გაიტკაცუნა. წელგამართული იდგა. უდაბნოს ჯერაც ვერ მოეხარა მხრებში. წვრილი მკლავები ჰქონდა და მართალია, ერთიანად გარუჯული იყო, კანი სულაც არ გამოშრობოდა და არ დასკდომოდა.

„სიცოცხლით სავსეა, – გაიფიქრა მსროლელმა, – მაგრამ, როგორც ჩანს, ქვიშამ ცოტათი გამოასულელა, თორემ რევოლვერს წამართმევდა და სადაც ვიწექი, იქვე მომკლავდა“.

ან იქნებ ბიჭმა ამის გაკეთება არ მოინდომა?

მსროლელმა კიდევ ერთხელ მოსვა თუნუქის ქილიდან.

„ასეა თუ ისე, აქაური არ არის“.

ჯეიკმა მზისგან გახუნებული პურის საჭრელი დაფით გამხმარი ხორცის ნაჭრები მოიტანა. ხორცი მაგარი, ხრტილოვანი და ისეთი მლაშე გამოდგა, რომ მსროლელს გამშრალი, დამსკდარი ტუჩები აუწვა. მსროლელმა დანაყრებამდე ჭამა და სვა, მერე ისევ წამოწვა. ბიჭმა მხოლოდ ცოტა შეჭამა.

მსროლელი ბიჭს ათვალიერებდა და არც ბიჭი არიდებდა მზერას.

– საიდან მოხვედი, ჯეიკ? – ჰკითხა ბოლოს მსროლელმა.

– არ ვიცი, – მოიღუშა ბიჭი. – არადა, წინათ ვიცოდი. ვიცოდი, საიდანაც მოვედი, მაგრამ ახლა ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს, თითქოს სიზმარი იყო. უამრავი კოშმარი მესიზმრება. მისის შოუ მეუბნებოდა, იმიტომ, რომ მე-11 არხზე საშინელებათა ფილმებს უყურებო.

– არხი რა არის? – გაუკვირდა მსროლელს. – სხივის მსგავსია რამე?

– არა, სატელევიზიო არხი.

– სატელევიზიო? ტელევიზია რა არის?

– ეე... – ბიჭმა შუბლზე გადაისვა ხელი. – სურათები.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ როგორ მოხვდი? მისის შოუმ მოგიყვანა?

– არა, – უპასუხა ბიჭმა, – უბრალოდ, გავჩნდი.

– მისის შოუ ვინ არის?

– არ ვიცი.

– ბამას რატომ გეძახდა?

– არ მახსოვს.

– ვერაფერი გავიგე, – გულგრილად ჩაილაპარაკა მსროლელმა.

ბიჭს ცრემლები მოადგა თვალზე.

– რა ვქნა, მართლა არ მახსოვს. უბრალოდ, აქ გავჩნდი. ტელევიზიასა და სატელევიზიო არხებზე გუშინ რომ გეკითხათ, დარწმუნებული ვარ, მემახსოვრებოდა. აი, ხვალ კი, ალბათ, ისიც არ მემახსოვრება, რომ ჯეიკი მქვია – თუ თქვენ არ შემახსენებთ. თქვენ ხვალ აქ აღარ იქნებით, ხომ ასეა? წახვალთ და მე შიმშილით მოვკვდები, რადგან თითქმის მთელი ჩემი საჭმელი შეჭამეთ. სულაც არ მიხარია აქ ყოფნა. აქაურობა არ მომწონს. საშინელი ადგილია.

– მორჩი წუწუნს და ხელი გაანძრიე, რომ თავს უშველო.

– სულაც არ მიხარია აქ ყოფნა, – ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა.

მსროლელმა კიდევ ერთი ნაჭერი ხორცი შეჭამა. ლუკმა კარგად დაღეჭა, რომ ხორციდან მარილი გამოეწურა. სჯეროდა, რომ ბიჭმა სიმართლე თქვა – აქ ყოფნა სულაც არ მოსწონდა. ეს საშინელი ადგილი იყო... სადაც თვითონ თავისი სურვილით მოვიდა. თუმცა სულაც არ უხაროდა, რომ ვითარება ასე დამძიმდა. სულაც არ უხაროდა, რომ იძულებული გახდა, ტალის მცხოვრებლები გაეჟლიტა. სულაც არ უხაროდა, რომ საბრალო ელი მოკლა, ქალი, რომლის სევდიანი ლამაზი სახე საიდუმლოთი იყო დადაღული; საბოლოოდ, სიტყვა „ცხრამეტის“ წარმოთქმით მან თითქოს ჩაკეტილი კარი გააღო და ეს

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საიდუმლო მისთვის გაცხადდა. მსროლელს სულაც არ უხარო-და, მოვალეობის შესრულებასა და მკვლელობას შორის რომ უწევდა არჩევანის გაკეთება. უსამართლობად ეჩვენებოდა, უდანაშაულო ხალხის – უბრალო შემსწრეების – უცხო სცე-ნაზე გამოთრევა და მათთვის გაუგებარი როლების იძულებით მორგება.

„ელი, – გაიფიქრა მსროლელმა, – ელი ამ სამყაროს მკვიდ-რი მაინც იყო; საკუთარი, წარმოსახვითი სამყაროსი, მაგრამ აქ მაინც ცხოვრობდა. ეს ბიჭი კი... ეს წყეული ბიჭი...“

– მითხარი, რა გახსოვს, – უთხრა მან ჯეიკს.

– ბევრი არაფერი. უმნიშვნელო რაღაცეები.

– მაინც მითხარი. იქნებ რამე გავარკვიო.

ბიჭმა კარგა ხანს იფიქრა, რით დაეწყო.

– ერთ ადგილას ვიყავი... სანამ აქ გავჩნდებოდი. მაღალი სახლი იყო, ბევრი ოთახით და შიდა ეზოთი, საიდანაც მაღალი შენობები და წყალი მოჩანდა. წყალში დიდი ქანდაკება იდგა.

– წყალში ქანდაკება იდგა?

– ჰო, გვირგვიანიანი ქალი, რომელსაც ჩირაღდანი და... მგონი, წიგნი ეჭირა.

– რამეს ხომ არ იგონებ?

– შეიძლება, ვიგონებ კიდეც, – დაღონდა ბიჭი. – ქუჩებში რაღაცეები მოძრაობდა და შეგეძლო იმით გევლო. დიდი და პატარა რაღაცეები იყო. დიდები ლურჯები და თეთრები იყო, პატარები – ყვითლები. ყვითლები ძალიან ბევრი იყო. სკოლაში ფეხით მივდიოდი. ქუჩის გასწვრივ ცემენტის ბილიკები იყო; კიდევ – დიდი ფანჯრები, საიდანაც შიგნით შეიხედავდი და იქ უფრო მეტ ტანსაცმლიან ქანდაკებას დაინახავდი. ეს ქანდაკე-ბები ტანსაცმელს ყიდდნენ. ვიცი, გიჟურად ჟღერს, მაგრამ ეს ქანდაკებები ტანსაცმელს ყიდდნენ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელმა თავი გააქნია და ბიჭს დაჟინებით ჩახედა თვალებში, ხომ არ მატყუებსო. ბიჭის თვალებში სიცრუის არანაირი კვალი არ ჩანდა.

– სკოლაში ფეხით მივდიოდი, – მტკიცედ გაიმეორა ბიჭმა, – ხელში ყავისფერი... წიგნების ჩანთა მეჭირა. საჭმელი მიმქონდა. კიდევ... – მან თვალები მოჭუტა და ტუჩები აუთრთოლდა, თითქოს საჭირო სიტყვას ეძებსო, – ჰალსტუხი მეკეთა.

– ყელსახვევი?

– არ ვიცი, – ბიჭმა უნებლიეთ ხელი კისრისკენ წაიღო და მსროლელს მოეჩვენა, თითები ყელზე ყულფივით შემოიჭირაო, – არ ვიცი. ყველაფერი გაქრა, – განზე გაიხედა ჯეიკმა.

– შეიძლება დაგაძინო? – ჰკითხა მსროლელმა.

– არ მეძინება.

– შემიძლია დაგაძინო და ყველაფერი გაგახსენო.

– რანაირად? – დაეჭვებით ჰკითხა ჯეიკმა.

– ამის მეშვეობით.

მსროლელმა სავაზნე სარტყლიდან ერთი ვაზნა ამოიღო და თითებში შეათამაშა. მარჯვე და მსუბუქი მოძრაობა იყო. ვაზნა ცერა თითიდან საჩვენებელზე გადაგორდა, საჩვენებლიდან – შუაზე, შუიდან – უსახელოზე და უსახელოდან – ნეკზე. უცებ გაქრა და მერე ისევ გაჩნდა. წამით თითქოს ჰაერში ალივლივდა და მერე უკან გამოგორდა. ვაზნა მსროლელის თითებზე მოძრაობდა. ბიჭი ვაზნას თვალს არ აშორებდა. მისი თავდაპირველი ეჭვი სიხარულმა შეცვალა, სიხარული – აღტაცებამ და ბოლოს, აღტაცება – უაზრო მზერამ. ჯეიკმა თვალები დახუჭა. ვაზნა წინ და უკან ხტოდა. ჯეიკმა თვალები გაახილა, ცოტა ხანს კიდევ უყურა მსროლელის თითებს შორის ვაზნის შეუნელებელ, სხარტ ცეკვას და თვალები ისევ დახუჭა. მსროლელი არ გაჩერებულა, მაგრამ ბიჭს თვალები აღარ გაუხელია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თანაბრად და მშვიდად სუნთქავდა. ნუთუ ამის გაკეთება აუ-ცილებელი იყო? დიახ, იყო. ეს ყველაფერი ერთგვარი სუსხიანი სილამაზითაც გამოირჩეოდა, როგორც ლურჯი პიკის ყინულის მაქმანისებური წანაზარდები. კვლავ ჩაესმა გონებაში დედის იავნანა, მაგრამ ამჯერად•ის სულელური სიმღერა კი არა ეს-პანეთში წვიმაზე, არამედ უფრო საამური სისულელე. ხმა შო-რეული წარსულიდან მოესმა, როცა აკვანში დარწეულს თვა-ლები მიელულა და ძილ-ბურანში იყო: „ჩემო პატარა, ბუთქუნა ბიჭო, კალათი ნამცხვრით უნდა აგივსო“.

მსროლელს ნაღველი შემოაწვა და გული დაუმძიმდა. ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ვაზნა, რომელსაც თითებით მარჯვედ ათამაშებდა, უეცრად საზარელ ურჩხულად იქცა. ვაზნა მუჭში დამალა და მაგრად მოუჭირა. რომ გამსკდარიყო, მარჯვენა ხელს დაკარგავდა, მაგრამ მსროლელი არ ინანებდა: მარჯვენა ხელის გარეშე თავის ხელობაზე უარის თქმა მოუწევ-და. მისი ხელობა კი მკვლელობა იყო. მსოფლიოში მკვლელობე-ბი ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ამით თავს ვერ დაიმშვიდებ-და. მკვლელობებიც ხდებოდა, გაუპატიურებებიც და ენით უთ-ქმელი საშინელებებიც – და ეს ყველაფერი სიკეთის სახელით, წყეული სიკეთის სახელით, წყეული მითის სახელით, გრაალის სახელით, კოშკის სახელით. ჰო, ბნელი კოშკი სადღაც, ყვე-ლაფრის შუაგულში იდგა (როგორც ამბობდნენ) და ცას სწვდე-ბოდა, უდაბნოს მზით შეხრუკულ მსროლელის ყურებს დედის ტკბილი ხმა მისწვდა: „ჩასიტ, ჩისიტ, ჩესიტ, კალათს აგივსებ ტკბილი კანფეტით“.

მსროლელმა სიმღერა და საამური ჰანგები გონებიდან ამო-იგდო და ბიჭს ჰკითხა:

– ვინ ხარ?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წიგნების ჩანთაგადაკიდებული ჯეიკ ჩეიმბერსი, იგივე ბამა, კიბეზე ჩადის. ჩანთაში უწყვია: ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის წიგნები, რვეული, ფანქარი, სადილი, რომელიც დედამისის მზარეულმა, მისის გრეტა შოუმ ქრომითა და პლასტიკატის ლამინატით დაფარულ სამზარეულოში მოამზადა. იმ სამზარეულოში მუდმივად გუგუნებს ჰაერგამწოვი და ოთახს სუნისგან წმენდს. სადილად მიაქვს ჯემიანი და არაქისის კარაქიანი პური, სენდვიჩი ბოლონიური შებოლილი ძეხვით, სალათის ფურცლითა და ხახვით; და ოთხი „ორეოს“ ნამცხვარი. მშობლებს ჯეიკი არ სძულთ, მაგრამ არც დიდ ყურადღებას აქცევენ. დიდი ხანია, მშობლის მოვალეობა მისის გრეტა შოუს, უამრავ ძიძას, საზაფხულო სკოლის რეპეტიტორსა და „პაიპერსქულსს“ (ჩინებულ, კერძო და რაც მთავარია, თეთრკანიანთა სკოლას) გადააბარეს. ეს ხალხი სულაც არ ცდილობს, იმაზე მეტი იყოს, ვიდრე სინამდვილეში არიან: ისინი პროფესიონალები არიან, საუკეთესონი თავიანთ სფეროში. არც ერთი არ იხუტებს ჯეიკს გულში ისე თბილად, როგორც იმ ისტორიულ-რომანტიკულ რომანებში ხდება, რომელთაც ჯეიკის დედა კითხულობს და ჯეიკი ჩუმ-ჩუმად ათვალიერებს, იქნებ სადმე „უხამს მონაკვეთებს“ გადავაწყდეო. მამა მათ ისტერიულ რომანებს უწოდებს, ხანდახან – „შემოხეულ კორსაჟს“.[3] „კარგი ერთი“, – აგდებულად ეუბნება დედამისი მამამისს, ჯეიკი კი მალულად უსმენს. მამა ტელევიზიაში მუშაობს და ჯეიკი მას მოკლედ თმაშეჭრილი, გამხდარი მამაკაცების მწკრივში ადვილად გამოარჩევს. ალბათ.

---

[3] Bodice-ripper – ისტორიულ-რომანტიკული რომანების დამცინავი სახელწოდება. ტერმინი 1970-იან წლებში გაჩნდა. მსგავს წიგნებში ხშირად ასახავდნენ სექსუალურ სცენებს და გარეკანზე მეტწილად ძლიერი მამაკაცის მკლავებში მოქცეული გულწასული, დიდმკერდიანი ქალი იყო გამოსახული.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯეიკმა ჯერ არ იცის, რომ არც ერთი პროფესიონალი არ მოსწონს, გარდა მისის გრეტა შოუსი. ხალხში ყოველთვის იბნევა. დედას, რომელიც სექსუალურად გამხდარია, ხშირად თავის შეშლილ მეგობრებთან სძინავს. მამა ხანდახან ტელევიზიის თანამშრომლებს ახსენებს, რომლებიც ძალიან ბევრ „კოკა-კოლას“ სვამენ. ამ სიტყვებს ყოველთვის უხალისო ღიმილი და ცერის სწრაფი, ხანმოკლე დაყნოსვა მოსდევს.

ახლა ის ქუჩაშია, ჯეიკ ჩეიმბერსი ქუჩაშია და როგორც იტყვიან, „გზას გაუდგა“. ჯეიკი სუფთა და წესიერი ბიჭია, მოხდენილი და გულისხმიერი. კვირაში ერთხელ ბოულინგის სათამაშოდ დადის „მიდ-ტაუნ ლეინსში“. მეგობრები არ ჰყავს, მხოლოდ ნაცნობები. ამაზე არასდროს უფიქრია, მაგრამ ეს ძალიან აწუხებს. ჯეიკმა არ იცის ან ვერ ხვდება, რომ პროფესიონალებთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ მათ ძალიან დაამსგავსა. მისის გრეტა შოუ (სხვებს კი სჯობია, მაგრამ ჯეიკს ეს ნამდვილად ვერ ანუგეშებს) ძალიან პროფესიონალურ სენდვიჩებს ამზადებს. ის პურს ოთხად ჭრის და ქერქს აცლის; ამგვარად, როცა მეოთხე, ფიზკულტურის, გაკვეთილზე, ჯეიკი სენდვიჩს ჭამს, იფიქრებთ, კოქტეილის საღამოზეა და მეორე ხელში კოქტეილის ჭიქა უჭირავს ნაცვლად სკოლის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი სპორტული ან ვესტერნ-რომანისაო. მამამისი დიდ ფულს შოულობს, რადგან „ჩაძირვის“ დიდოსტატია – ზუსტად იცის, თავისი ტელევიზიის ძლიერი გადაცემა კონკურენტი ტელევიზიის სუსტ გადაცემას როგორ დაუპირისპიროს. მამამისი დღეში ოთხ კოლოფ სიგარეტს ეწევა. მამამისი არ ახველებს, მაგრამ ცივად იღიმება. ხანდახან „კოკა-კოლას“ დალევაზეც არ ამბობს უარს.

ჯეიკი კვლავაც ქუჩაშია. დედა ყოველთვის აძლევს ტაქსის ფულს, მაგრამ თუ არ წვიმს, ჯეიკს ფეხით სიარული ურჩევნია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიდის და მიათამაშებს წიგნების ჩანთას (ხანდახან ბოულინგის ჩანთას, რომელიც ხშირად გასახდელში ავიწყდება ხოლმე). ჩვეულებრივი ქერათმიანი და ლურჯთვალება ამერიკელი ბიჭია. უკვე გოგოებიც (დედების თანხმობით, რასაკვირველია) აქცევენ ყურადღებას და აღარც ჯეიკი გაურბის მათ პატარა ბიჭისთვის დამახასიათებელი ბავშვური ქედმაღლობით. გოგონებს უჩვეულო პროფესიონალიზმით ესაუბრება და აბნევს. მას გეოგრაფია და შუადღისას ბოულინგის თამაში უყვარს. მამამისი კეგლების ავტომატურად დამწყობი მოწყობილობის მწარმოებელი კომპანიის აქციონერია, მაგრამ „მიდ-ტაუნ ლეინსი“ მამამისის კომპანიის პროდუქციით არ სარგებლობს. უცნაურია, ეგონა, ამ თემაზე არასდროს მიფიქრიაო, მაგრამ თურმე ცდებოდა. უფიქრია.

აი, „ბლუმის“ ტანსაცმლის მაღაზიას ჩაუარა. ვიტრინებში ქურქებში ან ბოჰემური სტილის ექვსლილიან პიჯაკებში გამოწყობილი მანეკენები დგანან, ზოგიერთი მანეკენი მთლად შიშველია. ეს მანეკენებიც უბადლო პროფესიონალები არიან, ჯეიკს კი ყველანაირი პროფესიონალიზმი ეზიზღება. ჯერ ძალიან პატარაა, რომ საკუთარი თავი სძულდეს, მაგრამ თვითსიძულვილის თესლი თანდათან ღვივდება მასში, თავის დროზე აღმოცენდება და მწარე ნაყოფს გამოიღებს.

ჩანთაგადაკიდებული ჯეიკი ქუჩის კუთხესთან ჩერდება. გზაზე ტრანსპორტის ნაკადი არ წყდება. მიმოდიან ლურჯთეთრი ავტობუსები, ყვითელი ტაქსები, „ფოლკსვაგენები“, სატვირთოები. ჯეიკი ჯერ პატარა ბიჭია, მაგრამ ასაკის კვალობაზე ბევრად ჭკვიანი და დაკვირვებული, და ცალი თვალით ასწრებს თავისი მკვლელის დანახვას. ეს შავსამოსიანი კაცია. სახე არ უჩანს, მხოლოდ მისი მოსასხამი ფრიალებს, ხელებს იწვდის და პროფესიონალურად იღიმება. ჯეიკი ქუ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაში ხელებგაშლილი ვარდება ისე, რომ წიგნების ჩანთას, რომელშიც მისის შოუს მიერ პროფესიონალურად მომზადებული სადილი უდევს, ხელს არ უშვებს. ჩამუქებული საქარე მინის იქით წამით დამფრთხალი ბიზნესმენის სახეს ხედავს, რომლის ლურჯი ქუდის ლენტში პატარა, კოხტა ბუმბულია ჩარჭობილი. სადღაც რადიოში როკ-ენ-როლი გრიალებს. მოპირდაპირე ტროტუარზე მოხუცი ქალი კივის. მას პირბადიანი შავი ქუდი ახურავს. უბრალო, მგლოვიარის პირბადეა. ჯეიკი ვერაფერს გრძნობს. მხოლოდ გაკვირვებულია და როგორც ყოველთვის, დაბნეული. ნუთუ ეს აღსასრულია? ბოულინგში შედეგს ველარ გააუმჯობესებს და მხოლოდ 2-70-ს დასჯერდება? ძირს ძლიერად ეცემა და ასფალტის ბზარებს აკვირდება. წიგნების ჩანთა ხელიდან უვარდება. ვაითუ მუხლები გადავიტყავეო, ფიქრობს ჯეიკი და უცებ ლურჯქუდიანი ბიზნესმენის მანქანა ზედ უვლის. ეს დიდი ლურჯი კადილაკია „ფაირსთოუნის" თეთრსალტიანი საბურავებით, 1976 წლის გამოშვება. თითქმის ბიზნესმენის ქუდის ფერია. მანქანა ჯეიკს სრესს, ხერხემალს უმტვრევს და ის სისხლს აღებინებინებს. ჯეიკი თავს ატრიალებს და კადილაკის ანთებულ უკანამაშუქებს და ბოლში გახვეულ უკანა საბურავებს ხედავს. მანქანას ჯეიკის ჩანთისთვისაც გადაუვლია და ზედ დიდი შავი ნაკვალევი დაუტოვებია. ჯეიკი მეორე მხარეს ატრიალებს თავს და ხედავს, რომ დიდი ნაცრისფერი „ფორდი" მისგან სულ რამდენიმე სანტიმეტრში ამუხრუჭებს. შავკანიანი ტიპი, რომელიც ურიკით პრეცელებსა და გაზიან სასმელს ყიდის, მისკენ მორბის. ჯეიკს ყურებიდან, ცხვირიდან, თვალებიდან და სწორი ნაწლავიდან სისხლი სდის. გენიტალიები გასრესილი აქვს. გაღიზიანებული მაინც იმაზე ფიქრობს, ალბათ, მუხლები ძალიან გადავიტყავეო. შიშობს, რომ სკოლაში დაიგვიანებს. ახლა კადილაკის აღელვე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბული მძღოლიც მისკენ მორბის. ვილაცის საზარლად მშვიდი ხმა ისმის:

– მღვდელი ვარ. გამატარეთ, ვაზიარებ.

ჯეიკი შავ სამოსს ამჩნევს და შიში იპყრობს. ის არის, შავსამოსიანი კაცი. უკანასკნელ ძალებს იკრებს და განზე იხედება. სადღაც რადიოში როკ-ჯგუფ „ქისის“ სიმღერა ისმის. ჯეიკის პატარა თეთრი ლამაზი ხელი ასფალტზე დაფათურობს. ფრჩხილები არასდროს დაუკვნეტია.

ჯეიკი საკუთარ ხელს მიჩერებული კვდება.

IV

მოლუშული მსროლელი ჩაფიქრებულიყო. გადაღლილს, მთელი სხეული სტკიოდა და გამაღიზიანებლად ნელა აზროვნებდა. მის პირდაპირ ბიჭს ეძინა, ხელები მუხლებზე ეწყო და უწინდებურად მშვიდად და თანაბრად სუნთქავდა. ჯეიკმა თავისი ამბავი უემოციოდ უამბო, მხოლოდ დასასრულს აუკანკალდა ხმა ოდნავ, როცა „მღვდელი“ და „ზიარება“ ახსენა. რასაკვირველია, თავის ოჯახსა და პიროვნების გაორებაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ რაღაც-რაღაცეები მაინც წამოსცდა და დანარჩენს მსროლელი თვითონვე მიხვდა. ის ფაქტი, რომ ბიჭის მიერ აღწერილი ქალაქი არასდროს არსებულა (თუკი მითურ ქალაქ ლადს არ ჩავთვლით), ძალიან უცნაურად არ ეჩვენებოდა, მაგრამ აშფოთებდა და თანაც საკმაოდ. მსროლელს დასკვნების გამოტანისაც კი ეშინოდა.

– ჯეიკ?

– რა?

– როცა გაიღვიძებ, გინდა, ეს ყველაფერი გახსოვდეს, თუ გინდა, დაივიწყო?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მინდა, დავივიწყო, – მაშინვე უპასუხა ბიჭმა. – პირიდან სისხლი რომ წამომივიდა, საკუთარი ქაქის გემო ვიგრძენი.

– კარგი. ახლა დაიძინებ, გასაგებია? მართლა დაიძინებ. თუ გინდა, მანდვე წამოწექი.

ჯეიკი წამოწვა. ერთი შეხედვით, პატარა, მშვიდი და უწყინარი ჩანდა. თუმცა მსროლელს არ სჯეროდა, რომ ის უწყინარი იყო. რატომღაც ბიჭი საშიში ეჩვენებოდა, მასაც მორიგი ხაფანგის სუნი უდიოდა. ავის მომასწავებელი შეგრძნება აწუხებდა, თუმცა ბიჭი მოსწონდა. ძალიან მოსწონდა.

– ჯეიკ!

– ჩშშშ. ვიძინებ. მეძინება.

– კარგი, დაიძინე.

მსროლელი კარგა ხანს უყურებდა მას და თავის ბავშვობას იხსენებდა. ყოველთვის ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ეს ბავშვობა თავისი კი არა, სხვისი იყო – ადამიანის, რომელიც ზღაპრული დროის ლინზის მეშვეობით მომავალში გადახტა და ვილაც სხვად იქცა. თუმცა ახლა ეს ვილაც მეტისმეტად ახლობელი ეჩვენებოდა. საფოსტო სადგურის თავლაში ძალიან ცხელოდა და კიდევ მოსვა წყალი. მერე წამოდგა და შენობის ბოლოსკენ წავიდა. ერთ-ერთ ბაგაში შეიხედა. კუთხეში ცოტაოდენი თივა ეყარა და კოხტად დაკეცილი ასალი იდო. ცხენის სუნი არ სცემდა. თავლაში საერთოდ არაფრის სუნი არ იგრძნობოდა. მზეს ყოველგვარი სუნი აეორთქლებინა და არაფერი დაეტოვებინა. ჰაერი სრულებით სტერილური იყო.

თავლის ბოლოს მდებარე პატარა, ბნელი ოთახის შუაგულში უჟანგავი ფოლადის მოწყობილობა იდგა. ჟანგის ან ლპობის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. კარაქის სადღვებელას ჰგავდა. მოწყობილობა მარცხენა გვერდიდან გამოშვერილი მოქრომილი მილით იატაკზე დატანებულ წყალსადინარს უერთდებოდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელს სხვაგანაც ენახა ამგვარი ტუმბოები, მაგრამ ამხელა არსად. წარმოდგენაც კი უჭირდა, რამსიღრმე ორმო უნდა ამოეთხარათ ამ იდუმალ და მარად ბნელ უდაბნოში (ვიღაც მრავალი წლის წინ გარდაცვლილებს), წყლამდე რომ ჩასულიყვნენ.

საფოსტო სადგურის მიტოვების შემდეგ ეს ტუმბო აქ რატომ დატოვეს?

შეიძლება, დემონების გამო.

ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა და გააცახცახა. დაბურძგლა, მაგრამ მხნეობა მალევე დაიბრუნა. მსროლელი გადამრთველთან მივიდა და ჩამრთველს დააწვა. მოწყობილობა აგუგუნდა. დაახლოებით ნახევარი წუთის შემდეგ მილიდან ცივი, სუფთა წყლის ნაკადი წამოვიდა და წყალსადინარში ჩაიღვარა რეცირკულირებისთვის. ტუმბომ თითქმის ათი ლიტრი წყალი ამოქაჩა მიწიდან, სანამ ყრუ ტკაცუნით ავტომატურად გამოირთვებოდა. ეს ტუმბო ჭეშმარიტი სიყვარულივით უცხო იყო ამ ადგილისა და დროისთვის, თუმცა იმავდროულად – ღვთის სასჯელივით რეალური და კონკრეტული, ჩუმი მოსაგონარი იმ ხანისა, როცა სამყარო ჯერაც არ დაძრულიყო ადგილიდან. ტუმბოს, ალბათ, ატომური ენერგია ამუშავებდა, რადგან გარშემო ათასობით კილომეტრის რადიუსში ელექტროენერგია არსად იყო, ხოლო ამ ხნის განმავლობაში ბატარეები აუცილებლად განიმუხტებოდა. ტუმბო „North Central Positronics"-ის დამზადებული იყო. მსროლელს ეს არ მოეწონა.

გარეთ გავიდა და ბიჭის გვერდით მოკალათდა. ჯეიკს ხელი ლოყის ქვეშ ამოედო. ძილშიც სიმპათიურად გამოიყურებოდა. მსროლელმა კიდევ ცოტა წყალი დალია და ინდოელივით ფეხმორთხმული დაჯდა. ბიჭს, უდაბნოს კიდესთან მცხოვრებ ყორნიან (ზოლტანი, ფრინველს ზოლტანი ერქვაო, უეცრად

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაახსენდა მსროლელს) ახალგაზრდასავით, დროის აღქმა დაჰკარგვოდა, მაგრამ მსროლელი რომ შავსამოსიან კაცს წამოეწია, აშკარა იყო. მსროლელმა კიდევ ერთხელ გაიფიქრა, შავსამოსიანი კაცი განგებ ხომ არ ცდილობს, რომ დავეწიოო. იქნებ მეც მათამაშებსო. სცადა, წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მასთან დაპირისპირება, მაგრამ ვერ შეძლო.

ძალიან ცხელოდა, მაგრამ თავს უკეთ გრძნობდა. გონებაში კვლავ საბავშვო სიმღერა ამოუტივტივდა, მაგრამ ამჯერად დედა კი არა, კორტი დაუდგა თვალწინ. კორტი, უბერებელი ადამიანი-მანქანა, ქვებით, ტყვიებითა და ბლაგვი ნივთებით მიყენებული იარებით დამახინჯებული სახით. ნეტა ამ მონუმენტური ნაიარევების შესაფერისი სიყვარული თუ ჰქონიაო, გაიფიქრა. საეჭვოა. მერე სიუზენი, დედა და ჯადოქარი მარტენი გაახსენდა.

მსროლელი ის კაცი არ იყო, წარსულს რომ მისტირის. მხოლოდ ნაკლებემოციურობამ და ბუნდოვანი მომავლისადმი მუდმივმა სწრაფვამ იხსნა უფანტაზიო, საშიშ შტერად გადაქცევისაგან. ამიტომაც თავისი ამჟამინდელი ფიქრები ცოტა არ იყოს აკვირვებდა. ერთი სახელი მეორეს იძახებდა: ქათბერტი, ალენი, მოხუცი ჯონასი მთრთოლვარე ხმით; და კვლავ სიუზენი, ფანჯარასთან მდგარი ლამაზი გოგონა. ამგვარ მოგონებებს ყოველთვის სიუზენამდე, „ტაფობის“ სახელით ცნობილ გორაკიან ველამდე და სუფთა ზღვის ყურეებში მებადურების მიერ ჩაყრილ ბადეებამდე მიჰყავდა.

ტალელი პიანისტი (ან გარდაცვლილი – ტალში ცოცხალი აღარავინ დარჩა, ყველა მსროლელის ხელმა იმსხვერპლა) ყველა ამ ადგილს იცნობდა, თუმცა მან და მსროლელმა მხოლოდ ერთხელ ისაუბრეს მათზე. შებს ძველი სიმღერები მოსწონდა. ერთხელ ბარში მსროლელი თვითონ შეესწრო, როგორ იმღერა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მან „მოგზაურის სიმღერა“. მსროლელმა არამელოდიურად ჩაიღიღინა:

ო, სიყვარულო, უდარდელო და უზრუნველო,
მრავალი გულის დამთრგუნველო და დამღუპველო.

ოცნებებში წასულ მსროლელს გაეცინა.

„მე მწვანე და თბილი ფერების სამყაროს უკანასკნელი წარმომადგენელი ვარ“.

მიუხედავად სევდისა, საკუთარი თავი მაინც არ ეცოდებოდა. სამყარო კი დაიძრა ადგილიდან, მაგრამ მსროლელი ჯერაც მყარად იდგა ფეხზე, შავსამოსიანი კაცი კი უფრო ახლოს იყო. მსროლელს ჩაეძინა.

V

რომ გაეღვიძა, თითქმის ბნელოდა, ბიჭი კი წასულიყო.

მსროლელი წამოდგა. წამოდგომისას სახსრებმა გაუტკაცუნა. თავლის კართან მივიდა. ფუნდუკის ჩაბნელებულ პარმაღზე პატარა კოცონის ალი ცეკვავდა. იქითკენ წავიდა. გრძელი ჩრდილი კვალდაკვალ მიჰყვებოდა საღამოს ბინდის მოწითალო-მოყვითალო შუქში.

ჯეიკი ნავთის ლამპასთან იჯდა.

– ლამპაში ნავთი ესხა, მაგრამ შიგნით ანთების შემეშინდა, – თქვა ბიჭმა, – ყველაფერი ისეთი გამომშრალია...

– სწორად მოიქეცი, – მსროლელი ჩამოჯდა. პარმაღზე სქელი მტვერი იდო, მაგრამ ეს არ ანაღვლებდა. ის უფრო აკვირვებდა, რომ პარმაღმა მათ სიმძიმეს გაუძლო და არ ჩაინგრა. ლამპის შუქი ბიჭის ნაკვთებს რბილად ანათებდა. მსროლელმა თამბაქოს ქისა ამოიღო და სიგარეტი გაახვია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უნდა ვისაუბროთ, – უთხრა ბიჭს.

ბიჭმა თავი დაუქნია.

– მგონი, ხვდები, რომ იმ კაცს მივდევ, შენ რომ ნახე.

– მის მოკვლას აპირებთ?

– არ ვიცი. რაღაც უნდა ვათქმევინო. შეიძლება, ვაიძულო კიდეც, ერთ ადგილას წამიყვანოს.

– სად?

– კოშკთან, – უპასუხა მსროლელმა. სიგარეტი ლამპის შუშის თავთან მიიტანა და მაგრად მოქაჩა. სიგარეტს წაეკიდა და საღამოს გრილმა ნიავმა კვამლი აიტაცა. ჯეიკი თვალს არ აშორებდა. სახეზე არც ცნობისმოყვარეობა ეხატა, არც – შიში და მით უმეტეს, არც – აღფრთოვანება.

– ხვალ მივდივარ, – განაგრძო მსროლელმა. – შენც უნდა გამომყვე. ხორცი რამდენი დარჩა?

– ცოტა.

– სიმინდი?

– ცოტა უფრო მეტი.

მსროლელმა თავი დააქნია.

– აქ სარდაფი არის?

– დიახ, – თვალი გაუსწორა ჯეიკმა. გუგები ისე გაჰფართოებოდა, იფიქრებდით, ეს-ესაა გაუსკდებაო. – კარი ღიაა, იატაკზე დამაგრებული რგოლით უნდა ასწიო. მე არ ჩავსულვარ. შემეშინდა, კიბე ჩამიტყდება, ჩავვარდები და ვეღარ ამოვალმეთქი. თან, სარდაფში მყრალი სუნია. გარშემო ყველაფერი უსუნოა, მხოლოდ სარდაფია მყრალი.

– ხვალ დილაადრიან ავდგებით და აქაურობას დავათვალიერებთ. თუ რამეა წასაღები, შევაგროვებთ და წავალთ.

– კარგი, – ბიჭი მცირე ხნით შეყოვნდა და მერე დაამატა, – მიხარია, რომ მძინარე არ მოგკალით. ფიწალი მქონდა და

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიფიქრე, ხომ არ მოვკლა-მეთქი. კარგია, რომ გადავიფიქრე. ახლა უშიშრად დავიძინებ ხოლმე.

– აქამდე რისა გეშინოდა?

– მოჩვენებების, – პირქუშად უპასუხა ბიჭმა მსროლელს. – კიდევ იმის, რომ *ის* დაბრუნდებოდა.

– შავსამოსიანი კაცი, – მიხვდა მსროლელი.

– ჰო. ცუდი კაცია?

– გააჩნია, როგორ შეხედავ, – დაბნეულად უპასუხა მსროლელმა. წამოდგა და ნამწვი ძირს დააგდო. – წავედი, დავიძინებ.

– შეიძლება, თავლაში თქვენთან ერთად დავიძინო? – მორიდებით ჰკითხა ბიჭმა.

– რა თქმა უნდა.

მსროლელი კიბის საფეხურზე იდგა და ცას შეჰყურებდა. ბიჭი გვერდით ამოუდგა. ცაზე „ძველი ვარსკვლავი" კიაფობდა, იქვე იყო „მოხუცი დედაც". მსროლელს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ახლა თვალს დავხუჭავ და ვასაკების ყიყინს გავიგონებო, ახლად გაკრეჭილი მოლის სიმწვანის, ზაფხულის სუნს შევიყნოსავო; შეიძლება გვიან საღამოს „პოინტსის" სათამაშოდ საღამოს სამოსით გამოსული აღმოსავლეთის ფრთის ქალბატონების ხის ბურთულების ზანტ კაკუნსაც მოვკრა ყურიო; ღობეში გამძვრალ ქათბერტსა და ჯეიმის დავინახავო...

რა უცნაურია, წარსულზე ამდენი ფიქრი არასდროს სჩვეოდა.

შეტრიალდა და ნავთის ლამპა აიღო.

– წამოდი, დავიძინოთ, – უთხრა ბიჭს.

თავლაში ერთად შევიდნენ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

VI

მეორე დილას სარდაფი გამოიკვლია.

ჯეიკმა მართალი თქვა, სარდაფი აქოთებული იყო. უდაბნოსა და თავლის სტერილურ უსუნობას მიჩვეულ მსროლელს სარდაფის ნესტიანმა, ჭაობისებურმა სიმყრალემ კინაღამ გული აურია და ცოტა თავბრუ დაახვია. სარდაფი უპატრონოდ მიტოვებული, მრავალი წლის წინ დამპალი კომბოსტოს, თალგამისა და კარტოფილის სუნად ყარდა. თუმცა კიბე საკმაოდ მყარი მოეჩვენა და დაბლა ჩავიდა.

სარდაფის იატაკი მიწისა იყო. თავით ლამის ჭერს ეხებოდა. აქ, ქვემოთ, საშინლად დიდი, წინწკლებიანი რუხი ობობები ცხოვრობდნენ. ბევრს მუტაცია განეცადა და ჩვეული იერი დაეკარგა: ზოგს თვალებიანი საცეცები ჰქონდა, ზოგი თექვსმეტფეხა იყო.

მსროლელმა მიმოიხედა და დაიცადა, სანამ თვალები სიბნელეს მიეჩვეოდა.

– კარგად ხართ? – ჩამოსძახა აღელვებულმა ჯეიკმა.

– კი, – მსროლელი კუთხეს მიაჩერა. – აქ კონსერვებია. მოიცა.

თავჩაღუნული მივიდა სარდაფის კუთხემდე. იქ ცალგვერდჩამოტეხილი ძველი ყუთი იდგა. ყუთში დაკონსერვებული მწვანე და ყვითელი ლობიოს ბევრი ქილა და სამი კონსერვი ძროხის ხორცი ეწყო.

მსროლელმა მკერდზე მიიხუტა ქილები და კიბეზე შუამდე ავიდა. ქილები ჯეიკს მიაწოდა, თვითონ კი დანარჩენის ასაღებად ისევ სარდაფში დაბრუნდა.

უკვე მესამედ ადიოდა კიბეზე, როცა კედლებიდან ოხვრა მოესმა.

მიტრიალდა, მიმოიხედა და კოშმარულმა შიშმა შეიპყრო, ძალის წამრთმევმა და ზიზღის მომგვრელმა გრძნობამ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საყრდენი კედლები ქვიშაქვის ვეება ბლოკებისა იყო. როცა საფოსტო სადგური ააშენეს, ბლოკები, ალბათ, თანაბრად დააწყვეს, მაგრამ ახლა მორყეულიყო და მათ შორის ცარიელი ადგილები გაჩენილიყო. ამიტომაც გეგონებოდათ, კედელი უჩვეულო იეროგლიფებითაა აჭრელებულიო. ერთგან ღრიჭოდან ქვიშის წვრილი ნაკადი ცვიოდა, თითქოს კედლის მეორე მხარეს ვიღაც დუჟმორეული გამალებული თხრიდა მიწას, რათა თავი გაეთავისუფლებინა.

ოხვრა ხან ხმამაღლა ისმოდა, ხან – ხმადაბლა. მალე მტანჯველი ტკივილისა და შეუპოვარი მცდელობების მანიშნებელმა ხმამ მთელი სარდაფი აავსო.

– ამოდით! – დაუძახა მსროლელს ჯეიკმა. – ღმერთო, მისტერ, ამოდით!

– წადი, – მშვიდად უთხრა მას მსროლელმა, – გარეთ დამიცადე. ორასამდე... არა, სამასამდე დაითვალე და თუ არ ამოვედი, აქედან აითესე!

– ამოდით! – ისევ დაუძახა ჯეიკმა.

მსროლელს პასუხი აღარ გაუცია. მარჯვენა ხელი ქამრისკენ წაიღო.

კედელში მონეტისხელა ხვრელი გაჩნდა. შეძრწუნებულ მსროლელს ბუნდოვნად მოესმა გაქცეული ჯეიკის ნაბიჯების ხმა. უცებ ქვიშის ცვენა შეწყდა. ოხვრა მძიმე ქშენამ შეცვალა.

– ვინ ხარ? – იკითხა მსროლელმა.

არავინ უპასუხა.

როლანდმა უზენაეს ენაზე მბრძანებლურად მიმართა:

– ვინ ხარ, დემონო? მითხარი, რა გინდა! დრო ცოტა მაქვს. მოთმინება მალე ამომეწურება!

– ნუ იჩქარებ, – კედლის უკნიდან აუჩქარებელი, ხრინწიანი ხმა მოისმა. მსროლელი თითქოს კოშმარში აღმოჩნდა, მისმა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შიშმა ლამის ხორცი შეისხა. ეს ელისის ხმა იყო, ვისთანაც ქალაქ ტალში ცხოვრობდა. ოლონდ ელისი მკვდარი იყო. მსროლელმა თვითონ დაინახა, როგორ დაეცა; თვითონ დააჭედა თვალებშუა ტყვია. – ნუ იჩქარებ, მსროლელო, თორემ გამოსარჩევთ ვერ შეამჩნევ. უფრთხილდი ტაჰინს. სანამ ბიჭი გვერდით გეყოლება, შენი სული შავსამოსიანი კაცის ხელში იქნება!

– რას გულისხმობ? ამიხსენი!

ქშენა შეწყდა.

წუთით მსროლელი გაშეშებული იდგა. მერე ერთი ობობა მის ხელისგულზე დაეცა და დამფრთხალი, სწრაფად ააცოცდა მხარზე. მსროლელმა უხალისო ბურტყუნით მოიშორა ობობა მხრიდან და ფეხი მოიცვალა. შემდეგ ის გააკეთა, რის გაკეთებაც არ უნდოდა, მაგრამ წესი და რიგი მკაცრად მოითხოვდა. როგორც ძველი ანდაზა ამბობს, მკვდარს აღარაფერი სჭირდება; მხოლოდ გვამია ნამდვილი წინასწარმეტყველი. მსროლელი კედელთან მივიდა და ხვრელს მუშტი მიარტყა. ქვიშაქვის ბლოკის კუთხეები ადვილად ჩამოიშალა და მსროლელმა იოლად შეყო ხელი კედელში.

რაღაც მყარ და წანაზარდებიან საგანს შეეხო და კედლიდან გამოათრია. ეს რაღაც სახსარგახრწნილი ყბა აღმოჩნდა. კბილები აქეთ-იქით უშნოდ იყო გაშვერილი.

– ესეც ასე, – ჩუმად ჩაილაპარაკა, ყბა უკანა ჯიბეში ჩაიჩურთა და კონსერვის ბოლო ქილებით ხელში კიბეზე ავიდა. ასაწევი კარი ღია დატოვა. შიგნით მზის შუქი ჩააღწევდა და მუტანტ ობობებს დახოცავდა.

ჯეიკი ეზოში იცდიდა. დაბზარულ, ნაფხვენებით მოფენილ მყარ ფიქალზე მობუზულიყო. მსროლელის დანახვაზე წამოიყვირა, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია და მერე შეძახილებით მისკენ გაიქცა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეგონა, იმ რალაცამ დაგიჭირა. მეგონა...

– არა, არავის დავუჭერივარ, – მსროლელმა ბიჭი ჩაიხუტა. მისი ცხელი სახე გულზე მიეკრა, მისი მხურვალე მკლავები ტანზე შემოეჭდო. როცა ეს შემთხვევა მოგვიანებით გაიხსენა, გაიფიქრა, ბიჭი სწორედ მაშინ შემიყვარდაო – რასაკვირველია, შავსამოსიანი კაცის გეგმაც სწორედ ეს იყო. რომელი მახე შეედრება სიყვარულის მახეს?

– დემონი იყო? – მოგუდული ხმით ჰკითხა ბიჭმა.

– ჰო. მოლაპარაკე დემონი. არა უშავს, სარდაფში დაბრუნება აღარ მოგვიწევს. წამოდი, გზას უნდა გავუდგეთ.

თავლაში შევიდნენ და ასალისაგან, რომელიც ჯეიკს ეფარა ხოლმე, მსროლელმა ტომარა გააკეთა. ტომარა ცხელი და ჩხვლეტია იყო, მაგრამ სხვა არაფერი ჰქონდათ. მერე ამოტუმბული წყლით ტიკები გაავსო.

– ერთს შენ წამოიღებ, – უთხრა ბიჭს მსროლელმა, – მხარზე მოიკიდებ. აი, ასე. ხედავ?

– დიახ, – აღფრთოვანებით უპასუხა ჯეიკმა, თუმცა მალევე დამალა თავისი გრძნობები. ტიკი მხარზე მოიკიდა.

– მძიმეა?

– არა.

– არ მომატყუო. მზემ რომ დაგკრას, შენი თრევის თავი არ მაქვს.

– არ დამკრავს. კარგად ვიქნები.

მსროლელმა თავი დაუქნია.

– მთებში მივდივართ, არა?

– კი.

თაკარა მზეში გააბიჯეს. ჯეიკი, რომელიც მსროლელს იდაყვამდე სწვდებოდა, მისგან მხარმარჯვნივ და ოდნავ წინ მიდიოდა. მსროლელს კიდევ ორი ტიკი გადაეკიდა მხარზე, საჭმლის

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფუთა მარცხენა იღლიაში ამოეჩარა, მარჯვენა ხელში თავისი ჩანთა, თამბაქოს ქისა და სხვა ბარგი ეჭირა.

სადგურის უკანა ჭიშკრიდან გავიდნენ და კვლავ მიგდებული საფოსტო გზის ნარჩენებზე აღმოჩნდნენ. დაახლოებით თხუთმეტ წუთს იარეს. მერე ჯეიკი მიტრიალდა და უკან დატოვებულ ორ შენობას ხელი დაუქნია. უდაბნოს უკიდეგანო სივრცეში შენობები ჩახუტებულებს ჰგავდნენ.

– მშვიდობით! – დაიყვირა ჯეიკმა. – მშვიდობით! – მერე შეწუხებული შებრუნდა მსროლელისკენ. – ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც გვითვალთვალებს.

– რაღაც ან ვიღაც, – დააზუსტა მსროლელმა.

– იქ ვიღაც იმალებოდა? მთელი ეს დრო იქ იმალებოდა?

– არ ვიცი. არა მგონია.

– ხომ არ დავბრუნდეთ? დავბრუნდეთ და...

– არა. მანდ აღარაფერი გვესაქმება.

– ძალიან კარგი, – თქვა ჯეიკმა.

გზა გააგრძელეს. საფოსტო გზა ქვიშით დაფარულ მთის ქედზე ავიდა და, როცა მსროლელმა მიიხედა, სადგური აღარ ჩანდა. ირგვლივ კვლავ უდაბნო იყო და მეტი არაფერი.

VII

სამი დღე გავიდა, რაც საფოსტო სადგურიდან წამოვიდნენ. მთები ახლა ახლო ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში იქამდე ჯერ კიდევ შორს იყო, თუმცა მათ თვალწინ უდაბნო თანდათან მთისწინეთს ემსგავსებოდა, მოჩანდა პირველი შიშველი ფერდობები, მიწიდან ტრიუმფალურად ამოხეთქილი პირქუში, გადარეცხილი კლდეები. კიდევ უფრო მაღლა ადგილი ვაკდებოდა და მრავალი თვის თუ წლის განმავლობაში მსროლელმა პირ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ველად შეამჩნია ნამდვილი სიმწვანე: გამდნარი თოვლით ნაკვები ბალახი, ჯუჯა ნაძვები, შეიძლება ტირიფებიც. სიმწვანეს კვლავ კლდეები ენაცვლებოდა, რომლებიც უწესრიგო ბრწყინვალებით აზიდულიყვნენ თოვლით შემოსილ, თვალისმომჭრელად ლაპლაპა მწვერვალებამდე. მარცხნივ განიერი ხეობა მიიწევდა შედარებით მომცრო, გადარეცხილი ქვიშაკლდეებისკენ, შთენილი მთებისა და ციცაბო გორაკებისკენ. ამ ხედს თითქმის მუდმივად ფარავდა შხაპუნა წვიმების ნაცრისფერი ფარდა. ღამღამობით, ძილის წინ, ჯეიკი რამდენიმე წუთს აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს შორეული გაელვებების თეთრ-იისფერ ბრწყინვალე ხმალაობას, რომელთაც ღამის სიმყუდროვის დამარღვეველი გრუხუნი მოსდევდა.

ბიჭს კარგად ეჭირა თავი. დაღლილობას მტკიცედ ებრძოდა. მსროლელი მისი ნებისყოფით აღტაცებული იყო. ისიც მოსწონდა, რომ ჯეიკი ბევრს არ ლაპარაკობდა და არც ზედმეტი შეკითხვებით აწუხებდა. ყბითაც კი არ დაინტერესებულა, არადა, ყოველ საღამოს მოსაწევად ჩამომჯდარი მსროლელი ყბას ხელში ატრიალებდა. მსროლელი ხვდებოდა, რომ ბიჭს მასთან მეგობრობა ძალიან ახარებდა, შეიძლება, აღაფრთოვანებდა კიდეც და ეს ცოტათი აწუხებდა. ამ ბიჭს განგებ შეახვედრეს – „სანამ ბიჭი გვერდით გეყოლება, შენი სული შავსამოსიანი კაცის ხელში იქნება!“ – და ის ფაქტი, რომ ჯეიკი არანაირად არ აფერხებდა მის მოგზაურობას, უფრო ავბედით და საზარელ ეჭვებს აღუძრავდა.

გზადაგზა შავსამოსიანი კაცის მიერ დატოვებულ, ერთმანეთისგან ყოველთვის თანაბრად დაშორებულ სიმეტრიულ ნაკოცონარებს აწყდებოდნენ. მსროლელის აზრით, ყოველი მომდევნო ნაკოცონარი უფრო და უფრო ახალი იყო. მესამე ღამეს მსროლელმა მთისწინეთის უახლოეს ფერდობებზე მოციმციმე ალი დაინახა და დარწმუნებით განაცხადა, ეს კოცონიაო. რა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომღაც არც ისე ესიამოვნა ამის გააზრება, როგორც ელოდა. კორტის გამონათქვამი მოაგონდა: „უფრთხილდი კაცს, რომელიც კოჭლობას იბრალებს“.

საფოსტო სადგურიდან წამოსვლის მეოთხე დღეს, ორ საათზე, ჯეიკი წაფორხილდა და კინაღამ წაიქცა.

– მოდი, დაჯექი, – უთხრა მსროლელმა.

– არა, კარგად ვარ.

– დაჯექი.

ბიჭი მორჩილად დაჯდა. მსროლელი მის გვერდით ჩაცუცქდა, რომ ბიჭს მისი ჩრდილი გადაჰფარებოდა.

– წყალი დალიე.

– არა, ჯერ ადრეა. წყალი უნდა გამოვიზოგოთ...

– დალიე.

ბიჭმა სამი ყლუპი მოსვა. მსროლელმა საკმაოდ შემსუბუქებული ტომარა-ასალის კუთხე დაასველა და სველი ქსოვილი ბიჭს გახურებულ შუბლსა და მაჯებზე გადაუსვა.

– ამიერიდან ყოველდღე ამ დროს დავისვენებთ ხოლმე. თხუთმეტი წუთით. გეძინება?

– არა, – ბიჭმა დარცხვენით შეხედა მსროლელს. მსროლელმა ნაზი და მშვიდი მზერით უპასუხა. არხეინად ამოიღო სავაზნე სარტყლიდან ვაზნა და თითებში აათამაშა. ბიჭი მოხიბლული უყურებდა.

– მაგარია, – თქვა მან.

მსროლელმა თავი დააქნია.

– ჰო! – წამით შეყოვნდა. – შენხელა რომ ვიყავი, გალავნიან ქალაქში ვცხოვრობდი. ეს მოგიყევი?

ბიჭმა ნელა გააქნია თავი.

– ჰოდა, იმ ქალაქში ერთი ბოროტი კაცი ცხოვრობდა...

– მღვდელი?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სიმართლე გითხრა, ხანდახან მეც ასე მგონია, – უპასუხა მსროლელმა. – იქნება ორნიც კი იყვნენ; და ალბათ ძმები იქნებოდნენ. ბოროტი ტყუპი ძმები. მინახავს თუ არა ისინი ერთად? არა, არასდროს მინახავს. ეს ბოროტი კაცი... ეს მარტენი... ჯადოქარი იყო. როგორც მერლინი. იქ, საიდანაც შენ ხარ, მერლინზე სმენიათ რამე?

– მერლინზეც სმენიათ, ართურზეც და მრგვალი მაგიდის რაინდებზეც, – ნამძინარევი ხმით უპასუხა ბიჭმა.

მსროლელს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

– ჰო, ართურ ელდი, მეც ვიცი, მადლობა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი...

თუმცა ბიჭს უკვე თვალები დაეხუჭა, ხელები კი მუხლებზე დაეწყო.

– ჯეიკ!

– დიახ!

ბიჭის ინტონაციამ მსროლელი შეაკრთო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

– თითებს რომ გავატკაცუნებ, გაიღვიძებ. დასვენებული და მოღონიერებული იქნები. გასაგებია?

– კი.

– მაშინ წამოწექი.

მსროლელმა ქისიდან თამბაქო ამოიღო და სიგარეტი გაახვია. რაღაც აწუხებდა, თითქოს რაღაც შეიცვალა. ჩვეული სიდინჯითა და ყურადღებით ჩაუფიქრდა ამ საკითხს და მიხვდა, რაც შეიცვალა: აღარ ჩქარობდა, აღარ ეშინოდა, რომ შავსამოსიან კაცს ჩამორჩებოდა, მის კვალს დაკარგავდა და ბოლო ნაფეხურის იმედადღა დარჩებოდა. ეს გრძნობა გაქრა. მსროლელი საბოლოოდ დარწმუნდა: შავსამოსიან კაცს უნდოდა, რომ მსროლელი მას დასწეოდა. „უფრთხილდი კაცს, რომელიც კოჭლობას იბრალებს“.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მერე რა მოხდება?

ბუნდოვანი კითხვა იყო და მსროლელი ვერ დააინტერესა. აი, ქათბერტს ეს კითხვა ცხოველ ინტერესს აღუძრავდა (და, ალბათ, ხუმრობის განწყობაზეც დააყენებდა). თუმცა ქათბერტი ამქვეყნად აღარ იყო, აღარც დისქეინის ბუკი არსებობდა, და მსროლელი წინსვლას თავისებურად, როგორც შეეძლო, ისე განაგრძობდა.

მსროლელი სიგარეტს ეწეოდა და თან ბიჭს უყურებდა. მისი გონება ისევ ქათბერტზე გადაერთო. ქათბერტი მუდამ იცინოდა (სულიც სიცილ-ხარხარში ამოხდა), აი, კორტი – არასდროს. მარტენი ხანდახან თუ გაიღიმებდა – ოდნავ, ძლივს შესამჩნევად... მის ღიმილში შემაწუხებელი სხივი გამოკრთებოდა ხოლმე; ჩასისხლიანებულ თვალს ჰგავდა, ბნელშიც რომ ღიაა. გაახსენდა შევარდენიც. შევარდენს დეივიდი ერქვა – ლეგენდით ცნობილი შურდულიანი ბიჭის სახელი. შევარდენმა მოკვლის, დასახიჩრებისა და დაშინების მეტი არაფერი იცოდა. როგორც მსროლელმა. ის დილეტანტი არ ყოფილა, უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო, ერთ-ერთი მთავარი გმირი.

თუმცა ბოლოს ყველაფერი შეიცვალა.

მსროლელს გულ-მუცელი შეეკუმშა, მაგრამ სახეზე არაფერი დასტყობია. უყურებდა, სიგარეტის ბოლი უდაბნოს ცხელ ჰაერში როგორ იფანტებოდა და ქრებოდა. გონებით კვლავ წარსულში დაბრუნდა.

VIII

ცა თეთრად ქათქათებდა, უზადოდ თეთრად, ჰაერში წვიმის მძაფრი სუნი იგრძნობოდა. მას სიმწვანისა და ცოცხალი ღობის ტკბილი სურნელი ერწყმოდა. გაზაფხული დამდგარიყო, რასაც ზოგი „ახალმიწობასაც“ უწოდებდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეივიდი ქათბერტს ეჯდა ხელზე, ეს პატარა გამანადგურებელი მანქანა მოელვარე ოქროსფერი თვალებით მისჩერებოდა ცარიელ სივრცეს. შევარდნის დასაბმელი თასმა ქათბერტს ხელზე დაუდევრად შემოეხვია.

კორტი ბიჭებისგან მოშორებით ჩუმად იდგა. საკერებელდადებული შავი ტყავის შარვალი და ბამბის მწვანე პერანგი ეცვა. წელზე ჯარისკაცის ძველი, განიერი ქამარი შემოერტყა. მისი პერანგის სიმწვანე კარგად ეხამებოდა უკანა ეზოს ცოცხალ ღობეს და კორდს, რომელზეც ქალბატონებს ჯერ არ დაეწყოთ „პოინტსის“ თამაში.

– მოემზადე, – გადაუჩურჩულა როლანდმა ქათბერტს.

– მზად ვართ, – მტკიცედ უპასუხა ქათბერტმა, – ხომ ასეა, დეივი?

როლანდი და ქათბერტი ჭურჭლის მრეცხავი ბიჭებისა და პაჟების მდაბიურ ენაზე ლაპარაკობდნენ; ის დღე, როცა მათ სხვების თანდასწრებით საკუთარ ენაზე ლაპარაკის ნება ექნებოდათ, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

– ზუსტად შესაფერისი დღეა. წვიმის სუნი გცემს? მართლ...

კორტმა მკვეთრი მოძრაობით ასწია გალია და კარი გააღო. მტრედი მაშინვე გარეთ გამოიჭრა და ფრთების სწრაფი ფრთხიალით აფრინდა ცაში. ქათბერტმა თასმა მოქაჩა, მაგრამ დაიგვიანა. შევარდენი ოდნავ უხერხულად მოსწყდა მის მაჯას, თუმცა ფრთების ქნევით გასწორდა ჰაერში და მტრედს ელვის სისწრაფით მოექცა თავზე.

კორტი ბიჭებთან მივიდა და ქათბერტს ვეება მუშტი მოსდო ყურის ძირში. ტუჩებმობრეცილი ბიჭი უხმოდ დაეცა მიწაზე. ყურიდან წამსკდარმა სისხლმა მწვანე ბალახი დაალაქავა.

– დაიგვიანე, მატლო, – უთხრა მას კორტმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქათბერტი გაჭირვებით წამოდგა ფეხზე.

– ბოდიში, კორტ. უბრალოდ...

კორტმა კიდევ დაარტყა და ქათბერტი ისევ წაიქცა. ამჯერად სისხლი უფრო ძლიერ წამოუვიდა.

– უზენაეს ენაზე ილაპარაკე, – აუღელვებლად მოითხოვა კორტმა. უემოციო, ლოთისთვის დამახასიათებელი ოდნავ ხრინწიანი ხმა ჰქონდა. – თუ მონანიებას აპირებ, კულტურულად ილაპარაკე, იმ ცივილიზაციის ენაზე, რომლისთვისაც შენზე ბევრად უკეთეს ვაჟკაცებს გაუწირავთ თავი, მატლო.

ქათბერტი ხელახლა წამოდგა. თვალები ცრემლით ავსებოდა, მაგრამ ტუჩები სიძულვილით მოეკუმა.

– ვწუხვარ, – სუნთქვაშეკრულმა თქვა ქათბერტმა, რომ არ ატირებულიყო. – დავივიწყე სახე მამაჩემისა, რომლის რევოლვერებიც, იმედია, ერთხელაც ჩემი გახდება.

– ასე უკეთესია, შე ლაწირაკო, – თქვა კორტმა. – ვახშამი და საუზმე დაივიწყე! მშიერი უკეთ იფიქრებ შენს შეცდომაზე და რეფლექსებსაც გაიუმჯობესებ.

– შეხედეთ! – დაიყვირა როლანდმა და კორტსა და ქათბერტს ცისკენ მიუთითა.

ფრთებგაშლილი შევარდენი თითქოს გაუნძრევლად დაკიდებულიყო მოლივლივე მტრედის თავზე. მერე ფრთები შეიკეცა და ქვასავით მოწყვეტილი ზედ დააცხრა. ორი სხეული ერთმანეთს შეერწყა. როლანდს მოეჩვენა, რომ ჰაერში სისხლის შხეფები დაინახა. შევარდენმა გამარჯვების აღსანიშნავად დაიკივლა, მტრედი კი ტრიალ-ტრიალით ჩამოვარდა. როლანდი მონადირებული ფრინველისკენ გაიქცა, კორტი და დატუქსული ქათბერტი სულ გადაავიწყდა.

შევარდენი მსხვერპლის გვერდით დაეშვა და მტრედის მკერდის გლეჯა დაიწყო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დეივიდ! – დაუძახა ბიჭმა და კურდღლის ხორცის ნაჭერი გადაუგდო. შევარდენმა ჰაერშივე დაიჭირა ხორცის ნაჭერი, თავი უკან გადასწია და გადაყლაპა. როლანდმა სცადა, მტაცებელი ფრინველისთვის ფეხზე თასმა გამოება.

შევარდენმა როლანდს მკლავზე კანი ააგლიჯა. ბიჭს ღრმა იარა დააჩნდა. შევარდენი ისევ მტრედს მიუბრუნდა.

როლანდმა ბურტყუნით მოიქნია თასმა და ამჯერად მტაცებლის ბასრ ნისკარტს ტყავის ხელთათმანი დაუხვედრა. შევარდენს კიდევ ერთი ნაჭერი ხორცი მისცა და მერე ჩაჩი ჩამოაცვა თავზე. დეივიდი მორჩილად შეასკუპდა მაჯაზე.

როლანდი ამაყად წამოდგა შევარდნით ხელზე.

– ეს რა არის, ხომ ვერ მეტყვი? – სისხლიან იარაზე ანიშნა კორტმა. ბიჭი მუშტის მისაღებად მოემზადა და ყელი ჩაიწმინდა, რომ ცრემლებს არ დაეხრჩო, მაგრამ კორტს მისთვის არ დაურტყამს.

– დამკორტნა, – უპასუხა როლანდმა.

– იმიტომ, რომ გააბრაზე, – აუხსნა კორტმა. – შევარდენს შენი არ ეშინია, ყმაწვილო, და არც არასდროს შეეშინდება. შევარდენი ღვთის მსროლელია.

როლანდმა უაზროდ შეხედა კორტს. ბიჭი წარმოსახვის უნარით დიდად არ გამოირჩეოდა და თუმცა კორტმა დაარიგა, როლანდმა მის ორაზროვან სიტყვებს ვერაფერი გაუგო. ის კი არა, იფიქრა, კორტმა, როგორც ხანდახან სჩვევია, რაღაც სისულელე წამოროშაო.

ქათბერტი მიუახლოვდათ და კორტს ენა გამოუყო, ოღონდ ისე, რომ კორტს არ დაუნახავს. როლანდს არ გაუცინია, მაგრამ ქათბერტს თავი დაუქნია.

– ახლა კი შინ წადით, – კორტმა როლანდს შევარდენი გამოართვა, მერე ქათბერტისკენ მიტრიალდა და უთხრა: – შენ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი იფიქრე, მატლო. არც მარხვა დაგავიწყდეს. ამაღამ და ხვალ დილას არაფერს შეჭამ!

– გასაგებია, – მეტისმეტად ოფიციალურად უპასუხა ქათბერტმა. – გმადლობთ ამ ჭკუის სასწავლებელი დღისთვის.

– კი სწავლობ, – უთხრა კორტმა, – მაგრამ როცა მასწავლებელი შენკენ ზურგით დგას, რატომღაც ენის გადმოგდება გჩვევია. ერთხელაც იქნება, შენც და შენს ენასაც კუთვნილ ადგილს მიგიჩენენ.

კორტმა კიდევ ერთხელ მოუქნია მუშტი ქათბერტს და ამჯერად თვალებშუა მაგრად დაარტყა. ისე მაგრად, რომ როლანდმა ყრუ ბრახუნი გაიგონა, თითქოს ლუდის კასრში საცობს აჭედებენო. ქათბერტი კორდზე გაგორდა. თვალები დაბინდული ჰქონდა, მაგრამ ცოტა ხანში გადაეწმინდა და, მტრედის სისხლივით წითლად ანთებული, დაუფარავი სიძულვილით დაუბრიალა კორტს. ქათბერტმა თავი დააქნია და ტუჩებზე საზარელი ღიმილი გადაეფინა. როლანდს მსგავსი არაფერი ენახა.

– როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებობს იმედი, რომ შენგან რაღაც გამოვა, – ჩაილაპარაკა კორტმა. – როცა თავად ჩათვლი, რომ შეგიძლია, მაშინ მომძებნე, მატლო.

– როგორ მიხვდით? – კბილებში გამოცრა ქათბერტმა.

კორტი ისე მკვეთრად მიტრიალდა როლანდისკენ, რომ მან შიშით კინაღამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. კიდევ კარგი, არ გაინძრა, თორემ ქათბერტისთვის გვერდის დამშვენება და მასაც ნორჩი მწვანე ბალახის სისხლით მორწყვა მოუწევდა.

– ამ მატლის თვალებში დავინახე შენი ანარეკლი, – უპასუხა კორტმა ქათბერტს. – გახსოვდეს, ქათბერტ ოლგუდ. ეს დღეისთვის ბოლო გაკვეთილია.

ქათბერტმა კვლავ თავი დააქნია, მაგრამ სახიდან ის საზარელი ღიმილი არ წაშლია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვწუხვარ, – თქვა მან, – დავივიწყე სახე...

– კაი, ჰო, გეყო! – შეაწყვეტინა თავგაბეზრებულმა კორტმა. მერე როლანდს მიუბრუნდა. – წადით. ორივე. თქვენი სიფათების ყურება ყელში ამომივიდა, კიდევ ცოტაც და გული ამერევა. არადა, გემრიელად ვისადილე.

– წამოდი, – უთხრა როლანდმა ქათბერტს.

ქათბერტმა გონების მოსაკრებად თავი აქეთ-იქით გააქნია და წამოდგა. კორტი უკვე დალმართზე მიალაჯებდა თავისი მოკლე, გაღუნული ფეხებით. ძლევამოსილ და პირველყოფილ არსებას ჰგავდა. გაპარსული კინკრიხო ულაპლაპებდა.

– მოვკლავ ამ ნაბიჭვარს, – თქვა კვლავაც მოღიმარმა ქათბერტმა. შუბლზე ბატის კვერცხისხელა ლურჯი კოპი ამოსვლოდა.

– მას ვერც შენ მოკლავ და ვერც მე, – უთხრა როლანდმა და უეცრად სიცილი აუტყდა. – ჩემთან ერთად ივახშმე დასავლეთ სამზარეულოში. მზარეული რამეს გვაჭმევს.

– კორტთან დაგვასმენს.

– ის კორტთან არ მეგობრობს, – მხრები აიჩეჩა როლანდმა. – ან, გინდაც დაგვასმინოს, მერე რა?

ქათბერტმაც გაიცინა.

– კარგი, წავიდეთ. სულ მაინტერესებდა, როგორ გამოიყურება სამყარო, როცა კისერმოგრეხილი ხარ და თავი უკულმა გაბია.

ერთად გადაიარეს მწვანე მინდორი. გაზაფხულის კაშკაშა შუქში მიწას მათი გრძელი ჩრდილები ეფინებოდა.

IX

დასავლეთ სამზარეულოს მზარეულს ჰაქსი ერქვა. მაღალი და ჩასკვნილი ტიპი იყო, მასში თანაბრად ერია შავკანიანის, ყვითელკანიანის, აწ უკვე მივიწყებული (სამყაროს ადგილიდან დაძ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვრის შემდეგ) სამხრეთკუნძულელისა და კიდევ, ღმერთმა უწყის, ვისი სისხლი. საჭმლით მოთხუპნილი თეთრი შარვალ-ხალათით შემოსილს, ფეხზე ქოშები ეცვა (ხალიფისას რომ ჰგავდა) და სამ მალალჭერიან, ოხშივრით სავსე ოთახში დაფრატუნებდა. იმ იშ-ვიათ ზრდასრულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებს და უკლებლივ ყველა ბავშვი უყვარს, ოღონდ მათთან საქმიანი დამოკიდებულება უფრო ჰქონდა და ალერსით და ენის მოჩლექით არ ელაპარაკებოდა. ხანდახან ზოგიერთს გულშიც ჩაიკრავდა ხოლმე, მაგრამ ეს საქმიანი შე-თანხმების ხელის ჩამორთმევით დასრულებას უფრო ჰგავდა. რევოლვერებით მოვარჯიშე ბიჭებიც კი უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა ბავშვებისაგან განსხვავდებოდნენ – შე-დარებით თავშეკავებულები და ყოველთვის უფრო სახიფათონი იყვნენ; არა, დიდები არ ეთქმოდათ, ჩვეულებრივი ბავშვები იყ-ვნენ, მაგრამ სიგიჟის მსუბუქი კვალი ეტყობოდათ – და ქათ-ბერტი სულაც არ ყოფილა კორტის მოსწავლეთაგან პირველი, რომელსაც ჰაქსი ჩუმ-ჩუმად აჭმევდა. ამწუთას ის დიდ ელექ-ტროქურასთან იდგა. მთელ ციხე-კოშკში სულ ექვსი ასეთი, ჯერ კიდევ მომუშავე ელექტროქურა დარჩენილიყო. სამზარეულო ჰაქსის პირადი სამფლობელო იყო და ახლა თვალს ადევნებდა, როგორ აწობდნენ როლანდი და ქათბერტი საწებელში მის მიცე-მულ ხორცის ნაჭრებს. გარშემო მზარეულის თანაშემწე ბიჭები, ჭურჭლის მრეცხავები და ჰაქსის სხვა ხელქვეითები ირეოდნენ, ქვაბებს აჩხარუნებდნენ, წვნიანს ურევდნენ, სარდაფში მონები-ვით ჩამწყვდეულები კარტოფილსა და ბოსტნეულს თლიდნენ. მკრთალად განათებულ საკუჭნაოში შეშუპებულსახიანი და თავ-ზე ძონძწაკრული დამლაგებელი ქალი იატაკს წმენდდა.

მზარეულთან მრეცხავმა ბიჭმა მიირბინა. მას ციხე-კოშკის ერთ-ერთი მცველი შემოჰყვა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამ კაცს შენი ნახვა უნდა, ჰაქს.

– კარგი, – ჰაქსმა მცველს თავი დაუქნია და მცველმაც ასევე უპასუხა. – ბიჭებო, თქვენ მეგისთან წადით, ღვეზელს გაჭმევთ, მერე კი აქედან მოცოცხეთ. შარში არ გამხვიოთ.

მოგვიანებით ორივემ გაიხსენა მისი ეს სიტყვები: „შარში არ გამხვიოთ“.

ბიჭები თავის ქნევით დაემშვიდობნენ და მეგისთან წავიდნენ. მეგიმ მათ თეფშებზე ღვეზლის დიდი ნაჭრები დაუწყო და მიაწოდა, ოღონდ ფრთხილად, თითქოს ბიჭები ძაღლები არიან და ეშინია, არ დამკბინონო.

– მოდი, კიბის ქვეშ შევჭამოთ, – შესთავაზა როლანდს ქათბერტმა.

– კარგი.

სამზარეულოსგან მოშორებით, ვეება, დაორთქლილი კოლონადის უკან დასხდნენ და ხელით შესანსლეს თავიანთი ღვეზლები. უეცრად განიერ კიბესთან მისული კედლის შორეულ კუთხეს ვიღაცეების ლანდები დაეფინა. როლანდმა ქათბერტს ხელი ჩაავლო.

– წამო, – უთხრა მას, – ვიღაც მოდის.

ქათბერტმა თავი ასწია და კენკრით მოთხუპნილ სახეზე გაკვირვება დაეხატა.

თუმცა ლანდები გაჩერდნენ. ადამიანები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ. ეს ჰაქსი და ის მცველი აღმოჩნდნენ. ბიჭები სადაც ისხდნენ, იქვე დარჩნენ, რომ გავინძრეთ, ვაითუ გაიგონონო.

– ...კეთილი კაცი. – ამბობდა მცველი.

– ფარსონი?

– ორ კვირაში, – უპასუხა მცველმა, – ან სამში. ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე. საქონელი საწყობშია... – გაისმა ქვაბებისა და ტაფების განსაკუთრებით ხმამაღალი ჩხარუნი, რასაც

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტვენა და სიცილ-ხარხარი მოჰყვა, მოუქნელ მრეცხავ ბიჭს რომ დააყარეს და, როლანდმა და ქათბერტმა მხოლოდ წინადადების დასასრული გაიგონეს: – მოწამლული ხორცი.

– სარისკოა.

– იმას კი ნუ იკითხავ, რის გაკეთება შეუძლია შენთვის კეთილ ადამიანს... – დაიწყო მცველმა.

– არამედ შენ რის გაკეთება შეგიძლია მისთვის, – ამოიოხრა ჰაქსმა. – ნუ იკითხავ, ჯარისკაცო.

– კარგად იცი, ეს რასაც ნიშნავს, – ჩუმად თქვა მცველმა.

– დიახ, ვიცი. ისიც მახსოვს, რომ მისგან დავალებული ვარ. შენი ჭკუის სწავლება არ მჭირდება. მეც ისევე მიყვარს ის, როგორც შენ. რომ მთხოვოს, ზღვაშიც კი გადავხტები მისთვის.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ხორცს შენს ცივ საწყობში შევზიდავთ და დავაწერთ, რომ შენახვის მოკლე ვადა აქვს. უნდა იჩქარო. ხომ გესმის?

– ტონტონში ბავშვები არიან? – იკითხა მზარეულმა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ პასუხი ისედაც იცოდა.

– ბავშვები ყველგან არიან, – რბილად უპასუხა მცველმა. – სწორედ ბავშვების ბედი გვანაღვლებს. მათ შორის, მასაც.

– მოწამლული ხორცი. უცნაურად კი ზრუნავთ მათზე, – სტვენანარევი ხმით ამოიხვნეშა ჰაქსმა. – მოიკუნტებიან, ხელებს მუცელზე დაიწყობენ და ატირებულები დედიკოებს უხმობენ. მე ასე მგონია.

– არა, უბრალოდ, ჩაეძინებათ და მორჩა, – თქვა მცველმა, მაგრამ მისი სიტყვები მეტისმეტად კეთილგონივრულად და მისაღებად ჟღერდა.

– ჰო, რა თქმა უნდა, – ჩაიცინა ჰაქსმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თავად თქვი, ნუ იკითხავ, ჯარისკაცოო. რა გირჩევნია, ბავშვები კვლავინდებურად იარაღის ძალით მართონ, თუ მისი ხელმძღვანელობით ახალი სამყაროს შენება დაიწყონ?

ჰაქსს მცველისთვის პასუხი არ გაუცია.

– ოც წუთში ჩემი მორიგეობა იწყება, – კვლავ აუღელვებლად თქვა მცველმა. – ცხვრის ბარკალი მაჭამე, თან შენს რომელიმე გოგოს დავჩქმეტ და ცოტას ვაკისკისებ. რომ წავალ...

– ნუ გეშინია, ჩემი ცხვრის ხორცი არ გაგჭვალავს, რობსონ.

– შენა, იქნებ... – დაიწყო მცველმა, მაგრამ ლანდები ამოძრავდნენ და ხმებიც ნელ-ნელა მიწყდა.

„შემეძლო ორივე მომეკლა, – გაიფიქრა გაშეშებულმა როლანდმა, – ჩემი დანით მომეკლა ორივე, ღორებივით გამომეჭრა მათთვის ყელი“.

საწებლით, კენკრითა და ვარჯიშით დასვრილ ხელებზე დაიხედა.

– როლანდ.

როლანდმა ქათბერტს შეხედა. სურნელოვან ნახევრად ბნელში დიდხანს მისჩერებოდნენ ერთმანეთს. როლანდმა პირში სასოწარკვეთილების მწარე გემო იგრძნო. ეს განცდა სიკვდილს ჰგავდა – სათამაშო მოედნის თავზე მტრედის სიკვდილივით სასტიკსა და საბოლოოს.

„ჰაქსი? – ვერაფრით იჯერებდა. – ჰაქსი, რომელმაც იმ დღეს ფეხზე ცხელი საფენი დამადო? ის ჰაქსი?“ – და უცებ მისი ცნობიერება ჩაიკეტა უსიამოვნო ფიქრებისაგან თავის დასაცავად.

ქათბერტის მუდამ მხიარული და საზრიანი გამომეტყველებაც სადღაც გამქრალიყო. მის სახეზე ვერაფერს წაიკითხავდით – საერთოდ ვერაფერს. ქათბერტის თვალებში ჰაქსის აღსასრუ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი ირეკლებოდა. ქათბერტის თვალები უკვე ხედავდნენ ამას, ეს უკვე ხდებოდა. ჰაქსმა მათ საჭმელი აჭამა, მერე ბიჭები კიბის ქვეშ დასხდნენ, მოლალატე ჰაქსი კი მცველ რობსონთან პირისპირ სალაპარაკოდ კუთხეში გავიდა. თავისდა საუბედუროდ, ადგილი შეცდომით შეარჩია. ასეთი რამეა კა, ხანდახან მთიდან დაგორებული მსხვილი ლოდია. მორჩა და გათავდა.

იმწუთას ქათბერტის თვალები მსროლელის თვალები იყო.

X

როლანდის მამა მთიანეთიდან ახალი დაბრუნებული იყო და პორტიერებითა და შიფონით გაწყობილ მთავარ მისაღებ დარბაზში ცოტა უადგილოდ გამოიყურებოდა.

სტივენ დისქეინს შავი ჯინსის შარვალი და ლურჯი სამუშაო პერანგი ეცვა. მტვრიანი, დასვრილი და ერთგან გარღვეული ლაბადა მხარზე დაუდევრად გადაეკიდა და სულაც არ ანაღვლებდა, თავისი ჩაცმულობით რამდენად ესადაგებოდა ოთახის სიკოხტავეს. საშინლად გამხდარიყო და ხშირი, გრძელი, ბოლოებში აპრეხილი ულვაში თითქოს თავს უმძიმებდა და წინ ექაჩებოდა, როცა შვილს ზემოდან დაჰყურებდა. თეძოებზე ჯვარედინად შემორტყმულ ქამრებზე რევოლვერის ბუდეები ისე მიემაგრებინა, რომ საჭიროების შემთხვევაში რევოლვერის ტარებისთვის მოხერხებულად ჩაევლო ხელები. სანდალოზის ტარები ოთახის სუსტ განათებაში დუნედ და მოწყენილად გამოიყურებოდა.

– მთავარი მზარეული, – რბილად წარმოთქვა როლანდის მამამ, – ვინ წარმოიდგენდა! რკინიგზის სადგური, რომელიც მთიანეთში ააფეთქეს. ჰენდრიქსონში ნახირი რომ გაწყვიტეს. შეიძლება... დაუჯერებელია! დაუჯერებელია!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყურადღებით შეხედა ვაჟიშვილს.

– ეს გაწუხებს, – შენიშნა მან.

– შევარდენივით მკორტნის, – თქვა როლანდმა და დაამატა: – შენც გაწუხებს. – გაეცინა, ოღონდ შედარებაზე და არა შექმნილ ვითარებაზე.

მამამისმაც გაიცინა.

– კი, – თქვა როლანდმა, – მგონი, მართლაც მაწუხებს.

– შენთან ერთად ქათბერტი ყოფილა, – თქვა მამამისმა, – ალბათ, უკვე ეტყოდა მამას.

– ჰო.

– ჰაქსი ორივეს გაჭმევდათ, როცა კორტი...

– ჰო.

– ქათბერტზე რაღას იტყვი? შენი აზრით, მასაც აწუხებს?

– არ ვიცი, – უპასუხა როლანდმა. არ აინტერესებდა. სულაც არ ადარდებდა, იზიარებდა თუ არა მის გრძნობებს სხვა.

– ეს იმიტომ გაწუხებს, რომ ხვდები, შენ გამო კაცი მოკვდება?

როლანდმა უხალისოდ აიჩეჩა მხრები. სულაც არ მოეწონა, რომ მამა მისი საქციელის მიზეზის დასადგენად ჩაეძია.

– და მაინც ყველაფერს მომიყევი. რატომ?

ბიჭს თვალები გაუფართოვდა.

– როგორ არ მეთქვა? ღალატი...

მამამ ხელის აქნევით გააწყვეტინა.

– თუ ამ ყველაფრისკენ სასკოლო სახელმძღვანელოში ამოკითხულმა რომელიმე იაფფასიანმა იდეამ გიბიძგა, ამაოდ დამაშვრალხარ. თუ ასეა, მირჩევნია, მთელი ტონტონი მოიწამლოს და გაწყდეს.

– სულაც არა! – მრისხანედ წამოიძახა როლანდმა. – ორივეს მოკვლა მინდოდა! მატყუარები! ორპირები! გველები! მათ...

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– განაგრძე.

– მაწყენინეს, – შეუპოვრად დაასრულა ბიჭმა. – ჩემში რაღაც შეცვალეს და გული დამწყვიტეს. ამისთვის მათი დახოცვა მომინდა. იქვე მინდოდა ორივეს მოკვლა.

მამამ მოწონებით დაუქნია თავი.

– სასტიკად ჟღერს, მაგრამ არა შეუფერებლად. კი, უზნეობაა, რაც შენ ისურვე, მაგრამ ზნეობრიობა არ მოგეთხოვება. პირიქით... – დაჟინებით მიაჩერდა ვაჟიშვილს, – ყოველთვის ზნეობაზე მაღლა უნდა იდგე. ქათბერტივით ან ვენეის ბიჭივით გონებამახვილი არ ხარ, მაგრამ არა უშავს. ეს საშიშს გაგხდის.

ბიჭს ამის მოსმენა კი ესიამოვნა, მაგრამ ცოტა შეშფოთდა კიდეც.

– მას...

– ჩამოახრჩობენ.

– ამის ნახვა მინდა.

უფროსმა დისქეინმა თავი უკან გადახარა და გადაიხარხარა.

– მთლად ისეთ საზარელსაც ვერა, როგორც მეგონა... ან იქნებ სულაც ბრიყვს დაემსგავსო, – მან მკვეთრად მოკუმა პირი, ბიჭს მკლავზე ხელი წაავლო და მტკივნეულად მოქაჩა. როლანდს სახე მოებრიცა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია. მამა დაჟინებით უყურებდა, არც როლანდი არიდებდა მზერას, თუმცა ეს იმაზე ძნელი იყო, ვიდრე შევარდნისთვის თავზე ჩაჩის ჩამოცმა.

– კარგი, შეგიძლია, ნახო, – უთხრა მამამ და წასასვლელად გამზადებულმა, ზურგი აქცია.

– მამა?

– რა?

– ხომ არ იცი, ვისზე ლაპარაკობდნენ? ვინ არის კეთილი კაცი?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მამა ისევ მისკენ მიტრიალდა და ცნობისმოყვარედ შეათვალიერა.

– კი, მგონი, ვიცი.

– თუ კეთილ კაცს შეიპყრობ, – ზანტად დაიწყო როლანდმა, – მზარეული ხომ ბოლო იქნება, ვისაც დავკიდებთ?

მამამისმა სუსტად გაიღიმა.

– ცოტა ხანს მართლაც ასე იქნება, მაგრამ როდისმე მაინც გამოჩნდება ვინმე, ვისაც, როგორც შენ აღნიშნე ენამოსწრებულად, დავკიდებთ. ხალხს სხვანაირად არ შეუძლია. მოღალატეს თვითონ გამოძებნის სადმე.

– დიახ, – როლანდი მაშინვე მიხვდა მამის სიტყვების მნიშვნელობას და ეს სიტყვები სამუდამოდ დაამახსოვრდა, – მაგრამ თუ კეთილ კაცს შეიპყრობ...

– არა, – აუღელვებლად მოუჭრა მამამ.

– რატომ არა? ყველაფერი ამით რატომ არ დასრულდება?

ერთი პირობა მამამისი თითქოს აპირებდა, აეხსნა, რატომაც, მაგრამ გადაიფიქრა.

– მგონი, უკვე საკმარისად ვილაპარაკეთ. ახლა კი მომწყდი თავიდან.

როლანდს უნდოდა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა მამისთვის, როცა ჰაქსის ჩამოხრჩობის დრო მოვა, შენი პირობა არ დაგავიწყდესო, მაგრამ მისი მოთმინების გამოცდა ვერ გაბედა. მუშტი შუბლზე მიიდო, ერთი ფეხი წინ გამოსწია და მამის წინაშე თავი დახარა. მერე სასწრაფოდ გავიდა და კარი გაიხურა. მიხვდა, რომ მამამისს ერთი სული ჰქონდა, ეჟიმავა. როლანდმა მშვენივრად იცოდა, რომ დედა და მამა ჟიმაობდნენ და ისიც საკმაოდ კარგად იცოდა, ეს როგორ კეთდება. თუმცა სურათი, რომელიც ამაზე ფიქრისას მის გონებაში ჩნდებოდა, ყოველთვის თრგუნავდა და თავს დამნაშა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვედაც გრძნობდა. წლების შემდეგ სიუზენმა ოიდიპოსის ამბავი მოუთხრო და როლანდმა ინტერესით მოუსმინა. უსმენდა სიუზენს და ახსენდებოდა მამას, დედას და მარტენს (რომელსაც ზოგან ისე იცნობდნენ, როგორც „კეთილ კაც ფარსონს“) შორის წარმოქმნილი უჩვეულო და სისხლიანი სასიყვარულო სამკუთხედი. ან სულაც ოთხკუთხედი – თუ საკუთარ თავსაც მიამატებდა.

XI

სახრჩობელას ბორცვი ტონტონისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა; იყო ამაში რაღაც პოეტური, რის აღქმის უნარიც ქათბერტს შესწევდა, მაგრამ როლანდს – არა. მას შთამბეჭდავად ავბედითი, ლამის ლურჯ ცამდე ასული ეშაფოტი და სახრჩობელა უფრო მოეწონა – გრძელი, კუთხოვანი სილუეტი, საფოსტო გზის თავზე რომ გამოკვეთილიყო.

ბიჭები დილის მეცადინეობიდან გაათავისუფლეს. კორტმა გულმოდგინედ წაუკითხა მათ მამების დატოვებული მითითებები. კითხვას რომ მორჩა, ფურცლები ფრთხილად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. აქაც კი, გალაადში, ქაღალდი ოქროსავით ძვირად ფასობდა. როცა ეს ორი ფურცელი უსაფრთხოდ დაიგულა, კორტმა განთიადის მოლურჯო-მოიისფრო ცას ახედა და თავი დააქნია.

– აქ დაიცადეთ, – უთხრა ბიჭებს და თავის ნახევრად დანგრეულ საცხოვრებელში შევიდა. იქიდან უსაფუვრო პური გამოიტანა, ორად გატეხა და ბიჭებს თითო ნატეხი მისცა. – როცა ყველაფერი დამთავრდება, ამ ნატეხებს მის ფეხქვეშ დადებთ. იცოდეთ, ზუსტად ისე გააკეთებთ, როგორც გითხარით, თორემ შემდეგ მეცადინეობაზე მაგრად მიგბეგვავთ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭები ვერაფერს ხვდებოდნენ, სანამ ქათბერტის იაბოზე ამხედრებულები ბორცვს არ მიადგნენ. სახრჩობელასთან ჩამოხრჩობამდე ოთხი საათით, სხვებზე კი ორი საათით ადრე, ყველაზე პირველები მივიდნენ. სახრჩობელას ბორცვზე სულიერი არ ჭაჭანებდა, თუ ჭილყვავებს და ყორნებს არ ჩავთვლით. ფრინველები ყველგან იყვნენ, სახრჩობელას, ამ სიკვდილის კარკასის ძელაკებზე შემოსკუპებულები ხმაურობდნენ, ეშაფოტის კიდეებზე ჩამომსხდარიყვნენ, საფეხურებზე ადგილის მოსაპოვებლად ერთმანეთს ებრძოდნენ.

– გვამებს აქ ტოვებენ, – ჩაიბურტყუნა კორტმა, – ფრინველებისთვის.

– ბორცვზე ავიდეთ, – თქვა როლანდმა.

ქათბერტმა შეძრწუნებულმა შეხედა.

– ზემოთ? როგორ გგონია...

როლანდმა ხელის აწევით გააწყვეტინა.

– ჯერ ძალიან ადრეა. კიდევ დიდხანს არავინ მოვა.

– კარგი.

ნელა მიუახლოვდნენ სახრჩობელას. დამფრთხალი ფრინველები ფრთხიალით წამოიშალნენ და მიწაჩამორთმეული გლეხების ბრბოსავით მათ თავზემოთ ტრიალი და ჩხავილი დაიწყეს. შიგა სამყაროს დილის შუქით განათებული, მოწმენდილი ცის ფონზე მათი სხეულები შავად მოჩანდა.

როლანდმა პირველად გააცნობიერა ჩადენილი საქციელის შემზარაობა: ის, რომ სახრჩობელა ცივილიზაციის გენიალური და კეთილშობილური გამოგონება კი არა, ტყეში მოჭრილი ფიჭვისგან გამოთლილი, ჩიტების სკინტლით მოთხვრილი ერთი უბრალო ძელი იყო. საფეხურები, მოაჯირი, ეშაფოტი – ყველაფერი სკინტლით იყო მოთხუპნილი და საშინლად ყარდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეძრწუნებული როლანდი ქათბერტისკენ შებრუნდა და სასოწარკვეთილი მზერა მიაპყრო. აღმოჩნდა, რომ ქათბერტსაც ასეთი გამომეტყველება ჰქონდა.

– არ შემიძლია, – დაიჩურჩულა ქათბერტმა, – რო, ამას ვერ ვუყურებ.

როლანდმა ნელა გააქნია თავი. ესეც ერთგვარი გაკვეთილიაო, მიხვდა ის, ოღონდ მკაფიო და ნათელი გაკვეთილი კი არა, ძველი, ჟანგიანი, უსიამოვნო. სწორედ ამიტომაც დართეს მამებმა აქ მოსვლის ნება. და როლანდიც ჩვეული სიჯიუტითა და შეუპოვრობით გაემზადა ამ არასასიამოვნო გამოცდილების მისაღებად.

– შეგიძლია, ბერტ.

– ამას რომ ვუყურო, ამაღამ ველარ დავიძინებ.

– ჰოდა, ნულარ დაიძინებ, – ეს რა პრობლემააო, გაუკვირდა როლანდს.

ქათბერტმა ხელი მაგრად მოჰკიდა და ისეთი უტყვი აგონიით შეხედა, რომ როლანდი კვლავ ეჭვებმა შეიპყრო, მთელი გულით ინატრა, ნეტა იმ საღამოს დასავლეთ სამზარეულოში არ წავსულიყავითო. მამას სიმართლე უთქვამს მისთვის. ნეტა საერთოდ არაფერი სცოდნოდა. ამას სჯობდა, ტონტონის ყველა კაცი, ქალი და ბავშვი მომკვდარიყო.

და მაინც, როგორი ჟანგიანი და ფარულიც უნდა ყოფილიყო ეს გაკვეთილი, როლანდი მის არსში ჩაწვდომას და გათავისებას აპირებდა.

– ეშაფოტამდე ნულარ მივალთ, – უთხრა ქათბერტმა, – აქედანაც დავინახავთ ყველაფერს.

როლანდმა უხალისოდ დაუქნია თავი. იგრძნო, რომ მიზანდასახულობა შეუსუსტდა, ამ გაურკვეველი გამოცდილების მიღების სურვილი თითქოს გაუქრა... არადა, ზუსტად იცოდა,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა მათთან კორტი რომ ყოფილიყო, ორივეს მაგრად შემოსცხებდა და მიაწვენდა, მერე ძალით წამოყრიდა და ცხვირგატეხილებს და ცრემლნარევი სისხლით პირგამოვსებულებს, ნაბიჯ-ნაბიჯ, გინებ-გინებით აიყვანდა ეშაფოტზე. ეს კი არა, სახრჩობელაზე პირადად მათთვის ჩამოკიდებდა თოკს და თავებს სათითაოდ გააყოფინებდა ყულფში, ყველაფრის ცხადად შესაგრძნობად და აღსაქმელად; თან, რომელიმე ბიჭს რომ წამოეტირა ან შიშით ჩაესველებინა, მაშინვე მუშტს გაუქანებდა. რასაკვირველია, კორტს ამის გამო არავინ დაადანაშაულებდა, მისი მოვალეობაც ხომ ეს იყო. როლანდს პირველად შესძულდა თავისი ბავშვობა. ინატრა, ნეტა უკვე დიდი და ძლიერი ვიყოო.

სანამ სახრჩობელას ზურგს შეაქცევდა, მოაჯირს პატარა ნაწილი მოატეხა და გულის ჯიბეში ჩაიდო.

– ეგ რად გინდა? – ჰკითხა ქათბერტმა.

უნდოდა, მხიარულად ეთქვა, ბედნიერებისთვისო ან რამე მსგავსი, მაგრამ მხოლოდ თავი გააქნია და ესღა მოახერხა: – ისე, უბრალოდ. მინდა, სულ თან მქონდეს.

სახრჩობელას მოსცილდნენ, დასხდნენ და ლოდინი დაიწყეს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ქალაქელები გამოჩნდნენ. თანდათან იკრიბებოდნენ. ძირითადად ოჯახები მოდიოდნენ დანჯღრეული ფურგონებითა და ურმებით. საუზმე – ჭიაფერასჯემიანი ცივი ბლინებით სავსე კალათები – თან მოჰქონდათ. როლანდს შიმშილისგან მუცელი აუყურყურდა და დაღონებულმა კიდევ ერთხელ გაიფიქრა, სად არის აქ ღირსება და კეთილშობილებაო. მთელი ცხოვრება ასეთ რამეებს ასწავლიდნენ და ახლა ეჭვი შეეპარა, ხომ არ მატყუებდნენო; ან იქნებ ღირსება ბრძენთა მიერ ღრმად ჩამარხული განძია, რომელზეც ყველას ხელი არ მიუწვდება? როლანდს ძალიან უნდო-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ამის დაჯერება, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ჭუჭყიანი თეთრი ხალათით შემოსილი, ოხშივრითა და ორთქლით სავსე მიწისქვეშა სამზარეულოში მოფუსფუსე ჰაქსი, რომელიც ხელქვეით ბიჭებს წინ და უკან დაარბენინებდა, ბევრზე ღირსეული კაცი იყო. როლანდმა სახრჩობელას მოაჯირის ნატეხს იმედგაცრუებულმა და დაბნეულმა მოუჭირა ხელი. მის გვერდით ქათბერტი წამოწოლილიყო აპათიური, უშფოთველი გამომეტყველებით.

XII

საბოლოოდ, ყველაფერი არც ისე მძიმე სანახავი აღმოჩნდა, როგორც როლანდს ეგონა. ამან ძალიან გაახარა. ჰაქსი ღია ოთხთვალათი მოიყვანეს, თუმცა მხოლოდ სქელი ღიპით იცნეს: მისთვის ფართო შავი ქსოვილით აეხვიათ თვალები. ზოგმა სიკვდილმისჯილს ქვები დაუშინა, უმეტესობამ საუზმობა და სეირის ყურება განაგრძო.

როლანდისთვის უცნობმა მსროლელმა მსუქანი მზარეული ფრთხილად აიყვანა საფეხურებზე (ბიჭს უხაროდა, რომ ამის გაკეთება მამას არ მოუხდა). ორი გუშაგი უკვე ეშაფოტის იატაკზე ამოჭრილი გასახსნელი კარის აქეთ-იქით იდგა. მსროლელმა თოკი ხარიხაზე გადაატარა, ჰაქსს ყულფი ჩამოაცვა და ისე მაგრად მოუჭირა, რომ კვანძი ლამის მარცხენა ყურის ძირს ეხებოდა. ფრინველებს ეშაფოტი დაეტოვებინათ, მაგრამ როლანდმა იცოდა, რომ ისინი შორიახლო იცდიდნენ.

– დანაშაულის აღიარება ხომ არ გინდა? – ჰკითხა მსროლელმა სიკვდილმისჯილს.

– დანაშაული არ ჩამიდენია, – თქვა ჰაქსმა. მისი სიტყვები უჩვეულოდ მკაფიოდ და ხმამაღლა გაისმა, თუმცა სახვევი ლამის ტუჩებამდე ჰქონდა ჩამოწეული. მსუბუქი, საამური ნიავი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქსოვილს ოდნავ არხევდა. – არ დამვიწყებია სახე მამაჩემისა, მუდამ ჩემთან იყო.

როლანდმა ბრბოს გადაავლო თვალი და ნანახმა გააკვირვა. ნუთუ მათ სახეებზე თანაგრძნობა ამოიკითხა? თუ აღფრთოვანება? მამას ვკითხავო, გაიფიქრა. როცა მოღალატეებს გმირებს უწოდებენ (ან გმირებს მოღალატეებს, გაიფიქრა როლანდმა ჩვეული სიმკაცრით), შავბნელი ხანა დგება. მართლაც რომ შავბნელი. ნეტა უფრო მეტ რამეს ვხვდებოდეო, ინატრა ბიჭმა. უცებ კორტი და მისი მოცემული პურის ნატეხი გაახსენდა. მის მიმართ სიძულვილით გაიმსჭვალა; ახლოვდებოდა დღე, როცა კორტი მისი მსახური გახდებოდა. აი, ქათბერტისა, ალბათ, არა. შეიძლება, ბერტს კორტის მუდმივი იერიშებისთვის ვერ გაეძლო და პაჟობას ან მეჯინიბეობას ვერ გასცდენოდა (უფრო უარესი, შეიძლება, სუნამონაპკურებ დიპლომატად ქცეულიყო, კაბინეტში უქმად რომ გაჰყავს დრო ან ბროლის ბურთებში იყურება სიბერისაგან დაჩაჩანაკებულ მეფეებსა და უფლისწულებთან ერთად), მაგრამ როლანდი ამგვარს არაფერს აპირებდა. ეს ზუსტად იცოდა. ის მთა-ველად სახეტიალოდ და შორეულ მხარეებში სამოგზაუროდ გაჩნდა. ასეთი მომავალი ბედნიერება რომ ეგონა, შემდგომში მარტოსულ მსროლელს ძალიან უკვირდა.

– როლანდ.

– აქ ვარ, – ქათბერტს ხელი მოჰკიდა და მათი თითები მაგრად გადაეჭდო ერთმანეთს.

– ბრალი გედება მკვლელობისა და ამბოხის მცდელობაში, – უთხრა ჰაქსს მსროლელმა. – შენ ნათელი უარყავი და მე, ჩარლზი, ძე ჩარლზისა, საუკუნოდ ბნელს მიგაბარებ.

ხალხი აბუტბუტდა. ზოგიერთი აღშფოთებას გამოთქვამდა.

– არასოდეს არ...

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეგ ზღაპრები საიქიოში მოჰყევი, მატლო, – თქვა ჩარლზმა, ძემ ჩარლზისა და ყვითელხელთათმნიანი ხელებით ჩამოსწია ბერკეტი.

იატაკზე ამოჭრილი კარი გაიღო. ჰაქსი, რომელსაც სიტყვა არ დაესრულებინა, შიგ ჩაეკიდა. როლანდს ეს სურათი სამუდამოდ აღებეჭდა გონებაში. მზარეული რაღაცის თქმას ცდილობდა. ნეტა სად დაასრულა წინადადება, რომლის წარმოთქმაც ამქვეყნად დაიწყო? მას სიტყვა უეცარმა ტკაცანმა გააწყვეტინა, რომელიც ძალიან ჰგავდა ზამთრის ცივ საღამოს კერაში კოჟრიანი შეშის გასკდომის ხმას.

დიდი არაფერი ყოფილაო, გაიფიქრა როლანდმა. მზარეულმა ფეხები ააფართხალა, რასაც კმაყოფილი ბრბო სტვენით შეხვდა. სამხედრო პოზაში მდგარი გუშაგები მოეშვნენ. ჩარლზი, ძე ჩარლზისა ნელა ჩამოვიდა ეშაფოტიდან, ცხენზე ამხედრდა, პირდაპირ არხეინად მსხდარ მოპიკნიკეებში შეაჭენა და მიმოფანტა, ზოგიერთ ზანტს მათრახი გადაუჭირა, სხვები თავისით ჩამოეცალნენ.

ხალხიც მალევე დაიშალა და ორმოცი წუთის შემდეგ დაბალ ბორცვზე ორი ბიჭის მეტი აღარავინ დარჩა. ფრინველები სანადიმოდ დაბრუნდნენ. ერთი ყორანი ჰაქსს მხარზე შეასკუპდა და მზარეულის მარცხენა ყურზე ჩამოკიდებულ ბზინვარე, ლაპლაპა რგოლს ნისკარტის ცემა დაუწყო.

– საერთოდ არ ჰგავს ძველ ჰაქსს, – შენიშნა ქათბერტმა.

– როგორ არა, ჰგავს, – თავდაჯერებულად თქვა როლანდმა, როცა სახრჩობელას კორტის გამოტანებული პურის ნატეხებით მიუახლოვდნენ. ბერტი შეცბუნებული ჩანდა.

ხარიხის ქვეშ დადგნენ და მოქანავე გვამს ახედეს. ქათბერტი უტიფრად შეეხო ჰაქსის ბალნიან კოჭს. გვამმა კიდევ ერთხელ შემოხაზა რკალი ჰაერში.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭებმა სწრაფად დააწყვეს პურის ნატეხები მის ფეხებქვეშ და სახრჩობელას მოსცილდნენ. როლანდმა მხოლოდ ერთხელ მიიხედა უკან. სახრჩობელას ურიცხვი ფრინველი დასეოდა. მაშ, პური მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური რამ ყოფილაო, ბუნდოვნად მიხვდა როლანდი.

– კარგი იყო, – თქვა ქათბერტმა უეცრად. – კი... ნაღდად... მომეწონა.

როლანდი მის სიტყვებს არ გაუკვირვებია. თავად ჩამოხრჩობის სცენამ დიდად ვერ მოხიბლა, მაგრამ მაინც მიხვდა, ბერტი რასაც გულისხმობდა. იქნებ ბერტი სულაც არ გადიპლომატდებაო, გაიფიქრა გულში.

– ვერ ვიტყვი, რომ მომეწონა, – უთხრა როლანდმა ბერტს, – მაგრამ ნახვად კი ღირდა. ნამდვილად ღირდა.

მათი ქვეყანა კეთილმა კაცმა მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ჩაიგდო ხელში. იმ დროს როლანდი უკვე მსროლელი იყო, ხოლო მამამისი – მკვდარი; როლანდს უკვე დედის მოკვლაც მოესწრო, ხოლო სამყაროს – ადგილიდან დაძვრა.

ასე დაიწყო შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობები.

XIII

– შეხედე, – ცისკენ მიუთითა ჯეიკმა.

მსროლელმა აიხედა და მარჯვენა ბარძაყში ტკივილმა დაუარა. სახე შეეცვალა. უკვე მეორე დღე იყო, მთისწინეთში იმყოფებოდნენ და მართალია, ტიკები თითქმის ბოლომდე იყო დაცლილი, აღარ დარდობდნენ. სასმელი წყალი მალე საკმარისად ექნებოდათ.

მსროლელმა ჯეიკის თითს თვალი გააყოლა: ზემოთ, მწვანე პლატოს იქით, მოშიშვლებული ქარაფებისა და კლდე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარებისკენ... კიდევ უფრო მაღლა, დათოვლილი მწვერვალისკენ.

შორს ძლივს გასარჩევად მოჩანდა პაწაწინა წერტილი (რომელიც, მისი უცვლელობა რომ არა, თვალწინ მოფარფატე, განუწყვეტლივ მოცეკვავე მტვრის ნამცეცი გეგონებოდა) – შავსამოსიანი კაცი, რომელიც ციცაბო ფერდობზე ძალიან სწრაფად მიცოცავდა, როგორც პაწაწინა ბუზი გრანიტის უზარმაზარ კედელზე.

– ის არის? – ჰკითხა ჯეიკმა.

მსროლელი უპიროვნო ლაქის შორეულ აკრობატიკას ცივად ადევნებდა თვალს. გაურკვეველი, უსიამოვნო წინათგრძნობა აწუხებდა.

– ის არის, ჯეიკ.

– როგორ ფიქრობ, დავეწევით?

– ამ მხარეს ველარ. გადალმა. ოღონდ თუ აქ უქმად დგომას და ლაყბობას მოვრჩებით.

– რამსიმაღლე მთებია, – თქვა ჯეიკმა. – მთებს იქით რა არის?

– არ ვიცი, – უპასუხა მსროლელმა. – მგონი, არც არავინ იცის. შეიძლება, ოდესღაც იცოდნენ. წავედით, ბალღო.

კვლავ აღმასვლას შეუდგნენ. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ფერდობს პატარ-პატარა კენჭები სწყდებოდა და ქვიშასთან ერთად მათ ზურგს უკან თითქოს უკიდეგანოდ გადაჭიმულ, მზისგან შეხრუკულ უდაბნოში ცვიოდა. მათ თავზემოთ, შორს, შავსამოსიანი კაცი სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა. ძნელი იყო იმის გარჩევა, უკან იყურებოდა თუ არა. როგორც ჩანს, შავსამოსიანი კაცი იოლად ახტებოდა განიერ ნაპრალებს და ციცაბო კალთებზე მიცოცავდა. ერთი-ორჯერ გაუჩინარდა, მაგრამ ისევ გამოჩნდა, სანამ იისფერმა დაისმა მდევრებს

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მხედველობა არ დაუბინდა. ღამის გასათევად დაბანაკდნენ. ჯეიკი ბევრს არ ლაპარაკობდა, ხოლო მსროლელი ფიქრობდა. ნეტა ბიჭი თუ ხვდებოდა იმას, რასაც მსროლელი ინტუიციურად გრძნობდა? მას ქათბერტის გამომეტყველება გაახსენდა – მგზნებარე, გაწბილებული, აღფრთოვანებული. გაახსენდა პურრი. გაახსენდა ფრინველები. ყველაფერი ყოველთვის ასე მთავრდებაო, გაიფიქრა მან. არსებობს ძიება და გზები, რომლებიც მუდამ წინ მიგიძღვის. და ყველა გზა ერთ ადგილას მიდის – სასაკლაოზე.

გარდა, ალბათ, კოშკისკენ მიმავალი გზისა. იქ კა თავის ჭეშმარიტ სახეს გამოაჩენს.

ბიჭს, მსხვერპლს, რომლის უცოდველი და ნორჩი სახე პაწაწინა კოცონის შუქს გაენათებინა, ლობიოს კონსერვის ჭამისას ჩასძინებოდა. მსროლელმა პლედი გადააფარა და თვითონაც დასაძინებლად დაწვა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისანი და მთეგი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მესამე

მისანი და მთები

I

ბიჭი სამისნოს წააწყდა და კინაღამ დაიღუპა.

მსროლელი შინაგანმა ხმამ თუ ალღომ გამოარკვია ძილქუშიდან, რომელიც დაბნელებისას დაეცა მოგზაურებს. მან და ჯეიკმა მთისწინეთის პირველი მაღლობი დაძლიეს და მის თხემზე თითქმის მოსწორებულ ადგილს – ბალახიან ოაზისს – მიაგნეს. ჯერ კიდევ მცხუნვარე მზის ქვეშ უნაყოფო ფერდობზე ასვლისას, როცა ყოველი ნაბიჯის გადადგმა დიდ ძალისხმევად უჯდებოდათ, ზემოდან ჭრიჭინების ჭრიჭინი ესმოდათ, რომლებიც მარადმწვანე, ნოტიო კორომებსა და ბალახბულახში მაცდურად ისრესდნენ ფეხებს. მსროლელი სიმშვიდეს ინარჩუნებდა, არც ბიჭს ეტყობოდა მღელვარება და დაღლილობა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. მსროლელი ძალიან ამაყობდა მისით. თუმცა ჯეიკის გაუფერულებული და გაშტერებული თვალები ვერ მალავდნენ გაშმაგებულ მზერას ცხენისა, რომელსაც წყლის სუნი სცემს, მაგრამ დაუყოვნებლივ წყაროსკენ გაჭენებისაგან მხედრის ნებისყოფა აკავებს; ცხენისა, რომელიც ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას მხოლოდ ურთიერ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თგაგება გააჩერებს და არა აღვირი. მსროლელი ხვდებოდა, რასაც განიცდიდა ჯეიკი, რადგან ჭრიჭინების ჭრიჭინი მასაც ახელებდა. ხელები თითქოს თავისით დაეძებდნენ წვეტიან შვერილებსა და ქვებს, რათა კანი გადაეყვლიფათ, ხოლო მუხლები თითქოს ღრმა, მწიწკნავ ჭრილობებს ითხოვდნენ.

მთელი ეს დრო მზე უმოწყალოდ აცხუნებდა; მაშინაც კი, როცა დაისზე სიცხიანივით გაწითლდა და გასივდა, მარცხნიდან ჯიუტად აჭერდა სხივებს კლდოვან ნაპრალებს, მოგზაურებს თვალებს სჭირდა და ოფლის ყოველ წვეთს ტკივილის მოელვარე პრიზმად აქცევდა.

მერე ფერდობზე მცენარეული საფარი გაჩნდა: თავიდან პატარა ყვითელი ბუჩქები, რომლებიც ხრიოკ მიწას მთელი ძალით ეჭიდებოდნენ სიცოცხლის შესანარჩუნებლად, უფრო მაღლა თანდათან მწვანე და ქორფა ალქაჯის ბალახი გახშირდა... მერე ჰაერში ნამდვილი ბალახის სურნელი დატრიალდა; ბალახში ტიმოთელებიც გამოერია, აქა-იქ ჯუჯა სოჭებით დაჩრდილული კორდებიც გაჩნდა. ჩრდილში რაღაც ყავისფერმა გაიელვა. მსროლელმა რევოლვერი დააძრო, გაისროლა და სანამ გაოგნებული ჯეიკი წამოყვირებას მოასწრებდა, კურდღელი მოკლა. თვალის დახამხამებაში რევოლვერი ისევ ბუდეში დააბრუნა.

– ესეც ასე, – თქვა მსროლელმა. მათ თვალწინ მინდორი მწვანე ტირიფების კორომად გადაიქცა. უკიდეგანო, გადახრუკული მყარი ფიქალის შემდეგ ასეთი სიმწვანე გამაოგნებელი სანახავი იყო. კორომში, ალბათ, ნაკადული მიედინებოდა (თან არა ერთი) და უფრო მეტი სიგრილეც იქნებოდა, მაგრამ მსროლელმა ტრიალ მინდორზე დარჩენა არჩია. ბიჭი ისედაც წაქცევას იყო და ნაბიჯს ძლივს დგამდა, კორომის სიღრმეში კი, ალბათ, სისხლისმწოველი ღამურები ბინადრობდნენ. ღამურები ბიჭს ძილს (თუნდაც ღრმას) დაუფრთხობდნენ; ხოლო თუ ეს ღამურები ვამ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირები აღმოჩნდებოდნენ, მოგზაურები საერთოდ ველარ გაილვიძებდნენ... ყოველ შემთხვევაში, ამ სამყაროში ველარ.

– შეშას მოვაგროვებ, – თქვა ბიჭმა.

– არა, არ მოაგროვებ. დაჯექი, ჯეიკ, – გაუღიმა მსროლელმა. ვის ეკუთვნოდა ეს ფრაზა? ვილაც ქალს. სიუზენს? მსროლელს აღარ ახსოვდა. *დრო მეხსიერების ქურდია*: ეს კი კარგად იცოდა. ეს ვენეიმ თქვა.

ბიჭი დაჯდა. მსროლელი რომ დაბრუნდა, მას ბალახში ჩაფლულს ეძინა. ვეებერთელა ჩოქელა პირდაპირ ბიჭის ქოჩორზე ატარებდა განბანვის ცერემონიას. მსროლელმა გადაიხარხარა – პირველად, ღმერთებმა უწყის, რამდენი ხნის განმავლობაში, მერე კოცონი დაანთო და წყლის მოსაძებნად წავიდა.

ტირიფების კორომი იმაზე ხშირი აღმოჩნდა, ვიდრე მსროლელი ელოდა. ბინდში იქ გზის გაკვლევა საკმაოდ ჭირდა. თუმცა ბაყაყებით გარშემორტყმულ წყაროს მაინც მიაგნო. ტიკები წყლით აავსო და... შეყოვნდა. ღამის ხმიანობამ მასში უსიამოვნო ვნება აღძრა, გრძნობა, როგორიც ელიმ, მისმა ტალელმა საყვარელმაც კი, ვერ გამოიწვია მასში – ელისთან მისი ურთიერთობა მეტწილად საქმიანი იყო. მსროლელმა გრძნობათა ეს უეცარი მოჭარბება უდაბნოდან სიმწვანეში აღმოჩენას მიაწერა. მრავალი უდაბური კილომეტრის გამოვლის შემდეგ ღამის სინაზე ლამის უხამსობად ეჩვენებოდა.

ბანაკში დაბრუნდა და სანამ წყალი გაცხელდებოდა, კურდღელი გაატყავა. ბოსტნეულის ბოლო კონსერვმა კურდღლის წვნიანი ძალიან გააგემრიელა. მსროლელმა ჯეიკი გაალვიძა და მერე უყურებდა, როგორ მოშვებულად, მაგრამ მადიანად ივახშმა ბიჭმა.

– ხვალაც აქ დავრჩებით, – უთხრა მსროლელმა.

– კი, მაგრამ ის კაცი, შენ რომ მისდევ... მღვდელი...

– ის მღვდელი არ არის. ნუ ღელავ, მაინც დავეწევით.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა იცი?

მსროლელმა მხოლოდ თავი გააქნია, არ ვიციო. ინტუიციით ხვდებოდა... თუმცა ეს დიდად არ ახარებდა.

ნავახშმევს კონსერვის ქილები, საიდანაც წვნიანი ჭამეს, გარეცხა (თან უკვირდა, წყალს რა დაუდევრად ვხარჯავო) და, რომ შემობრუნდა, ჯეიკს უკვე ეძინა. მსროლელმა იგრძნო, როგორ აუჩქარდა გული და უჩვეულო განცდა დაეუფლა, რაც ყოველთვის მხოლოდ ქათბერტთან იყო დაკავშირებული. ქათბერტი როლანდის ტოლი იყო, მაგრამ ბევრად უმცროსად გამოიყურებოდა.

სიგარეტი ბალახზე დაუვარდა და მსროლელმა ჭვინტისკვრით შეაგდო კოცონში. ეშმაკის ბალახის კოცონისაგან განსხვავებით, ალი უფრო ყვითელი და სუფთა იყო. გრილოდა. მსროლელი კოცონისკენ ზურგშექცევით დაწვა.

შორიდან, მთების სილრმეში მიმავალი ხეობიდან ჭექა-ქუხილი ისმოდა. ჩაეძინა. და სიზმარი ნახა.

II

სიუზენ დელგადო, შეყვარებული, თვალწინ უკვდებოდა.

მკლავებში აქეთ-იქიდან ორ-ორი სოფლელი ჩაჰფრენოდა, ვეება ჟანგიანი რკინის საყელურით დამძიმებულს თავი ძალლივით ჩაეხარა. სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად მოხდა. იქ არც კი ყოფილა. თუმცა სიზმრებში ხომ რეალობის კანონები არ მოქმედებს.

სიუზენი კვდებოდა. მისი შეტრუსული თმის სუნი სცემდა, ესმოდა ბრბოს ყიჟინა:

– ჩარიუ-ხე!

თავისი სიშმაგის ფერსაც კი ხედავდა. სიუზენი, ფანჯარასთან მდგარი მომხიბლავი გოგონა, მერემის ქალიშვილი.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ მიაგელვებდა ცხენს „ტაფობზე“, ცხენისა და გოგოს ლანდები ერთმანეთს ერწყმოდა, ძველი ზღაპრის გმირს ჰგავდა, ველურსა და თავისუფალს! როგორ დააგელვებდნენ სიმინდის ყანაში ცხენებს! ახლა კი სიმინდის ფუჩეჩს გოგოს აყრიდნენ და ფუჩეჩს ჰაერშივე ეკიდებოდა ცეცხლი.

– ჩარიუ-ხე! ჩარიუ-ხე! – ყვიროდა ბრბო, სინათლისა და სიყვარულის მტერი. სადღაც ალქაჯი ხარხარებდა. რეა, ასე ერქვა იმ ალქაჯს, სიუზენი კი თანდათან შავდებოდა ცეცხლში, კანი უსკდებოდა... და რას გაჰყვიროდა?

– ბიჭო! – ეძახდა მას. – როლანდ, ბიჭო!

როლანდმა გაიწია და დამატყვევებლებიც თან გაიყოლა. საყელური კისერში ღრმად ჩაერჭო და ხმა ჩაუწყდა, ხავილი ალმოხდა. ჰაერში დამწვარი ხორცის გულისამრევად მოტკბო სურნელი დატრიალდა.

ბიჭი მაღალი ფანჯრიდან დასცქეროდა. იმავე ფანჯრიდან, რომელთანაც ოდესღაც სიუზენი იჯდა, ვინც კაცობა შეასწავლა და ძველ სიმღერებს: „*Hey Jude*“-ს, „*Ease on Down the Road*“-ს და „*Careless Love*“-ს მღეროდა. ბიჭი ეკლესიაში მდგარი წმინდანის ალებასტრის ქანდაკებასავით იდგა ფანჯარასთან. მარმარილოს თვალები ჰქონდა. ჯეიკისთვის შუბლში ლურსმანი ჩაერჭოთ.

მსროლელმა იგრძნო, როგორ ამოიჭრა მისი სხეულიდან ყრუ, მახრჩობელა, სიშმაგის მანიშნებელი ღრიალი:

– ННННННННННН...

III

როლანდმა იგრძნო, როგორ შეტრუსა ცეცხლმა და ღმუილით გამოელვიძა. სიბნელეში წამოჯდა. ჯერაც ვერ გამორკვეულიყო მეჯისური კოშმარიდან, რომელიც ისევე ახრჩობდა,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც ის საყელური სიზმარში. ძილში წრიალისას ცალი ხელი უნებლიეთ მბჟუტავ ნაკვერცხლებზე დაედო. სახეზე ხელი აიფარა. სიზმარმა თანდათან უკან დაიხია, მხოლოდ თაბაშირივით თეთრი, დემონების წმინდანი ჯეიკის სურათი არ გაფერმკრთალებულა და ცხადად ედგა თვალწინ.

– ნნნნნნნნნნ...

ტირიფების კორომის იდუმალ სიბნელეს ორივე რევოლვერმომარჯვებულმა მოავლო თვალი. მინავლებული კოცონის სუსტ შუქში მისი თვალები წითელ ამბრაზურებს ჰგავდა.

– ნნნნნნნნნნ...

ჯეიკი.

მსროლელი წამოხტა და ხმის მიმართულებით გაიქცა. მთვარის ნალვლიანი დისკო უკვე ამოსულიყო და დანამულ ბალახზე ბიჭის ნაკვალევს არჩევდა. ტირიფების კორომში შევარდა, წყაროში გადგაფუნდა, მეორე ნაპირზე ტალახში ფეხი მოუცურდა და ძლივს შეიმაგრა თავი. ტირიფის წნელები სახეს უკაწრავდა. კორომი თანდათან გახშირდა და სქელმა ხეებმა მთვარე დაფარეს. წყვდიადში ხის ღეროების სილუეტები იკვეთებოდა. უკვე მუხლებამდე მწვდომი ბალახი ნაზად ეფერებოდა, თითქოს სთხოვდა, ნუ ჩქარობ, შეჩერდი, სიგრილით დატკბიო. ნახევრად დამპალი ტოტები ცდილობდნენ, მის წვივებს, მის კვერცხებს მისწვდომოდნენ. მსროლელი წუთით შედგა და ჰაერი დაყნოსა. მსუბუქი ნიავი დაეხმარა. რა თქმა უნდა, ბიჭს ცუდი სუნი ასდიოდა. ორივეს ცუდი სუნი ასდიოდა. მსროლელმა მაიმუნივით დაბერა ნესტოები. ბიჭის ოფლის სუნი სუსტი იყო, ახალგაზრდული, არაფერში შეგეშლებოდა. მსროლელი ხმელი ბალახისა და მოტეხილი ტოტების გროვას გადაახტა და გადმოკიდებული ტირიფებისა და თუთუბოების გვირაბში შევარდა. ხავსი გვამის მოდუნებული ხელებივით ეხებოდა მხრებზე, ნაცრისფერი საცეცებივით ეჭიდებოდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტირიფების უკანასკნელი წინაღობა გადალახა და მდელოზე გააღწია. მაღლა ვარსკვლავები კიაფობდნენ. მიუწვდომელ სიმაღლეზე მთაგრეხილის უმაღლესი მწვერვალი თავის ქალასავით თეთრად ლაპლაპებდა.

მდელოზე შავი ქვის სვეტების რკალი იყო; მთვარის შუქში რომელიღაც სიურრეალისტურ მახეს ჰგავდა. რკალის შუაში ქვის ფილა შენიშნა... სამსხვერპლო. ფილა ძალიან ძველი იყო, პირდაპირ მიწიდან ამოშვერილ ბაზალტის ლოდზე დაყრდნობილი.

ბიჭი სამსხვერპლოს წინ იდგა და წინ და უკან ქანაობდა. ხელები დენით დამუხტულივით უკანკალებდა. მსროლელმა ბიჭს დაუძახა. ჯეიკმა უარის გამომხატველი გაურკვეველი ბგერებით უპასუხა. დაბრეცილ სახეზე ერთდროულად აღბეჭდვოდა შიში და აღტაცება, და კიდევ რაღაც...

მსროლელმა რკალში შეაბიჯა. ჯეიკი შეკრთა, შეჰყვირა და ხელები აიქნია. ახლა მისი სახე გარკვევით მოჩანდა; მასზე შიში და ძრწოლა აუტანელ სიამოვნებას ებრძოდა.

მსროლელმა რაღაცის შეხება იგრძნო. ეს სამისნოს სული იყო, სუკუბი. საზარდულში სიმხურვალემ დაუარა, ნაზმა და, იმავდროულად, ძლიერმა. თავბრუ დაეხვა, ენა გაუსქელდა; მომდგარი ნერწყვიც კი აღიზიანებდა.

თვითონაც არ იცოდა, რატომ ამოიღო ჯიბიდან საფოსტო სადგურში, მოლაპარაკე დემონის ბუნაგში ნაპოვნი ნახევრად გახრწნილი ყბა. ინსტინქტურად მოქმედების არასდროს ეშინოდა. ეს მისი საუკეთესო თვისება იყო. უძველესი კბილებდაკრეჭილი ყბა სახის წინ დაიჭირა, მეორე ხელის საჩვენებელი თითითა და ნეკით კი „ჩანგლის“ ნიშანი, ავი თვალისგან დასაცავი უძველესი სიმბოლო, გამოსახა.

მოზღვავებული ვნება უეცრად გაქრა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯეიკმა ისევ წამოიყვირა.

მსროლელი ბიჭს მიუახლოვდა და ყბა სახესთან მიუტანა.

– ამას დააკვირდი, ჯეიკ, კარგად დააკვირდი.

პასუხად ტკივილით აღსავსე ყვირილი გაისმა. ბიჭმა მზერის გადატანა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. იფიქრებდით, ახლა გაიხლიჩებაო – გონებრივად თუ არა, ფიზიკურად მაინც. უცებ თვალები გადაატრიალა და ჩაიკეცა. მომჩვარული დაეცა მიწაზე. ცალი ხელით ლამის სამსხვერპლოს საყრდენ ბაზალტის ლოდს ეხებოდა. მსროლელმა მაშინვე ჩაიმუხლა და ბიჭი ხელში აიყვანა. ჯეიკი საოცრად მსუბუქი აღმოჩნდა, უდაბნოში ხანგრძლივი მოგზაურობისას ნოემბრის ფოთოლივით გამომშრალიყო.

როლანდმა იგრძნო, რომ ქვების რკალში დავანებული სული ეჭვიანობამ და სიბრაზემ შეიპყრო – მას ნადავლს ართმევდნენ. როცა მსროლელმა რკალიდან გააბიჯა, ეჭვიანმა სულმა უკან დაიხია და სწრაფად გაქრა. მსროლელმა ჯეიკი ბანაკში მიიყვანა. ამ დროისთვის ბიჭის მშფოთვარე უგონობა უკვე ღრმა ძილად იქცა.

მსროლელი წუთით ნაცრისფერ ნაკოცონართან შეყოვნდა. მთვარის შუქით განათებულმა ჯეიკის სახემ კვლავ წმინდანის ქანდაკება და მისი ალებასტრის სიქათქათე მოაგონა. ბავშვი გულში ჩაიხუტა და გამომშრალი ტუჩებით ლოყაზე აკოცა, რადგან უეცრად მიხვდა, რომ უყვარდა იგი. შეიძლება, ბიჭი დანახვისთანავე შეუყვარდა (როგორც სიუზენ დელგადო) და მხოლოდ ახლა გამოუტყდა თავს ამაში. გამოუტყდა, რადგან ეს ფაქტი იყო.

ყურში ლამის ცხადად ჩაესმა სადღაც მაღლა მყოფი შავსამოსიანი კაცი ხარხარი.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

IV

მსროლელი ჯეიკის ყვირილმა გააღვიძა. იქვე ახლოს ბუჩქზე მაგრად მიბმულ ბიჭს მოშიებოდა და ბრაზობდა. მზის მიხედვით, ათის ნახევარი იქნებოდა.

– რატომ მიმაბი? – ჰკითხა განაწყენებულმა ჯეიკმა, როცა მსროლელმა გაათავისუფლა. – არსად გაქცევას არ ვაპირებდი.

– კი არ აპირებდი, გაიქეცი, – უპასუხა მსროლელმა და ჯეიკის გამომეტყველებაზე გაეცინა. – გიპოვე და დაგაბრუნე. ძილში დადიოდი.

– მართლა? – დაეჭვებით შეხედა ბიჭმა. – აქამდე მსგავსი არაფერი მიქნია...

მსროლელმა უეცრად ჯიბიდან ყბა ამოიღო და სახესთან მიუტანა. ჯეიკი შეკრთა, დაიღრიჯა და თვალებზე ხელი აიფარა.

– ხედავ?

შემცბარმა ჯეიკმა თავი დაუქნია.

– რა მოხდა?

– ახლა საუბრის დრო არ გვაქვს. ცოტა ხნით უნდა დაგტოვო. შეიძლება მთელი დღე არ დავბრუნდე. ასე რომ, ყურადღებით მისმინე, ბიჭო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მზის ჩასვლამდე არ დავბრუნდი...

ჯეიკს სახეზე შიში აღებეჭდა.

– მტოვებ!

მსროლელმა უხმოდ შეხედა.

– არა, – მშვიდად დაამატა ჯეიკმა წუთის შემდეგ, – ჩემი მიტოვება რომ გნდომოდა, აქამდეც წახვიდოდი.

– ყოჩაღ, უკვე აზროვნებ. ახლა კი კარგად მომისმინე და დაიმახსოვრე: სანამ წასული ვიქნები, აქ დარჩი. ბანაკს არ გასცილდე. რაც უნდა ძალიან მოგინდეს, არსად წახვიდე. თუ თავს

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უჩვეულოდ, ან თუნდაც სასაცილოდ იგრძნობ, ეს ყბა აიღე და სახესთან მიიტანე.

გაოგნებულ ჯეიკს სახე სიძულვილითა და ზიზღით მოებრიცა.

– არა, არ შემიძლია... ვერ შევძლებ.

– შეგიძლია. უნდა შეძლო. განსაკუთრებით ნაშუადღევს. ეს მნიშვნელოვანია. ყბას რომ აიღებ, თავიდან, შეიძლება, გულისრევის შეგრძნება გაგიჩნდეს, ან თავი აგტკივდეს, მაგრამ მალევე გაგივლის. გასაგებია.

– დიახ.

– გააკეთებ, რაც გითხარი?

– კი, გავაკეთებ, მაგრამ რატომ მიდიხარ? – იფეთქა ჯეიკმა.

– საქმე მაქვს.

მსროლელმა კვლავ შეამჩნია ბიჭის მზერაში ფოლადისებური გაელვება, ისეთივე იდუმალი და ამოუცნობი, როგორიც მისი ნაამბობი იყო, იმ ქალაქიდან მოვედი, სადაც ცად აწვდენილი შენობებიაო. ეს ბიჭი ქათბერტს კი არა, მეორე უახლოეს მეგობარს, ალენს აგონებდა. ენამოსწრებული და ლაქლაქა ქათბერტისაგან განსხვავებით, ალენი ჩუმი ბიჭი იყო, საიმედო და უშიშარი.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ჯეიკმა.

მსროლელმა ყბა ფრთხილად დადო ნაკოცონართან. კბილებდაკრეჭილი ყბა გამოფიტულ, ეროზიაგანცდილ ნამარხს ჰგავდა, რომელმაც ხუთიათასწლოვანი წყვდიადის შემდეგ პირველად იხილა მზის შუქი. ფერმიხდილი ჯეიკი თვალს არიდებდა. საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა. მსროლელმა იფიქრა, ხომ არ დავაჰიპნოზო და დავკითხოო, მაგრამ დაასკვნა, ბევრს მაინც ვერაფერს მეტყვისო. ისედაც მშვენივრად იცოდა, რომ ქვების რკალში მობინადრე სული დემონი იყო, სავარაუდოდ,

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისანი. ეს იყო უსხეულო დემონი, უფორმო სექსუალური აურა მომავლის განჭვრეტის ნიჭით. მსროლელმა ისიც კი იფიქრა, სილვია პიტსტონის სული ხომ არ არისო, გოლიათი მქადაგებელისა, რომლის რელიგიურმა ფანატიზმმა ტალში სისხლისღვრა გამოიწვია... მაგრამ არა, ის ვერ იქნებოდა. რკალი უძველესი ქვებისაგან შედგებოდა. იმ არსებასთან შედარებით, იქ რომ ბინადრობდა, სილვია პიტსტონი ახალბედა ღლაპი იყო. ის უფრო ხნიერი და... ცბიერი იყო. თუმცა მსროლელმა კარგად იცოდა, მსგავს არსებას როგორ დალაპარაკებოდა და დარწმუნებული იყო, ჯეიკს ყბის ავგაროზად გამოყენება აღარ მოუწევსო. მისნის გონებას და ხმას ბიჭისთვის აღარ ეცლებოდა. მიუხედავად საფრთხისა, თან ძალიან დიდი საფრთხისა, მსროლელი მისანს უნდა დალაპარაკებოდა. ჯეიკსაც და თვითონაც მისნის ცოდნა ძალიან სჭირდებოდათ.

მსროლელმა თამბაქოს ქისა გახსნა და ხმელი ფოთლების ქვეშიდან ქაღალდის პაწაწინა შეკვრა ამოიღო. თითებით მოსინჯა და ცას გონებაგაფანტულად ახედა. მერე შეკვრა გახსნა და ხანგრძლივი მოგზაურობებისაგან კიდეებგაცვეთილი პატარა თეთრი აბი ხელისგულზე დაიდო.

– ეს რა არის? – ცნობისმოყვარედ შეხედა აბს ჯეიკმა.

– კორტს თუ დავუჯერებთ, ძველმა ღმერთებმა უდაბნოს დააფსეს და ასე წარმოიშვა მესკალინი, – ჩაიცინა მსროლელმა.

ჯეიკი მისმა პასუხმა დააბნია.

– წამალია, ოღონდ ის არა, ძილს რომ გგვრის, – აუხსნა მსროლელმა, – პირიქით, კარგა ხანს დაძინების საშუალებას არ მოგცემს.

– როგორც LSD, – მყისვე დაამატა გაოცებულმა ბიჭმა.

– ეგ რა არის?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ვიცი, – უპასუხა ჯეიკმა, – თავისთავად ამომიტივტივდა გონებაში. მგონი... უწინდელი ცხოვრებიდან გამახსენდა.

მსროლელმა დაეჭვებით დაუქნია თავი. პირველად ესმოდა, არც მარტენის ძველ წიგნებში წაუკითხავს, რომ მესკალინს LSD-ს უწოდებდნენ.

– რამეს ხომ არ გავნებს? – ჰკითხა ჯეიკმა.

– არასდროს არაფერი დაუშავებია, – უპასუხა მსროლელმა, მაგრამ პასუხი თვითონვე არადამაჯერებელი მოეჩვენა.

– არ მომწონს.

– ნუ გეშინია.

მსროლელმა აბი ენაზე დაიდო, მათარა მოიყუდა და აბი გადაყლაპა. როგორც ყოველთვის, მყისიერი რეაქცია იგრძნო: პირი ნერწყვით გაევსო. ნაკოცონართან ჩამოჯდა.

– წამალი როდის ამოქმედდება? – ჰკითხა ჯეიკმა.

– ცოტა ხანში. ჩუმად.

ჯეიკიც გაჩუმდა და ეჭვით მიადევნა თვალი რევოლვერების გაწმენდის მშვიდ რიტუალს.

მსროლელმა რევოლვერები ბუდეებში ჩაიწყო.

– ჯეიკ, პერანგი გაიხადე და მომეცი.

ჯეიკმა უხალისოდ გაიძრო თეთრი გაცვეთილი პერანგი და როლანდს მიაწოდა. ბიჭი ძალიან გამხდარი იყო, ცარიელი ძვალი და ტყავი.

მსროლელმა ჯინსის შარვლის ტოტის გვერდითა ნაკერიდან ნემსი გამოიძრო და სავაზნე სარტყლის ცარიელი სავაზნიდან ძაფი ამოიღო. ბიჭს პერანგის გარღვეული სახელო გაუკემსა, პერანგი დაუბრუნა და მესკალინმაც დაიწყო მოქმედება – მუცელი შეეკუმშა და ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ყოველი კუნთი დაეჭიმაო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– წავედი, – წამოდგა ის, – უკვე დროა.

შეშფოთებულმა ბიჭმა წამოიწია, მაგრამ მალევე დამშვიდდა და ისევ ადგილზე დაეშვა.

– თავს გაუფრთხილდი, – უთხრა მსროლელს, – გთხოვ.

– ყბა არ დაგავიწყდეს, – შეახსენა მსროლელმა, ჯეიკს თავზე ხელი დაადო და სიმინდისფერი თმა აუჩეჩა. ამ ჟესტმა თვითონვე გააცინა. ჯეიკი ნაღვლიანი ღიმილით მიაცილებდა მსროლელს, რომელიც ტირიფების კორომში შევიდა.

V

მსროლელი პირდაპირ ქვების რკალისკენ წავიდა. წყაროსთან შეყოვნდა და წყალი დალია. ხავსით და მოტივტივე დუმფარებით გარშემორტყმულ პატარა გუბეში საკუთარ ანარეკლი დაინახა და ნარცისივით მოხიბლულმა შეათვალიერა. წამალი ამოქმედდა. აზროვნება შეუნელდა, რადგან თითოეული აზრი მრავალმნიშვნელოვანი გახდა და გრძნობითი აღქმის უნარი გაუმძაფრდა. საგნებმა მანამდე უხილავი წონა და სილრმე შეიძინეს. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და ტირიფების ტოტების ხლართს შეავლო თვალი. ფოთლებს შორის მზის ოქროსფერი მტვრიანი სხივები აღწევდა. სანამ გზას განაგრძობდა, მსროლელი ცოტა ხანს მტვრის ნაწილაკების ცეკვა-თამაშს უყურებდა.

წინათ ეს წამალი ძალიან აწუხებდა: მისი ეგო მეტისმეტად ძლიერი იყო (ან მეტისმეტად უბრალო) საიმისოდ, რომ დაჩრდილვა, უკანა რიგებში გადანაცვლება და ნაზი გრძნობების სამიზნედ ქცევა მოეთმინა; ასეთი ემოციები ხშირად კატის ულვაშების შეხებასავით აღიზიანებდა და აგიჟებდა. თუმცა ამჯერად სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ეს კარგი იყო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მდელოზე გააბიჯა და პირდაპირ ქვების რკალში შევიდა. შედგა და გონება მოადუნა. დიახ, ახლა უფრო ძლიერი და სწრაფი ზეწოლა იგრძნო. ბალახის სიმწვანე თვალს სჭრიდა. ეჩვენებოდა, ახლა რომ დავიხარო და ბალახს შევეხო, ხელები სულ მწვანედ შემეღებებაო, მაგრამ როგორღაც გაუძლო ასე მოქცევის ცელქურ სურვილს.

თუმცა მისანი დუმდა. მსროლელი სექსუალურ აღგზნებას საერთოდ ვერ გრძნობდა.

სამსხვერპლოსთან მივიდა და წუთით მის გვერდით გაჩერდა. წესიერად აზროვნების უნარი საბოლოოდ დაკარგა. საკუთარი კბილები ვარდისფერ ნოტიო მიწაში ჩარჭობილ საფლავის ქვებად წარმოესახა. ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა. მსროლელი სამსხვერპლოზე ავიდა და დაწვა. მის გონებაში უჩვეულო, აქამდე უცნობი აზრები აღმოცენდა, როგორც ტირიფების კორომი მესკალინის წყაროს ირგვლივ. ცა წყლად იქცა და თვითონ მის ზედაპირზე ატივტივდა. ამის გაფიქრებამ თავბრუ დაახვია, მაგრამ უსიამოვნო გრძნობა შორეული და უმნიშვნელო გახდა.

ძველი ლექსი ამოუტივტივდა გონებაში, ოღონდ არა საბავშვო. დედამისს წამლებისა და მათი საჭიროების ყოველთვის ეშინოდა (ის კორტსა და ბიჭების ცემის აუცილებლობასაც უფრთხოდა). ლექსი უდაბნოს ჩრდილოეთით მცხოვრები მენის მიმდევრებისაგან მოესმინა. ეს კლანი მანქანა-მოწყობილობების გარემოცვაში ცხოვრობდა. მანქანები ძირითადად გაფუჭებული იყო, მაგრამ რაც მუშაობდა, ზოგჯერ... ხალხს ყლაპავდა ხოლმე. გონებაში განუწყვეტლივ უტრიალებდა ლექსის სტრიქონები და ახსენდებოდა (ყოველგვარი კავშირის გარეშე, როგორც მესკალინის ზემოქმედებისას ხდება ხოლმე), როგორ თოვდა იდუმალ, ლამის ზღაპრულ შუშის ბურთში, ბავშვობაში რომ ჰქონდა:

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვეყნიერების კიდეებს მილმა,
ბნელი, უძირო ქვესკნელის პირთან...

სამსხვერპლოსკენ დახრილ ხეებს სახეები ჰქონდათ. მსროლელი მათ მონუსხულივით უყურებდა, გონებაგაფანტული. ერთგან დრაკონს ხედავდა, მწვანესა და დაკლაკნილს, მეორეგან – ტყის ნიმფას, მკლავ-ტოტების ქნევით თავისკენ რომ იხმობდა, მესამეგან – შლამითა და ლორწოთი დაფარულ ცოცხალ თავის ქალას. სახეები. ყველგან სახეები იყო.

უეცრად მდელოზე ბალახი აშრიალდა.

– *მოვდივარ.*

– *მოვდივარ.*

მსროლელმა ბუნდოვანი აღგზნება იგრძნო. ღრმად ხომ არ შევტოპეო, ჰკითხა საკუთარ თავს. სიუზენთან ერთად „ტაფობზე“ ბალახში წოლიდან აქამდე დაეშვა.

მისანი ტანზე მიეკრა – სხეული ქარისგან მოქსოვილი, მკერდი – სურნელოვანი ჟასმინისა, ვარდისა და ცხრატყავასი.

– მიწინასწარმეტყველე, – თქვა მსროლელმა, – მითხარი, რაც უნდა ვიცოდე.

ოხვრა. ჩუმი ქვითინი. მსროლელს სასქესო ორგანო გაუმაგრდა. ხის სახეებს ზემოთ ხედავდა მთებს – მაღლებს, სასტიკებსა და დაკბილულებს.

მისნის სხეული უფრო მჭიდროდ მიეკრა, არ შორდებოდა. მსროლელმა ხელები დამუშტა. მისანმა სიუზენის ხილვა მოუვლინა. ახლა ზემოდან სიუზენი აწვა, ლამაზი სიუზენ დელგადო, მხრებზე თმაჩამოყრილი რომ უცდიდა „ტაფობზე“, მეჯოგეების მიტოვებულ ქოხში. მსროლელმა თავი გააქნია, მაგრამ სიუზენის სახე არ გამქრალა.

– *ჟასმინი, ვარდი, ცხრატყავა, თივა... სიყვარულის სურნელი. შემიყვარე.*

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მიწინასწარმეტყველე, – უთხრა მსროლელმა, – სიმართლე მითხარი.

– *გთხოვ, ცივი ნუ იქნები,* – შეეხვეწა მისანი, – *აქ სულ ცივა.*

მსროლელის ტანზე ხელები დაცოცავდნენ, ეფერებოდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ. ექაჩებოდნენ. ახრჩობდნენ. სურნელოვანი შავი ნაპრალი, თბილი და სველი...

არა. მშრალი. ცივი. უნაყოფო.

– *გამოიჩინე თანაგრძნობა, მსროლელო. გთხოვ, გემუდარები, შემიცოდე!*

– შენ თუ შეიცოდებდი ბიჭს?

– *რომელ ბიჭს? მე ბიჭს არ ვიცნობ. ბიჭები არ მჭირდება. გთხოვ!*

ჟასმინი. ვარდი. ცხრატყავა. თივა, რომელშიც ჯერაც ცოცხლობს ზაფხულის სამყურას სული. უძველესი ურნებიდან გადმოღვრილი ზეთი. ხორციელი ვნების აღმძვრელი.

– შეგიბრალებ, – უთხრა მსროლელმა, – ოღონდ ჯერ რამე სასარგებლო უნდა მითხრა.

– *ახლავე. გთხოვ, ახლავე.*

მსროლელის გონება, დახვეული გორგალი, მისნისთვის გაიხსნა. მწოლიარე მსროლელის თავზე დაკიდებული სხეული გაშეშდა და თითქოს აკივლდა. მისი გახსნილი გონება-ძაფი, ნაცრისფერი და ბოჭკოვანი, თითქოს ერთი საფეთქლიდან მეორემდე გაჭიმულიყო და ორივე მხარეს ერთდროულად ექაჩებოდნენ. კარგა ხნით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მსროლელის ჩუმი სუნთქვა და გრილი ნიავის ქროლა ისმოდა. ნიავი ხის მწვანე სახეებს გამომეტყველებას უცვლიდა; ისინი თვალს უკრავდნენ და ემანჭებოდნენ. ჩიტები არ ჭიკჭიკებდნენ.

მისნის ზეგავლენა შესუსტდა. კვლავ გაისმა ქვითინი. მსროლელს სწრაფად უნდა ემოქმედა, თორემ მისანი მალე დატო-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვებდა, რადგან დარჩენა მას ახლა დაუძლურებას და, შეიძლება, სიკვდილსაც უქადდა. მსროლელმა იგრძნო, რომ მისანი უკვე უკან იხევდა, ქვების რკალს შორდებოდა.

– წინასწარმეტყველება, – მოითხოვა მსროლელმა და პირქუშად დაამატა: – სიმართლე.

სლუკუნნარევი, გაბეზრებული ოხვრა. მსროლელი, ალბათ, მაშინვე შეიცოდებდა მისანს, ჯეიკი რომ არა. წუხელ სულ ცოტაც რომ დაეგვიანებინა, ჯეიკს მკვდარს ან შეშლილს აღმოაჩენდა.

– *მაშინ დაიძინე.*

– არა.

– *მაშინ ჩათვლიმე.*

ის, რასაც მისანი სთხოვდა, სახიფათო იყო, მაგრამ, ალბათ, აუცილებელი. მსროლელმა ფოთლებიდან მაცქერალ სახეებს მიაპყრო მზერა. მის გასართობად იქ სპექტაკლი გაითამაშეს: მის თვალწინ სამყაროები წარმოიშობოდა და იღუპებოდა. უდაბნოს მოელვარე ქვიშაზე, სადაც მანქანა-მოწყობილობები, ელექტროექსტაზით შეპყრობილნი, დაუღალავად მუშაობდნენ, იმპერიები იქმნებოდა. იმპერიები სუსტდებოდა, ეცემოდა და ხელახლა წარმოიშობოდა. უწინ წყალივით მოძრავი თვლები უფრო და უფრო ნელა ტრიალებდა. ვარსკვლავებით ძვირფასი ქვებივით მოჭედილი შავი ცის ქვეშ ბეტონის ქუჩებში უჟანგავი ფოლადის წყალსადინარებს ქვიშა ნთქავდა. მთელი ეს დრო ცვლილებების მომაკვდავი ქარი ქროდა და ოქტომბრის მიწურულის სურნელი მოჰქონდა, დარიჩინის სურნელი. მსროლელი სამყაროს ადგილიდან დაძვრას უყურებდა.

და თვლემდა.

– *სამი. ეს არის შენი ბედისწერის რიცხვი.*

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამი?

– *კი, სამი მისტიკური რიცხვია. სამი შენი ძიების უმთავრესი რიცხვია. მოგვიანებით სხვა რიცხვი გაჩნდება. ახლა მათი რიცხვი სამია.*

– ვისი მათი?

– *„ჩვენ ნაწილ-ნაწილ ვჭვრეტთ და ამიტომ წინასწარმეტყველების სარკე დაბურულია“.*

– მითხარი, რასაც ხედავ!

– *პირველი ახალგაზრდაა, შავთმიანი. ცოტაც და ქურდად და მკვლელად იქცევა. დემონი ჰყავს დაპატრონებული. დემონის სახელია ჰეროინი.*

– ეგ რომელი დემონია? ჩემს მასწავლებელს ამაზე არაფერი უთქვამს.

– *„ჩვენ ნაწილ-ნაწილ ვჭვრეტთ და ამიტომ წინასწარმეტყველების სარკე დაბურულია“. სხვა სამყაროები და სხვა დემონებიც არსებობენ, მსროლელო. წყლები ღრმაა. კარები ეძიე. ვარდები და უპოვნელი კარები ეძიე.*

– მეორე?

– *ის ქალი ბორბლებზე მჯდარი მოვა. მეტს ვერაფერს ვხედავ.*

– მესამე?

– *სიკვდილს ვხედავ, მაგრამ შენსას არა.*

– შავსამოსიან კაცზე რას მეტყვი? სად არის?

– *ახლოს. მალე დაელაპარაკები.*

– რაზე ვილაპარაკებთ?

– *კოშკზე.*

– ბიჭი? ჯეიკი?

– ...

– ბიჭზეც მითხარი რამე!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– *ბიჭი გზაა, რომელიც შავსამოსიან კაცთან მიგიყვანს. შავსამოსიანი კაცი გზაა, რომელიც სამეულთან მიგიყვანს. სამეული გზაა, რომელიც კოშკთან მიგიყვანს.*

– როგორ? რანაირად? რატომ მაინცდამაინც ასე?

– *„ჩვენ ნაწილ-ნაწილ ვჭვრეტთ და ამიტომ წინასწარმეტყველების სარკე...“*

– წყეულო!

– *მე არც ერთ ღმერთს არ დავუწყევლივარ.*

– ნუ გამითამამდი, თავხედო არსებავ!

– ...

– რა გქვია? კახპა ვარსკვლავი? ქართა მეძავი?

– *ზოგი იმ სიყვარულით ცოცხლობს, ამ უძველეს ადგილებს რომ ეწვევა ხოლმე... ამ სევდიან და უბედურ დროშიც კი. ზოგი კი, მსროლელო, სისხლით ცოცხლობს. როგორც ვხედავ, მათ შორის პატარა ბიჭის სისხლითაც.*

– მისი გადარჩენა შეიძლება?

– *კი, შეიძლება.*

– *როგორ?*

– *დამშვიდდი, მსროლელო. დაბრუნდი ბანაკში და ჩრდილო-დასავლეთისკენ აიღე გეზი. ჩრდილო-დასავლეთში ჯერ კიდევ სჭირდებათ ისეთი ხალხი, ვისაც ტყვიის სროლით გააქვს თავი.*

– მე ფიცი დავდე. მამაჩემის რევოლვერებისა და მარტენის ორგულობის ფიცით ვარ შეკრული.

– *მარტენი ცოცხალი აღარაა. შავსამოსიანმა კაცმა შესანსლა მისი სული. ეს შენც კარგად იცი.*

– მე დავიფიცე.

– *მაშ, დაიწყევლები.*

– მიყავი, რაც გინდა, შე ბოზო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მგზნებარე ლტოლვა.

მსროლელს ჩრდილი გადაეფინა, მთლიანად მოიცვა იგი. უეცარი ექსტაზი დამაუძლურებელმა ტკივილმა შეცვალა. მისანთან შეწყვილების კულმინაციურ მომენტში სახეები დაუდგა თვალწინ: სილვია პიტსტონი, ტალელი ელისი, სიუზენი და სხვები.

და ბოლოს, მარადისობის შემდეგ, გონს მოსულმა და არაქათგამოცლილმა მსროლელმა ზიზღით მოიშორა მისანი.

– *არა, ეს არ კმარა! ჯერ...*

– შემეშვი! – თქვა მსროლელმა, წამოჯდა და კინაღამ სამსხვერპლოდან ჩამოვარდა. ძლივძლივობით ადგა. მისანი გაუბედავად შეეხო,

(*ცხრატყავა, ჟასმინი, სურნელოვანი ვარდის ზეთი*)

მაგრამ მსროლელმა უხეშად მოიცილა და მუხლებზე დავარდა.

მერე წამოდგა და რკალის კიდემდე ბარბაცით მივიდა. იქიდან რომ გამოვიდა, თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა მხრებიდან. ცახცახით ამოისლუკუნა. ღირდა კი წინასწარმეტყველება თავის წაბილწვად? ამაზე პასუხი არ ჰქონდა. თუმცა თავის დროზე, ალბათ, შეიტყობდა. როცა რკალს მოშორდა, იგრძნო, რომ მისანი თავისი საკნის გისოსებთან იდგა და მზერით მიაცილებდა. ალბათ, ასეთ დამშეულსა და მარტოსულს კიდევ დიდხანს მოუწევს ლოდინი, სანამ ვინმე გადმოივლის უდაბნოსო, გაიფიქრა მსროლელმა. დროის უსასრულობა და შესაძლებლობები რომ წარმოიდგინა, წამით ჯუჯად იგრძნო თავი.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ცუდად ხარ?!

როცა კორომიდან მსროლელი გამოლასლასდა და ბანაკისკენ წამოვიდა, ჯეიკი სწრაფად წამოხტა ფეხზე. ის ნაკოცონართან მოკალათებულიყო, მუხლებზე ყბა ედო და დაღონებული, კურდღლის ძვალს ღრღნიდა. ისეთი შეწუხებული სახით შეეგება მსროლელს, რომ როლანდმა გარდაუვალი ღალატის სიმძიმე კიდევ უფრო ცხადად გააცნობიერა.

– არა, ცუდად არ ვარ, დავიღალე. არაქათგამოცლილი ვარ, – თითით ყბაზე ანიშნა. – შეგიძლია, მაგას ხელი გაუშვა, ჯეიკ.

ბიჭმა ყბა მაშინვე ძირს დააგდო და ხელები შარვალზე შეიწმინდა. ამ დროს ტუჩები მოეღრიცა. მსროლელის აზრით, ბიჭმა ეს ინსტინქტურად გააკეთა.

მსროლელი დაჯდა, უფრო ზუსტად, დავარდა. მტკივანმა სახსრებმა გაიტკაცუნეს. თავი ჯერაც უგუგუნებდა – მესკალინმა უსიამოვნო, ყრუ ტკივილი დაუტოვა თავში. შორისიც მტკივნეულად უძგერდა. ნელა გაახვია სიგარეტი, აზრდაუტანებლად. ჯეიკი თვალს არ აშორებდა. მსროლელს რატომღაც ძალიან მოუნდა, ბიჭისთვის ეთქვა ყველაფერი, რაც მისნისგან შეიტყო და საერთოდაც, დალაპარაკებოდა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. მგონი, მგრძნობიარე ვხდებიო, დაფრთხა, თორემ გონებისა და გულის ბავშვისთვის გადაშლა წარმოგიდგენიათ? ეს ნამდვილად სიგიჟე იყო.

– ამაღამ აქ დავიძინებთ. ხვალ ასვლას გავაგრძელებთ. ცოტა ხნის მერე ახლომახლო გავივლ-გამოვივლი, იქნებ ვახშმად რამე მოვინადირო. ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ. ახლა დავიძინებ. კარგი?

– კი, რა თქმა უნდა. გაითიშე.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა?

– მიდი, დაიძინე-მეთქი.

– აა, – მსროლელმა თავი დაუქნია და წამოწვა. „გავითიშო, – გაიფიქრა, – უნდა გავითიშო“.

რომ გაიღვიძა, მდელოზე ჩრდილები დაგრძელებულიყო.

– ცეცხლი გააჩაღე, – უთხრა ჯეიკს და ტალ-კვესი გადაუგდო. – შეძლებ?

– მგონი, კი.

მსროლელი ტირიფების კორომისკენ დაიძრა, მაგრამ უეცრად ბიჭის ხმა მოესმა და გაქვავდა.

– ნაპერწკალო, გამინათე ღამე, მამაჩემთან მიმასწავლე გზა მე! – წაიღიღინა ბიჭმა და ტალზე კვესი გაჰკრა. როლანდმა ჩხაკუნი გაიგონა. ჩხაკ-ჩხაკ-ჩხაკ! – პატარა, მექანიკური ჩიტის ხმას ჰგავდა. – გინდა ვიძინო, გინდა ვიფხიზლო, დაე კოცონმა დილამდე იგიზგიზოს!

„ეტყობა, ჩემგან გაიგო, – გაიფიქრა მსროლელმა და სულაც არ გაჰკვირვებია, რომ გაწუწული ძაღლივით აცახცახებულს, მკლავებზე ერთიანად დაბურძგლა. – დიახ, ჩემგან გაიგებდა. არადა, აღარც მახსოვს, როდის წავიმღერე. და ამ ბიჭს უნდა ვუღალატო? ო, როლანდ, ნუთუ ამ კეთილ ბავშვს ამ უკეთურ სამყაროში უღალატებ? ვერაფრით გაიმართლებ თავს!“

„ეს მხოლოდ სიტყვებია!“

„აჰა, მხოლოდ სიტყვებია, მაგრამ ძველი და კარგი სიტყვები“.

– როლანდ, კარგად ხარ? – დაუძახა ბიჭმა.

– ხო, – ჩახრინწული ხმით უპასუხა მსროლელმა და ცხვირში კვამლის სუნი დაეტაკა. – ცეცხლი დაგინთია!

– კი, – უბრალოდ უპასუხა ბიჭმა, მაგრამ მსროლელი უკან მოუხედავადაც მიხვდა, რომ ჯეიკი იღიმებოდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი ამჯერად კორომში აღარ შესულა, მარცხნივ გასწია. იმ ადგილას, სადაც ბალახით უხვად შემოსილი მიწა იწევდა და ფერდობად იქცეოდა, ხის ჩრდილში შედგა და მიაყურადა. ჯეიკის დანთებული კოცონის ტკაცატკუცი სუსტად, მაგრამ გარკვევით ისმოდა. ამან ღიმილი მოჰგვარა.

ათი, თხუთმეტი, ოცი წუთი გაუნძრევლად იდგა. მინდორზე სოროდან სამი კურდღელი გამოხტა. მსროლელმა სასხლეტს თითი სამჯერ გამოჰკრა. მოკლული კურდღლები გაატყავა, გამოშიგნა და ბანაკში წაიღო. ჯეიკს წყალი უკვე გაეცხელებინა და ახლა ქვაბი ნელ ცეცხლზე შემოედგა.

– კარგი ნამუშევარია, – შეაქო მსროლელმა.

ნასიამოვნები ჯეიკი გაწითლდა და ტალ-კვესი მსროლელს დაუბრუნა.

სანამ ხორცი ჩაიშუშებოდა და დაღამდებოდა, მსროლელმა დაისის შუქით ისარგებლა და ტირიფების კორომში შევიდა. პირველ წყაროსთან გუბის ჭაობიანი ნაპირის ირგვლივ მზარდი ლიანები დაჭრა, რომლებმაც ხელები მწვანე წვენით დაუსვარეს. მოგვიანებით, როცა ჯეიკი დაიძინებდა, ამ ლიანებისგან თოკების დაწვნას აპირებდა, სადმე გამოგვადგებაო. თუმცა ალღო კარნახობდა, მთებში მოგზაურობა რთული არ იქნებოდა. მსროლელი გრძნობდა, რომ მოვლენები კას მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული და ეს აღარ უკვირდა.

მზის ამოსვლისთანავე ადგნენ და ნახევარ საათში აიბარგნენ. საუზმობისას მსროლელი კიდევ იმედოვნებდა კურდღლის მონადირებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მდელოზე ერთი კურდღელიც არ გამოჩენილა. საჭმელი ისე ცოტა დარჩენოდათ, რომ ფუთას ჯეიკიც მოერეოდა. მით უმეტეს, ბიჭი უკვე გაკაჟებულიყო და მოღონიერებულიყო – ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელმა ტიკები წყლით გაავსო და მხარზე გადაიკიდა. ლიანებისგან დაწნული სამი თოკი წელზე შემოირტყა. ქვების რკალს შორიდან შემოუარეს (მსროლელმა იფიქრა, ვაითუ ბიჭს შიში განუახლდესო, მაგრამ როცა კლდოვანი ფერდობით გვერდით უვლიდნენ რკალს, ჯეიკმა მხოლოდ წამით გაიხედა იქით და მერე ჩიტზე გადაიტანა მზერა, რომელიც ქარის მიმართულებით მიფრინავდა). თანდათან ხეები დადაბლდა, ფოთლებიც შემოეძარცვათ, ღეროები დაეგრიხათ, ფესვებს კი ნიადაგთან წყლისა და სინოტივისთვის გადატანილი მძიმე ბრძოლის კვალი დაეტყო.

– ყველაფერი ისეთი ძველია, – შენიშნა ჯეიკმა, როცა სულის მოსათქმელად დასხდნენ, – აქ, ამ სამყაროში, არსებობს რამე ახალი?

– შენ, – გაუღიმა მსროლელმა და იდაყვი გაჰკრა.

ჯეიკმა სუსტი ღიმილით უპასუხა.

– მთაზე ასვლა ძნელი იქნება?

– ეს მთები ძალიან მაღალია. შენ როგორ ფიქრობ, ძნელი იქნება? – ცნობისმოყვარედ შეხედა მსროლელმა.

ჯეიკმა დანისლული თვალებით დაბნეული მზერა მიაპყრო და უპასუხა:

– არა.

გზა განაგრძეს.

VIII

მზემ ზენიტს მიაღწია, ცოტა ხნით შეყოვნდა (განსხვავებით უდაბნოს მზისაგან), მერე ცის დასალიერისკენ გადაიხარა და მგზავრებს თავიანთი ლანდები დაუბრუნა. კლდის შვერილები მთის კალთებიდან მიწაში ჩარგული გიგანტური სავარ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძლის სამკლავურებივით იყო გამოზიდული. ბალახის საფარი გაყვითლდა და დაჭკნა. ერთგან მგზავრებს კრატერის მსგავსმა ნაპრალმა გადაუღობა გზა და ირგვლივ შემოსავლელად დაბალ, გამოფიტულ კლდეზე აცოცდნენ. ძველისძველი გრანიტი დამსკდარიყო და მისი შრეები საფეხურებს დამსგავსებოდა. როგორც როლანდი და ჯეიკი ვარაუდობდნენ, მოგზაურობა (ყოველ შემთხვევაში, მოგზაურობის დასაწყისი მაინც) რთული არ გამოდგა. კლდის დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიგანის წვერზე ცოტა ხნით შეჩერდნენ და უკან, მთიანეთისკენ ვეება ყვითელი თათივით გამოშვერილი უდაბნოსკენ გაიხედეს. უდაბნოს შორეული კიდე თეთრად ლაპლაპებდა და თვალისმომჭრელ სიმხურვალეში იკარგებოდა. მსროლელმა აუღელვებლად გაიფიქრა, ამ უდაბნომ კინაღამ მომკლაო. ამ გრილი ადგილიდან, სადაც ახლა იდგა, უდაბნო შთამბეჭდავი კი ჩანდა, მაგრამ მომაკვდინებლად აღარ გამოიყურებოდა.

მოგზაურებმა ასვლა განაგრძეს. ჩამოცვენილი ქვების გროვაში მიიკვლევდნენ გზას, კვარცითა და ქარსით მოწინწკლულ, აბრჭყვიალებულ დამრეც გვერდობებზე მიცოცავდნენ. კლდოვანი ზედაპირი გახურებული იყო, ჰაერი კი – შედარებით გრილი. ნაშუადღევს შორეული ჭექა-ქუხილის ხმა მოესმათ. როგორც ჩანს, მთებს გადაღმა წვიმდა, მაგრამ მაღალი ქედი ხედს ფარავდა.

როცა ჩრდილები მეწამულისფრად შეიღება, უფსკრულის პირას, კლდის შვერილის ქვეშ დაბანაკდნენ. მსროლელმა პლედებით რაღაც ფარდულის მსგავსი მოაწყო. ამ „ფარდულის“ შესასვლელში ჩამოსხდნენ და უყურებდნენ, როგორ გადაეფარა დედამიწას ღამის საბურველი. ჯეიკს ფეხები კიდიდან გადაეყო და აქანავებდა. მსროლელი სიგარეტს აბოლებდა და ბიჭს ხალისიანად ადევნებდა თვალს.

– ძილში არ იწრიალო, თორემ ჯოჯოხეთში გაიღვიძებ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ვიწრიალებ, – სერიოზულად უპასუხა ბიჭმა. – დედა-ჩემი ამბობს... – ფრაზა შუაზე გაწყვიტა.

– რას ამბობს?

– რომ მკვდარივით მძინავს, – დაასრულა ჯეიკმა და მსროლელს შეხედა. ბიჭს ტუჩები უთრთოდა და ცრემლების შეკავებას ცდილობდა. „ის ხომ მხოლოდ ბავშვია, – გაიფიქრა მან და ისეთივე ტკივილი იგრძნო, როგორსაც ყინულივით ცივი წყლის დალევისას გრძნობ ხოლმე შუბლში. – მხოლოდ ბავშვი. რატომ?“ რა სულელური კითხვაა. როცა ფიზიკურად ან სულიერად დასახიჩრებული რომელიმე ბიჭი ამავე კითხვას კორტს დაუსვამდა, ის ხნიერი, ნაიარევებიანი საბრძოლო მანქანა, რომლის მოვალეობაც მსროლელთა ვაჟებისთვის საჭირო ცოდნის მიცემა იყო, ასე პასუხობდა: „რატომ – მრუდე სიტყვაა და ვერ გაასწორებ... რა მნიშვნელობა აქვს, რატომ, შე ცალ-ტვინა! ადე, სანამ არ დაღამებულა!“

– აქ რატომ ვარ? – იკითხა ჯეიკმა. – რატომ დამავიწყდა, წინათ რა მოხდა?

– იმიტომ, რომ აქ შავსამოსიანმა კაცმა მოგიყვანა, – უპასუხა მსროლელმა, – და კიდევ, კოშკის გამო. კოშკი ერთგვარ ენერგეტიკულ ცენტრში დგას... ოღონდ დროში.

– არ მესმის!

– არც მე, – თქვა მსროლელმა, – მაგრამ რაღაც ხდება. ჩემს დროშიც კი. სამყარო ადგილიდან დაიძრაო, ვამბობთ... ყოველთვის ასე ვამბობდით. თუმცა სამყარო ახლა უფრო სწრაფად მოძრაობს. დროს რაღაც დაემართა. ის დრეკადი გახდა.

ჩუმად ისხდნენ. ფეხებზე ნაზი, მაგრამ გრილი სიო ელამუნებოდათ. რომელიღაც ბზარში სიომ ყრუდ დაიზუზუნა.

– შენ საიდან ხარ? – ჰკითხა ჯეიკმა მსროლელს.

– ის ადგილი აღარ არსებობს. ბიბლიაზე გსმენია რამე?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იესო და მოსე. კი, მსმენია.

– კი, ეგაა, – გაეცინა მსროლელს. – ჩემს სამშობლოს ბიბლიური სახელი ერქვა: ახალი ქანაანი, რძისა და თაფლის მხარე. ბიბლიურ ქანაანში იმოდენა ყურძნის მტევნები ყოფილა, ხალხს ურმებით დაჰქონდა. ჩვენთან ვაზი ამხელა მტევნებს არ ისხამდა, მაგრამ ნაყოფიერი მხარე კი იყო.

– მე ოდისევსის შესახებაც მსმენია, – ყოყმანით თქვა ჯეიკმა, – მისი ამბავიც ბიბლიაში წერია?

– შეიძლება, – უპასუხა მსროლელმა, – ბიბლიის დიდი მცოდნე არასდროს ვყოფილვარ და ზუსტად ვერ გეტყვი.

– სხვები... შენი მეგობრები...

– ალარავინ დარჩა, – თქვა მსროლელმა. – მე ბოლო ვარ.

ცაზე გალეული მთვარე ამოვიდა და ალმაცერი მზერა მიაპყრო შვერილს, რომელზეც მგზავრები ისხდნენ.

– შენი ქვეყანა... შენი მხარე ლამაზი იყო?

– ძალიან, – უპასუხა მსროლელმა, – უამრავი მინდორ-ველი, ტყე და მდინარე იყო, რომელთაც დილაობით ნისლი ეფინა. თუმცა, დედაჩემის თქმით, ნამდვილი მშვენიერება წესრიგში, სიყვარულსა და სინათლეშია.

ჯეიკმა გაურკვეველი ხმა გამოსცა.

მსროლელმა გააბოლა და წარსული – ვრცელ ცენტრალურ დარბაზში გატარებული ღამეები – გაიხსენა: ასობით მდიდრულად ჩაცმული ფიგურა ვალსის ნელი და თანაბარი ან *პოლ-კამის* სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯებით მოძრაობდა. მშობლების მიერ როლანდისთვის შერჩეულ ეილინ რიტერს მის მაჯაზე დაედო ხელი, თვალები ძვირფას ქვებზე მეტად უბრწყინავდა; ბროლის ელექტროჭაღების შუქი ლამაზად თმადავარცხნილ კურტიზანებს და მათ ნახევრად ცინიკურ საიდუმლო მიჯნურებს დაჰნათოდა. დარბაზი დიდი იყო, სინათლის ნამდვილი კუნძული, ისევე ძვე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი, როგორც ციხე-კოშკი, რომელიც ქვის ასი კოშკისაგან მაინც შედგებოდა. როლანდს აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის ნახა ციხე-კოშკი. წამოსვლის წინ გულისტკივილით მოსწყვიტა მზერა მშობლიურ დარბაზს და უკანმოუხედავად ჩაუდგა შავსამოსიან კაცს კვალში. მაშინ ციხე-კოშკის კედლები უკვე ბევრგან ჩამონგრეულიყო, ეზოებს სარეველა მცენარეები მოსდებოდა, მთავარი დარბაზის დირეებქვეშ ღამურები ბუდობდნენ, გალერეებში მერცხლების ფრთხიალის ექო ისმოდა. მინდორი, სადაც კორტი ბიჭებს მშვილდოსნობას, რევოლვერის სროლასა და ბაზიერობას ასწავლიდა, ტიმოთელასა და ველურ ვაზს დაეფარა. დიდ სამზარეულოში, სადაც ოდესღაც ჰაქსის სურნელოვანი და ოხშივრიანი სამფლობელო იყო, ახლა ჩლუნგი მუტანტების გროტესკული კოლონია დასახლებულიყო. მუტანტები საკუჭნაოების მოწყალე სიბნელიდან და სვეტების უკნიდან ჩუმ-ჩუმად უჭვრეტდნენ. შემწვარი ხბოსა და გოჭის მძაფრი სურნელით გაჟღენთილი სითბო წებოვანი ხავსის სინესტეს შეეცვალა. უბნელეს კუთხეებში, რომლებთან მიახლოებას ჩლუნგი მუტანტებიც კი ვერ ბედავდნენ, შხამიანი სოკოები აღმოცენებულიყო. მარნის მუხის კარი ღიად დაეტოვებინათ და ყველაზე აუტანელი სიმყრალე იქიდან გამოდიოდა. ეს იყო სრული განადგურებისა და გატიალების სიმბოლო: დაძმარებული ღვინის სუნი. როლანდს მისთვის ზურგის შექცევა და სამხრეთისკენ გეზის აღება არ გასჭირვებია, თუმცა ციხე-კოშკის დატოვებამ გული მაინც დასწყვიტა.

– ომი იყო? – ჰკითხა ჯეიკმა.

– უარესი, – უპასუხა მსროლელმა და სიგარეტის ნამწვი გადააგდო, – რევოლუცია. ყველა ბრძოლა მოვიგეთ და ომში დავმარცხდით. ომით მოგებულები მხოლოდ მაროდიორები დარჩნენ. ალბათ, მრავალი წელი ნაძარცვით ირჩენდნენ თავს.

– ნეტა იქ მეცხოვრა, – ინატრა ჯეიკმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა?

– კი, მართლა.

– ძილის დროა, ჯეიკ.

ბიჭი, რომელიც ბუნდოვან ჩრდილადღა მოჩანდა, გადაბრუნდა და პლედი დაიფარა. მსროლელი კიდევ ერთ საათს სდარაჯობდა მას და ხანგრძლივ, პირქუშ ფიქრებს წაელო. ასეთი რამ მისთვის სიახლე იყო, ერთგვარი მელანქოლიურობით თავისებურად ტკბილი, მაგრამ მაინც უსარგებლო: ჯეიკის პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზა არ არსებობდა, გარდა მისნის მიერ შემოთავაზებული გზისა, ეს კი მისთვის წარმოუდგენელი იყო. ვითარების ტრაგიკულობას მსროლელი ვერ ამჩნევდა, ის მხოლოდ წინასწარგანსაზღვრულობას ხედავდა, რომელიც ყოველთვის არსებობდა. ბოლოს, მისმა ბუნებამ იძალა და მსროლელმა ღრმა, უსიზმრო ძილს მისცა თავი.

IX

მოგზაურებს ვიწრო, სოლისებრი ზეკარისკენ სვლა უფრო უჭირდათ, რადგან მეორე დღეს ფერდობი უფრო დამრეცი გახდა. მსროლელი დინჯად მიაბიჯებდა, კვლავაც არ ჩქარობდა. ქვიან ზედაპირზე შავსამოსიანი კაცის ნაკვალევი არ ჩანდა, მაგრამ მსროლელმა იცოდა, რომ მან უკვე გაიარა; იცოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან და ჯეიკმა ის მთისწინეთიდან დაინახეს – პაწაწინა და ხოჭოსმაგვარი, არამედ იმიტომაც, რომ მწვერვალებიდან მონაბერ ცივ ჰაერს გამუდმებით მისი სუნი მოჰქონდა, ფარისევლური, დამცინავი, ისევე აუტანელი ყნოსვისათვის, როგორც ეშმაკის ბალახის სიმყრალე.

ჯეიკს თმა გაზრდოდა და მზისგან გარუჯულ კისერზე დახვეოდა. ბიჭი ფერდობზე უშიშრად ადიოდა, ფეხს მტკიცედ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დგამდა; როცა ნაპრალებს ახტებოდნენ ან კლდის ლავგარდანებზე მიძვრებოდნენ, სიმაღლის შიში არ ეტყობოდა. უკვე ორჯერ მოახერხა ისეთ ადგილას აძრომა, სადაც მსროლელმა ვერ შეძლო და ზემოდან თოკი გადმოუგდო.

მეორე დილას ოლროჩოღრო კლდოვან კალთებზე ჩამოწოლილ ნესტიან ნისლში გაიკვლიეს გზა და უფრო მაღლა ავიდნენ. აქა-იქ, შედარებით ღრმა ნაპრალებში, გამაგრებული თოვლის ნაფლეთები გამოჩნდა. თოვლი კვარცივით ბზინავდა და ქვიშასავით მშრალი იყო. იმ საღამოს ერთ-ერთ ასეთ ნაფლეთში ერთადერთ ნაკვალევს წააწყდნენ. ჯეიკი შემცბარი დააშტერდა მას, მერე შეძრწუნებულმა ასწია თავი, თითქოს ელოდა, რომ ნაკვალევთან თავად შავსამოსიანი კაცი გაჩნდებოდა. მსროლელმა მხარზე ხელი დაუტყაპუნა და წინ მიუთითა:

– წავიდეთ, თორემ დაგვაღამდება.

მოგვიანებით, მზის ჩასვლისას, მთების შუაგულისკენ მიმავალი ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთით კლდის ბრტყელ ბაქანზე დაბანაკდნენ. ყინავდა. პირიდან ორთქლი გამოსდიოდათ და დაისის წითელ-იისფერ ელვარებაში ჭექა-ქუხილის სველი ხმა სიურრეალისტურად, ცოტა არ იყოს, გიჟურად ჟღერდა.

მსროლელი ფიქრობდა, ბიჭი გამოკითხვას დამიწყებსო, მაგრამ ჯეიკს არაფერი უკითხავს. თითქმის მაშინვე დაეძინა. მსროლელმაც მას მიჰბაძა. კვლავ ალებასტრის ჯეიკი ესიზმრა, შუბლში ლურსმანჩაჭედებული. სუნთქვაშეკრულს გაეღვიძა და ძლივს ჩაისუნთქა, ფილტვები მთების ცივი, გაიშვიათებული ჰაერით აევსო. გვერდით ჯეიკს ეძინა, მაგრამ მოუსვენრად: წრიალებდა და ძილში გაურკვევლად ბუტბუტებდა, ალბათ, ისიც თავის მოჩვენებებს აფრთხობდა. აღელვებულმა მსროლელმა გვერდი იცვალა და ისევ ჩაეძინა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთი კვირის შემდეგ, რაც ჯეიკმა ნაკვალევი იპოვა, წუთით შავსამოსიან კაცს შეეჩეხნენ. იმ ერთ წუთში მსროლელს მოეჩვენა, რომ თავად ბნელი კოშკის ფარულ მნიშვნელობას ჩასწვდა, რადგან ის ერთი წუთი თითქოს უსასრულოდ გაიწელა.

კვლავინდებურად სამხრეთ-აღმოსავლეთით მიიწევდნენ. უზარმაზარი მთაგრეხილის ლამის ნახევარი გაირეს და როცა გზა მართლაც გართულდა (ყინულით დაფარული შვერილები და სიპი კლდეები მსროლელს თავბრუსხვევისა და გულისრევის შეგრძნებას უჩენდა), ერთ ვიწრო უღელტეხილს მიაგნეს და დაღმა დაეშვნენ. დაკლაკნილმა ბილიკმა ისინი ხეობის ძირას ჩაიყვანა, სადაც მთის სიმაღლიდან მთელი ძალით დაშვებული ცივი მდინარე ნაპირებმოყინულ კალაპოტში სწრაფად მიჩქეფდა.

ნაშუადღევს ჯეიკი შეჩერდა და მსროლელს გახედა, რომელიც მდინარესთან შეჩერებულიყო პირის დასაბანად.

– მისი სუნი მცემს, – თქვა ჯეიკმა.

– მეც, – თქვა მსროლელმა.

მათ წინ ღრუბლებში ჩაკარგული, უშველებელი, მიუვალი გრანიტის ფილა აღიმართა – მთის უკანასკნელი თავდაცვითი ზღუდე. მსროლელი ყოველ წამს ელოდა, მდინარის მორიგი მოსახვევი მაღალ ჩანჩქერთან და გადაულახავ, სიპ კედელთან მიგვიყვანს და ჩიხში აღმოვჩნდებითო. თუმცა აქაურ ჰაერს, როგორც დიდი სიმაღლისთვისაა დამახასიათებელი, გადიდებისა და გაზვიადების უჩვეულო თვისება ჰქონდა. გრანიტის ვეება კედელს მხოლოდ მეორე დღეს მიადგნენ.

მსროლელს კვლავ წინსწრაფვის სურვილი გაუჩნდა, თითქოს მიზნამდე ცოტაღა რჩებოდა – ეს განცდა მისთვის ნაცნობი იყო. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გაქცეულიყო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოიცა! – ჯეიკი უცებ გაჩერდა. წინ მდინარე მკვეთრად უხვევდა და ქვიშაქვის კლდის გადარეცხილ ფერდობს ეხეთქებოდა. ხეობა დავიწროვდა და მოგზაურები მთელი დილა მთების ჩრდილში მიაბიჯებდნენ.

ჯეიკი მთელი ტანით კანკალებდა და სახე გაჰფითრებოდა.

– რა ხდება?

– უკან დავბრუნდეთ, – თქვა ჯეიკმა, – საჩქაროდ უკან დავბრუნდეთ!

მსროლელს სახე გაუქვავდა.

– გთხოვ, – ბიჭს სახე მოელრიცა და შიშით კრიჭაშეკრულს, ყბა აუთრთოლდა. ჭექა-ქუხილის ხმას ვერც ქვის ზღუდე აკავებდა და მონოტონური გუგუნი ისმოდა, თითქოს მიწის სიღრმეში მანქანები მუშაობენო. ცის ნაგლეჯს, რომელსაც მოგზაურები ხედავდნენ, გოტიკური სირუხე გადაჰკრავდა, რადგან თბილი და ცივი ჰაერის ნაკადები ერთმანეთს შებმოდნენ.

– გთხოვ! ძალიან გთხოვ! – ბიჭმა მუშტი მოიღერა, თითქოს მსროლელს მკერდში უნდა დაარტყასო.

– არა.

ბიჭს გაოცება გამოეხატა სახეზე.

– მომკლავ. პირველად იმან მომკლა, ახლა შენ მომკლავ. თვითონაც კარგად იცი.

მსროლელმა ტუჩებზე ტყუილის გემო იგრძნო, მაგრამ მაინც თქვა:

– კარგად იქნები.

მერე კიდევ უფრო დიდი ტყუილი თქვა:

– მე დაგიცავ.

ჯეიკი მოიღუშა და აღარაფერი უთქვამს. უხალისოდ გაუწოდა ხელი და ის და მსროლელი ხელიხელჩაკიდებულები დაიძრნენ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსახვევისკენ. მეორე მხარეს ისინი, როგორც იქნა, უკანასკნელ ციცაბო კედელს მიადგნენ და შავსამოსიან კაცს შეეჩეხნენ.

ის მათგან შვიდიოდე მეტრით მაღლა, კლდის ნაპრალიდან ვარდნილი ჩანჩქერის მარჯვნივ, იდგა. უხილავი ქარი კაპიუშონიან მანტიას უფრიალებდა. ცალ ხელში კვერთხი ეჭირა, მეორე ხელი დამცინავი სალმის ნიშნად აეწია. მძვინვარე ცის ქვეშ კლდის შვერილზე მდგარი, წინასწარმეტყველს ჰგავდა, აღსასრულის წინასწარმეტყველს, მისი ხმა კი იერემიას ხმას მოგაგონებდათ.

– მსროლელო! რარიგ ზედმიწევნით აღასრულებ ძველ წინასწარმეტყველებებს! დღე მშვიდობისა, დღე მშვიდობისა და კიდევ ერთხელ, დღე მშვიდობისა! – კაცმა გაიცინა და ქედი მოიხარა. მისი სიცილის ექომ ვარდნილ წყალს გადაურბინა.

მსროლელმა დაუფიქრებლად მოიმარჯვა რევოლვერები. მის მხარმარჯვნივ და უკან მდგარი ბიჭი პატარა ლანდად მობუზულიყო.

როლანდმა სამჯერ გაისროლა, სანამ მოღალატე ხელებს დაიმორჩილებდა – კლდოვან ხეობაში ასხლეტილმა ექომ ქარისა და წყლის ხმაური გადაფარა.

შავსამოსიანი კაცის თავზემოდან გრანიტის ნაფხვენები ჩამოცვივდა. მეორე ტყვია მისგან მარჯვნივ მოხვდა კლდეს, მესამე – მარცხნივ. მსროლელმა სამჯერ ააცილა მიზანს.

შავსამოსიანმა კაცმა გაიცინა, გულიანად გადაიხარხარა და მისმა ხარხარმა ტყვიის გასროლის უკვე დასუსტებული ექო გადაფარა.

– ნუთუ მზად ხარ, ასე იოლად შეელიო პასუხებს, შენ რომ გჭირდება, მსროლელო?

– ჩამოდი, – ცივად უთხრა მსროლელმა, – და პასუხები იქნება.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვლავ ხმამაღალი, ირონიული სიცილი გაისმა.

– შენი ტყვიების კი არ მეშინია, როლანდ, პასუხებზე შენეული წარმოდგენა მაფრთხობს.

– ჩამოდი.

– ვფიქრობ, მთების იქით დიდხანს ვილაპარაკებთ, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა, მერე ჯეიკს შეხედა და დაამატა: – მხოლოდ ჩვენ ორნი.

ჯეიკმა შიშით წამოიკვნესა და უკან დაიხია. შავსამოსიანი კაცი შებრუნდა და მანტიის კალთები ღამურას ფრთებივით აუფრიალდა. კაცი კლდის ნაპრალში შევიდა, საიდანაც მთელი ძალით გადმოედინებოდა წყალი. მსროლელმა ნებისყოფა გამოიჩინა და ზურგში ტყვია არ მიუყოლებია მისთვის.

„ნუთუ მზად ხარ, ასე იოლად შეელიო პასუხებს, შენ რომ გჭირდება, მსროლელო?“

მხოლოდ ქარის ზუზუნი და წყლის ჩხრიალი ისმოდა – აგერ უკვე მრავალი ათასი წლის მანძილზე ამ ვერანი მხარისთვის ჩვეული ხმაური. არადა, წელან შვერილზე შავსამოსიანი კაცი იდგა. თორმეტი წლის შემდეგ მსროლელმა კიდევ ერთხელ იხილა იგი ახლოდან, დაელაპარაკა მას. შავსამოსიანმა კაცმა დასცინა.

„მთების იქით დიდხანს ვილაპარაკებთ“.

ბიჭი თვალს არ აშორებდა. ის მთელი ტანით თრთოდა. წამით მსროლელს ტალელი ელისი დაუდგა თვალწინ; ქალის სახე თითქოს ჯეიკის სახეს ზედ გადაეკრა; შუბლზე გაკლაკნილი ნაიარევი უხმოდ ადანაშაულებდა. უეცრად ორივეს მიმართ ზიზღი იგრძნო (მხოლოდ მოგვიანებით გააცნობიერა, რომ მის სიზმრებში ჯეიკისთვის შუბლში ლურსმანი ზუსტად იმ ადგილას დაეჭედებინათ, სადაც ელისს ნაიარევი ჰქონდა). ჯეიკმა, ეტყობა, მისი აზრები წაიკითხა, რადგან უნებლიეთ წამოიკვნე-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სა, თუმცა პირი სასწრაფოდ მოკუმა, რომ ხმა ჩაეხშო. ჯეიკს ყველა თვისება ჰქონდა საიმისოდ, რომ მისგან ნამდვილი მამაკაცი დამდგარიყო, ან იქნებ მსროლელიც, თუკი საჭირო დროს მისცემდნენ.

„მხოლოდ ჩვენ ორნი“.

მსროლელმა სხეულის სიღრმეში უწმინდური წყურვილი იგრძნო, რომელსაც წყალი ან ღვინო ვერ დააკმაყოფილებდა. სამყაროები ირყეოდა იქვე, ლამის ხელის გაწვდენაზე, და მსროლელი იბრძოდა, რომ არ შერყვნილიყო; იბრძოდა ინსტინქტურად, რადგან საღი აზრი კარნახობდა, რომ ეს ბრძოლა ყოველთვის ამაოა. საბოლოოდ მხოლოდ კა რჩება.

შუადღე იყო. ცას მიაპყრო მზერა, რათა ღრუბლიანი დღის ცვალებად შუქს უკანასკნელად გაენათებინა მისი ადვილად მოწყვლადი სამართლიანობის მზე. „სინამდვილეში, ღალატისთვის პასუხს ვერცხლით აგებ, – გაიფიქრა მან, – ღალატის საფასური ყოველთვის სიცოცხლეა“.

– წამომყევი ან დარჩი, – უთხრა ბიჭს მსროლელმა.

ბიჭმა მხოლოდ მკაცრი და უხალისო ღიმილით უპასუხა, მამისეული ღიმილით, თუმცა ეს თვითონაც არ იცოდა.

– აქ, ამ მთებში, მარტო რომ დავრჩე, არაფერი მომივა, – თქვა მან, – ვილაც მიპოვის და გადამარჩენს. ნამცხვარს და სენდვიჩებს მაჭმევენ. კიდევ ყავა ექნებათ თერმოსით. არა?

– წამომყევი ან დარჩი, – გაიმეორა მსროლელმა და იგრძნო, რომ მის გონებაში რაღაც მოხდა – განცალკევება: მის წინ მდგარმა პატარა ფიგურამ ჯეიკობა შეწყვიტა და მხოლოდ და მხოლოდ ბიჭად იქცა, უპიროვნო არსებად, რომელსაც ნებისმიერ დროს გამოიყენებდი და მოიშორებდი.

ქარიან სიჩუმეში რაღაცამ დაიკივლა. კივილი მსროლელმაც გაიგონა და ბიჭმაც.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი დაიძრა. მალე მას ბიჭიც მიჰყვა. ერთად აძვრნენ ყინულივით ცივი ჩანჩქერის გვერდით აღმართულ კლდეზე და იმ შვერილზე აღმოჩნდნენ, სადაც ცოტა ხნის წინ შავსამოსიანი კაცი იდგა. ერთად შევიდნენ ნაპრალში, სადაც ის გაუჩინარდა. ორივენი წყვდიადში შთაინთქნენ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩლუნგი

„მუტანტები“

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოთხე

ჩლუნგი მუტანტები

I

მსროლელი ბიჭს დინჯად და აუღელვებლად ელაპარაკებოდა, გეგონება, ბოდავსო:

– იმ ღამეს სამნი ვიყავით: მე, ქათბერტი და ალენი. წესით, იქ ყოფნა გვეკრძალებოდა, რადგან ბავშვობის ასაკიდან არც ერთი არ ვიყავით გამოსული, ცხვირმოუხოცავ ღლაპებს გვეძახდნენ. რომ გამოვეჭირეთ, კორტი ტყავს გაგვაძრობდა. მაგრამ არავის შევუმჩნევივართ. მგონი, არც ჩვენამდე გამოუჭერიათ ვინმე. ბიჭმა მამის შარვალი უჩუმრად ერთხელ მაინც უნდა ჩაიცვას და სარკეში თავისი თავი შეათვალიეროს, მერე შარვალი ისევ კარადაში ჩამოკიდოს; ესეც დაახლოებით მსგავსი რამ იყო. მამები ვითომ ვერ ამჩნევენ, რომ მათი შარვლები სხვანაირად კიდია, ხოლო მათ ვაჟებს ფეხსაცმლის კრემით მიხატული ულვაშის კვალი ჯერაც ეტყობათ. ხვდები, რასაც ვამბობ?

ბიჭს არ უპასუხია. რაც დღის შუქი უკან მოიტოვეს, საერთოდ არ ამოუღია ხმა. მსროლელი კი, პირიქით, მგზნებარედ, გაცხარებით ლაპარაკობდა, რათა სიჩუმე შეევსო. რაც მთის-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვეშეთში შეაბიჯეს, მსროლელს უკან, ნათელისკენ, ერთხელაც არ მიუხედავს; ბიჭმა მიიხედა. მსროლელი ჩამობნელებას ჯეიკის ლოყების რბილ სარკეზე ადევნებდა თვალს: ვარდისფერი „სარკე“ ჯერ რძისფერი გახდა, მერე – მქრქალი ვერცხლისფერი, მერე ზედ მწუხრის ბოლო გამონაშუქი აირეკლა და ბოლოს საერთოდ გაქრა. მსროლელმა ჩირაღდანი აანთო და გზა განაგრძეს.

ბოლოს ღამის გასათევად დაბანაკდნენ. შავსამოსიანი კაცის ნაბიჯების ექო არ ისმოდა. ალბათ, ისიც ისვენებდა. ან, შეიძლება, უშუქოდ მიიწევდა ჩაშავებულ დარბაზებში.

– თესვის ღამის კოტილიონი, ანუ კომალა (რაც „ბრინჯს“ ნიშნავს), როგორც მოხუცები ეძახდნენ ხოლმე, წელიწადში ერთხელ დიდ დარბაზში იმართებოდა, – განაგრძო მსროლელმა, – უფრო ზუსტად, წინაპართა დარბაზში, მაგრამ ჩვენ უბრალოდ დიდ დარბაზს ვუწოდებდით.

მათ ყურთასმენას წყლის წკაპაწკუპი მისწვდა.

– როგორც ნებისმიერი საგაზაფხულო მეჯლისი, ესეც ერთგვარი არშიყობის რიტუალი იყო, – ჩაიცინა მსროლელმა. უსულო კედლებმა მისი სიცილი ხიხინს დაამსგავსა. – წიგნებში წერია, რომ ოდესღაც ამ ზეიმით გაზაფხულის დადგომას ეგებებოდნენ, რასაც ზოგი „ახალმიწობას“ ან „ნორჩ კომალას“ უწოდებდა. თუმცა ხომ იცი, როგორც ხდება, ცივილიზაციამ...

მსროლელი გაჩუმდა, რადგან არ იცოდა, როგორ აღეწერა ამ უსულო და უსახურ სიტყვაში ნაგულისხმევი ცვლილების არსი, რომანტიზმის სიკვდილი და მისგან მხოლოდ უნაყოფო, ბიწიერი აჩრდილის დარჩენა; როგორ აღეწერა სამყარო, რომელსაც მოჩვენებითი ბრწყინვალებისა და ცერემონიის ხელოვნური სუნთქვაღა ასულდგმულებდა; თვალთმაქცური არშიყობის წინასწარ ზუსტად გათვლილი ნაბიჯები თესვის ღამის კო-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტილიონზე, რომელმაც ჭეშმარიტი, მხიარული, ამაღელვებელი და დაუდევარი სიყვარული ჩაანაცვლა – როლანდს ასეთ სიყვარულზე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა; ყალბი, ცარიელი დიდებულება ნაცვლად ჭეშმარიტი ვნებებისა, რომელთა ძალითაც ოდესღაც სამეფოებს ქმნიდნენ და ინარჩუნებდნენ. როლანდმა ეს ჭეშმარიტი გრძნობა მეჯისელ სიუზენ დელგადოსთან იპოვა, მაგრამ ისევ დაკარგა.

„იყო ოდესღაც ერთი მეფე, ელდი, რომლის სისხლიც, თუნდაც გაზავებული და დასუსტებული, ჯერაც ჩქეფს ჩემს ძარღვებში, – შეეძლო ეთქვა მსროლელს ბიჭისთვის, – მაგრამ მეფეების მმართველობას ბოლო მოეღო, ჩემი ბიჭო. ყოველ შემთხვევაში, მზისქვეშეთში“.

– ...გაზაფხულის ზეიმიც დააკნინა და გადააგვარა, – როგორც იქნა, დაასრულა მსროლელმა, – თამაშად, გასართობად აქცია. – ხმაში ასკეტისა და განდეგილის უნებლიე ზიზღი გამოერია. იქაურობა განათებული რომ ყოფილიყო, მის სახეზე სიმკაცრესა და სევდას შეამჩნევდით. დროის მსვლელობას მსროლელის რაობა, მისი მაცოცხლებელი ძალა არ შეუცვლია – წარმოსახვის ნაკლებობა, რომელიც სახეზე ეწერა, მართლაც გასაოცარი იყო.

– მოდი, მეჯლისს დავუბრუნდეთ, – თქვა მსროლელმა, – თესვის ღამის კოტილიონს...

ბიჭი არაფერს ამბობდა, არაფერს ეკითხებოდა.

– ჭერზე ელექტრონათურიანი ბროლის ჭაღები ეკიდა. დარბაზი განათებული იყო. სინათლის კუნძულს ჰგავდა. ერთ აივანზე შევიპარეთ; ნახევრად ჩამონგრეული აივანი საშიშად ითვლებოდა და თოკით იყო გადაღობილი, მაგრამ ჩვენ პატარა ბიჭები ვიყავით და ბიჭები ყოველთვის ბიჭები იქნებიან. მაშინ ყველაფერი საშიშად გვეჩვენებოდა, მაგრამ მერე რა? ჩვენ ხომ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავები უკვდავებად წარმოგვედგინა! ასე გვეგონა, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან გმირულ სიკვდილზე ვოცნებობდით.

– ყველაზე მაღლა ვიდექით და ყველას ზემოდან დავცქეროდით. არ მახსოვს, ვინმეს რამე ეთქვას. ხედით უხმოდ ვტკბებოდით. ქვის დიდ მაგიდაზე გაშლილ სუფრას მსროლელები და მათი ქალბატონები შემოსხდომოდნენ და მოცეკვავეებს უყურებდნენ. მოცეკვავეებში მსროლელებიც ერივნენ, მაგრამ ძალიან ცოტანი, ისიც ახალგაზრდები. მახსოვს, მათ შორის ის მსროლელიც შევამჩნიე, ჰაქსი რომ ჩამოახრჩო. უფროსი მსროლელები მხოლოდ ისხდნენ და მეჩვენებოდა, რომ იმ გაკაშკაშებულ, ცივილიზებულ დარბაზში თავს უხერხულად გრძნობდნენ. მათი ეშინოდათ, მათ ეთაყვანებოდნენ, ისინი ხალხის დამცველები იყვნენ, მაგრამ თავიანთ ნაზ ქალბატონებთან მოცეკვავე კავალერებს შორის მეჯინიბეებივით გამოიყურებოდნენ.

– დარბაზში საჭმლით დახუნძლული ოთხი მრგვალი მაგიდა იყო და ოთხივე განუწყვეტლივ ტრიალებდა. მზარეულის თანაშემწე ბიჭები საღამოს შვიდი საათიდან ღამის სამ საათამდე დაუღალავად შემოდიოდნენ და გადიოდნენ. მაგიდები საათის ისრებივით ტრიალებდა და იქიდან შემწვარი ღორის, ძროხის, ქათმისა და კიბოს ხორცის, შემწვარი ვაშლის სუნი მოდიოდა. მაგიდების ტრიალთან ერთად სურნელიც იცვლებოდა. იქვე ხილის ნაყინი და ტკბილეულიც ეწყო. შამფურებზე მწვადები იბრაწებოდა.

– მარტენი დედაჩემისა და მამაჩემის გვერდით იჯდა, ზემოდანაც კი ვიცანი ისინი. დედაჩემი და მარტენი საცეკვაოდ გავიდნენ, ნელა ცეკვავდნენ. სხვა წყვილები გზას უთმობდნენ. ცეკვას რომ მორჩნენ, ტაში დაუკრეს. მსროლელებს ტაში არ დაუკრავთ, მაგრამ მამაჩემი წამოდგა და დედას ხელები გაუწოდა. დედა ღიმილით მივიდა მამასთან.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო – იქ, მაღალ სამალავ-შიც კი ვიგრძენით ეს. მამაჩემს მაშინ უკვე საკუთარი კა-ტეტი ჰყავდა, ანუ „რევოლვერის ტეტი“, და მალე გალაადის დინი უნდა გამხდარიყო, შეიძლება, მთელი შიგა სამყაროსიც კი. ეს სხვებმაც იცოდნენ. მარტენმა ყველაზე უკეთ იცოდა... არ იცო-და მხოლოდ გაბრიელა ვერისმა.

ბოლოს და ბოლოს, ბიჭმაც ამოიღო ხმა, თუმცა აშკარად უხალისოდ.

– ეგ ვინ იყო? დედაშენი?

– ჰო, ზღვისპირელი გაბრიელა, ასული ალენისა, ცოლი სტივენისა და დედა როლანდისა, – მსროლელმა დამცინავად გაშალა ხელები, თითქოს ამბობს, აგერ ვარ და მერე რაო. მერე ხელები ისევ მუხლებზე დაიწყო.

– მამაჩემი ბოლო ნათელი მბრძანებელი იყო.

მსროლელმა ხელებზე დაიხედა. ბიჭი დუმდა.

– მახსოვს მათი ცეკვა, – თქვა მსროლელმა, – დედაჩემისა და მარტენის, მსროლელთა მრჩევლის. მახსოვს, როგორ ცეკ-ვავდნენ, ნელა ტრიალებდნენ, ხან ერთმანეთს მიუახლოვდე-ბოდნენ, ხან დაშორდებოდნენ, როგორც დანიშნულთა წყვილი.

მსროლელმა ბიჭს ღიმილით შეხედა.

– თუმცა ეს არაფერს ნიშნავდა. მართალია, ძალაუფლება სხვებისთვის უხილავი გზით გადაეცემოდა ერთიდან მეორეს, მაგრამ ამას ყველა გრძნობდა. დედაჩემი კი მთელი არსებით ამ ძლევამოსილ ადამიანს ეკუთვნოდა. ეგრე არ იყო? ის მა-მაჩემთან მივიდა, როცა ცეკვას მორჩნენ და ხელები ჩასჭიდა. ხომ დაუკრეს ტაში? განა პირმშვენიერმა ჭაბუკებმა და მათმა ნაზმა ქალბატონებმა მამაჩემს ტაში არ დაუკრეს და ხოტბა არ შეასხეს?

სიბნელეში სადღაც შორს წყალი წვეთავდა. ბიჭი დუმდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მახსოვს მათი ცეკვა, – რბილად თქვა მსროლელმა. – მახსოვს მათი ცეკვა, – მან უჩინარ ქვის ჭერს ახედა და თითქოს დაულრიალა, ბრმად გამოიწვია ეს ბრმა და უტყვი გრანიტის მასა, რომლის ქვის შიგნეულობისთვისაც პაწაწინა მიკრობებივით შეეფარებინათ თავი.

– ვის ეჭირა ხელში დანა, რომელმაც მამაჩემს სიცოცხლე მოუსწრაფა?

– დავიღალე, – თქვა ბიჭმა და მეტი აღარაფერი დაუმატებია.

მსროლელი გაჩუმდა. ბიჭი გვერდზე დაწვა, ცალი ხელი ლოყის ქვეშ ამოიდო. მსროლელმა სიგარეტი გააბოლა. თვალწინ კვლავ ბროლის ჭაღი ედგა, ყურში უშინაარსო ქება-დიდება ჩაესმოდა, თითქოს ისევ იმ სისხლისგან დაცლილ მხარეში აღმოჩნდა, ჯერ კიდევ მაშინ უიმედოდ რომ ებრძოდა დროის რუხ ოკეანეს. მსროლელი სინათლის კუნძულის გახსენებამ დააღონა და ინატრა, ნეტა არასდროს შევსწრებოდი, როგორ უღალატა დედაჩემმა მამაჩემსო.

პირიდან და ნესტოებიდან სიგარეტის ბოლი გამოუშვა და ბიჭს დახედა. „კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიაროთ მიწის ქვეშ? – გაიფიქრა მან. – წრეზე დავდივართ. დასაწყისს ვუბრუნდებით და ისევ თავიდან ვიწყებთ: განახლება დღის სინათლის მარადი წყევლაა. კიდევ რამდენ ხანს ვერ ვიხილავთ დღის სინათლეს?“

მსროლელს დაეძინა.

როცა მისი სუნთქვა თანაბარი, მშვიდი და ღრმა გახდა, ბიჭმა თვალები გაახილა და მსროლელს ერთდროულად ტკივილითა და სიყვარულით შეხედა. თითქმის ჩამქრალი ჩირაღდნის ბოლო ალი მისი თვალის გუგაში აირეკლა და იქვე ჩაიძირა. ბიჭმაც დაიძინა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელს დროის აღქმა თითქმის დაჩლუნგებოდა უცვლელ, ერთფეროვან უდაბნოში; აქ კი ბნელ მთისქვეშა გვირაბში საბოლოოდ დაკარგა. ვერც როლანდი და ვერც ჯეიკი ვერ იტყოდა, რომელი საათი იყო; თანაც დროის მსვლელობა უმნიშვნელო გახდა. შეიძლება ითქვას, რომ დროის მიღმა აღმოჩნდნენ. დღე კვირად ეჩვენებოდათ, კვირა – დღედ. მიდიოდნენ, ეძინათ, ცოტას წაიხემსებდნენ, მაგრამ ვერასდროს ნაყრდებოდნენ. მხოლოდ ქვა-კლდეებში გზის გამკვალავი წყლის გრიალი არ შორდებოდათ. მოგზაურები ამ მდინარის გასწვრივ მიდიოდნენ, მის მინერალებით მდიდარ წყალს სვამდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ წყალში მათთვის სასიკვდილო ან მომწავლელი არაფერი იქნებოდა. ხანდახან მსროლელს ეჩვენებოდა, რომ მდინარის ფსკერზე ცდომილი შუქივით, ცეცხლის ალი ციმციმებდა, მაგრამ ეს, ალბათ, მისი ტვინის მიერ იყო პროეცირებული. მსროლელის გონებას ჯერაც არ დავიწყებოდა დღის შუქი. თუმცა ბიჭი მაინც გააფრთხილა, წყალში ფეხში არ ჩაყოო.

მის გონებაში მანძილსაზომი მუშაობდა და ამის წყალობით აგრძელებდნენ გზას.

ბილიკი (ეს სწორედაც რომ ბილიკი იყო – სწორი და შუაში ოდნავ ჩაზნექილი) სულ ზევით-ზევით, მდინარის სათავისკენ, მიიწევდა. ბილიკის გასწვრივ ერთმანეთისგან თანაბარი მანძილის დაშორებით ქვის თავმოხრილი სვეტები აღმართულიყო. სვეტებში რგოლები იყო ჩახრახნილი; აქ ოდესღაც, ალბათ, ხარებსა და ეტლის ცხენებს აბამდნენ. ყოველი სვეტის მოხრილ თავზე მიმაგრებულ ფოლადის ვაზნებში ელექტრონათურები ჩაესვათ, მაგრამ არც ერთი არ ანათებდა.

მესამე „ძილისწინა შესვენებისას“ ბიჭმა ცოტა გაიარ-გამოიარა. მსროლელს კენჭების ჩხრიალი მოესმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ფრთხილად, – უთხრა მსროლელმა, – ამ სიბნელეში არაფერი ჩანს.

– მივხოხავ. აქ... ოჰო!

– რა არის? – მსროლელმა მაშინვე რევოლვერისკენ წაიღო ხელი.

ბიჭმა არ უპასუხა. მსროლელი ამაოდ აცეცებდა თვალებს.

– მგონი, ლიანდაგია, – ეჭვით თქვა ბიჭმა.

მსროლელი წამოდგა და ჯეიკის ხმის მიმართულებით წავიდა. ნაბიჯის გადადგმამდე ფეხით მიწას სინჯავდა.

– აქეთ! – ჯეიკმა ხელი სახეზე მოუფათურა. ბიჭი სიბნელეში როლანდზე უკეთ არჩევდა საგნებს. თვალის გუგები იმდენად გაფართოებოდა, რომ ფერადი გარსი თითქმის აღარ უჩანდა – მსროლელმა ეს მაშინ შეამჩნია, როცა ჩირაღდანი აანთო. ამ ქვის წიაღში საწვავი არსად მოიპოვებოდა, ის კი, რაც გარედან შემოიტანეს, უკვე თავდებოდა. თუმცა ხანდახან მსროლელს სიბნელის განათების უზომო სურვილი წამოუვლიდა ხოლმე. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ საჭმელი კი არა, შეიძლება, სინათლეც მოშივდეს ადამიანს.

ბიჭი ქვის კედელთან იდგა. კედელს ლითონის ორი პარალელური ზოლი გასდევდა და წყვდიადში იკარგებოდა. თითოეული შავ კვანძს შეიცავდა, რომელშიც ოდესღაც, ალბათ, ელექტროდენი გადიოდა. კედელთან, ქვის იატაკიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლეზე, უფრო ღია ფერის ლითონის რელსები იყო დაგებული. ნეტა რა გადაადგილდებოდა უწინ ამ რელსებზე? მსროლელმა წარმოიდგინა ელექტროტყვიები, რომლებიც ამ მარადიულ ღამეში მიქროდნენ და თვალ-პროჟექტორებით ინათებდნენ გზას. თავად მას არასდროს ენახა მსგავსი რამ, მაგრამ სამყაროში წარსულის ბევრი გადმონაშთი დარჩენილიყო, მაგალითად, დემონები. მსროლელი ერთხელ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთ განდეგილს შეხვდა. განდეგილს ბენზინის ტუმბოს წყალობით საბრალო მეჯოგეების ჯგუფზე თითქმის რელიგიური გავლენა მოეპოვებინა. განდეგილი ტუმბოს გვერდით იჯდა, ცალი ხელი მისთვის შემოეჭდო და გაშმაგებული წარმოთქვამდა უხამს სიტყვებს. ხანდახან დამპალი რეზინის შლანგის ჯერაც ბზინვარე რკინის ტუჩს ფეხებშუა იდებდა. ტუმბოზე გარკვევით იკითხებოდა დაჟანგული ასოები: „ᲐᲛᲝᲙᲝ. ტყვიის გარეშე“. ამოკო ჭექა-ქუხილის ღმერთის ტოტემად იქცა. მეჯოგეები ეთაყვანებოდნენ მას, მსხვერპლად ცხვარს სწირავდნენ და ძრავას ხმას გამოსცემდნენ: „რამ-რამმმ! რამ-რამ-რამმმმ!

„მხოლოდ ნამსხვრევებია, – გაიფიქრა მსროლელმა. – ოდესღაც არსებული ზღვისგან დარჩენილი ქვიშიდან ამოჩრილი გემის ნამსხვრევები“.

მათ შორის, ეს რკინიგზაც.

– ამას გავყვეთ, – უთხრა ბიჭს.

ბიჭს არაფერი უთქვამს.

მსროლელმა ჩირაღდანი ჩააქრო და დაიძინეს.

როცა როლანდმა გაიღვიძა, ბიჭი მის პირდაპირ იჯდა რელსზე და უკუნეთში ბრმად უყურებდა.

ბრმებივით გაჰყვნენ ლიანდაგს. წინ როლანდი მიდიოდა, უკან ჯეიკი მისდევდა. ბრმებივით ცალი ფეხით ყოველთვის რელსს ეხებოდნენ, რომ გზას არ ასცდენოდნენ. მათი ერთადერთი თანამგზავრი კვლავაც მდინარის ხმაური იყო, რომელიც მარჯვნიდან ისმოდა. არ ლაპარაკობდნენ. ასე გაგრძელდა ღვიძილის სამი პერიოდის განმავლობაში. მსროლელს აზრების მოკრების არავითარი სურვილი არ ჰქონდა, არც გეგმის დაწყობის. უსიზმროდ ეძინა.

ღვიძილისა და სვლის მეოთხე პერიოდში ხელით სამართავ დრეზინას შეეჯახნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშნველობით.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი მას მკერდით დაეტაკა, მის გვერდით მომავალი ბიჭი კი – შუბლით და ყვირილით ჩაიკეცა.

მსროლელმა მაშინვე ჩირაღდანი აანთო.

– კარგად ხარ? – მკაცრად ჰკითხა და ეს თვითონვე ეხამუშა.

– კი, – უპასუხა ბიჭმა, რომელმაც თავზე ფრთხილად გადაისვა ხელი, მართლა ხომ არაფერი მჭირსო. მერე ორივე მიტრიალდა, რომ გაერკვიათ, რას დაეჯახნენ.

რელსებზე მდუმარედ იდგა ლითონის ბრტყელი ფირფიტა. ფირფიტის შუაში სახელური ამოშვერილიყო. მსროლელი საგნის დანიშნულებას ვერ მიხვდა, ბიჭმა კი მაშინვე იცნო, რაც იყო.

– ეს დრეზინაა.

– რა?

– დრეზინა, – მოუთმენლად გაიმეორა ბიჭმა, – ძველ მულტფილმებში მინახავს. შეხედე.

ჯეიკი ფირფიტაზე აძვრა და სახელურთან მივიდა. მისი ქვემოთ დაწევა მოახერხა, მაგრამ ამისთვის მთელი ძალის გამოყენება დასჭირდა. დრეზინამ უხმაუროდ წაიწია რელსებზე რამდენიმე სანტიმეტრით.

– კარგია! – წარმოთქვა მექანიკურმა ხმამ, რამაც ორივე შეაკრთო. – კარგია. კიდევ დააწ... – მექანიკური ხმა გაწყდა.

– ცოტა ძნელად მუშაობს, – მობოდიშებით თქვა ბიჭმა.

ფირფიტაზე მსროლელიც აძვრა და სახელურს დააწვა. დრეზინამ მორჩილად წაიწია წინ და ისევ გაჩერდა.

– კარგია, კიდევ დააწექი! – გაამხნევა მექანიკურმა ხმამ.

მსროლელმა იგრძნო, როგორ გადატრიალდა მის ფეხქვეშ წამყვანი ლილვი. მსროლელს ამ მანქანის მუშაობის პრინციპი მოეწონა. მოეწონა მექანიკური ხმაც (თუმცა გადაწყვიტა, მისთვის ყური მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში დაეგდო). სა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფოსტო სადგურში მდგარ წყლის ტუმბოს თუ არ ჩავთვლით, ეს პირველი მომუშავე მანქანა იყო, რომელსაც მრავალწლიანი მოგზაურობისას გადააწყდა. მეორე მხრივ, ამან ცოტათი შეაშფოთა კიდეც. დრეზინით დანიშნულების ადგილამდე შედარებით უფრო სწრაფად მივიდოდნენ. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ესეც შავსამოსიანი კაცის დაგეგმილი იყო: მას უნდოდა, რომ მოგზაურებს დრეზინა ეპოვათ.

– მაგარია, არა? – თქვა ბიჭმა აშკარად ზიზღნარევი ხმით.

ყრუ სიჩუმემ დაისადგურა. როლანდს მხოლოდ საკუთარი გულისცემა ესმოდა. სადღაც წყალი წვეთავდა. ეს იყო და ეს.

– ერთ მხარეს შენ დადექი, მეორე მხარეს მე დავდგები, – შესთავაზა ჯეიკმა. – ჯერ შენ უბიძგე, რომ კარგად გაგორდეს, მერე მეც დაგეხმარები. ჯერ შენ უბიძგებ, მერე – მე. გამოგვივა. გასაგებია?

– გასაგებია, – უთხრა მსროლელმა. სასოწარკვეთილს, უმწეოდ დაემუშტა ხელები.

– ოღონდ ცოტა ხანს შენ უნდა უბიძგო, სანამ კარგად არ აჩქარდება, – გაუმეორა ბიჭმა და დაჟინებით შეხედა.

უეცრად მსროლელს ცხადად დაუდგა თვალწინ დიდი დარბაზი თესვის ღამის კოტილიონიდან ერთი-ორი წლის შემდეგ. მაშინ დარბაზი უკვე ნანგრევებად იყო ქცეული რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და მტრის შემოსევის შედეგად. ეს სურათი ელისმა შეცვალა, შეშინებულმა ტალელმა ქალმა, რომელიც სრულიად უმიზეზოდ დაცხრილა ტყვიებით... თუ რეფლექსებს არ ჩავთვლით მიზეზად. მერე ქათბერტ ოლგუდის ჯერი დადგა, სიკვდილის პირას მყოფიც კი რომ იცინოდა და იმ წყეულ ბუკს აგუგუნებდა... მერე სიუზენის სახე დაინახა, დაღრეჯილი, ტირილისაგან დამახინჯებული. „ჩემი ძველი მეგობრები“, – გაიფიქრა მსროლელმა და საზარლად გაიღიმა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვუბიძგებ, – თქვა ხმამაღლა.

როგორც კი სახელურს დააწვა, მექანიკური ხმა ალაპარაკდა („კარგია, კიდევ დააწექი! კარგია, კიდევ დააწექი!"). მსროლელმა სახელურის საყრდენ ძელზე მოაფათურა ხელი, იმას მიაგნო, რასაც ეძებდა – ღილაკს – და თითი დააჭირა.

– ნახვამდის, ძმაო, – მხიარულად წარმოთქვა მექანიკურმა ხმამ და მადლობა ღმერთს, რამდენიმე საათით გაჩუმდა.

III

წყვდიადში ახლა უფრო სწრაფად მიიწევდნენ წინ, რადგან ბრმებივით ხელის ცეცებით გზის გაგნება აღარ სჭირდებოდათ. მექანიკურმა ხმამ ორჯერ დაილაპარაკა; პირველად მოგზაურებს ურჩია, Crisp-A-La მიირთვითო და მეორედ გამოაცხადა, დამლლელი დღის მიწურულს ვერაფერი ისე ვერ დაგანაყრებთ, როგორც Larchies-იო.

როგორც კი დრეზინამ ხანგრძლივი უძრაობის მტვერი ჩამოიფერთხა, უფრო შეუფერხებლად და მსუბუქად ამოძრავდა. ბიჭმაც სცადა დახმარება და მსროლელმა ამის საშუალება მისცა, თუმცა მეტწილად თვითონ აწვებოდა სახელურს. მიწისქვეშა მდინარე მათი თანამგზავრი იყო: ხან უახლოვდებოდნენ, ხან – შორდებოდნენ. ერთგან დამაყრუებლად აღრიალდა, თითქოს რომელიღაც ეკლესიის ვრცელ ნართექსში გაიარაო, მეორეგან მისი ხმაური საერთოდ აღარ ისმოდა.

დრეზინის სისწრაფე და ამით გამოწვეული ქარი თითქოს მხედველობას შეენაცვლა და მოგზაურები კვლავ დროისა და სივრცის საზღვრებში მოექცნენ. მსროლელის გათვლით, ახლა 15-25 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდნენ. გზა არცთუ დამრეც აღმართზე მიიწევდა, მაგრამ მსროლელი მაინც ძალიან დაიღალა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დასასვენებლად რომ გაჩერდნენ, მსროლელს მკვდარივით დაეძინა. საჭმელი თითქმის აღარ ჰქონდათ, თუმცა ამაზე დიდად არ დარდობდნენ.

მსროლელი მოახლოებული კულმინაციის დაძაბულობას წესიერად ვერ აღიქვამდა, თუმცა მისთვის დაძაბულობა ისეთივე ცხადი (და მზარდი) იყო, როგორიც დრეზინის ამოძრავებისგან გამოწვეული დაღლილობა. დასაწყისის დასასრულთან უკვე ახლოს იყვნენ... ბიჭი თუ არა, თვითონ მაინც იყო ახლოს. თავს მსახიობად გრძნობდა, რომელიც, პირველი ფრაზის წარმოსათქმელად გამზადებული, ფარდის აწევას სცენის შუაგულში ელოდება, თან ესმის, როგორ იკავებენ მაყურებლები თავიანთ ადგილებს და პროგრამებში იხედებიან. ავი წინათგრძნობით შეპყრობილს, ახლა გამუდმებით მღელვარებისგან მუცელი ჰქონდა შეკუმშული და სიამოვნებდა კიდეც დაღლილობა, რადგან დაძინებაში ეხმარებოდა. და როცა იძინებდა, ყოველთვის მკვდარივით ეძინა.

ბიჭი სულ უფრო და უფრო ცოტას ლაპარაკობდა. თუმცა მორიგი გაჩერებისას, დაძინებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩლუნგი მუტანტების თავდასხმამდე, მსროლელს ლამის მორიდებით სთხოვა, შენი სრულწლოვანად გახდომის ამბავი მომიყევიო.

– ძალიან მაინტერესებს, – დაამატა ბიჭმა.

მსროლელი ზურგით მიყრდნობოდა დრეზინის სახელურს და თითქმის ბოლო თამბაქოთი გახვეულ სიგარეტს აბოლებდა. უკვე უსიზმრო ძილისთვის აპირებდა თავის მიცემას, როცა ბიჭმა ეს სთხოვა.

– რატომ გაინტერესებს? – ჰკითხა გაოცებულმა.

ბიჭმა ჯიუტად გაიმეორა, თითქოს დაირცხვინა და ამით უხერხულობას მალავსო: – უბრალოდ, მაინტერესებს, – და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა: – ყოველთვის მინდოდა, მცოდ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოდა, როგორ ხდები დიდი. რაც მე გამიგია, ალბათ, მეტწილად ტყუილია.

– რაც ჩემგან მოისმინე, დაკაცების ამბავი არ ყოფილა, – უთხრა მსროლელმა. – მგონი, ეს მას შემდეგ დავიწყე, რაც...

– შენს მასწავლებელს შეებრძოლე, – მიეშველა ჯეიკი. – სწორედ მაგ ამბის მოსმენა მინდა.

მსროლელმა თავი დაუქნია. დიახ, რა თქმა უნდა, დღე, როცა ზღვრის გადალახვა სცადა. ეს ამბავი ნებისმიერ ბიჭს მოეწონება.

– რეალურად დაკაცება მაშინ დავიწყე, როცა მამამ სამოგზაუროდ გამგზავნა. დაკაცება ერთგან დავიწყე და მეორეგან დავამთავრე, – მსროლელი ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე დაამატა. – ერთხელ არა-კაცი ჩამოვახრჩე.

– არა-კაცი? პირველად მესმის.

– მის არსებობას გრძნობ, მაგრამ ვერ ხედავ.

– ანუ უჩინარი იყო, – მიხვდა ჯეიკი და თავი დააქნია.

როლანდმა წარბები აზიდა. ეს სიტყვა ადრე არასოდეს გაეგონა.

– მართლა?

– დიახ.

– კარგი, დაგიჯერებ. მოკლედ, ზოგს არ უნდოდა, რომ ეს მექნა, მეუბნებოდნენ, ამას თუ იზამ, სამუდამოდ დავიწყევლებითო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ის ტიპი ქალებს აუპატიურებდა. იცი, ეს რას ნიშნავს?

– კი, – უპასუხა ჯეიკმა, – და, დარწმუნებული ვარ, უჩინარ კაცს ეს კარგად გამოსდიოდა. როგორ დაიჭირე?

– ამას სხვა დროს მოგიყვები, – უთხრა მსროლელმა, თუმცა იცოდა, საამისო დრო აღარ ექნებოდა. ეს ბიჭმაც მშვენივრად იცოდა. – იმ ტიპის ჩამოხრჩობიდან ორი წლის შემდეგ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კინგს-თაუნში, პატარა ქალაქში, ერთი გოგო მივატოვე, თუმცა ამის გაკეთება არ მინდოდა...

– რა თქმა უნდა, გინდოდა, – თქვა ბიჭმა მშვიდად, თუმცა მის ხმაში აშკარად იგრძნობოდა ზიზღი. – იმ კოშკის მოსაძებნად წახვედი. ხომ ასეა? აუცილებლად გზა უნდა გაგეგრძელებინა, როგორც იმ კოვბოებს მამაჩემის ტელეარხზე.

როლანდმა იგრძნო, როგორ გაწითლდა სიბნელეში, მაგრამ ლაპარაკი აუღელვებლად გააგრძელა.

– მგონი, ეს დაკაცების დასკვნითი ნაწილი იყო. სხვა შემთხვევებისას საერთოდ ვერ ვხვდებოდი, რომ ვიზრდებოდი. ამას მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი.

უცებ მსროლელმა გააცნობიერა, რომ იმას არ ამბობდა, რის გაგონებაც ბიჭს უნდოდა.

– სრულწლოვანად გახდომაც, ალბათ, ამ ზრდის ნაწილი იყო, – ლამის უხალისოდ დაამატა. – ოფიციალური, ლამის სტილიზებული, ცეკვასავით, – უხერხულად ჩაიცინა.

ბიჭი დუმდა.

– ვაჟკაცობის ბრძოლაში დამტკიცება აუცილებელი იყო, – თქვა მსროლელმა.

IV

ზაფხული იყო, თანაც ძალიან ცხელი. იმ წელს „სავსემიწობა“ ვამპირი საყვარელივით დააცხრა ქვეყანას, გვალვამ ფერმერების ნათესები გაანადგურა, ციხე-ქალაქ გალაადის ყანები გადაწვა და უნაყოფოდ აქცა. დასავლეთში, გალაადიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, საზღვრისპირა მხარეში, სადაც ცივილიზებული სამყარო მთავრდებოდა, ომი ატყდა. იქიდან სულ ცუდი ამბები მოდიოდა, მაგრამ იმ სიცხესთან შედარებით, რასაც

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქ, ქვეყნის ცენტრში, დაესადგურებინა, ყველანაირი ავი ცნობა ფერმკრთალდებოდა. სიცხისაგან მისავათებული ძროხები ენაგადმოგდებული და მზერაგაშტერებული იცოხნებოდნენ ბაკებში. ღორები ზანტად ღრუტუნებდნენ, არც საშემოდგომოდ ალესილი დანების შიში ჰქონდათ და აღარც ნეზვები და მათთან დაწყვილება ახსოვდათ. ხალხი, როგორც ყოველთვის, გადასახადებსა და ჯარში გაწვევაზე წუწუნებდა. თუმცა პოლიტიკით მოჩვენებით დაინტერესებაში აპათია იმალებოდა. ქვეყნის ცენტრი დაძონძილ ხალიჩას დამსგავსებოდა, რომელიც მრავალჯერ გარეცხეს, ძირს გაფინეს და ზედ გადაიარეს, მერე გაბერტყეს და გასაშრობად მზეზე გაკიდეს. ძაფები, უკანასკნელ მარგალიტს რომ ამაგრებდა ქვეყნიერების მკერდზე, ცოტაც და დაწყდებოდა. ყველაფერი დაშლის პირას იყო. იმ ზაფხულს დედამიწას სუნთქვა შეეკრა და გარდაუვალი დაბნელების მოლოდინში გარინდულიყო.

ბიჭი უქმად დაეხეტებოდა იმ ქვის შენობის ზედა დერეფანში, რომელიც მისი სახლი იყო და ავი წინათგრძნობა აწუხებდა, თუმცა ვერ ხვდებოდა, რატომ. შინაგანად დაცარიელებული და საშიში იყო და ელოდა, როდის ამოივსებოდა ეს სიცარიელე.

სამი წელი გავიდა მას მერე, რაც ის მზარეული ჩამოახრჩვეს, დამშეული ბიჭებისთვის საჭმელი რომ არ ენანებოდა; ამ ხნის განმავლობაში როლანდი სიმაღლეში გაიზარდა და დასრულდა. ახლა აწონილ, გამხდარ და ფეხმარდ ბიჭს გახუნებული შარვალი ეცვა და ზედვე ეტყობოდა, მისგან რა კაციც უნდა დამდგარიყო. ქალთან ჯერაც არ წოლილიყო, მაგრამ ვესტ-თაუნელი ვაჭრის ორ გოგოს უკვე თვალი დაედგა მისთვის. როლანდიც გრძნობდა მათ მიმართ ლტოლვას და განსაკუთრებით – ახლა. დერეფანში გრილოდა, მაგრამ მთელ ტანზე მაინც ოფლს ასხამდა.

წინ დედამისის ოთახი იყო, მაგრამ ბიჭი მასთან შესვლას კი არა, სახურავზე ასვლას აპირებდა, სადაც გრილი ნიავის-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვის შუბლი უნდა შეეშვირა და მარჯვენა ხელით საკუთარი თავისთვის სიამოვნება მიენიჭებინა.

ის იყო, დედის ოთახს ჩაუარა, რომ უკნიდან ძახილი მოესმა:

– ეი, ბიჭო!

მარტენი იყო, მსროლელების მრჩეველი. საეჭვოდ უბრალოდ ეცვა – ვიწრო შავი ჯინსის შარვალი და ნახევრად ჩახსნილი თეთრი პერანგი, საიდანაც უბალნო მკერდი მოუჩანდა. თმა აჩეჩილი ჰქონდა.

ბიჭმა მდუმარედ შეხედა მას.

– შემოდი, შემოდი! დერეფანში ნუ დგახარ! დედაშენს შენთან ლაპარაკი უნდა, – მარტენს ტუჩებზე ღიმილი ეფინა, მაგრამ ცინიკურად და ცივად იმზირებოდა.

სინამდვილეში როლანდის დედას სულაც არ ეტყობოდა, რომ შვილის ნახვა სურდა. დაბალზურგიან სავარძელში იჯდა საძინებლის დიდ ფანჯარასთან, საიდანაც ცენტრალური ეზოს გახურებული ქვაფენილი მოჩანდა. განიერი, საშინაო ხალათი ეცვა, რომელიც ერთ მხარზე გამუდმებით ეჩაჩებოდა. ქალმა შვილს სულ ერთხელ შეხედა, სწრაფად შეავლო თვალი და სევდიანად გაუღიმა, თითქოს შემოდგომის მზე აირეკლა ნაკადულში. საუბრისას, რომელიც სამეულს შორის შედგა, ქალი შვილის ნაცვლად საკუთარ ხელებს აკვირდებოდა.

როლანდი დედას უკვე იშვიათად ხედავდა და საბავშვო სიმღერების („ჩასიტ, ჩისიტ, ჩესიტ“) აჩრდილი თითქმის გამქრალიყო მისი გონებიდან. თუმცა დედა მისთვის საყვარელ უცნობად რჩებოდა. როლანდს ამორფული შიში გაუჩნდა და იგრძნო, როგორ ჩაისახა მის გულში მარტენის, მამამისის უახლოესი მრჩევლის, სიძულვილი.

– კარგად ხარ, რო? – ჰკითხა დედამ. მარტენი მის გვერდით იდგა. მძიმე ხელი ქალის თეთრი კისრისა და მხრის შეერ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თების ადგილას ედო და დედა-შვილს ულიმოდა. ღიმილისაგან ყავისფერი თვალები ჩამუქებოდა, თითქმის გაშავებოდა.

– კი, – უპასუხა ბიჭმა.

– კარგად სწავლობ? ვენეი კმაყოფილია? კორტი? – ამ უკანასკნელის ხსენებისას ქალს ტუჩები მოეღრიცა, თითქოს ეს სახელი ემწარაო.

– ვცდილობ, – უპასუხა შვილმა. ორივემ კარგად იცოდა, რომ ის არც ქათბერტივით გონებამახვილი იყო და არც ჯეიმივით სხარტი. ალენიც კი მასზე უკეთ სწავლობდა. სამაგიეროდ, როლანდი გამრჯე და ღონიერი იყო.

– დეივიდი როგორ გყავს? – ქალმა შვილის შევარდნით გატაცების შესახებ იცოდა.

ბიჭმა მარტენს შეხედა. კაცი ამ ყველაფერს მამასავით ისმენდა და ისევ იღიმებოდა.

– მისი დრო წავიდა.

ბიჭს მოეჩვენა, რომ ამ პასუხმა დედა შეაკრთო. წამით მარტენიც მოიქუფრა და დედამისის მხრიდან ხელი აიღო. მერე ქალმა შუადღის მხურვალე სითეთრეს მიაპყრო მზერა და ყველაფერი კვლავ თავის ადგილზე დაბრუნდა.

„ეს თვალის ასახვევი თამაშია, მეტი არაფერი, – გაიფიქრა ბიჭმა, – ნეტა ვინ ვის ეთამაშება?“

– შუბლზე იარა გაქვს, – შენიშნა მარტენმა და დაუდევრად მიათითა კორტის უკანასკნელ („*გმადლობთ ამ ჭკუის სასწავლებელი დღისთვის*“) ნახელავზე. – მაშ, მამაშენივით მებრძოლი უნდა გახდე? თუ ძალიან ნელი ხარ?

ამჯერად დედა მართლაც შეკრთა.

– ერთიც და მეორეც, – თქვა ბიჭმა, მარტენს მტკიცედ შეხედა და ნაძალადევად გაიღიმა.

მარტენს მაშინვე წაეშალა ღიმილი სახიდან.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეგიძლია, სახურავზე ახვიდე, ბიჭო. მგონი, იქ საქმე გაქვს.

– ჯერ დედაჩემს არ დაურთავს წასვლის ნება, ყმავ!

მარტენს სახე მოეღრიცა, თითქოს მათრახი გადაუჭირესო. ბიჭმა გაიგონა, როგორ ამოიკვნესა შემკრთალმა დედამ:

– როლანდ!..

მაგრამ მისი სახიდან ნაძალადევი ღიმილი არ გამქრალა. ასევე წადგა ნაბიჯი წინ.

– ერთგულების ნიშნად ქედს არ მომიხრი, ყმავ? მამაჩემის სახელით, რომლის მსახურიც ხარ?

მარტენი გაოგნებული მისჩერებოდა ბიჭს.

– წადი, – მშვიდად უთხრა მან როლანდს, – წადი და შენს ხელს საქმე გამოუძებნე.

ბიჭი პირქუშად მოღიმარი გავიდა.

როგორც კი კარი გამოიხურა და იმ მხარეს წავიდა, საიდანაც მოვიდა, დედის შეკივლება მოესმა. ბანშის კივილს ჰგავდა, სიკვდილს რომ მოასწავებს. მერე მამის მსახურმა როლანდის დედას სილა გააწნა და უყვირა, მოკეტეო.

მოკეტეო!

მერე მარტენის ხარხარი გაისმა.

ბიჭს სახიდან ღიმილი არ შორდებოდა, გაღიმებული წავიდა გამოცდაზე.

V

ჯეიმი ბაზრიდან ბრუნდებოდა, როცა საწვრთნელ მინდორზე როლანდი შეამჩნია და მასთან მიირბინა დასავლეთში მიმდინარე სისხლისღვრისა და აჯანყების ახალი ჭორების მისთვის მოსაყოლად. თუმცა როლანდის სახის დანახვამ ხმის ამოღება

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადააფიქრებინა. ბიჭები დაბადებიდან ერთად იზრდებოდნენ, ერთმანეთს ხშირად ეჯიბრებოდნენ, ეჩხუბებოდნენ, ერთად იკვლევდნენ იმ სიმაგრის კედლებსა და საიდუმლო კუთხე-კუნჭულებს, სადაც ცხოვრობდნენ.

როლანდმა ჯეიმი ვერც კი შეამჩნია, ისე ჩაუარა გვერდით ნაძალადევად მოღიმარმა. ის კორტის ქოხისკენ მიაბიჯებდა. ქოხის ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ შუადღის სიცხის შესაკავებლად. კორტს შუადღისას თვალის მოტყუება სჩვეოდა, რათა ღამღამობით სრულად დამტკბარიყო რეიდებით ქვედა ქალაქის ბინძურ საროსკიპოებში.

ჯეიმი მყისვე მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო და ერთდროულად დამფრთხალი და აღტაცებული, საგონებელში ჩავარდა; ვერ გადაეწყვიტა, სხვებისთვისაც დაეძახა თუ როლანდს გაჰყოლოდა. მერე როგორღაც გამოვიდა ჰიპნოზური მდგომარეობიდან და შენობებისკენ გაიქცა ყვირილით:

– ქათბერტ! ალენ! თომას!

იმ სიცხეში მისი ყვირილი სუსტად და ყრუდ ისმოდა. როლანდის ყველა მეგობარი ბიჭური ალღოთი გრძნობდა, რომ მათ შორის ის პირველი ეცდებოდა ზღვრის გადალახვას. თუმცა ეს ასე მალე თუ მოხდებოდა, არ ელოდნენ.

ვერც ერთი სიახლე ომზე, აჯანყებასა თუ ჯადოქრობაზე ვერ გამოაცოცხლებდა ჯეიმის ისე, როგორც როლანდის სახეზე აღბეჭდილი საზარელი ღიმილი. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ბუზებით დაწინწკლული კომბოსტოს გამყიდველი უკბილო ბებრუხანას ჭორები.

როლანდმა მასწავლებლის საცხოვრებლის კარი წიხლისკვრით შეაღო. კარი მობათქაშებულ კედელს დაეჯახა.

ბიჭი აქ პირველად იყო. მოჩანდა უბრალო სამზარეულო, გრილი და ჩაბნელებული. ავეჯი მწირი იყო: ერთი მაგიდა, ორი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საზურგიანი სკამი და ორი განჯინა. იატაკზე გაცვეთილი ლინოლეუმი ეგო. ზედ ნაფეხურები ეტყობოდა, რომლებიც კუთხეში მდგარი მაცივრიდან სასადილო მაგიდასთან და დახლთან მიდიოდა, რომლის თავზეც დანები ეკიდა.

ეს იყო საჯარო პირის პირადი სივრცე – გაცრეცილი თავშესაფარი შუაღამის ღრეობების მოყვარული კაცისა, რომელსაც თავისებური სიუხეშით უყვარდა სამი თაობის ბიჭები და ზოგიერთისგან მსროლელი გამოეყვანა.

– კორტ!

როლანდმა სასადილო მაგიდას წიხლი ჰკრა და დახლს მიანარცხა. დანები ჩამოცვივდა და იატაკში ჩაეჭრო.

მეორე ოთახში ვიღაც მძიმედ შეირხა და ჩაახველა. ბიჭი საძინებელში არ შესულა, რადგან ხვდებოდა, რომ ეს ხაფანგი იყო, რომ კორტმა კარის შემტვრევისთანავე გაიღვიძა და ახლა ცალთვალაელვარებული ელოდა საძინებლის კართან, რათა დაუპატიჟებელი სტუმრისთვის კისერი მოეგრიხა.

– გამოდი, ყმავ!

ამჯერად უზენაეს ენაზე მიმართა როლანდმა და კორტმა საძინებლის კარი გააღო. საცვლების ამარა იდგა, დაბალ-დაბალი, დაკუნთული, გაღუნულფეხებიანი და ერთიანად ნაიარევებით დაფარული. მრგვალი ღიპი გამობერვოდა. ბიჭმა საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ ეს ღიპი ფოლადივით მტკიცე იყო. ცალ საღ თვალს როლანდს უბრიალებდა.

ბიჭი ოფიციალურად მიესალმა.

– ამიერიდან ვეღარ მასწავლი, ყმავ! დღეს მე გასწავლი შენ!

– ადრე მოხვედი, ღლაპო, – უზენაეს ენაზევე მშვიდად უთხრა კორტმა. – სულ ცოტა, ორი წლით ადრე. მხოლოდ ერთხელ გკითხავ: იტყვი უარს გამოწვევაზე?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭმა მხოლოდ უშნოდ, ნაძალადევად გაიღიმა. კორტისთვის, რომელსაც ალისფრად შეღებილი ცის ქვეშ სისხლით მორწყულ ბრძოლის ველზე დაცემულ ღირსეულთა და უღირსთა სახეებზე მრავალი ასეთი ღიმილი ენახა, ეს პასუხი საკმარისი აღმოჩნდა – სხვა პასუხს, ალბათ, არც დაიჯერებდა.

– ცუდია, – აგდებულად თქვა მან, – შენ ყველაზე იმედის მომცემი მოსწავლე იყავი. პირდაპირ ვიტყვი, საუკეთესო ბოლო ოცი წლის განმავლობაში. გული დამწყდება, გატეხილსა და არსაითკენ მიმავალ გზაზე შემდგარს რომ გნახავ. თუმცა სამყარო ადგილიდან დაიძრა. უბედურება გვიახლოვდება.

ბიჭს ხმა არ ამოუღია (მისგან ახსნა-განმარტება რომ მოეთხოვათ, მკაფიო პასუხს მაინც ვერ გასცემდა), მაგრამ სასტიკი ღიმილი ოდნავ შეურბილდა.

– დასავლეთში მიმდინარე ბრძოლებისა თუ ჯადოქრობების მიუხედავად, დიდი გვარისა ხარ, – თქვა კორტმა, – მე შენი ყმა ვარ. ვემორჩილები შენს ბრძანებას და მზად ვარ, სიამოვნებით აღვასრულო, თუნდაც უკანასკნელად.

და კორტმა, ვისაც არა ერთხელ უცემია და გაულანძღავს როლანდი, წიხლები ურტყამს და დაუცინია მისთვის, ბიჭის წინაშე მუხლი მოიყარა და ქედი მოიდრიკა.

ბიჭი გაოცებული შეეხო მასწავლებლის გაუხეშებულ, მაგრამ დაუცველ კისერს.

– ადექი, ყმავ. ამას სიყვარულით გთხოვ.

კორტი ნელა წამოდგა. სახის ნაკვთები გაჰქვავებოდა, მაგრამ ამ გულცივობის ნიღბის ქვეშ მწუხარება იკითხებოდა.

– დროს ფუჭად ვხარჯავთ. უარი თქვი გამოწვევაზე, ბრიყვო. უკან დაიხიე და მოითმინე!

ბიჭს პასუხი არ გაუცია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, იყოს შენებურად, – კორტს ხმა დაუსერიოზულდა. – ერთ საათში შევხვდებით. იარაღი შენ აირჩიე.

– შენს კეტს მოიტან?

– როგორც ყოველთვის.

– რამდენი კეტი წაურთმევიათ შენთვის, კორტ? – ეს იგივე იყო, გეკითხა: რამდენი ბიჭი შევიდა დიდი დარბაზის უკან მდებარე ოთხკუთხა ეზოში საბრძოლველად და რამდენი გამოვიდა იქიდან მსროლელის შეგირდად?

– დღეს კეტს ვერავინ წამართმევს, – დინჯად უპასუხა კორტმა. – ვწუხვარ. ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ გეძლევა. ზედმეტი მონდომებისთვის ისევე ისჯები, როგორც უსარგებლობისთვის. არ შეგიძლია, ცოტა კიდევ მოითმინო?

ბიჭს მარტენთან შეხვედრა გაახსენდა. მისი დამცინავი ღიმილი. სილის გაწვნის ხმა ჩაკეტილი ოთახიდან.

– არა!

– მაშ, კარგი. რა იარაღს ირჩევ?

ბიჭმა არ უპასუხა.

კორტმა გაიღიმა და მრუდე კბილები დაკრიჭა.

– დასაწყისისთვის არა უშავს. ერთ საათში შევხვდებით. იმედია, ხვდები, რომ მამას, დედას და შენს კა-მეგობრებს ვეღარასდროს ნახავ!

– კარგად ვიცი, გადასახლება რასაც ნიშნავს, – ჩუმად თქვა როლანდმა.

– წადი ახლა და მამაშენის სახეზე იფიქრე. იქნებ რამეში დაგეხმაროს.

ბიჭი უკანმოუხედავად წავიდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

VI

საწყობის სარდაფში მოჩვენებითად გრილოდა. ირგვლივ ნესტისა და აბლაბუდის სუნი იდგა. ვიწრო ფანჯრებიდან მზე მხურვალე სხივებს აჭერდა, მაგრამ სარდაფში სიცხე არ იგრძნობოდა. ბიჭი შევარდენს აქ აცხოვრებდა და ფრინველიც კმაყოფილი ჩანდა.

დეივიდი ცაში აღარ ნადირობდა. მისმა ბუმბულმა სამი წლის წინ დაკარგა სიხასხასე, თუმცა მზერა ძველებურად გამჭოლი და უძრავი ჰქონდა. როგორც ამბობენ, შევარდენს ვერ დაიმეგობრებ, თუ თავადაც ნახევრად შევარდენი არ ხარ, მარტოსული და მიწის იშვიათი სტუმარი, უმეგობრო და მეგობრობის არმოსურნე. შევარდენისთვის სიყვარული და ზნეობა უცხოა.

დეივიდი უკვე ბებერი შევარდენი იყო. როლანდს იმედი ჰქონდა, რომ თვითონ ახალგაზრდა შევარდენი იყო.

– გამარჯობა, – მიესალმა შევარდენს და ქანდარაზე მიბმულს ხელი გაუწოდა.

შევარდენი ბიჭის მაჯაზე გადასკუპდა და გაშეშდა. ჩაჩი არ ეხურა. მეორე ხელით ბიჭმა ჯიბიდან აპოხტის ნაჭერი ამოიღო. შევარდენმა მარჯვედ გამოგლიჯა თითებიდან გამხმარი ხორცი და გადაყლაპა.

ბიჭი ფრთხილად მიეფერა დეივიდს. კორტი, ალბათ, საკუთარ თვალებს არ დაუჯერებდა, ეს რომ ენახა, მაგრამ კორტს არც იმის სჯეროდა, რომ ბიჭი უკვე მზად იყო.

– მგონი, დღეს მოკვდები, – ფერებ-ფერებით უთხრა შევარდენს როლანდმა, – დღეს სასიკვდილოდ გაგწირავენ, როგორც იმ პატარა ჩიტუნებს, შენს გასაწვრთნელად რომ ვიყენებდით. გახსოვს? არა? არა უშავს. დღეიდან მე ვიქნები შევარდენი და ყოველ წელს ამ დღეს შენს სახსოვრად ჰაერში გავისვრი.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეივიდი მის მაჯაზე გაშეშებული იჯდა, თვალს არ ახამხამებდა. დიდად არ ადარდებდა, იცოცხლებდა თუ მოკვდებოდა.

– დაბერდი, – ფიქრიანად უთხრა ბიჭმა, – თან, შეიძლება, არც ჩემს მეგობრად მიგაჩნდეს თავი. ერთი წლის წინ ამ გამხმარი ხორცის ჭამის ნაცვლად, ალბათ, თვალებს ამომკორტნიდი. ხომ ასეა? კორტი გულიანად გაიცინებდა. მაგრამ დღეს თუ მასთან მიახლოებას მოვახერხებთ... თუ ვერაფერს იეჭვებს... მაშინ რას იზამ, დეივიდ? რომელს აირჩევ – სიბერეს თუ მეგობრობას?

დეივიდმა პასუხი არ გასცა.

როლანდმა შევარდენს ჩაჩი დაახურა და ქანდარაზე შემოხვეული თასმა ჩამოხსნა. სარდაფიდან ერთად გავიდნენ.

VII

დიდი დარბაზის უკან მდებარე მოედანი მართლა ეზო კი არა, ხშირი, ერთმანეთში გადახლართული ხე-ბუჩქების ცოცხალ ღობეში მოქცეული ვიწრო მწვანე კორიდორი იყო. ამ ადგილს სრულწლოვანად კურთხევის რიტუალისთვის უხსოვარი დროიდან იყენებდნენ, დიდი ხნით ადრე კორტამდე და მის წინამორბედ მარკამდე, რომელიც მეტისმეტად მონდომებული ხელისაგან მიყენებული ჭრილობით დაიღუპა. მრავალი ბიჭი კორიდორის აღმოსავლეთი მხრიდან, საიდანაც მასწავლებლები შემოდიოდნენ ხოლმე, დაკაცებული გადიოდა. აღმოსავლეთ მხარეს დიდი დარბაზისკენ, ცივილიზაციისა და მაღალი საზოგადოების ინტრიგებისაკენ მიჰყავდი. უფრო მეტი, სამუდამო ბიჭობისთვის განწირული, დასისხლიანებული და ნაცემი გადიოდა დასავლეთი მხრიდან, საიდანაც ბიჭები შემოდიოდნენ. კორიდორის დასავლეთ მხარეს ფერმებისა და ფერმებს

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქით მცხოვრები ქოხის ბინადრებისკენ მიჰყავდი; იმის იქით იყო ბარბაროსთა ულრანი ტყეები, ტყეებს იქით – გარლანი და გარლანს იქით – მოჰეინის უდაბნო. ბიჭი, რომელიც კორიდორიდან კაცად გავიდოდა, წყვდიადიდან და უსწავლელობიდან სინათლისა და პასუხისმგებლობის სამყაროში შეაბიჯებდა. დამარცხებულ ბიჭს კი მხოლოდ სამუდამოდ უკან დახევა შეეძლო და მეტი არაფერი. სათამაშო მოედანივით მწვანე და სწორი, ზუსტად ორმოცდაათი მეტრის სიგრძის კორიდორის შუაში შიშველი მიწის ვიწრო ზოლი იყო – სწორედ აქ გადიოდა ზღვარი ბიჭობასა და მამაკაცობას შორის.

როგორც წესი, კორიდორის თითოეულ ბოლოში სეირის მოყვარულები და ნათესავები გროვდებოდნენ, რადგან რიტუალის თარიღს წინასწარ დათქვამდნენ ხოლმე. ბიჭები თავს უმეტესად თვრამეტი წლის ასაკში ცდიდნენ (ისინი, ვინც მარცხის შიშით ოცდახუთ წლამდე გამოცდაში მონაწილეობას არ მიიღებდა, თავისუფალ მიწათმფლობელებად ცხადდებოდნენ და მათ არსებობას თანდათან ივიწყებდნენ). თუმცა დღეს იქ მხოლოდ ჯეიმი დე კარი, ქათბერტ ოლგუდი, ალენ ჯონსი და თომას უიტმენი იდგნენ – ბიჭების მხარეს შეჯგუფებულიყვნენ, პირდაღებულები და დაზაფრულები.

– შენი იარაღი, სულელო! – დაისისინა ქათბერტმა. – იარაღის წამოღება დაგვიწყებია!

– იარაღი თან მაქვს, – უპასუხა როლანდმა, თან გულში გაიფიქრა, ნეტა ამბავმა ამ სიგიჟის შესახებ მთავარ შენობებამდე, დედაჩემამდე და მარტენამდე თუ მიაღწიაო. მამამისი სანადიროდ იყო წასული და რამდენიმე დღე არ დაბრუნდებოდა. თავისი სულსწრაფობის ცოტა შერცხვა: მამა ამ საქციელს თუ არ მოუწონებდა, გაუგებდა მაინც. – კორტი უკვე მოვიდა?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კორტი აქ არის, – მოისმა კორიდორის მეორე ბოლოდან და უსახელოპერანგიანი კორტი წინ გამოვიდა. ტყავის სქელი შუბლსაკრავი წაეკრა, რომ ოფლი თვალებში არ ჩასვლოდა. ჭუჭყიანი კორსეტი შემოერტყა, წელგამართული რომ ყოფილიყო. ხელში სქელი კეტი ეჭირა, ცალი მხრიდან წამახული, მეორე მხრიდან ნიჩბის თავივით განიერი. კორტმა ლიტანია წამოიწყო. ეს ლიტანია ყოველმა მოსწავლე ბიჭმა – წინაპართა (რომელთაც სათავე ართურ ელდმა დაუდო) სისხლით ბრმად არჩეულმა – ბავშვობისას ისწავლა, რათა იმ დღეს წარმოეთქვა, როცა მათი დაკაცების საკითხი უნდა გადამწყდარიყო.

– აქ სერიოზული მიზნით მოხვედი, ბიჭო?

– აქ სერიოზული მიზნით მოვედი.

– მოხვედი, როგორც განდევნილი მამაშენის სახლიდან?

– მოვედი, როგორც განდევნილი, – ბიჭი განდევნილად ითვლებოდა, სანამ კორტს არ მოერეოდა. ხოლო თუ კორტი მოერეოდა, სამუდამოდ განდევნილად დარჩებოდა.

– იარაღი აირჩიე?

– ავირჩიე.

– რა არის შენი იარაღი? – მასწავლებელს ამ მხრივ გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, შეეძლო, საბრძოლო სტრატეგია შურდულის, შუბის, მშვილდის ან არბალეტისთვის მოერგო.

– ჩემი იარაღი დეივიდია.

კორტი შეცბა. ამ პასუხმა გააოცა და დააბნია. ეს კარგი იყო. მისი დაბნეულობა როლანდს როგორმე სათავისოდ უნდა გამოეყენებინა.

– მაშ, ბრძოლაში მიწვევ, ბიჭო?

– გიწვევ.

– ვისი სახელით.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მამაჩემის სახელით.

– მითხარი მისი სახელი.

– სტივენ დისქეინი, ელდის გვარისა.

– მაშ, ნულარ აყოვნებ.

კორტი როლანდისკენ დაიძრა. კეტს ხელში ათამაშებდა. როცა მათი მეგობარი კორტთან შესახვედრად გავიდა, აღელვებულმა ბიჭებმა ამოიოხრეს.

ჩემი იარაღი დეივიდია, მასწავლებელო.

„ვითომ კორტი მიხვდა? ან ბოლომდე თუ მიხვდა? თუ კი, მაშინ ყველაფერი დასრულდა“, – გაიფიქრა ბიჭმა.

ახლა ყველაფერი მოულოდნელობის ეფექტსა და ბებერი შევარდნის სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული.

მაგრამ ვაითუ დეივიდი როლანდის მკლავიდან არც წამოფრინდეს, როცა კორტი თავისი კეტით შეებმება? ან საერთოდ მაღლა, მხურვალე ცაში აიჭრას და გაქცევით უშველოს თავს?

მეტოქეები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. ორივე ჯერჯერობით თავ-თავის ნახევარზე იმყოფებოდა. ბიჭმა აცახცახებული თითებით მოხსნა შევარდენს ჩაჩი. ჩაჩი მწვანე ბალახზე დავარდა. კორტი შეყოვნდა. ხნიერმა მეომარმა შევარდენს მიაპყრო მზერა და ნელ-ნელა თვალები გაუფართოვდა, თითქოს მიხვდაო. დიახ, ის მიხვდა.

– შე პატარა ბრიყვო, – უთხრა ბიჭს და როლანდი ასეთმა მიმართვა ძალიან გააბრაზა.

– შეუტიე! – უბრძანა შევარდენს და ხელი აიქნია.

და დეივიდიც უხმაურო ყავისფერ ტყვიასავით გაფრინდა. ფრთები დააქნია – ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ – და კორტს დაეტაკა. სახე ნისკარტით დაუკორტნა და კლანჭებით ჩამოფხაჭნა. გახურებულ ჰაერში სისხლის შხეფები აიტყორცნა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მიდი, როლანდ! – უყვიროდა აღტაცებული ქათბერტი. – პირველი სისხლი! სისხლის პირველი წვეთები მომეშხეფა! – და მკერდზე ისე ძლიერად დაირტყა მუშტი, რომ, ალბათ, ერთი კვირა მაინც ივლიდა დალილავებული.

კორტი წაბარბაცდა. კეტს ამაოდ იქნევდა თავზემოთ. შევარდენი ისე სწრაფად მოძრაობდა, თვალს ვერ მიაყოლებდი, თითქოს ბუმბულის უფორმო გუნდად იქცა.

ამასობაში ბიჭმა დრო იხელთა და მოხრილი მკლავით, წინ იდაყვგაშვერილი მასწავლებლისკენ გაიქცა. ეს მისი ერთადერთი შანსი იყო და აუცილებლად უნდა გამოეყენებინა.

და მაინც, კორტმა კინაღამ მოასწრო. შევარდენი მხედველობას თითქმის მთლიანად უზღუდავდა, მაგრამ მაინც ცივსისხლიანად გააკეთა ის, რაც რთული მდგომარეობიდან თავის დასახსნელად სჭირდებოდა: კეტი მოიქნია და სამჯერ უმოწყალოდ ჩაირტყა სახეში.

დასახიჩრებული ფრინველი ძირს ჩამოვარდა, მაგრამ მრისხანე მზერას მაინც არ აშორებდა კორტის გასისხლიანებულ სახეს. მასწავლებელს უსინათლო თვალი ლამის ბუდიდან გადმოვარდნოდა.

ბიჭმა მთელი ძალით ჩააზილა წიხლი საფეთქელში. თითქოს ამით ბრძოლა უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არ დამთავრდა. კორტს სახე წამით რაღაცნაირად მოუდუნდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს და ბიჭს ფეხში ეცა.

ბიჭი უკან გახტა, მაგრამ ფეხები აებლანდა და ძირს გაიშხლართა. თითქოს სადღაც შორიდან მოესმა სასოწარკვეთილი ჯეიმის ყვირილი.

კორტი უკვე მზად იყო, მისთვის ბოლო მოელო. როლანდმა უპირატესობა დაკარგა და ამას ორივე ხვდებოდა. რამდენიმე წამს ერთმანეთს მისჩერებოდნენ: მოსწავლე – დაცემუ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი, მასწავლებელი – თავზე წამომდგარი. კორტს უსინათლო თვალი უკვე გასივებოდა და ვიწრო თეთრი ჭრილიღა მოუჩანდა. ამაღამ კორტს საროსკიპოში გართობა არ ეღირსებოდა.

ბიჭს ხელზე რაღაცამ მწარედ უკბინა. ეს დეივიდი იყო – რასაც მისწვდომოდა, იმას კორტნიდა. საოცარია, ორივე ფრთამოტეხილი მაინც რომ ცოცხალი იყო.

როლანდმა ის ქვასავით აიტაცა, ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რომ შევარდენი მაჯას უკორტნიდა და, როცა კორტმა ისკუპა, მისკენ ისროლა.

– მიდი, დეივიდ, მოკალი!

ამ დროს კორტი ზედ დაეცა.

VIII

შევარდენი მათ შორის ლამის გაიჭყლიტა. როლანდმა იგრძნო, როგორ მიცოცავდა კორტის დაკოჟრილი ცერა თითი მისი თვალისკენ. ბიჭმა თავი მიატრიალა, თან ფეხი მოხარა, რომ კორტის მუხლისაგან საზარდული დაეცვა. იმავდროულად, სამჯერ ზედიზედ ძლიერად დასცხო ხელი კისერში. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ქვას ურტყამდა.

კორტმა ამოიოხრა. აცახცახდა. დავარდნილი კეტისკენ წაიღო ხელი. ბიჭმა ეს შეამჩნია და წიხლისკვრით რაც შეიძლებოდა შორს მოისროლა ის. დეივიდი ცალი კლანჭით მარცხენა ყურში ჩაჰფრენოდა კორტს, მეორით უმოწყალოდ უფლეთდა ლოყას. ბიჭს სახეზე თბილი სისხლის წვეთები დაეცა. სისხლს გადაჭრილი სპილენძის გემო ჰქონდა.

კორტის დარტყმამ შევარდენს კისერი მოსტეხა, მაგრამ მტაცებელს კლანჭები მაინც არ გაუშლია. კორტს მარცხენა ყური აღარ ჰქონდა, მხოლოდ გასისხლიანებული ხვრელი მიი-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წევდა მისი თავის ქალის სილრმეში. მეორე დარტყმამ შევარ-დენი შორს მოისროლა და კორტი, როგორც იქნა, მისგან გა-თავისუფლდა.

თუმცა ბიჭმა კორტს სულის მოთქმა არ აცალა, მაშინვე მუშტი გაუქანა და მთელი ძალით სთხლიშა ცხვირში. მასწავ-ლებელს ძვალი ჩაემსხვრა და სისხლმა იფეთქა.

კორტი ბრმად, ხელების ცეცებით ცდილობდა, ბიჭის შარ-ვალს მისწვდომოდა, ჩაეძრო და მისთვის ფეხები შეებორკა, მაგრამ როლანდი გვერდზე გადაკოტრიალდა, კორტის კეტს მისწვდა და წამოიჩოქა.

კორტიც მუხლებზე წამოდგა, უშნოდ მოღიმარი. საოცა-რია, მაგრამ ორივე კვლავ ზღვრის აქეთ-იქით იდგა, ოღონდ საწყისი პოზიციები შეეცვალათ. როლანდს კორტის მხარეს გა-დაენაცვლებინა, კორტს – როლანდის მხარეს. ხნიერ მეომარს სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ერთადერთ საღ თვალს მძვინვარედ აბრიალებდა. გატეხილი ცხვირი მოღრეცოდა. ღაწვებზე კანის ნაფლეთები ეკიდა.

ბიჭი კეტმომარჯვებული ელოდა.

კორტმა მისი ყურადღების გასაფანტავად ორჯერ წაიწია მისკენ და ისევ უკან დაიხია. მესამედ პირდაპირ მისკენ გაქანდა.

თუმცა როლანდი მისმა უბადრუკმა მანევრმა ვერ დააბ-ნია. კეტმა ნახევარრკალი შემოხაზა ჰაერში და კორტის თავზე დაეშვა. გაისმა ყრუ ტკაცუნი. კორტი გვერდზე დაეცა და უაზ-რო, გაყინული თვალებით მიაშტერდა ბიჭს. პირიდან დორბლის წვრილი ნაკადი წამოუვიდა.

– დამნებდი ან მოკვდი! – უთხრა ბიჭმა ისეთი ხმით, თით-ქოს პირი სველი ბამბით ჰქონოდეს გამოტენილი.

კორტმა გაიცინა. ცოტაც და, ალბათ, გონებას დაკარგავ-და და მთელი კვირა ქოხში გათიშულს, უგონობის წყვდიადში

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყოფნა მოუწევდა, მაგრამ ახლა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, რადგან, მართალია, სისხლის ფარდა მზერას უბინდავდა, მაგრამ ბიჭის თვალებში პასუხის მოსმენის უდიდეს სურვილს მაინც ხედავდა. როლანდისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

– გნებდები, მსროლელო. ღიმილით გნებდები. დღეს შენ გაიხსენე სახე მამაშენისა და ყველა შენი წინაპრისა. სასწაული ჩაიდინე!

კორტმა საღი თვალი დახუჭა.

მსროლელმა ის ნაზად, მაგრამ მტკიცედ შეანჯღრია. ბიჭები გარს შემოხვეოდნენ; ერთი სული ჰქონდათ, როლანდისთვის მხარზე ხელი დაეტყაპუნებინათ, გადახვეოდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ, რადგან გრძნობდნენ, რომ მათ შორის უფსკრული გაჩნდა. თუმცა შეგრძნება ბიჭებისთვის უცხო არ იყო, რადგან როლანდსა და დანარჩენებს შორის ყოველთვის არსებობდა უფსკრული.

კორტმა კვლავ გაახილა თვალი.

– გასაღები, – უთხრა მსროლელმა, – ვითხოვ იმას, რაც ჩამომავლობით მეკუთვნის, მასწავლებელო.

მას ჩამომავლობით რევოლვერები ეკუთვნოდა; მართალია, მამამისის სანდალოზისტარიანები არა, მაგრამ რევოლვერების ტარების უფლება ჰქონდა, რაც მხოლოდ მცირეთა ხვედრი და უდიდესი პატივი იყო. ღრმა საცავში, იმ ყაზარმების ქვეშ, სადაც უძველესი კანონის მიხედვით, ამიერიდან უნდა ეცხოვრა დედის კალთას მოწყვეტილ მსროლელს, ინახებოდა შეგირდის იარაღი, ფოლადისა და ნიკელისაგან დამზადებული ვეება, მძიმე რევოლვერები. ამ რევოლვერებით შეგირდობისას მამამისი სარგებლობდა, მაგრამ როლანდის მამა ახლა მმართველი იყო – ყოველ შემთხვევაში, ნომინალურად მაინც.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, თურმე რა გჭირდებოდა ასე ძალიან, – ჩაიბუტბუტა კორტმა, თითქოს ძილში ბოდავსო, – ასეც ვიცოდი. ამ სურვილმა ჭკუა დაკარგვინა და გამოგასულელა, მაგრამ მაინც გაიმარჯვე.

– გასაღები!

– შევარდენი კარგი ფანდი იყო. ჩინებული იარაღი. დიდხანს წვრთნიდი მაგ ნაბიჭვარს?

– საერთოდ არ გამიწვრთნია. დავიმეგობრე. გასაღები!

– ჩემი ქამრის ქვეშ იპოვი, მსროლელო, – თვალი კვლავ დაიხუჭა.

მსროლელმა კორტის ქამრის ქვეშ შეყო ხელი. მასწავლებლის ღიპი ძლიერად დააწვა ზედ, თუმცა მუცლის კუნთები უკვე მოშვებულიყო. გასაღები თითბრის რგოლზე ეკიდა. მსროლელმა რგოლი მუჭში მოიქცია. თავი ძლივს შეიკავა, რომ მისი მოპოვებით გახარებულს, ყიჟინით ცაში არ აესროლა.

როლანდი წამოდგა და ბოლოს და ბოლოს, ბიჭებისკენ მიტრიალებას აპირებდა, რომ კორტმა კოჭზე სუსტად წაავლო ხელი. მსროლელი უკანასკნელი იერიშის მოლოდინში წამით დაიძაბა, მაგრამ კორტმა მხოლოდ დაკოჟრილი თითით მიიხმო.

– ახლა დავიძინებ, – მშვიდად დაიჩურჩულა მან. – ბილიკს გავუყვები და შეიძლება, მის ბოლოს მდებარე მდელომდეც მივიდე. არ ვიცი. მეტს ველარაფერს გასწავლი, მსროლელო. შენ დამჯაბნე. დაჯაბნე მამაშენიც, რომელიც შენზე ორი წლით უფროსი იყო, როცა ყველაზი უმცროსი მსროლელი გახდა. მაგრამ თუ შეიძლება, ერთ რჩევას მოგცემ.

– გისმენ! – მოუთმენლად უთხრა მსროლელმა.

– ეგ გამოხედვა მოიშორე, მატლო.

თავისდა გასაკვირად, როლანდი ბრძანებას დაემორჩილა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კორტმა მოწონებით თავი დაუქნია და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

– მოიცა!

– რა?

ხნიერი მასწავლებელი გაჭირვებით ლაპარაკობდა და ეს მის სიტყვებს კიდევ უფრო მეტ სერიოზულობას სძენდა.

– წინ ყოველთვის ხმები და მითები წაიმძღვარე. ბევრია ისეთი, ვინც ერთსაც და მეორესაც გაავრცელებს, – მსროლელის მხარზემოთ გაიხედა. – მაგალითად, ბრიყვები. დაე შენი ჩრდილი გაიზარდოს. დაე წვერი ამოგვიდეს. დაე ის გაშავდეს, – გროტესკულად გაიღიმა კორტმა. – დადგება დრო და ხმები და ჭორები თავად ჯადოქარს მოაჯადოებს. ხვდები, რასაც გეუბნები, მსროლელო?

– მგონი, ვხვდები.

– მაშ, შეისმენ მასწავლებლის ბოლო რჩევა-დარიგებას?

მსროლელი ქუსლებზე შექანდა – ეს იყო მყარი, ჩაფიქრებული პოზა, რომელიც ბიჭის დაკაცებას მოასწავებდა. ცას ახედა. მზე ჩადიოდა. ცა წითლად იღებებოდა. სიცხე თანდათან იკლებდა, დასავლეთით ჩამოწოლილი სქელი ღრუბლები წვიმას მოასწავებდნენ. მთისწინეთის კალთებს ელვა სერავდა. იმის იქით მთები აღმართულიყო. მთებს გადაღმა სისხლი იღვრებოდა და უგუნურებასა და სიგიჟეს დაესადგურებინა. როლანდი დაიღალა. დაღლილობამ მთლიანად მოიცვა.

კორტს დახედა.

– შევარდენს ამაღამ დავმარხავ, მასწავლებელო. მერე საროსკიპოებს დავივლი და გავაფრთხილებ, რომ შენზე არ იდარდონ. ერთი-ორს შენ მაგივრად ვანუგეშებ.

კორტმა გაჭირვებით გახსნა ბაგეები და გაიღიმა. მერე დაიძინა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი წამოდგა და დანარჩენებს მიუბრუნდა:

– საკაცე გააკეთეთ და შინ წაიყვანეთ. მერე მედდა მოუყვანეთ, რომ მიხედოს. ორი მედდა მოუყვანეთ. გასაგებია?

ბიჭები ჯერაც მონუსხულები იდგნენ და სულგანაბულები უყურებდნენ. ჯერაც ელოდნენ, რომ როლანდის თავი შარავანდედით შეიმოსებოდა ან უცხო არსებად გადაიქცეოდა.

– ორი მედდა, – გაიმეორა მსროლელმა და გაიღიმა. პასუხად ბიჭებმაც გაუღიმეს ნერვიულად.

– შე წყეულო მეცხენე! – იღრიალა უეცრად ქათბერტმა და გაიცინა. – ხორცი სულ გააცალე, ცარიელი ძვლები დაგვიტოვე!

– ხვალ სამყარო ადგილიდან არ დაიძვრება, – ღიმილით წარმოთქვა ძველი გამონათქვამი როლანდმა. – ალენ, შე სქელტრაკა, გაინძერი!

ალენი საკაცის გაკეთებას შეუდგა. თომასი და ჯეიმი ერთად გაიქცნენ ჯერ მთავარ დარბაზში და მერე იქიდან – ლაზარეთში.

მსროლელი და ქათბერტი ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ისინი ყოველთვის უახლოესი მეგობრები იყვნენ (რამდენადაც ამის საშუალებას მათი განსხვავებული ხასიათები იძლეოდა). ბერტი თვალებს ეშმაკურად აცეცებდა. მსროლელი დიდი გაჭირვებით იკავებდა თავს, რომ მისთვის არ ეთქვა, გამოცდა ერთი წლით ან სულაც წელიწად-ნახევრით გადადე, თორემ დასავლეთი ბოლოდან მოგიწევს გასვლაო. თუმცა ერთად იმდენი განსაცდელი გადაელახათ, ბერტს ვერასდიდებით ვერ ჩახედავდა თვალებში და ასეთ რამეს ვერ ეტყოდა – მედიდური და ყოყლოჩინა გამოჩნდებოდა. „უკვე ინტრიგების ხლართვა დავიწყე“, – გაიფიქრა მსროლელმა და შეცბა. მერე მარტენი და დედა გაახსენდა და ცბიერად გაუღიმა მეგობარს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„მე პირველი უნდა ვიყო, – პირველად გააცნობიერა ეს სრულად, თუმცა ადრეც არაერთხელ უფიქრია ამაზე. – მე პირველი ვარ“.

– წავედით, – უთხრა მეგობარს.

– სიამოვნებით, მსროლელო.

კორიდორის აღმოსავლეთი ბოლოდან გავიდნენ; თომასს და ჯეიმის უკვე მედდები მოჰყავდათ. მედდები მკერდზე წითელჯვარმიხატულ ზაფხულის თეთრ და სიფრიფანა ხალათებში მოჩვენებებს ჰგავდნენ.

– შეიძლება შევარდნის დამარხვაში დაგეხმარო? – ჰკითხა ქათბერტმა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა მსროლელმა, – მადლიერი დაგრჩები.

მოგვიანებით, როცა დაღამდა და ღამემ თან წვიმაც მოიყოლა, სანამ უშველებელი შავი ღრუბლები ცას აბნელებდნენ და ელვა ქვედა ქალაქის დაკლაკნილ ქუჩებს ლურჯ ცეცხლში აბანავებდა, სანამ მისაბმელებზე მიბმული ცხენები თავჩახრილები და კუდჩამოყრილები იცდიდნენ გარეთ, მსროლელი ქალთან დაწვა და დაეუფლა მას.

ყველაფერი სწრაფად დამთავრდა, მაგრამ სასიამოვნო იყო. ალერსს რომ მორჩნენ, კიდევ დიდხანს იწვნენ ერთმანეთის გვერდით ჩუმად. ამასობაში სეტყვა წამოვიდა და გამაყრუებელი რახარუხი ატყდა. ქვემოდან, სადღაც შორიდან სიმღერის ხმა ისმოდა. ვიღაც „Hey Jude“-ს მღეროდა. მსროლელი ფიქრებმა წაიღო. სწორედ ამ სეტყვანარევ სიჩუმეში, სანამ ძილი მოერეოდა, როლანდმა პირველად გაიფიქრა, შეიძლება, უკანასკნელი მსროლელიც მე აღმოვჩნდეო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რა თქმა უნდა, მსროლელს ბიჭისთვის ყველაფერი არ მოუყოლია, მაგრამ მონათხრობში ბევრმა რამ ისედაც გამოჟონა. ის უკვე დიდი ხანია მიხვდა, რომ ბიჭი საკმაოდ გამჭრიახი იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა ალენს, რომელსაც ნახევრად ემპათიისა თუ ნახევრად ტელეპათიის უნარი ჰქონდა.

– გძინავს? – ჰკითხა მსროლელმა.

– არა.

– მიხვდი იმას, რაც გითხარი?

– მივხვდი? – რატომღაც აგდებით წამოიძახა ბიჭმა. – მივხვდი თუ არა? მეხუმრები?

– არა, – მსროლელი თავდაცვისთვის გაემზადა. თავისი დაკაცების შესახებ არავისთვის უამბია, რადგან იმ შემთხვევის მიმართ გაორებული გრძნობა ჰქონდა. დიახ, შევარდნის იარაღად გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ ეს ცრუ მანევრი იყო. ღალატი. პირველი მრავალთაგან.

„ახლა კი ეს ბიჭი შავსამოსიან კაცს უნდა ჩავუგდო ხელში?“

– ყველაფერი მშვენივრად გავიგე, – თქვა ბიჭმა. – ეს თამაში იყო. ხომ ასეა? ნუთუ დიდები ყოველთვის თამაშობენ? ნუთუ ყველაფერს ახალი თამაშის დასაწყებ საბაბად იყენებენ? ადამიანები როდისმე მართლა იზრდებიან თუ მხოლოდ სრულწლოვანები ხდებიან?

– შენ ყველაფერი არ იცი, – მსროლელი სიბრაზის შეკავებას ცდილობდა, – ჯერ მხოლოდ პატარა ბიჭი ხარ.

– დიახ. მაგრამ ვიცი, შენთვის რა ვარ.

– მართლა? აბა, მითხარი, – უხეშად უთხრა მსროლელმა.

– პოკერის ჩიპი.

ქვა რომ სჭეროდა, მსროლელი ბიჭს იმწუთას დაუფიქრებლად გაუტეხდა თავს. თუმცა ახლა მშვიდად უთხრა:

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დაიძინე. პატარა ბიჭებს ძილი სჭირდებათ.

ისევ მარტენის სიტყვები ჩაესმა: „წადი და შენს ხელს საქმე გამოუძებნე“.

ცხოვრებაში პირველად შიშით დაზაფრული და გაშეშებული იჯდა წყვდიადში, რადგან მალე ისეთი რამ უნდა ჩაედინა, საკუთარი თავი შესძულდებოდა.

X

ღვიძილის მომდევნო პერიოდში ლიანდაგი მდინარეს მიუახლოვდა და მოგზაურები ჩლუნგ მუტანტებს შეეჩეხნენ.

პირველი მუტანტის დანახვაზე ჯეიკმა შეჰყვირა.

ყვირილის გაგონებაზე მსროლელმა, რომელიც სახელურს აწვებოდა და წინ გადახრილიყო, თავი მკვეთრად მიატრიალა მარჯვნივ. იქით, ქვემოთ, ბურთივით მრგვალი რაღაც მკრთალ მწვანედ ციმციმებდა. უსიამოვნო, ნესტიანი სუნი ეცა.

ეს მწვანე ბურთი სახე იყო – თუ ასეთ რამეს შეიძლება სახე ეწოდოს. ბრტყელ ცხვირს ზემოთ მწერისებრი, გადმოკარკლული თვალები მოჩანდა და მსროლელსა და ბიჭს უაზროდ უმზერდა. შიშის ატავისტურმა შეგრძნებამ მსროლელს ნაწლავები აუწრიალა და გენიტალიები შეუკუმშა. დრეზინის სახელურის მოძრაობის რიტმი უფრო ააჩქარა.

მოელვარე სახე თანდათან გაქრა.

– ეს რა ჯანდაბა იყო? – ჰკითხა ბიჭმა და მსროლელს ახლოს მიუჩოჩდა. – რა... – ბიჭს ხმა ჩაუწყდა, რადგან უცებ რკინიგზის რელსებსა და უხილავ მდინარეს შორის უძრავად მდგარ სამ მკრთალად მოელვარე ფიგურას ჩაუარეს, რომლებიც მათკენ იყურებოდნენ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესენი ჩლუნგი მუტანტები არიან, – უთხრა მსროლელმა, – არა მგონია, რამე დაგვიშავონ. ჩემი აზრით, მათაც ისევე ეშინიათ ჩვენი, როგორც...

სამეულს ერთი ფიგურა გამოეყო და მათკენ წამოლასლასდა. მშიერი იდიოტის გამომეტყველება ჰქონდა. დაუძლურებული, შიშველი სხეული კიდურებისა და საცეცების დაკორძილ მასად გადაჰქცეოდა.

ბიჭმა კიდევ ერთხელ წამოიყვირა და შეშინებული ძაღლივით მოიბუზა მსროლელის ფეხთან.

მუტანტმა ერთი საცეცი დრეზინის ბრტყელ პლატფორმაზე მოაფათურა. საცეცი ნესტისა და წყვდიადის სუნად ყარდა. მსროლელმა დრეზინის სახელურს ხელი გაუშვა, რევოლვერი ამოიღო და დამშეულ იდიოტს შუბლში ტყვია ჩააჭედა. არსება უკან გადავარდა, მისი სიმწვანე, ჭაობის ალივით მკრთალი ელვარება დაბნელებულ მთვარესავით გაქრა. რევოლვერიდან გახსნილი ცეცხლი მსროლელისა და ბიჭის ბადურებზე აღიბეჭდა და კარგა ხანს არ გამქრალა. ამ ღრმა მიწისქვეშეთისთვის დენთის სუნი მეტისმეტად მხურვალე, მძაფრი და უჩვეულო იყო.

ამასობაში უფრო მეტი მუტანტი გამოჩნდა. მოგზაურებს პირდაპირ არც ერთი არ ესხმოდა თავს, მაგრამ მდუმარე, საზარელი სეირის მაყურებლებივით ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ რელსებს.

– ჩემ მაგივრად უნდა ამოძრავო სახელური, – უთხრა მსროლელმა. – შეძლებ?

– კი.

– მაშინ მოემზადე!

ბიჭი შემართული ამოუდგა გვერდით. მზერა ერთი წერტილისკენ ჰქონდა მიმართული და აქეთ-იქით არ იყურებოდა, რომ იმაზე მეტი მუტანტი არ დაენახა, ვიდრე საჭირო იყო. თა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვი მშვიდად ეჭირა, თითქოს კანის ფორებიდან ამოხეთქილ მის არაცნობიერს შიშისგან დასაცავად ერთგვარი ტელეპათიური ფარი აეგო. თუკი ამის ნიჭი და უნარი აქვს, ეს მართლაც შესაძლებელიაო, გაიფიქრა მსროლელმა.

მსროლელი სახელურს ზევით-ქვევით შეუჩერებლივ ამოძრავებდა, მაგრამ სიჩქარეს არ უმატებდა. იცოდა, რომ ჩლუნგი მუტანტები მათ შიშს გრძნობდნენ, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ მუტანტებს მხოლოდ ეს შიში ვერ აღუძრავდა ინტერესს. უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მსროლელი და ბიჭი მიწის ზემოთ მცხოვრები, სინათლის არსებები იყვნენ. „ალბათ, როგორ ვძულვართ, – გაიფიქრა მსროლელმა. – ნეტა შავსამოსიანი კაციც ჩვენსავით ეზიზღებოდათ? ალბათ, არა. ის ამ წყვდიადში შავი ფრთის ლანდივით უჩინრად გაივლიდა“.

ბიჭმა ყრუდ წამოიყვირა და მსროლელმა ლამის დაუდევრად მიატრიალა თავი. ოთხი მუტანტი დრეზინას უტევდა. ერთ-ერთს უკვე ხელმოსაჭიდი ეპოვა.

მსროლელმა სახელურს ხელი გაუშვა და კვლავ გაისროლა – ამჯერადაც აუჩქარებლად და მშვიდად. დაწინაურებულ მუტანტს თავში ესროლა. მუტანტმა ამოისლუკუნა და გაიღიმა. ხელები მოუდუნდა და უღონოდ ჩამოყარა, მისი თითები ერთმანეთს ისე მიეწება, როგორც გამხმარ ტალახში დიდხანს ნაგდები ხელთათმნის თითები. ერთ-ერთმა მკვდარმა ხელმა ბიჭის ფეხს მიაგნო, ჩაეჭიდა და თავისკენ გაქაჩა.

გრანიტის მთის წიაღში ჯეიკის გამაყრუებელი ყვირილი გაისმა.

მსროლელმა მუტანტს მკერდში ესროლა. მუტანტს დაღრეჭილი პირიდან დორბლი წამოუვიდა. ცოტაც და ჯეიკს პლატფორმიდან გადაითრევდა. მსროლელმა ბიჭის მკლავს ჩაავლო ხელი და კინაღამ თვითონაც გადავარდა დრეზინიდან: მიწის-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვეშა არსება საოცრად ღონიერი აღმოჩნდა. მსროლელმა მუტანტს კიდევ ერთი ტყვია დააჭედა თავში. მუტანტის ცალი თვალი ჩამწვარი სანთელივით ჩაქრა, მაგრამ ის არ ჩერდებოდა და ბიჭს ექაჩებოდა. მსროლელი და მუტანტი ჯეიკის აფართხალებული და დაკრუნჩხული სხეულისთვის მდუმარე ბრძოლაში ჩაერთვნენ. ორივე თავისკენ ეწეოდა ბიჭს. მუტანტი აშკარად მისით სადილობას აპირებდა.

დრეზინა თანდათან ჩერდებოდა. გარშემო უფრო და უფრო მეტი მუტანტი გროვდებოდა – კოჭლები, ხეიბრები, ბრმები. იქნებ ისინი უბრალოდ იესოს ეძებდნენ, რომელიც ლაზარესავით აღადგენდა მათ მკვდრეთით და ამ წყვდიადისაგან იხსნიდა.

„ეს ბიჭის აღსასრულია, – გულგრილად გაიფიქრა მსროლელმა, – სწორედ ამას გულისხმობდა მისანი". ან ხელს გაუშვებს და დრეზინას დაძრავს, ან არ გაუშვებს და აქ დაიმარხება. ეს ბიჭის აღსასრულია.

მსროლელმა მკვეთრად გამოსწია ბიჭი და მუტანტს მუცელში ესროლა. წამით მუტანტმა უფრო ძლიერად მოუჭირა ბიჭს ხელი და კინაღამ დრეზინიდან გადაათრია, მაგრამ მერე ხელი გაუშვა და კვლავაც მოლიმარი, შენელებული, ლამის გაჩერებული დრეზინის გვერდით მიწაზე პირქვე დაეცა.

– მეგონა, დამტოვებდი, – სლუკუნებდა ბიჭი, – მეგონა... მეგონა...

– ქამარზე მომეჭიდე, – უთხრა მსროლელმა, – რაც შეიძლება მაგრად მომეჭიდე.

ხელმა ქამარს მიაგნო და მაგრად ჩაებღაუჭა; ბიჭი მძიმედ ქოშინებდა.

მსროლელი ისევ დააწვა სახელურს და დრეზინა დაიძრა. ჩლუნგი მუტანტები ერთი ნაბიჯით ჩამორჩნენ და არაადამია-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნური (მხოლოდ მოწყალე თვალი თუ იპოვიდა მათ ნაკვთებში ადამიანურობის კვალს) მზერით გააცილეს მსროლელი და ბიჭი. მათი სახეები ფოსფორესცენციურ ნათებას გამოსცემდნენ, როგორც წყლის ბნელ სიღრმეებში მობინადრე უჩვეულო თევზები; ზედ არც სიძულვილი ეწერათ, არც – სიბრაზე, მხოლოდ – იდიოტური, თითქმის გაუცნობიერებელი სინანული.

– მათი რიგები შეთხელდა, – თქვა მსროლელმა. მუცლისა და გენიტალიების დაძაბული კუნთები ოდნავ მოუდუნდა. – ბევრი აღარ...

ჩლუნგ მუტანტებს ლიანდაგი ქვებით გადაეღობათ. გზა გადაკეტილი იყო. ერთი უბადრუკი, ნაჩქარევად გაკეთებული წინაღობა იყო, გზის გაწმენდას, ალბათ, სულ ერთი წუთი დასჭირდებოდა. მაგრამ ამისთვის დრეზინა უნდა გაეჩერებინათ და ქვების გადასაყრელად ვიღაც უნდა ჩასულიყო. ბიჭმა წამოიკვნესა და მსროლელს კანკალით მიეკრა. მსროლელმა სახელურს ხელი გაუშვა. დრეზინა უხმაუროდ მიგორდა ქვების წინაღობამდე და გაჩერდა.

ჩლუნგი მუტანტები ისევ უახლოვდებოდნენ. დაუდევრად მოლასლასებდნენ, თითქოს წყვდიადში მთვარეულებივით დაბოდიალობდნენ და ვიღაცას გადააწყდნენ, ვისაც გზას ჰკითხავდნენ. საუკუნოდ წაწყმედილთა და წყეულთა საჯარო შეკრება უძველესი კლდის ქვეშ.

– დაგვიჭერენ? – მშვიდად ჰკითხა ბიჭმა მსროლელს.

– ვერასოდეს. ერთი წამით გაჩუმდი!

მსროლელმა ქვებს შეხედა. რასაკვირველია, მუტანტები სუსტები იყვნენ და რელსებამდე მძიმე ლოდები ვერ მიეთრიათ, ზედ მხოლოდ პატარა ქვები დაეწყოთ, რათა როგორმე დრეზინა გაეჩერებინათ და რომელიმე მგზავრი ეიძულებინათ, ძირს ჩასულიყო.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩადი, – უთხრა მსროლელმა ბიჭს, – გზა გაწმინდე. მე დაგიცავ.

– არა, – დაიჩურჩულა ბიჭმა, – გთხოვ.

– რევოლვერს ვერ მოგცემ, ერთდროულად ქვების გადაყრას და სროლას კი ვერ შევძლებ. შენ უნდა ჩახვიდე.

ჯეიკს მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, ეტყობა, შემზარავი რამ წარმოიდგინა. მერე პლატფორმიდან ჩაბობღდა და შეშლილივით დაიწყო ქვების აქეთ-იქით ყრა ისე, რომ თავს მაღლა საერთოდ არ სწევდა.

მსროლელი რევოლვერებმომარჯვებული იცდიდა.

ორი მუტანტი ბიჭის შესაპყრობად გაბარბაცდა. გაშვერილი ხელები ცომისას მიუგავდათ. რევოლვერებმა თავისი საქმე გააკეთეს, სიბნელე თეთრ-წითელი სხივებით გააპეს და მსროლელს თვალები ნემსებივით მწარედ დაუჩხვლიტეს. ბიჭმა ერთი შეჰყვირა და გზის გაწმენდა განაგრძო. მსროლელი თითქმის ველარაფერს არჩევდა და ეს ყველაზე უარესი იყო. ყველაფერი ლანდებად და ბადურაზე აღბეჭდილ ნარჩენ გამოსახულებად იქცა.

უეცრად ერთ-ერთი ძლივს შესამჩნევად მოციმციმე ლანდი თავისი საცეცისებრი ხელებით მისწვდა ბიჭს. მუტანტის სველი თვალები, თითქმის სახის ნახევარი რომ ეკავა, აქეთ-იქით ტრიალებდა.

ჯეიკმა კიდევ ერთხელ დაიყვირა და თავდამსხმელთან საბრძოლველად მიტრიალდა.

მსროლელმა დაუფიქრებლად გაისროლა, სანამ მზერადაბინდულს მღელვარება ხელებზეც გადაედებოდა. ორ თავს ერთმანეთისგან სულ რამდენიმე სანტიმეტრი აშორებდა. ძირს მუტანტი დავარდა.

ჯეიკი გიჟივით ისროდა ქვებს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუტანტები თითქოს უხილავი საზღვრის გასწვრივ ირეოდნენ. ძალიან ნელა მოლასლასებდნენ, მაგრამ მაინც ახლოს იყვნენ. ახლომყოფებს სხვებიც უერთებოდნენ და მათი რიცხვი თანდათან მატულობდა.

– კარგი, საკმარისია, – თქვა მსროლელმა. – ამოძვერი, სწრაფად!

როგორც კი ბიჭი დრეზინისკენ გამოიქცა, მუტანტებმა ორივეს შეუტიეს. ჯეიკი დრეზინაზე აძვრა, მსროლელი კვლავ სახელურს დააწვა. რევოლვერები ბუდეებში ჩაიწყო. უნდა გაქცეულიყვნენ. სხვანაირად თავს ვერ გადაირჩენდნენ.

მუტანტები დრეზინის ლითონის პლატფორმაზე ატყაპუნებდნენ ხელებს. ბიჭი უკვე ორივე ხელით ეჭიდებოდა ქამარზე და მსროლელს სახით წელზე მისწებებოდა.

გაუაზრებელი ჟინით შეპყრობილი მუტანტები არაფრის მთქმელი გამომეტყველებით დაედევნენ უკან. მსროლელი ადრენალინის მოზღვავებას გრძნობდა. დრეზინა წყვდიადში მიგორავდა და ოთხ თუ ხუთ საბრალო ძონრძოხას მთელი ძალით დაეტაკა. ისინი ყუნწს მოწყვეტილი ბანანებივით გადაცვივდნენ რელსებიდან.

მოგზაურები წინ მიიწევდნენ დაუსრულებელ, მდუმარე და ავის მომასწავებელ წყვდიადში.

დიდი ხნის შემდეგ ბიჭმა თავი ასწია და სახე სწრაფი მოძრაობისგან წარმოქმნილ ქარს შეუშვირა. ეშინოდა, მაგრამ უნდოდა, დარწმუნებულიყო. თვალის ბადურებზე ჯერაც რევოლვერების გასროლისას წარმოქმნილი ნათება შერჩენოდა. წყვდიადის გარდა არაფერი ჩანდა და მდინარის გრიალის გარდა არაფერი ისმოდა.

– აღარ ჩანან, – თქვა ბიჭმა და უცებ შეეშინდა, ახლა გზა დამთავრდება, რელსებიდან გადავვარდებით, ქვის კედელს

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შევეჯახებით და დავილეწებითო. ბიჭს მანქანით არაერთხელ უმგზავრია. ერთხელ მამამისს 150-ით მიჰყავდა მანქანა და პოლიციამ გააჩერა. პოლიციელმა ელმერ ჩეიმბერსის მიერ მართვის მოწმობასთან ერთად მიწოდებულ ოცდოლარიანზე უარი თქვა და ჯარიმა გამოუწერა. თუმცა ჯეიკს ამგვარ ვითარებაში არასდროს ევლო, ასეთ ქარსა და სიბნელეში, სადაც წინიდანაც და უკნიდანაც საფრთხე ემუქრებოდათ, ხოლო მდინარე თითქოს შავსამოსიანი კაცივით ხითხითებდა.

– აღარ ჩანან, – მორცხვად გაიმეორა ბიჭმა და ქარმა სიტყვები პირიდან წაგლიჯა. – შეგიძლია, სვლა შეანელო. ჩამოგვრჩნენ.

მაგრამ მსროლელს მისი არ ესმოდა. წყვდიადში შეუჩერებლივ მიგორავდნენ.

XI

მომდევნო სამ „დღეს“ ისე იარეს, არაფერი შემთხვევიათ.

XII

ღვიძილის მეოთხე პერიოდში (ნახევარი გზა გაიარეს? გზის სამი მეოთხედი? არ იცოდნენ, უბრალოდ, ჯერ ისე არ დაღლილიყვნენ, რომ დასასვენებლად გაჩერებულიყვნენ) დრეზინის პლატფორმას ქვემოდან ყრუ ბრახუნით რაღაც შეეჯახა. დრეზინა შეირყა, რელსებმა მკვეთრად გაუხვია მარცხნივ და მსროლელი და ბიჭი წონასწორობის დასაცავად მარჯვნივ გადაქანდნენ.

წინ შუქი ციმციმებდა – იმდენად სუსტი და ამ ადგილისთვის შეუფერებელი უცხო ნათება, რომ თავიდან სრულიად

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახალ ელემენტად მოეჩვენათ – არა მიწად, ჰაერად, ცეცხლად ან წყლად. შუქს ფერი არ ჰქონდა და იმას, რომ ეს მართლაც შუქი იყო, იმით ხვდებოდნენ, რომ უკვე ერთმანეთის ხელებსა და სახეებს ხედავდნენ და მხოლოდ შეხებით არ გრძნობდნენ. მათი თვალები შუქისადმი ისეთი მგრძნობიარე გამხდარიყო, რომ ნათება თითქმის ათი კილომეტრის სიშორიდან დაინახეს, სანამ სინათლის წყარომდე მიაღწევდნენ.

– იქ გვირაბის ბოლოა, – ლაღად წამოიძახა ბიჭმა, – ბოლო.

– არა, არ არის, – უჩვეულო თავდაჯერებით უთხრა მსროლელმა.

მართალიც აღმოჩნდა. სინათლემდე მივიდნენ, მაგრამ ეს დღის შუქი არ ყოფილა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ სინათლის წყაროს, მით უკეთ ჩანდა, რომ მარცხნივ კლდის კედელი გაქრა და მათ ლიანდაგს სხვებიც შემოუერთდა; ლიანდაგები ერთმანეთს კვეთდნენ და აბლაბუდასავით იხლართებოდნენ. მკრთალ შუქში დაუსრულებლად წინ მიმავალი რელსები პრიალა ვექტორებს წააგავდნენ. ზოგიერთზე საბარგო ვაგონები იდგა, ზოგზე – სამგზავრო ვაგონები ან რელსებზე სამოძრაოდ გადაკეთებული კარეტები. მათი დანახვა მსროლელს აშფოთებდა, რადგან სარგასის ზღვაში ჩაძირულ გემ-მოჩვენებებს აგონებდა.

სინათლე უფრო და უფრო მკვეთრი ხდებოდა და მოგზაურებს ცოტათი თვალებს სტკენდა, თუმცა ისე სწრაფადაც არ ძლიერდებოდა, რომ თვალი ვერ მიეჩვიათ. წყვდიადიდან სინათლეში ნელ-ნელა გამოვიდნენ, როგორც მყვინთავები ამოდიან წყლის სიღრმიდან ზედაპირზე.

მათ თვალწინ, იქვე, შორიახლოს, ბნელში დიდი ანგარი გადაჭიმულიყო. მასში შუქის ყვითელი ოთხკუთხედები იყო დატანებული; სათამაშო სახლის ფანჯრისხელა ოთხკუთხედები

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანგარეთან მიახლოებისას ექვსი მეტრის სიმაღლის ოცდაოთხ კარად გადაიქცა. შუა კარში შევიდნენ. მათ თავზემოთ სხვადასხვა ენაზე რაღაც ეწერა. თავისდა გასაკვირად, მსროლელმა ბოლო ფრაზის წაკითხვა შეძლო. უზენაესი ენის უძველეს წინამორბედ ენაზე ეწერა:

მე-10 ლიანდაგი – ზედაპირზე და დასავლეთის მიმართულებით

შიგნით შუქი უფრო კაშკაშა იყო. ლიანდაგები სხვადასხვა ადგილას ერთმანეთს კვეთდა ან უერთდებოდა. ზოგიერთი შუქნიშანი ჯერ კიდევ მუშაობდა და მათზე მონაცვლეობით წითელი, მწვანე და ყვითელი შუქი ენთო.

ათასობით სარკინიგზო ტრანსპორტის გავლით გაშავებულ ქვის მაღალ ბაქნებს შორის გაიარეს და ცენტრალურ ტერმინალში აღმოჩნდნენ. მსროლელმა სახელურს ხელი გაუშვა. დრეზინა თანდათან გაჩერდა. მოგზაურებმა მიმოიხედეს.

– მეტროს ჰგავს, – თქვა ბიჭმა.

– რას?

– დაივიწყე, მაინც ვერ მიხვდები. მეც აღარ ვიცი, რას ვამბობ.

ბიჭი ცემენტის დაბზარულ პლატფორმაზე აბობღდა. დაინახეს მდუმარე, მიტოვებული ჯიხურები, რომლებშიც ოდესღაც გაზეთები და წიგნები იყიდებოდა; ფეხსაცმლის მაღაზია; ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზია (მსროლელი რევოლვერებისა და თოფების დანახვამ ძალიან გაახარა; თუმცა ყურადღებით დათვალიერებისას გაირკვა, რომ მათი ლულები რატომღაც ტყვიით ამოევსოთ. მსროლელმა ერთი მშვილდი მაინც აიღო თავისთვის და მხარზე გადაიკიდა თითქმის უვარგისი ისრებით სავსე კაპარჭთან ერთად); ქალის ტანსაცმლის მაღაზია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სადღაც კონვერტერი ჰაერს წმენდდა, შეუჩერებლივ უამრავი წლის განმავლობაში, მაგრამ არც ეს გაგრძელდებოდა დიდ-ხანს. მოწყობილობის ტრიალისას ღრჭიალი ისმოდა და ცხადი იყო, რომ ოცნება პერპეტუუმ-მობილეზე შესაფერის პირობებშიც კი ბრიყვულ ოცნებად რჩებოდა. ჰაერს მექანიზებული გემო დაჰკრავდა. ბიჭისა და მსროლელის ნაბიჯების ხმა ყრუ ექოდ ისმოდა.

– ეი, აქეთ! – დაუძახა ბიჭმა მსროლელს.

მსროლელი მისკენ წავიდა. ბიჭი მონუსხულივით გაშეშებულიყო წიგნის ჯიხურის წინ. შიგნით, კუთხეში, სკამზე მუმია იყო მისვენებული. ოქროსფერით გაწყობილი ლურჯი უნიფორმა ეცვა; უნიფორმის მიხედვით, მუმია მატარებლის გამცილებლისა უნდა ყოფილიყო. კალთაში ჩინებულად შემონახული გაზეთი ედო, მაგრამ როგორც კი მსროლელი შეეხო, მტვრად იქცა. მუმიას სახე ვაშლის ჩირივით დასჭკნობოდა. მსროლელი ფრთხილად შეეხო ლოყაზე. მტვრის პატარა ბუღი წამოიშალა. მტვერი რომ გაიფანტა, თითის შეხებისგან ლოყაზე გაჩენილი ნახვრეტიდან მუმიის პირის ღრუში შეიხედეს. შიგნით ოქროს კბილები ბზინავდა.

– აირი, – ჩაიბუტბუტა მსროლელმა, – ძველად ხალხი ისეთ აირს აწარმოებდა, რომელსაც ასეთი შედეგის გამოწვევა შეეძლო. ვენეისგან მსმენია.

– წიგნებით რომ გასწავლიდათ, იმისგან?

– კი, მისგან.

– მგონი, ის ძველი ხალხი ამით ომობდა, – პირქუშად ჩაილაპარაკა ბიჭმა. – მტერს აირით ხოცავდა.

– ალბათ, მართალი ხარ.

კიდევ ათიოდე მუმია აღმოაჩინეს. ორი-სამის გარდა, ყველას ოქროსფერით გაწყობილი ლურჯი უნიფორმა ეცვა. ეტყო-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბა, მომწამვლელი აირი მაშინ გამოიყენეს, როცა შიგნით ბევრი ხალხი არ იყოო, დაასკვნა მსროლელმა. ვინ იცის, იქნებ უხსოვარ დროს ეს სადგური უკვე დავიწყებულ ომში არმიის სამიზნე იყო.

ამ ფიქრმა მსროლელი დააღონა.

– ჯობია, წავიდეთ, – მეათე ლიანდაგისა და დრეზინისაკენ დაიძრა მსროლელი. მაგრამ ბიჭი იქვე დარჩა, სადაც იდგა.

– აღარ მოვდივარ!

გაოცებული მსროლელი მისკენ მიტრიალდა.

ბიჭს სახე დაღრეჯოდა და ტუჩები უთრთოდა.

– სანამ ცოცხალი ვარ, შენსას მაინც ვერ მიაღწევ. ვეცდები, მარტომ ვუშველო თავს.

– კარგი, ჯეიკ, – რბილად თქვა მსროლელმა, რომელსაც საკუთარი თავი ეზიზღებოდა იმისთვის, რის გაკეთებასაც აპირებდა, – გრძელ დღეებსა და სასიამოვნო ღამეებს გისურვებ, – ბიჭს ზურგი აქცია, ბაქანი გადაჭრა და მსუბუქად დახტა დრეზინაზე.

– ვიღაცას შეუთანხმდი! – მიაძახა ბიჭმა. – ვიცი, რომ შეუთანხმდი!

მსროლელს არ უპასუხია. მშვილდი ფრთხილად დადო დრეზინის პლატფორმის შუაგულში ამოშვერილი სახელურის წინ, უსაფრთხო ადგილას.

ბიჭს ხელები დამუშტული ჰქონდა და სახეზე ტკივილი აღბეჭდვოდა.

„რა იოლად ატყუებ ამ პატარა ბიჭს, – გაიფიქრა მსროლელმა. – ჩინებული ალღო მუდმივად კარნახობს, რომ რაღაც ისე არაა, შენ კი მუდმივად თავგზას უბნევ. არადა, სხვა რა გზა აქვს, უნდა გენდოს, შენს მეტი მეგობარი არ ჰყავს“.

უცებ ერთმა აზრმა გაუელვა, თითქმის ხილვის მსგავსმა:

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაფერზე ხელი აეღო, უკან მიტრიალებულიყო, ბიჭი წაეყვანა და ახალი ძალის ცენტრად ექცია. რა აზრი აქვს ბნელ კოშკამდე ასე სამარცხვინოდ მისვლას? რამდენიმე წელს კიდევ მოითმენს, დაე ბიჭი გაიზარდოს და თავის ძიებას შემდეგ განაგრძობს, ორივენი ერთად შავსამოსიან კაცს იაფფასიან დასაქოქ თოჯინასავით მოიცილებენ თავიდან.

„კი, როგორ არა“, – დაამატა გონებაში ცინიკურად.

მთელი სისასტიკით გააცნობიერა, რომ ახლა უკან დაბრუნება ორივესთვის სიკვდილს ნიშნავდა, ან კიდევ უფრო უარესს: ჩლუნგ მუტანტებთან ერთად მიწისქვეშეთში ცოცხლად ჩამარხვას და თანდათან დაჩლუნგებას. მამის ნაქონი სანდალოზისტარიანი რევოლვერები, ალბათ, ორივეზე დიდხანს გაძლებდა და იმ ბენზინის ტუმბოსავით ტოტემებად შემორჩებოდა.

„ვაჟკაცობა გამოიჩინე“, – უთხრა საკუთარ თავს ვერაგულად.

სახელურს დააწვა და დრეზინა ბაქანს მოსცილდა.

– დამიცადე! – დაუძახა ბიჭმა და გაიქცა, რომ კვლავ წყვდიადისკენ მიმავალ დრეზინას დასწეოდა. მსროლელს უცებ მოუნდა, სიჩქარისთვის მოემატებინა და ჯეიკი მარტო დაეტოვებინა, რადგან ბიჭს ამ გაურკვევლობაში გადარჩენის უფრო მეტი შანსი ექნებოდა.

მაგრამ, ამის ნაცვლად, ბაქნიდან გადმომხტარი ბიჭი დაიჭირა და მკერდზე რომ მიიკრა, იგრძნო, როგორ გაუდიოდა თხელი პერანგის ქვეშ ბიჭის გულს ბაგაბუგი.

მალე ყველაფერი დამთავრდებოდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

XIII

მდინარის ხმაური ძლიერდებოდა და მისი გრიალი მოგზაურებს ძილშიც ჩაესმოდათ. მსროლელი, უფრო ახირების გამო, ვიდრე სხვა რაიმე მოსაზრებით, დრეზინის მართვას ხანდახან ბიჭს ანდობდა ხოლმე, თვითონ კი თეთრბაწარშებმული უვარგისი ისრების სროლაში ვარჯიშობდა.

დიდად არც მშვილდი ვარგოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩინებულად შემონახულიყო: მოსაზიდად მძიმე იყო და სამიზნეც გამრუდებული ჰქონდა. მსროლელი მაშინვე მიხვდა, რომ ამას ვერაფერი გამოასწორებდა. გახისტებულ ხის რკალს ლარის თავიდან გაჭიმვაც არ უშველიდა. ისრები შორს არ მიფრინავდა, თუმცა ბოლო გასროლისას ისარი სველი და გალიპული მოათრია უკან. როცა ბიჭმა ჰკითხა, მდინარემდე რამდენი დარჩაო, მსროლელმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ გულში გაიფიქრა, ეს მშვილდი ისარს სამოც მეტრზე შორს ვერ გაისროდაო, ისიც – საუკეთესო შემთხვევაში.

მდინარის გრიალი სულ უფრო ძლიერდებოდა.

მეტროს სადგურიდან წამოსვლის შემდეგ ღვიძილის მესამე პერიოდში წინ კვლავ აციმციმდა ილუზორული შუქი. უჩვეულოდ მანათობელ კლდეში გაჭრილ გრძელ გვირაბში იმყოფებოდნენ; გვირაბის სველი კედლები ისე ბრჭყვიალებდა, თითქოს პაწაწინა ვარსკვლავები წამიერად ფეთქდებიან, ქრებიან და ისევ თავიდან ჩნდებიანო. ბიჭმა მათ „ნამარხულები“ უწოდა. გარემო იდუმალი და სიურრეალისტური ეჩვენებოდათ, თითქოს საშინელებათა ოთახში აღმოჩნდნენ.

გვირაბში მდინარის გრიალი ბუნებრივი გამაძლიერებლის წყალობით უფრო საზარლად ისმოდა, მაგრამ თავად მდინარე არსად ჩანდა. არადა, გვირაბის კედლები გაგანიერდა და თანდათან უკან იხევდა, და მსროლელი ფიქრობდა, მალე გა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაკვეთის წერტილს მივუახლოვდებითო. აღმართი უფრო დაცერდა.

უცხო შუქით განათებული ლიანდაგი პირდაპირ მიიწევდა. მსროლელს „ნამარხულების“ გროვები ჭაობის აირით გავსებულ ბუშტებს აგონებდა, „დიდი მკის“ სადღესასწაულო ბაზრობაზე იაფად რომ ყიდდნენ, ბიჭს – ნეონის ნათურების დაუსრულებელ რიგს. ამ ელვარების წყალობით ორივე არჩევდა, რომ კლდე, რომლის წიაღშიც იმყოფებოდნენ, ტყუპი შვერილით ბოლოვდებოდა და ეს უსწორმასწორო, დაკბილული შვერილები წყვდიადის უფსკრულს – მდინარის ღრმა ხეობას – გადაჰყურებდა.

ძველისძველ ბურჯებზე გადებული ხიდით ლიანდაგი უფსკრულზე გადადიოდა. გაღმა ნაპირზე, წარმოუდგენლად შორს (მოგზაურების თვალისთვის), ერთი ბეწო სინათლის წერტილი მოჩანდა. ეს იყო არა ფოსფორესცენცია ან ფლუორესცენცია, არამედ ნამდვილი დღის შუქი. წერტილი შავ ქსოვილზე ნემსის ნაჩხვლეტივით პაწაწინა იყო, მაგრამ შემზარავი მნიშვნელობით აღსავსე.

– გაჩერდი, – სთხოვა მსროლელს ბიჭმა, – გთხოვ, ერთი წუთით გაჩერდი!

მსროლელმა დრეზინის სახელურს ხელი გაუშვა ისე, რომ ბიჭისთვის გაჩერების მიზეზი არ უკითხავს. მდინარის გრიალი ახლა თითქმის ყველა მხრიდან ისმოდა. მსროლელს სველი კედლების ხელოვნური განათება უეცრად გულისამრევი მოეჩვენა. პირველად დაეუფლა კლაუსტროფობიის განცდა. დაუყოვნებლივ გარეთ გასვლა, ამ სამარიდან თავის დაღწევა მოუნდა.

– აქ უნდა გავიაროთ, – თქვა ბიჭმა. – იმასაც ეს უნდა, არა? უნდა, რომ დრეზინით ხიდზე გავიაროთ და... უფსკრულში გადავიჩეხოთ?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელმა იცოდა, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ ბიჭს მაინც უპასუხა:

– არ ვიცი, იმას რა უნდა.

დრეზინიდან ჩავიდნენ და უფსკრულის კიდეს ფრთხილად მიუახლოვდნენ. შვერილი მკვეთრად მიიწევდა მაღლა და უეცრად წყდებოდა. წყვდიადში გადებული ლიანდაგი ეულად აგრძელებდა გზას.

მსროლელმა დაიჩოქა და ქვევით გადაიხედა. ძლივს გაარჩია მდინარეში ჩაკარგული ფოლადის საბრჯენებისა და კოჭების ხლართი, რომელსაც სიცარიელეში თაღად გადებული ლიანდაგი ეყრდნობოდა.

მსროლელს იმის წარმოდგენაც კი აფრთხობდა, რას უზამდა წყალი და ხანი ფოლადს. რამდენი მყარი საყრდენი იყო დარჩენილი? ცოტა? თითქმის არც ერთი? აღარც ერთი? უეცრად მუმია დაუდგა თვალწინ და გაახსენდა, თითის ერთი შეხებით როგორ იქცა მისი თითქოსდა მყარი ცხედარი მტვრად.

– გზას ფეხით გავაგრძელებთ, – თქვა მსროლელმა.

რატომღაც ეგონა, რომ ბიჭი შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ჯეიკი პირველი დაიძრა და შედუღაბებულ ფოლადის ფილებზე მყარად და მშვიდად დადგა ფეხი. მსროლელი უკან მიჰყვა. მზად იყო, ბიჭი დაეჭირა, თუ შემთხვევით ფეხი დაუცდებოდა ან მცდარ ნაბიჯს გადადგამდა.

მსროლელს ცივმა ოფლმა დაასხა. კონსტრუქცია დაჟანგული იყო, ძალიან ძველი. ფილებზე ფეხის დადგმისას ხიდი ღრმა ხეობაში აღრიალებული მდინარის რიტმში ირყეოდა და უხილავ ბაგირებზე დაკიდებული მსუბუქად ქანაობდა.

„აკრობატები ვართ, – გაიფიქრა მსროლელმა. – ნახე, დედა, დავფრინავ“.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთგან ჩაიმუხლა და შპალები შეამოწმა. ისინი დაჟანგული და დაბზარული იყო (ამის მიზეზი – ლპობისა და ხრწნის მეგობარი – სუფთა ჰაერი სახეში სცემდა; როგორც ჩანს, ზედაპირთან უკვე ახლოს იყვნენ) და მუშტის ღონივრად დარტყმამ ლითონი საცოდავად ააზანზარა. მეორეგან გამაფრთხილებელი ღრჭიალი მოესმა, ცოტაც და ფოლადი დანებდებოდა და ჩაიშლებოდა. მსროლელმა ის ადგილი სასწრაფოდ უკან მოიტოვა.

ბიჭი მასზე ორმოცდაათი კილოთი მაინც მსუბუქი იყო და ხიდზე გადასვლა წესით ძალიან არ უნდა გასჭირვებოდა, თუ სხვა მოულოდნელი წინაღობები არ წამოყოფდა თავს.

მიტოვებული დრეზინა წყვდიადს შეერწყა. კლდის მარცხენა შვერილი მარჯვენაზე ოციოდე მეტრით შორს იყო წამოწეული რელსების გასწვრივ, მაგრამ მალე ისიც უკან დარჩა და მოგზაურები სრულიად მარტონი აღმოჩნდნენ უფსკრულის თავზე.

თავიდან ეჩვენებოდათ, რომ დღის სინათლის პაწაწინა წერტილი მათ ჯინაზე არ იზრდებოდა, პირიქით, იმავე სიჩქარით შორდებოდა მათ, რა სიჩქარითაც თვითონ მიიწევდნენ მისკენ (ეს მართლაც რომ საოცარი ჯადოქრობა იქნებოდა). თუმცა მსროლელმა თანდათან შეამჩნია, რომ წერტილი იზრდებოდა და უფრო მკვეთრი ხდებოდა. წერტილი ჯერაც მათ ზემოთ მოჩანდა, მაგრამ ლიანდაგი პირდაპირ მისკენ მიდიოდა.

უცებ ბიჭმა წამოიყვირა და განზე გადაქანდა. ხელები აიქნია და რამდენიმე წამს ქანაობდა უფსკრულის პირას, სანამ წონასწორობას დაიბრუნებდა და წინ გადადგამდა ნაბიჯს.

– კინაღამ ჩავვარდი, – უემოციოდ თქვა მან, – ფრთხილად, მანდ ხვრელია. გადააბიჯე, თორემ ჩავარდები. საიმონი გეუბნება: დიდი ნაბიჯი გადადგი.

მსროლელს გაახსენდა საბავშვო თამაში, რომლითაც ქათბერტთან, ჯეიმისთან და ალენთან ერთად ერთობოდა, ოღონდ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისინი ამ თამაშს „დედა გეუბნებას“ უწოდებდნენ. მსროლელმა უსიტყვოდ გადააბიჯა ხვრელს.

– უკან დაბრუნდი, – სერიოზული სახით უთხრა ჯეიკმა, – „შეიძლებას“ თქმა დაგავიწყდა!

– უკაცრავად, მაგრამ აჯობებს, ეგრე არ მოვიქცე.

შპალი, რომელზეც წელან ბიჭმა დააბიჯა, მთლიანად ჩაიშალა და ჟანგიანი მოქლონითლა დამაგრებული ზანტად ქანაობდა ჰაერში.

კვლავინდებურად აღმა მიიწევდნენ. რთული გზა იმაზე გრძელი მოეჩვენათ, ვიდრე სინამდვილეში იყო. ჰაერი გასქელდა და ჟელესებრი გახდა. მსროლელს ეჩვენებოდა, კი არ მივდივარ, მივცურავო. გონებიდან არ შორდებოდა გიჟური ფიქრები დაჟანგულ ხიდსა და მდინარეს შორის არსებულ საზარელ სივრცეზე. ტვინი გასაოცარი სიზუსტით უხატავდა ნათელ სურათს: ისმის ღრჭიალი, ფეხქვეშ ლითონის საყრდენი ეცლება, წონასწორობადაკარგული გვერდზე გადაქანდება, ჩექმის ლანჩები ჟანგიან ფოლადზე უსრიალებს, ხელებს ამაოდ ასავსავებს არარსებულ მოაჯირზე ჩასაჭიდებლად და ქვემოთ მიფრინავს ტრიალ-ტრიალით, უნებლიე შარდი შარვლის უბეს უთბობს, სახეში ცივი ქარი სცემს, თმას უწეწავს, თვალების დახუჭვის საშუალებას არ აძლევს, შავი წყალი უფრო და უფრო უახლოვდება, მისკენ მიქრის და უკან საკუთარი ყვირილი მისდევს...

მის ფეხქვეშ ლითონმა დაიღრჭიალა, მაგრამ მსროლელმა სასწრაფოდ წინ გადადგა ნაბიჯი და სხეულის სიმძიმე მეორე ფეხზე გადაიტანა. ცდილობდა, გონებიდან ამოეგდო უფსკრული და არც იმაზე ეფიქრა, რამდენი გამოიარეს ან რამდენი დარჩათ გასავლელი. არც იმაზე უნდოდა ფიქრი, რომ მალე ბიჭს მსხვერპლად გაწირავდა და ღირსებას გაყიდდა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ო, რა შვებას იგრძნობს, როცა ყველაფერი დამთავრდება!

– სამი შპალი აკლია, – გულგრილად თქვა ბიჭმა, – გადავხტები. აბა, ჯერონიმო!

მსროლელმა დაინახა, როგორ გაკრთა დღის მკრთალ შუქზე ბიჭის სილუეტი – ოდნავ წელში მოხრილი და ფრთებივით გაშვერილი ხელებით, თითქოს, თუ ნახტომი არ გამოუვა, ფრენით აპირებს თავის შველასო. ბიჭი ძირს დაეშვა და მისმა სიმძიმემ მთელი კონსტრუქცია შეარყია. ხიდის ლითონის ბურჯებმა უკმაყოფილოდ დაიჭრიალეს და შორს დაბლა რაღაც ჩავარდა: ჯერ ბრახუნი გაისმა, მერე – დგაფუნი.

– გადახტი? – დაუძახა ბიჭს მსროლელმა.

– კი, – უპასუხა ჯეიკმა, – მაგრამ აქ ყველაფერი დაჟანგულია – როგორც ზოგიერთის ტვინი. მე კი მიძლებს, მაგრამ არა მგონია, შენ გაგიძლოს. აჯობებს, უკან დაბრუნდე. უკან დაბრუნდი და მარტო დამტოვე.

ბიჭს ცივი ხმა ჰქონდა, მაგრამ მასში ისტერია მაინც იგრძნობოდა – ხმა ისევე უფეთქავდა, როგორც გული, როცა ბაქნიდან დრეზინაზე გადახტა და როლანდმა დაიჭირა.

მსროლელს მაინცდამაინც არ გასჭირვებია ნაპრალზე გადასვლა. ამისთვის ერთი დიდი ნაბიჯი აღმოჩნდა საკმარისი. ერთი გიგანტური ნაბიჯი.

„დედა, შეიძლება? დიახ, შეიძლება!“.

ბიჭი უმწეოდ ცახცახებდა.

– უკან დაბრუნდი. არ მინდა, რომ მომკლა.

– თუ კაცი იესო გწამს, იარე, – უხეშად უთხრა მსროლელმა, – აქ თუ დავდგებით და ვილაქლაქებთ, ვერ გაგვიძლებს და ჩაიშლება.

ბიჭი მთვრალივით გაბარბაცდა, აცახცახებული ხელები წინ გაეშვირა, თითები გაეფარჩხა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალმასვლა გააგრძელეს.

დიახ, ხიდი აქ უფრო დაჟანგული და დამპალი იყო. ერთ-, ორ- და სამშპალიანი ნაპრალები გახშირდა. მსროლელი უკვე შიშით ელოდა, სადმე ისეთ განიერ ნაპრალს გადავაწყდებით, ან უკან დაბრუნება მოგვიწევს, ან უფსკრულზე გადებულ ვიწრო რელსებზე ბარბაც-ბარბაცით გავლაო.

მზერა დღის შუქისკენ ჰქონდა მიმართული.

ნათებამ ლურჯი შეფერილობა მიიღო და, რაც უფრო უახლოვდებოდნენ მას, მით უფრო რბილდებოდა, „ნამარხულების“ სიკაშკაშე კი თანდათან სუსტდებოდა. ორმოცდაათი თუ ასი მეტრი? კიდევ რამდენი რჩებოდა გასავლელი, მსროლელი ვერ იტყოდა.

მიდიოდნენ და ახლა უკვე, შპალიდან შპალზე გადაბიჯებისას, სულ ძირს იყურებოდა. როცა კვლავ ასწია თავი, დაინახა, რომ სინათლის წერტილი უკვე ხვრელად ქცეულიყო, ეს უკვე შუქი კი არა, გასასვლელი იყო. ცოტაც და გარეთ გავიდოდნენ.

ოცდაათი მეტრიღა დარჩა. მეტი არა. ოთხმოცდაათი მოკლე ნაბიჯიც და ეგაა.

იქნებ შავსამოსიან კაცს ჭკუაში აჯობონ? ვინ იცის, იქნებ დღის კაშკაშა შუქში მისი ბოროტი ზრახვების ყვავილები დაჭკნეს? აი, მაშინ კი ყველაფერია შესაძლებელი.

უეცრად შუქს რაღაც გადაეფარა.

მსროლელი შეკრთა, მაღლა აიხედა სოროდან ამომძვრალ თხუნელასავით და დაინახა სილუეტი, რომელსაც შუქი თითქმის მთლიანად დაეფარა, მხოლოდ დამცინავი ლურჯი ზოლები მოჩანდა მხრებს ზემოთ და ფეხებს შორის.

– გამარჯობა, ბიჭებო!

გამოქვაბულში შავსამოსიანი კაცის სიტყვები ხმამაღლა გაისმა და ექოდ განმეორდა, რამაც მის სარკასტულ ტონს უფ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რო მეტი სიძლიერე შესძინა. მსროლელმა დაუფიქრებლად ჯიბისკენ წაიღო ხელი, სადაც ყბა ეგულებოდა, მაგრამ ჯიბე ცარიელი დახვდა. ყბა სადღაც დაჰკარგვოდა.

ზემოდან შავსამოსიანი კაცის ხარხარი დაატყდათ თავს. ხარხარის ექო ტალღებივით ეხეთქებოდა ქვის კედლებს და გამოქვაბულს თანდათან ავსებდა. ბიჭმა წამოიყვირა და კვლავ წაფორხილდა. წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელები აიქნია.

მათ ქვეშ ლითონმა დაიღრჭიალა და რელსები ნელ-ნელა დაცურდა. ბიჭი გადავარდა და ცალი ხელი თოლიას ფრთასავით რამდენჯერმე აიქნია წყვდიადში. როგორღაც რელსს ჩაეჭიდა და ჰაერში ჩამოკიდებული მსროლელს მიაჩერდა. მის მზერაში ჩანდა, რომ გარდაუვალის მოახლოებას გრძნობდა.

– მიშველე.

შავსამოსიანი კაცის ხმამ დაიგუგუნა:

– მორჩა თამაში. წამოდი, მსროლელო. დროზე, თორემ ველარასდროს დამიჭერ!

ფსონები დაიდო. ყველა კარტი გაიხსნა, გარდა ერთისა. უფსკრულის პირას ეკიდა ბიჭი, ვით ხორცშესხმული ტაროს კარტი, ვით „ჩამოხრჩობილი კაცი“ თუ „ფინიკიელი მეზღვაური“, უცოდველი მსხვერპლი, რომლის დაკარგული სული მალე სტიქსის წყლებში ჩაიძირებოდა.

„ერთი წუთით! ცოტა მოითმინე!“

– მოდიხარ თუ არა?

„მისი ყვირილი ფიქრში ხელს მიშლის!“

– მიშველე, როლანდ.

კონსტრუქცია გამაყრუებელი ღრჭიალით კიდევ უფრო მეტად გადაიხარა და ნაწილებად დაშლა დაიწყო.

– მაშინ მე წავედი!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„არა! არ წახვალ!“

დამბლადაცემულივით გაშეშებული მსროლელი, როგორც იქნა, გონს მოეგო და ისკუპა. მართლაც რომ გიგანტური ნაბიჯით გადაევლო ბიჭს და მთელი ძალით გაქანდა დღის შუქისკენ, რომელიც გონებაში მყარად ჩაბეჭდილი ბნელი კოშკისკენ მიმავალი გზის განათებას ჰპირდებოდა...

მერე სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

სილუეტი გაქრა. მსროლელის გულისცემაც კი შეწყდა, როცა ხიდის კონსტრუქცია კიდევ უფრო გადაიხარა და ნახევრად ჰაერში დაკიდებული, საბოლოო ცეკვისთვის გაემზადა. მსროლელის ხელი წყევლის კლდოვან კიდეს მოეჭიდა, და უცებ საზარელ სიჩუმეში სადღაც ქვემოდან ბიჭის ჩურჩული მოესმა:

– მაშ, წადი. ამის გარდა, ბევრი სხვა სამყაროც არსებობს.

ხიდს საბოლოოდ გამოეცალა საყრდენი, ბურჯებს მოსწყდა და ჩავარდა. მსროლელი შვერილზე აძვრა და გასასვლელისკენ გაიქცა დღის სინათლესთან, ნიავთან და ახალ კასთან შესახვედრად. გულდამძიმებულმა წამით უკან მიიხედა (ინანა, რატომ იანუსი არა ვარო), მაგრამ იქ აღარაფერი იყო, დამთრგუნველი მდუმარების გარდა. უფსკრულში ჩავარდნისას ბიჭს არ დაუყვირია.

როლანდი გარეთ გაიჭრა. კლდოვან ფერდობზე აღმოჩნდა, საიდანაც ბალახოვანი ველის ხედი იშლებოდა. შავსამოსიანი კაცი ფეხებგაფარჩხული და გულზე ხელებდაკრეფილი იდგა ველზე.

მსროლელი მთვრალივით ბარბაცებდა, სახეზე მკვდრის ფერი ედო, თვალები გაფართოებოდა, პერანგი მტვერში ამოგანგვლოდა. უეცრად გააცნობიერა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, წინ ისეთი სულიერი დეგრადაცია ელოდა, რომელთან შედარებითაც ახლანდელი იმედგაცრუება არაფერი იყო; რაც

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უნდა გაჰქცეოდა ამ ტკივილს საიდუმლო დერეფნებით, ერთი ქალაქიდან მეორეში, საწოლიდან საწოლში, როგორც უნდა ეცადა გონებიდან ბიჭის სახის წაშლა და დარდის კახპებთან ნებივრობითა თუ სისხლისღვრით გაქარვება, ბოლო ოთახში შესული მის სახეს სანთლის ალში დაინახავდა. მსროლელი ბიჭად იქცა და ბიჭი – მსროლელად. მსროლელი საკუთარი ნებით გადაიქცა მაქციად. ამიერიდან სიზმრებში ბიჭს დაემსგავსებოდა და მისი უცნაური ქალაქის ენაზე ილაპარაკებდა.

„ეს სიკვდილია. ხომ ასეა? ხომ სიკვდილია?“

ნელა, ბარბაცით დაეშვა ფერდობიდან მინდორზე, სადაც შავსამოსიანი კაცი ელოდა. აქ ლიანდაგი თითქმის აღარ ჩანდა, თითქოს საერთოდ არც არსებობდა.

შავსამოსიანმა კაცმა კაპიუშონი სიცილით გადაიხადა.

– მაშ ასე! – შესძახა მან. – ეს დასასრული არ არის, დასაწყისის დასასრულია, არა? ყოჩაღ, მსროლელო! ნამდვილად წინ მიდიხარ! აღფრთოვანებული ვარ შენით!

მსროლელმა თვალის დახამხამებაში დააძრო რევოლვერები და თორმეტჯერ გაისროლა. გაელვებებმა თავად მზე დააბნელა, ხოლო დამაყრუებელი გასროლის ხმა უკან მოტოვებულ კლდოვან ფერდობზე ასხლტა.

– კარგი რა, კარგი რა! – სიცილით თქვა შავსამოსიანმა კაცმა. – მე და შენ ერთად დიდებული ჯადოქრობის განსახიერება ვართ. ჩემი მოკვლა ისევე არ შეგიძლია, როგორც საკუთარი თავისა.

ის უკუსვლით დაიძრა და მსროლელი ღიმილით იხმო:

– წამოდი, წამოდი! დედა, შეიძლება? დიახ, შეიძლება!

მსროლელი ლასლასით გაჰყვა იქით, სადაც საუბარს შეძლებდნენ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი და შავსამოსიანი კაცი

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეხუთე

მსროლელი და შავსამოსიანი კაცი

I

შავსამოსიანმა კაცმა უძველეს სასაკლაოზე მიიყვანა სასაუბროდ. მსროლელმა მაშინვე იცნო გოლგოთა, თხემის ადგილი. მიწაზე მიმოფანტული ხარ-ძროხის, კოიოტების, ირმების, კურდღლების თეთრი თავის ქალები უაზროდ მისჩერებოდნენ სტუმრებს. ერთგან მოკლული ხოხობი ეგდო, ალებასტრის ქსილოფონად ქცეული, მეორეგან ველური ძაღლის მიერ, ალბათ, გასართობად მოკლული თხუნელას წვრილი ძვლები ეყარა.

გოლგოთა მთის დამრეც კალთაზე ჩაღრმავებული ღარტაფი იყო. უფრო ქვემოთ მსროლელმა ჯუჯა ნაძვებსა და იესოს ხეებს[4] მოჰკრა თვალი. ცა მოწმენდილი იყო. ასეთი ცა მსროლელს მთელი წელი არ ენახა. ვერ იტყოდა, რა, მაგრამ რაღაც აშკარად მიანიშნებდა, რომ ზღვა აქედან არც ისე შორს იყო.

„დასავლეთში ვარ, ქათბერტ, – გაკვირვებით გაიფიქრა მსროლელმა, – თუ ეს ჯერ კიდევ არ არის შუა სამყარო, ახლოს მაინც ვარ“.

---

[4] Yucca brevifolia. იგულისხმება იესო ნავეს ძე.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შავსამოსიანი კაცი ძველისძველი მაგარმერქნიანი ხის მორზე ჩამოჯდა. მის ჩექმებს მტვრისა და აქაური ძვლის ფქვილის სქელი ფენა დასდებოდა. თავზე კვლავ კაპიუშონი წამოეხურა, მაგრამ მსროლელი მის ოთხკუთხა ნიკაპს და ყბის კონტურს მაინც არჩევდა.

დაჩრდილულ ტუჩებს ღიმილი გადაეფინა.

– შეშა მოაგროვე, მსროლელო. მთების აქეთა მხარეს ჰავა რბილია, მაგრამ ამ სიმაღლეზე სიცივე მაინც დანასავით გერჭობა ტანში. თანაც, ეს ხომ სიკვდილის ადგილია.

– მოგკლავ, – უთხრა მსროლელმა.

– არ მომკლავ. ვერ მომკლავ. თუმცა, შეგიძლია, შეშა მოაგროვო შენი ისააკის მოსაგონრად.

მსროლელი შავსამოსიანი კაცის მინიშნებას ვერ მიხვდა, მაგრამ შეუპასუხებლად წამოდგა და უბრალო ხელის ბიჭივით შეაგროვა შეშა. სამწუხაროდ, მთების აქეთა მხარეს ეშმაკის ბალახი არ იზრდებოდა, მაგარმერქნიანი ხე კი ისე გაქვავებულიყო, ცეცხლი ძნელად ეკიდებოდა. მსროლელმა ბლომად ფიჩხი მოიტანა. ფიჩხს დაშლილი ძვლების მტვერი სქლად დასდებოდა, თითქოს ზემოდან ფქვილი მოაყარესო. მზე უკვე იესოს ხეების კენწეროებს ამოჰფარებოდა და წითლად გაბრწყინებული, მსროლელსა და შავსამოსიან კაცს ღვარძლიანი გულგრილობით დასცქეროდა.

– ყოჩაღ! – შეაქო მსროლელი შავსამოსიანმა კაცმა. – რა განსაკუთრებული ხარ! რა თანამიმდევრული! რა მარჯვე! ქედს ვიხრი შენ წინაშე! – ხითხითით დაასრულა ქება-დიდება. მსროლელმა შეშა ფეხებთან ხმაურით დაუყარა და მტვრის ბული დააყენა.

შავსამოსიანი კაცი არც კი შემკრთალა. წამოდგა და შეშის დაწყობას შეუდგა. მსროლელი მონუსხული ადევნებდა

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალს, როგორ იქმნებოდა ახალი იდეოგრამა. იდეოგრამამ დაახლოებით სამოცი სანტიმეტრის სიმაღლის ორმაგი საკვამურის ფორმა მიიღო. შავსამოსიანმა კაცმა ხელი ზეაღაპყრო, განიერი სახელოდან წაგრძელებული ხელის მტევანი გამოაჩინა და მკვეთრად დასწია ქვემოთ. საჩვენებელი და ნეკა თითებით ავი თვალისგან დამცავი ტრადიციული სიმბოლო ჰქონდა გამოსახული. ლურჯმა ალმა იფეთქა და შეშას ცეცხლი წაეკიდა.

– ასანთი კი მაქვს, – მხიარულად თქვა შავსამოსიანმა კაცმა, – მაგრამ ვიფიქრე, ჯადოქრობა მოგეწონებოდა. ეს შენს გასართობად გავაკეთე, მსროლელო. ახლა სადილი მოვამზადოთ.

მისი მანტიის ნაკეცები შეირხა და გამოშიგნული და გატყავებული ჩასუქებული კურდღელი მიწაზე დავარდა.

მსროლელმა უსიტყვოდ წამოაგო კურდღელი შამფურზე. მზის ჩასვლისას ცაში მადისაღმძვრელი სურნელი აიჭრა. ღარტაფს, რომელიც შავსამოსიანმა კაცმა მსროლელთან შესახვედრად შეარჩია, ხარბად ნთქავდნენ მეწამული ჩრდილები. კურდღლის ხორცი თანდათან იბრაწებოდა და მსროლელს მუცელი აუყურყურდა. თუმცა, როცა კურდღელი შეიწვა, შამფური უხმოდ გაუწოდა შავსამოსიან კაცს, თავად კი დაფუშულ ზურგჩანთაში ჩაყო ხელი და აპოხტის ბოლო ნაჭერი ამოიღო. ხორცი ცრემლებივით მლაშე იყო და პირი აეწვა.

– ულირსი საქციელია, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა. ერთდროულად განაწყენებული ადამიანის ხმაც ჰქონდა და გახალისებულისაც.

– არა უშავს, – თქვა მსროლელმა. ვიტამინების ნაკლებობას მისთვის პირის ღრუ დაეწყლულებინა და გაღიმებისას უშნოდ დაიმანჭა.

– მოჯადოებული ხორცის გეშინია?

– დიახ.

შავსამოსიანმა კაცმა კაპიუშონი გადაიხადა.

მსროლელმა ჩუმად შეათვალიერა. რაღაც მხრივ, იმედი გაუცრუვდა. თურმე კაპიუშონში სიმპათიური, ჩვეულებრივი სახე იმალებოდა. ეს სახე იმ კაცისას არ ჰგავდა, მრავალ განსაცდელში რომ გამოუვლია და დიდ საიდუმლოებებს მალავს. გრძელი და აბურდული შავი თმა ჰქონდა, მაღალი შუბლი და შავი ელვარე თვალები. არაფრით გამორჩეული ცხვირი. სქელი ტუჩები. ისიც მსროლელივით ფერმიხდილი იყო.

– ბერიკაცს ველოდი, – თქვა ბოლოს მსროლელმა.

– რატომ? მეც შენსავით თითქმის უკვდავი ვარ, მსროლელო... ჯერჯერობით მაინც. შემეძლო, ისეთი სახე მიმეღო, შენ რომ მოელოდი, მაგრამ ვარჩიე, ის სახე მეჩვენებინა, რომლითაც... ჰმ... დავიბადე. შეხედე, მსროლელო, დაისი.

მზე აღარ ჩანდა და დასავლეთით ცა გახურებული ღუმელივით მუქ-წითლად შეღებილიყო.

– აისს კიდევ დიდხანს ვეღარ იხილავ, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა.

მსროლელს გაახსენდა უფსკრული მთებში და თანავარსკვლავედებით მოჭედილ ცას ახედა.

– ამას მნიშვნელობა არ აქვს, – თქვა მან ჩუმად, – უკვე აღარ.

II

შავსამოსიანი კაცი სწრაფად ჭრიდა კარტს. დასტა სქელი იყო, კარტების უკანა მხარეს სპირალისებური ნახატები ამშვენებდა.

– ეს ტაროა, მსროლელო. უფრო სწორად, რაღაც მსგავსი. ჩვეულებრივ დასტაში ჩემ მიერ შექმნილი კარტებიცაა გარეული. ახლა კი ყურადღებით!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რატომ?

– მომავალს გიწინასწარმეტყველებ. შვიდ კარტს ამოვატრიალებ, ყველას სათითაოდ. ვნახოთ, როგორ დალაგდება ერთმანეთთან მიმართებაში. რა ხანია, კარტით აღარ მიმკითხავია – მაშინ გალაადი ჯერ დაქცეული არ იყო და ქალბატონები დასავლეთ კორდზე „პოინტსს“ თამაშობდნენ. თანაც, არა მგონია, შენნაირი ბედი ვინმესთვის მეწინასწარმეტყველოს, – შავსამოსიანი კაცის ხმაში კვლავ ირონია გაისმა. – შენ მსოფლიოში ბოლო თავგადასავლის მაძიებელი ხარ. ბოლო ჯვაროსანი. ალბათ, ეს ძალიან გსიამოვნებს, როლანდ. თუმცა წარმოდგენა არ გაქვს, რა ახლოს ხარ ბნელ კოშკთან ახლა, როცა ძიება კვლავ განაახლე. შენს თავზე სამყაროები ტრიალებენ.

– რას ნიშნავს, განვაახლე? ძიება არასდროს შემიწყვეტია.

ამის გაგონებაზე შავსამოსიანმა კაცმა გულიანად გადაიხარხარა, მაგრამ არ უთქვამს, რამ გააცინა.

– მაშ, მიმკითხავე, – უხეშად უთხრა მსროლელმა.

შავსამოსიანმა კაცმა პირველი კარტი ამოატრიალა.

– ჩამოხრჩობილი კაცი, – თქვა მან. ახლა უკვე წყვდიადი უფარავდა სახეს კაპიუშონივით. – თუმცა ცალკე, სხვა კარტების გარეშე, ეს სიძლიერეს ნიშნავს და არა სიკვდილს. ეს კაცი შენ ხარ, მსროლელო, რომელიც მუდამ მიზნისკენ მიიწევ ნა'არის უფსკრულებზე გადავლით. ერთი თანამგზავრი უკვე ჩააგდე ამ უფსკრულში, ხომ ასეა?

მსროლელმა პასუხი არ გასცა. შავსამოსიანმა კაცმა მეორე კარტი ამოატრიალა.

– მეზღვაური! ყურადღებით დააკვირდი მის უნაოჭო შუბლს, უწვერო ღაწვებს, ტკივილით აღსავსე თვალებს. ის იხრჩობა, მსროლელო, მაგრამ საშველად ბაგირს არავინ აწვდის. ეს პატარა ჯეიკია.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი შეკრთა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

შავსამოსიანმა კაცმა მესამე კარტი ამოატრიალა. ყმაწვილკაცს მხარზე დაკრეჭილი ბაბუინი ეჯდა. ყმაწვილს სახე დამანჭოდა და ზედ შიში და ძრწოლა აღბეჭდვოდა. ყურადღებით რომ დააკვირდა, მსროლელმა ბაბუინის ხელში მათრახი შეამჩნია.

– პატიმარი, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა. კოცონის ალი უსიამოვნო, შემზარავ ჩრდილს ჰფენდა კარტზე გამოსახულ ყმაწვილკაცს და ისე ჩანდა, თითქოს ტკივილისაგან უხმოდ იგრიხებაო. მსროლელმა მზერა მოარიდა.

– ცოტათი შემაშფოთებელია, არა? – თქვა შავსამოსიანმა კაცმა. ახარხარებას ცოტაღა უკლდა.

შავსამოსიანმა კაცმა მეოთხე კარტი ამოატრიალა. ეს სართავ ჯარასთან მჯდარი შალისთავსაფრიანი ქალი იყო. მსროლელის კოცონის ელვარებით დაბრმავებულ თვალებს მოეჩვენა, რომ ქალი თან ეშმაკურად იღიმებოდა და თან ტიროდა.

– ჩრდილების ქალბატონი, – შენიშნა შავსამოსიანმა კაცმა. – ორპირად ხომ არ გეჩვენება, მსროლელო? არის კიდეც. სულ ცოტა, ორი სახე აქვს. მან ლურჯი თეფში გატეხა.

– ეგ რას ნიშნავს?

– არ ვიცი.

მსროლელს მოეჩვენა, რომ ამ შემთხვევაში მისი მტერი არ ტყუოდა.

– ამ ყველაფერს რატომ მიჩვენებ?

– ნუ მეკითხები, – მკვეთრად მოუჭრა შავსამოსიანმა კაცმა, მაგრამ გაუღიმა. – ნუ მეკითხები, მხოლოდ უყურე. თუ ეს დაგამშვიდებს, შეგიძლია, უაზრო რიტუალად ჩათვალო. როგორც საეკლესიო წირვა.

შავსამოსიანმა კაცმა ჩაიხითხითა და მეხუთე კარტი ამოატრიალა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოლიმარ მომკელს ძვლოვანი თითებით მაგრად ჩაებღუჯა ცელი.

– სიკვდილი, – უბრალოდ თქვა შავსამოსიანმა კაცმა, – ოღონდ შენი არა.

მეექვსე კარტის ჯერი დადგა.

მსროლელმა კარტს დახედა და მუცელი რაღაც უჩვეულოს მოლოდინში აუწრიალდა. შიშნარევი სიხარულის განცდა დაეუფლა, წესიერად ვერც იტყოდა, ეს რა გრძნობა იყო. კინაღამ გული აერია, იმავდროულად ცეკვა მოუნდა.

– კოშკი, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა. – ესეც კოშკი.

მსროლელის, ანუ ჩამოხრჩობილი კაცის, კარტი შუაში იდო, დანარჩენი ოთხი კარტი გარს თანამგზავრებივით შემორტყმოდა, როგორც ვარსკვლავს.

– მაგას სად დადებ? – ჰკითხა მსროლელმა შავსამოსიან კაცს.

შავსამოსიანმა კაცმა კოშკი ჩამოხრჩობილ კაცს დაადო ზედ და მთლიანად დაფარა.

– ეს რას ნიშნავს? – ჰკითხა მსროლელმა.

შავსამოსიანმა კაცმა არ უპასუხა.

– ეს რას ნიშნავს? – აღელდა მსროლელი.

შავსამოსიანმა კაცმა არ უპასუხა.

– დაგწყევლოს ღმერთმა, მიპასუხე!

პასუხი კვლავ ვერ მიიღო.

– ეშმაკსაც წაუღია შენი თავი. მეშვიდე კარტს არ ამოატრიალებ?

შავსამოსიანმა კაცმა მეშვიდე კარტი ამოატრიალა. მოწმენდილ ლურჯ ცაზე მზე კაშკაშებდა. მის ირგვლივ კუპიდონები და ელფები ირეოდნენ. მზე ძირს გადაჭიმულ წითელ მინდორს დაჰნათოდა. ეს სისხლი იყო თუ ვარდები? მსროლელი ვერ არჩევდა. „შეიძლება, ორივეა“, – გაიფიქრა მან.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეშვიდე კარტი სიცოცხლეა, – ჩუმად თქვა შავსამოსიანმა კაცმა, – ოლონდ შენი არა.

– ამის ადგილი სადაა?

– ჯერჯერობით, ეგ შენი საქმე არაა, – უთხრა შავსამოსიანმა კაცმა, – და არც ჩემი. მე ის არ ვარ, შენ რომ დაეძებ, როლანდ. მე მხოლოდ მისი ემისარი ვარ, – შავსამოსიანმა კაცმა კარტის დასტა დაუდევრად შეყარა მინელებულ ცეცხლში. კარტები გაიმურა, დაიჭმუჭნა და ცეცხლში გაეხვია. მსროლელს გული შეეკუმშა და გაეყინა.

– დაიძინე, – არხეინად ურჩია შავსამოსიანმა კაცმა, – იქნებ სიზმარი ნახო.

– რაც ჩემმა ტყვიებმა ვერ ქნეს, ჩემი ხელები იზამენ, – თქვა მსროლელმა. მისი ფეხები თითქოს თავისით მოსწყდნენ მიწას და მსროლელი ხელებგაშვერილი გადაახტა კოცონს. მოლიმარი შავსამოსიანი კაცი მის თვალწინ თითქოს სიმაღლეში გაიზარდა და გრძელ, ყრუ დერეფანში უკან დაიხია. სამყარო ირონიულმა სიცილ-ხარხარმა გაავსო. მსროლელი სადღაც ჩავარდა, მოკვდა, დაიძინა.

და სიზმარი ნახა.

III

სამყარო ცარიელი იყო. არაფერი მოძრაობდა. არაფერი არსებობდა.

გაოგნებული მსროლელი სიცარიელეში ლივლივებდა.

– მოდი, აქაურობა ცოტა გავანათოთ, – უდარდელად თქვა შავსამოსიანმა კაცმა და იქმნა ნათელი.

მსროლელმა გულგრილად გაიფიქრა, ნათელი კარგიაო.

– ახლა მაღლა წყვდიადი შევქმნათ ვარსკვლავებითურთ, დაბლა – წყალი.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასეც მოხდა. მსროლელი უკიდეგანო ზღვების თავზე დალივლივებდა. ზემოთ ურიცხვი ვარსკვლავი კიაფობდა, თუმცა მსროლელმა ვერც ერთი ის თანავარსკვლავედი ვერ გაარჩია, მთელი ცხოვრება გზის გაგნებაში რომ ეხმარებოდა.

– ხმელეთი, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა და იქმნა ხმელეთი – მძლავრი ბიძგებით გამოეყო წყალს. ხმელეთი წითელი და გამომშრალი იყო, დაბზარული და უნაყოფობისგან მოშიშვლებული. ვულკანები დაუსრულებლად ანთხევდნენ მაგმას, თითქოს რომელიღაც მახინჯი მოზარდის სახეზე ამოსული მუწუკები ყოფილიყვნენ.

– ესეც ასე, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა, – მშვენიერი დასაწყისია. ახლა მცენარეები შევქმნათ. ხეები, ბალახი და მინდორ-ველები.

და იქმნა მცენარეები. აქა-იქ დინოზავრები დააბოტებდნენ, ღრიალებდნენ და ერთმანეთს ჭამდნენ, აბუყბუყებულ, მყრალ კუპრის ორმოებში ეფლობოდნენ. ხმელეთი უკიდეგანო ტროპიკულმა ჯუნგლებმა დაფარა. გიგანტური გვიმრების დაკბილული ფოთლები ცას სწვდებოდა. გვიმრის ფოთლებზე ორთავიანი ხოჭოები დაცოცავდნენ. მსროლელი ამ ყველაფერს ხედავდა, მაგრამ თავს მაინც ვეებერთელად გრძნობდა.

– ახლა კი ადამიანი გავაჩინოთ, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა, მაგრამ მსროლელი უკვე ვარდებოდა... ზემოთ ვარდებოდა. ვრცელი მიწის ჰორიზონტი მოიღუნა. დიახ, ყველა იმას ამბობდა, ჰორიზონტი მოღუნულიაო, მასწავლებელი ვენეიც კი სულ იმეორებდა, ეს ჯერ კიდევ სამყაროს ადგილიდან დაძვრამდე დამტკიცდაო. თუმცა ეს...

სულ წინ და წინ. მაღლა და მაღლა. მსროლელის თვალწინ კონტინენტები შეიქმნა და სქელი ღრუბლებით დაიფარა. ატ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსფერო დედამიწას პლაცენტასავით შემოხვეოდა. დედამიწის მოლუნული კიდიდან მზე ამოვიდა...

მსროლელმა წამოიყვირა და თვალებზე ხელები აიფარა.

– დაე იყოს ნათელი!

ეს ხმა შავსამოსიან კაცს აღარ ეკუთვნოდა. დამაყრუებელი ხმის ექომ მთელი სივრცე აავსო.

– ნათელი!

მსროლელი ვარდებოდა და ვარდებოდა.

მზე დაპატარავდა, მსროლელს არხებით დასერილმა წითელმა პლანეტამ ჩაუქროლა, მის ირგვლივ ორი მთვარე ბრუნავდა. მერე უწესრიგოდ მოძრავი ქვების სარტყელი და მოთუხთუხე აირებით სავსე გიგანტური პლანეტა გამოჩნდა. ეს პლანეტა იმდენად დიდი იყო, რომ მთლიანობას ვერ ინარჩუნებდა და შედეგად პოლუსებთან შებრტყელებულიყო. კიდევ უფრო შორს მოჩანდა ძვირფას ქვასავით აბრჭყვიალებული, ყინულოვანი ნატეხებით შემორკალული სამყარო.

– ნათელი! დაე იყოს...

სხვა სამყაროები. ერთი, ორი, სამი. ბოლო სამყაროს მიღმა, ძალიან, ძალიან შორს, უკუნეთში გამქრქალებული მონეტის მსგავსად სუსტად მბზინავი მზის ირგვლივ ერთადერთი ყინულისა და ქვის ბურთი ბრუნავდა.

იმის იქით წყვდიადი სუფევდა.

– არა, – თქვა მსროლელმა და მისი სიტყვა ბნელზე უბნელეს, შავზე უშავეს წყვდიადში მონოტონურად გაისმა. ასეთ წყვდიადთან შედარებით ადამიანის სულის უბნელესი ღამე შუადღედ გამოჩნდებოდა, მთისქვეშეთის უკუნეთი – სინათლის ზედაპირზე დაჩნეულ ლაქად. – გთხოვ, მეტი აღარ მინდა, მეტი აღარ...

– ნათელი!

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეტი აღარ! გთხოვ, მეტი აღარ!

ვარსკვლავებიც დაპატარავდა. ნისლეულები შეიკუმშა და მოციმციმე ლაქებს დაემსგავსა. მთელმა სამყარომ თითქოს მსროლელის ირგვლივ დაიწყო ბრუნვა.

– გთხოვ, აღარ მინდა, აღარ მინდა!

შავსამოსიანმა კაცმა ხავერდოვნად ჩასჩურჩულა ყურში: – მაშინ დაარღვიე აღთქმა. დაივიწყე ბნელი კოშკი. შენი გზით იარე, მსროლელო და იხსენი სული.

წყვდიადში გახვეულმა, მარტოდ დარჩენილმა და შეძრულმა, უმაღლესი აზრის მოახლოებით თავზარდაცემულმა მსროლელმა მხნეობა მოიკრიბა და საბოლოო პასუხით წერტილი დაუსვა ამ საკითხს:

– არასოდეს!

– მაშინ, დაე იყოს ნათელი!

და იქმნა ნათელი, ურისავით დაეცა თავზე დიდი და პირველყოფილი ნათელი. ცნობიერებამ ამ სიკაშკაშეს ვერ გაუძლო, მაგრამ ვიდრე თვალთ დაუბნელდებოდა, მსროლელმა ცხადად დაინახა უზარმაზარი მნიშვნელობის რაღაც. ამ რაღაცას მთელი ძალით ჩაებღაუჭა და მერე საკუთარ გონებას შეაფარა თავი, სანამ ნათელი დააბრმავებდა და ჭკუიდან შეშლიდა.

გაექცა ნათელსა და ცოდნას, რომელიც ამ ნათელს ახლდა და კვლავ თავის თავს დაუბრუნდა. ისევე, როგორც ყველა ჩვენგანი. ისევე, როგორც საუკეთესონი ჩვენ შორის.

IV

ისევ ღამე იყო, მაგრამ იგივე თუ მომდევნო, მსროლელი ვერ იტყოდა. იმ ადგილას ეგდო, შავსამოსიანი კაცისკენ დემონური ნახტომისას რომ დავარდა. თავი წამოსწია და შეხედა ხის

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მორს, რომელზეც მანამდე უოლტერ ო'დიმი (ასე შეურქმევია მისთვის ხალხს, ვისაც როლანდი გზაზე გადაეყარა) იჯდა. ახლა ის აღარსად ჩანდა.

მსროლელი იმედგაცრუებამ მოიცვა. ღმერთო, ახლა ისევ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს!

თუმცა უეცრად უკნიდან შავსამოსიანი კაცის ხმა მოესმა.

– აქ ვარ, მსროლელო. შენთან ახლოს ჯდომა არ მომწონს. ძილში ბოდავ, – ჩაიხითხითა მან.

მსროლელი დარეტიანებული წამოდგა მუხლებზე და მიმოიხედა. კოცონისგან ცხელი ღადარი და ნაცნობი ორნამენტი დარჩენილიყო. შავსამოსიანი კაცი ნაკოცონარის გვერდით იჯდა და ტუჩების წკლაპუნით ჭამდა შემწვარი კურდღლის ხორცის ქონიან ნარჩენებს.

– ყოჩაღ, კარგად გაუძელი, – შეაქო მან მსროლელი. – ამ ხილვას მამაშენს ვერასდროს მოვუვლენდი. უკან დორბლიან შეშლილად დაბრუნდებოდა.

– ეს რა იყო? – ჰკითხა მსროლელმა. ენა ებმოდა და გაურკვევლად ლუღლუღებდა. ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, ადგომა რომ მოვინდომო, მუხლი მომეკვეთებაო.

– კოსმოსი, – უდარდელად უპასუხა შავსამოსიანმა კაცმა. დააბოყინა და გამოხრული ძვლები ღადარში შეყარა. ძვლები ჯერ ალაპლაპდა, მერე დანახშირდა. გოლგოთის თავზე ქარი კვნესოდა.

– კოსმოსი? – უაზროდ გაიმეორა მსროლელმა. ეს სიტყვა არ ეცნობოდა. თავიდან იფიქრა, შავსამოსიანი კაცი პოეტურად მელაპარაკებაო.

– კოშკი გინდა, – უთხრა შავსამოსიანმა კაცმა. ეს შეკითხვასავით ჟღერდა.

– დიახ.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამწუხაროდ, ვერ მიიღებ, – უთხრა შავსამოსიანმა კაცმა და სასტიკად გაუღიმა. დიადთ სულ არ აინტერესებთ, სულს დააგირავებ თუ პირდაპირ გაყიდი, მსროლელო. ვიცი, რომ ბოლოს სიგიჟის ზღვარზე აღმოჩნდი. ბნელ კოშკს ვერც კი მიუახლოვდები, შორიდან მოგიღებს ბოლოს.

– შენ ჩემზე არაფერი იცი, – მშვიდად უთხრა მსროლელმა და შავსამოსიანი კაცის ბაგეებიდან ღიმილი წაიშალა.

– მამაშენი მე შევქმენი და მევე გავტეხე, – პირქუშად უთხრა შავსამოსიანმა კაცმა. – დედაშენს მარტენის სახით მე გამოვეცხადე – მგონი, ამას ყოველთვის ეჭვობდი, ხომ ასეა? – და დავეუფლე. ტირიფივით მოიხარა ჩემ უღელქვეშ... მაგრამ თუ ეს დაგამშვიდებს, გეტყვი, რომ არ გამტყდარა. მოკლედ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დაწერილი იყო. მე მხოლოდ ბნელი კოშკის ამჟამინდელი მმართველის ყველაზე შორს მყოფი ფავორიტი ვარ, დედამიწა ამ მეფის წითელ ხელში გადავიდა.

– წითელში? წითელში რას გულისხმობ?

– დაივიწყე. ამაღამ მასზე არ ვისაუბრებთ, თუმცა, თუ მოინდომებ, იმაზე მეტს შეიტყობ, ვიდრე გინდა. ის, რამაც ერთხელ გატკინა გული, მეორედაც გატკენს. ეს დასაწყისი არაა, დასაწყისის დასასრულია. კარგი იქნება, გახსოვდეს... მაგრამ, სამწუხაროდ, ვერასდროს იმახსოვრებ.

– ვერ ვხვდები.

– ვერა, ვერ ხვდები. ვერასდროს ხვდებოდი და ვერც ვერასდროს მიხვდები. წარმოსახვის უნარი არ გაქვს. ამ მხრივ, ბრმა ხარ.

– რა იყო, რაც ვნახე? – ჰკითხა მსროლელმა. – რა ვნახე ბოლოს?

– შენი აზრით, რა იყო?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსროლელი ჩაფიქრდა და დადუმდა. ჯიბეში თამბაქო მოიძია, მაგრამ ქისა ცარიელი აღმოჩნდა. შავსამოსიანმა კაცს მარაგის შევსება არც შავი და არც თეთრი მაგიის დახმარებით არ შეუთავაზებია.

– სინათლე ვნახე, – ბოლოს და ბოლოს ხმა ამოიღო მსროლელმა, – კაშკაშა თეთრი შუქი. მერე... – სიტყვა გაუწყდა და შავსამოსიან კაცს მიაშტერდა. ის წინ გადმოხრილიყო და სახეზე უცხო ემოცია აღბეჭდვოდა იმდენად ცხადად, რომ ვერც დამალავდა და ვერც უარყოფდა: კრძალვა თუ გაკვირვება. შეიძლება, ორივე.

– არც შენ იცი, – გაიცინა მსროლელმა, – ო, დიდო გრძნეულო, მკვდრებს რომ აცოცხლებ. არ იცი. ყალთაბანდი ხარ.

– როგორ არა, ვიცი, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა, – ოღონდ არ ვიცი, რა.

– თეთრი შუქი, – გაიმეორა მსროლელმა, – და მერე, ბალახის ღერო. ერთი ღერო, რომელიც ყველაფერს ავსებდა. მე პაწაწინა ვიყავი. წარმოუდგენლად პატარა.

– ბალახი, – თვალი დახუჭა შავსამოსიანმა კაცმა. ახლა სახე ჩამომხმარი და დაღრეჯილი უჩანდა. – ბალახის ღერო. ზუსტად გახსოვს?

– კი, – მოიღუშა მსროლელი, – ოღონდ მეწამული იყო.

– კარგად მისმინე, როლანდ, სტივენის ძევ, ხომ მომისმენ?

– კი.

და შავსამოსიანმა კაცმა მოყოლა დაიწყო.

V

სამყარო „დიდი მთლიანობაა“ და სასრული, ჩარჩოებში მოქცეული გონებისთვის გაუგებარ პარადოქსებს გვთავაზობ-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სო, უთხრა შავსამოსიანმა კაცმა. როგორც ცოცხალ ტვინს არ შეუძლია მკვდარი ტვინის აღქმა (თუნდაც ეგონოს, შემიძლიაო), ისევე არ შეუძლია სასრულ გონებას უსასრულობის აღქმა.

სამყაროს არსებობის პროზაული ფაქტი პრაგმატიკოსებისა და რომანტიკოსების მარცხის დასტურია. არადა, იყო დრო, სამყაროს ადგილიდან დაძვრამდე ასობით თაობით ადრე, როცა კაცობრიობამ საკმარისი ტექნოლოგიური და სამეცნიერო ცოდნა შეიძინა და რეალობის დიდი სვეტისთვის რამდენიმე ნატეხის მომტვრევა შეძლო. სამწუხაროდ, მეცნიერული პროგრესის მცდარი ნათელი (გნებავთ, ცოდნა) მხოლოდ რამდენიმე მაღალგანვითარებულ ქვეყანას მოეფინა. ამ მხრივ, ერთ კომპანიას (უფრო ზუსტად, შეთქმულთა ვიწრო, ელიტარულ წრეს) მოწინავე პოზიცია ეკავა. კომპანიას „North Central Postironics" ერქვა. და, მართალია, ფაქტობრივი ცოდნა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ რეალური მიღწევებისა და აღმოჩენების რიცხვი ძალიან მცირე იყო.

– მსროლელო, ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ლპობის სნეულება დაამარცხეს, რომელსაც კიბოს უწოდებდნენ; ლამის სიბერეც დაძლიეს, მთვარეზე გაიარეს...

– არ მჯერა, – გულგრილად თქვა მსროლელმა.

შავსამოსიანმა კაცმა მხოლოდ გაიღიმა და უპასუხა: – ეგ არ ცვლის იმას, რაც იყო. სხვა მრავალ ასეთ წვრილმან წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ინფორმაციის სიუხვემ მნიშვნელოვან გარღვევებს ვერ დაუდო სათავე. არავის მიუძღვნია საქებარი ოდები ხელოვნური განაყოფიერებისთვის (მამაკაცის გაყინული სპერმის მეშვეობით) ან მზის ენერგიაზე მომუშავე ავტომანქანებისთვის. მხოლოდ ცოტა (ან საერთოდ ვერავინ) ჩასწვდა რეალობის უმთავრეს პრინციპს: ახალ ცოდნას უფრო უჩვეულო საიდუმლოებებამდე მივყავართ. რაც უფრო მეტია

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფსიქოლოგიური ცოდნა ტვინის შესახებ, მით უფრო მცირდება ადამიანის სულის არსებობის შანსი, თუმცა მატულობს კვლევა-ძიებით მისი არსებობის დამტკიცების სურვილი. ხვდები? რა თქმა უნდა, ვერა. მეტის აღქმის უნარი შენს გონებას აღარ შესწევს. არა უშავს, ეს მთავარი არაა.

– მაშ, რა არის მთავარი?

– სამყაროს უდიდესი საიდუმლო სიცოცხლე კი არა, ზომაა. ზომა სიცოცხლეს მოიცავს, ხოლო ბნელი კოშკი – ზომას. ბავშვს, რომელიც უმეტეს დროს სახლში ატარებს, აინტერესებს: „მამა, რა არის ცის ზემოთ?“ მამა პასუხობს: „კოსმოსური სივრცე“. ბავშვი: „კოსმოსური სივრცის იქით რა არის?“ მამა: „გალაქტიკა“. ბავშვი: „გალაქტიკის იქით?“ მამა: „სხვა გალაქტიკა“. ბავშვი: „სხვა გალაქტიკების იქით?“ მამა: „არავინ იცის“.

ხედავ? ზომა ყველას გვამარცხებს. თევზისთვის სამყარო ის ტბაა, რომელშიც ბინადრობს. რას ფიქრობს თევზი, როცა კავზე წამოგებულს ახალ სამყაროში ამოათრევენ, სადაც ჰაერი ახრჩობს და სინათლე ჭკუიდან შლის? სადაც ვეებერთელა, ულაყუჩო ორფეხა ცხოველები დახუფულ ყუთში ტენიან და ზედ სველ მცენარეებს აფარებენ, რომ სული ამოხდეს?

ანდა ავიღოთ ფანქრის წვერი და გავადიდოთ. ბოლოს და ბოლოს, გასაოცარ რამეს აღმოვაჩენთ: ფანქრის წვერი სრულებითაც არ არის მყარი. ის ატომებისგან შედგება, რომლებიც ტრილიონობით პლანეტასავით განუწყვეტლივ ბრუნავს და მოძრაობს. ის, რაც ჩვენ მყარი გვეჩვენება, სინამდვილეში მიზიდულობის ძალითაა შეკოწიწებული. თუმცა, თუ მათი ნამდვილი ზომის პროპორციულად განვიხილავთ, გაირკვევა, რომ ატომები ერთმანეთისგან კილომეტრებით, უფსკრულებითა და ეონებით არიან დაშორებული. თავად ატომი ბირთვისა და მის ირგვლივ მბრუნავი პროტონებისა და ელექტრონებისაგან შედგება. სუბა-

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომურ ნაწილაკებამდეც შესაძლებელია დაყოფა. მაგრამ მერე რაღა რჩება? ტაქიონები? არაფერი? რასაკვირველია, არა. სამყარო თავისი არსით უარყოფს არარსს, სასრულობას; დასასრულის არსებობა წარმოუდგენელია, სისულელეა.

სამყაროს საზღვარს რომ გადააბიჯო, სადმე დაგხვდება მავთულხლართი და აბრა წარწერით: ჩიხი? არა. შეიძლება, რაღაც მყარსა და მრგვალს გადააწყდე, როგორც წიწილა – კვერცხში. და ეს ნაჭუჭი ნისკარტით რომ გაამტვრიო (ან კარი იპოვო) კოსმოსური სივრცის განაპირას, წარმოგიდგენია, რაოდენ კაშკაშა სინათლის ნაკადი შემოიჭრება ბზარში? ხომ შეიძლება, გაიხედო და აღმოაჩინო, რომ ჩვენი სამყარო მხოლოდ ბალახის ღეროს ერთი ატომის შემადგენელი ნაწილია? და ეს ბალახის ღერო რომ მოთიბონ, რა მოხდება? როცა ღერო კვდომას დაიწყებს, ლპობა და ხრწნა ჩვენს სამყაროშიც შემოიჭრება, აქაც ყველაფერი გაყვითლდება, დაჭკნება და გახმება? იქნებ ეს ყველაფერი უკვე დაიწყო. ჩვენ გავიძახით, სამყარო ადგილიდან დაიძრაო, მაგრამ სინამდვილეში იქნებ ხმება?

დაფიქრდი, მსროლელო, რა უმნიშვნელოები და პაწაწინები გამოვდივართ, თუ ეს თეორია სამყაროს შესახებ ზუსტია! და თუ ღმერთი მართლა ყველაფერს ხედავს და ყველას განსჯის, ნუთუ ქინქლების ურიცხვ სახეობას შორის მხოლოდ ერთს გამოარჩევს? როცა ბელურა ციდან ვარდება, ამჩნევს კი ამას მისი თვალი? ბელურა ხომ ღია კოსმოსში ეულად მოტივტივე წყალბადის ატომზე უფრო პატარაა? და თუ ამჩნევს... ესე იგი, როგორი შეიძლება იყოს ასეთი ღმერთის ბუნება? სად ცხოვრობს იგი? რანაირად შეუძლია უსასრულობის მილმა არსებობა?

წარმოიდგინე ქვიშა მოჰეინის უდაბნოში, რომელიც ჩემს მოსაძებნად გადმოიარე და წარმოიდგინე ტრილიონობით სამყარო, არა – მსოფლიო, რომელიც ამ უდაბნოს ქვიშის ერთ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მარცვალშია მოქცეული; და თითოეულ სამყაროში – უსასრულო რაოდენობის სხვა სამყარო. ჩვენ ამ სამყაროებს ერთი უბადრუკი ბალახის ღეროდან, ჩვენთვის ხელსაყრელი მდგომარეობიდან გადავყურებთ. შენი ჩექმიანი ფეხის ერთი გადადგმით მილიარდობით სამყაროს წყვდიადში ხვევ, ანადგურებ – ეს არის მოვლენათა დაუსრულებელი ჯაჭვი.

ზომა, მსროლელო... ზომა.

თუმცა დავუშვათ, ყველა მსოფლიო, ყველა სამყარო ერთ წერტილში ხვდება ერთმანეთს, ყველას ერთი ღერძი აქვს – ბნელი კოშკი. და ამ კოშკში არის კიბე, რომელიც თავად ღმერთისა და ღვთაებრიობისკენ მიიწევს. გაბედავ კოშკის წვერზე ასვლას, მსროლელო? იქნებ ამ უსასრულო რეალობების ზემოთ ერთი ოთახი არსებობს?

ვერ გაბედავ.

მსროლელის გონებაში ეს სიტყვები ექოდ გამეორდა: „ვერ გაბედავ“.

VI

– ვილაცამ ხომ გაბედა? – თქვა მსროლელმა.

– ნეტა ვინ?

– ღმერთმა, – თქვა მსროლელმა და თვალები აუელვარდა. – ღმერთმა გაბედა... ან იმ შენმა მეფემ... ან... იქნებ ეგ ოთახი ცარიელია, წინასწარმეტყველო?

– არ ვიცი, – უპასუხა შავსამოსიანმა კაცმა და აუღელვებელ სახეზე კაკაჩას ფრთასავით ნაზმა და შავმა შიშმა გადაუარა, – და პასუხს არც ვეძებ. შეიძლება, სანანებელი გამიხდეს.

– რატომ, გეშინია, ფეხები არ გაფშიკო?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალბათ... პასუხისგებისა მეშინია.

შავსამოსიანი კაცი კარგა ხნით დადუმდა. გრძელი ღამე იყო. მათ თავზემოთ ირმის ნახტომი გადაჭიმულიყო მთელი თავისი ბრწყინვალებითა და იმავდროულად, მანათობელ ლამპრებს შორის დარჩენილი შემზარავი სიცარიელით. მსროლელმა გაიფიქრა, ნეტა რას ვიგრძნობ, ეს მელნისფერი ცა რომ გაიხლიჩოს და დედამიწაზე მოკაშკაშე სინათლის ნაკადი ჩამოიღვაროსო.

– ცეცხლი, – თქვა მსროლელმა. – მცივა.

– შენ თვითონ დაანთე, – უთხრა შავსამოსიანმა კაცმა. – მსახურთუფროსი დღეს ისვენებს.

VII

მსროლელმა ცოტა ხნით ჩათვლიმა და, რომ გაიღვიძა, აღმოაჩინა, რომ შავსამოსიანი კაცი ხარბად, ავადმყოფურად აკვირდებოდა.

– რას გაშტერებულხარ? – მსროლელს კორტის ძველი სიტყვები გაახსენდა. – შენი დის უკანალს ხედავ?

– შენ გიყურებ.

– ჰოდა, ნულარ მიყურებ, – მსროლელმა ცეცხლი გაჩხრიკა და იდეოგრამის ზუსტი ფორმა დაარღვია. – არ მომწონს, რომ მომშტერებიხარ. – აღმოსავლეთს გახედა დილის შუქი თუ გამოჩნდაო, მაგრამ ღამე არა და არ სრულდებოდა.

– ძალიან გეჩქარება სინათლის დანახვა.

– მე სინათლისთვის ვარ შექმნილი.

– მართლა?! ეს როგორ დამავიწყდა! მე და შენ ბევრი რამ გვაქვს განსახილველი. ასე მირჩია ჩემმა მეფემ და ბატონმა.

– ვინ არის ეს შენი მეფე?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშ, შევთანხმდით, რომ ერთმანეთს მხოლოდ სიმართლეს ვეტყვით? – გაიღიმა შავსამოსიანმა კაცმა. – არანაირი ტყუილები, არანაირი გრძნება!

– მეგონა, აქამდეც მხოლოდ სიმართლეს ვამბობდით.

მაგრამ შავსამოსიანმა კაცმა როლანდის პასუხი თითქოს ვერც გაიგონა, ისევ გაიმეორა:

– ვეტყვით ერთმანეთს სიმართლეს, როგორც კაცი – კაცს? არა როგორც მეგობრები, მაგრამ ერთმანეთის თანასწორნი? როლანდ, ასეთი რამ შეიძლება მეორედ აღარც შემოგთავაზონ. მხოლოდ თანასწორნი ეუბნებიან ერთმანეთს სიმართლეს – მე ასე მიმაჩნია. პატივისცემისა და მოვალეობების ქსელში გაბმული მეგობრები და შეყვარებულები სულ იტყუებიან. რა დამღლელია!

– სულაც არ მინდა, დაგღალო, ამიტომ მოდი, სიმართლე ვილაპარაკოთ, – მსროლელს ამ ღამით ტყუილი მაინც არ უთქვამს. – ჯერ ის მითხარი, გრძნება რომ ახსენე, რას გულისხმობდი.

– მაგიას, მსროლელო, სხვას რას? ჩემი ბატონის მაგიის წყალობით არ მთავრდება ეს ღამე და იქამდე გაგრძელდება, სანამ საუბარს არ მოვრჩებით.

– საუბარი რამდენ ხანს გაგრძელდება?

– დიდხანს. უფრო ზუსტად ვერ გეტყვი. თვითონაც არ ვიცი, – შავსამოსიანი კაცი კოცონს თავზე ადგა და ნაკვერცხლების ათინათი მის სახეზე ორნამენტს ქსოვდა. – მკითხე და რაც ვიცი, ყველაფერს გეტყვი. შენ დამიჭირე. ასე სამართლიანი იქნება. არ მეგონა, თუ დამიჭერდი. თუმცა შენი ძიება მხოლოდ ახლა იწყება. მკითხე. ასე უფრო სწრაფად მივადგებით მთავარ საკითხს.

– ვინ არის შენი მეფე?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ის არასდროს მინახავს, მაგრამ შენ აუცილებლად უნდა ნახო. ოლონდ სანამ მას შეხვდები, ჯერ უბერებელ უცნობს უნდა შეხვდე და მოკლა, – შავსამოსიანმა კაცმა ლაღად გაიღიმა. – თუმცა, მგონი, შენ სულ სხვა რამის კითხვა გინდოდა.

– თუ შენი მეფე და ბატონი არასდროს გინახავს, საიდან იცნობ მას?

– სიზმრებში მოდის ხოლმე. ჯერ კიდევ ყმაწვილს გამომეცხადა, როცა შორეულ ქვეყანაში ღარიბ-ღატაკი და ყველასგან მივიწყებული მარტო ვცხოვრობდი. მრავალი საუკუნის წინ მომცა დავალება და ჯილდო აღმითქვა, თუმცა ჩემს აპოთეოზამდე, ახალგაზრდობისას და მოწიფულობისას, უამრავი სხვა წვრილმანი და უმნიშვნელო დავალებაც შევასრულე მისთვის. აპოთეოზი კი შენ ხარ, მსროლელო. შენ ჩემი მთავარი დავალება ხარ, – შავსამოსიანმა კაცმა ჩაიხითხითა. – ხედავ, ვილაც სერიოზულად დაინტერესდა შენით.

– იმ უცნობს სახელი არ აქვს?

– რა თქმა უნდა, აქვს.

– მერედა რა ჰქვია?

– ლეგიონია მისი სახელი, – მშვიდად თქვა შავსამოსიანმა კაცმა და აღმოსავლეთში, სადაც წყვდიადს მთები შთაენთქა, კლდის ჩამოქცევამ მისი სიტყვები თითქოს დაამოწმა. სადღაც პუმამ დაიკივლა ქალივით. მსროლელს ჟრუანტელმა დაუარა, შავსამოსიანი კაცი შეკრთა. – თუმცა, მგონი, შენ არც ამის კითხვა გინდოდა.

მსროლელმა იცოდა, რა კითხვაც უნდა დაესვა; ეს კითხვა მთელი ღამე ულრღნიდა სულსა და გულს და მანამდეც მრავალი წელი არ ასვენებდა. ერთი სული ჰქონდა, ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა... ჯერჯერობით.

– ეს უცნობიც შენსავით კოშკის ფავორიტია?

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო. ის უფერულდება, მერე ისევ იძენს ფერს. ის ყველა დროშია. თუმცა მასზე აღმატებულიც არსებობს.

– ვინ?

– ნულარაფერს მკითხავ! – წამოიყვირა მკაცრად შავსამოსიანმა კაცმა, მაგრამ მერე შედრკა. – არ ვიცი! არც მინდა, ვიცოდე! განაპირა სამყაროს ამბებზე ლაპარაკი სულის დაღუპვას ნიშნავს.

– უბერებელი უცნობის მერე კოშკია და ყველაფერი, რაც იმ კოშკშია?

– დიახ, – დაიჩურჩულა შავსამოსიანმა კაცმა. – თუმცა შენ სულ სხვა რამ გაინტერესებს.

მართლაც ასე იყო.

– მაშ, კარგი, – თქვა მსროლელმა და მსოფლიოსავით უძველესი შეკითხვა დასვა: – მიზანს მივაღწევ? გზას წარმატებით გავივლი?

– მაგაზე რომ გიპასუხო, მსროლელო, მაშინვე მომკლავ.

– მაინც უნდა მოგკლა. მოსაკლავი ხარ, – მსროლელმა რევოლვერების გაცვეთილი ტარებისკენ წაიღო ხელები.

– ეგენი კარებს ვერ გაგიღებენ, მსროლელო. პირიქით, სამუდამოდ ჩაგიკეტავენ.

– სად უნდა წავიდე?

– დასავლეთში. ზღვამდე უნდა მიხვიდე. იქიდან დაიწყე, სადაც მსოფლიოს კიდეა. ერთხელ ერთმა კაცმა... შენ რომ დაჯაბნე... რჩევა მოგცა...

– ჰო, კორტმა, – მოუთმენლად გააწყვეტინა მსროლელმა.

– მან გირჩია, მოიცადეო. ეს ცუდი რჩევა იყო, რადგან უკვე მაშინ მამაშენის წინააღმდეგ მიმართული ჩემი გეგმები წარმატებით ხორციელდებოდა. მამამ სხვაგან გაგგზავნა და როცა დაბრუნდი...

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამის მოსმენის სურვილი არ მაქვს, – გააწყვეტინა მსროლელმა და დედის სიმღერა ჩაესმა: „ჩემო პატარა, ბუთქუნა ბიჭო, კალათი ნამცხვრით უნდა აგივსო“.

– მაშინ ამას გეტყვი: როცა დაბრუნდი, მარტენი უკვე დასავლეთში იყო წასული აჯანყებულებთან შესაერთებლად. ყოველ შემთხვევაში, ყველა ამას ამბობდა და შენც დაიჯერე. თუმცა მან და ერთმა ალქაჯმა მახე დაგიგეს და შენც გაები. რა ყოჩაღი ხარ! მართალია, მარტენი დიდი ხნის წასული იყო, მაგრამ ქალაქში ერთი კაცი იყო, რომელიც მუდამ მას გახსენებდა. ხომ ასეა? ბერისსამოსიანი და მონანიესავით თავგადაპარსული კაცი...

– უოლტერი, – დაიჩურჩულა მსროლელმა და თუმცა ეგონა, ამქვეყნად რაღამ უნდა გამაკვირვოსო, უტიფარმა სიმართლემ მაინც გააოგნა. – შენ ხარ. მარტენი არსადაც არ წასულა.

– თქვენი მონა-მორჩილი, – ჩაიხითხითა შავსამოსიანმა კაცმა.

– ახლა კი ნამდვილად უნდა მოგკლა.

– დიდი უსამართლობა იქნება. თანაც, ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა. ახლა საიდუმლოებების გაზიარების დროა.

– შენ არსად არ წასულხარ, – გაიმეორა გაოგნებულმა მსროლელმა, – მხოლოდ გარდაისახე.

– დაჯექი, – შესთავაზა შავსამოსიანმა კაცმა. – რამდენსაც გინდა, იმდენ ამბავს მოგიყვები. ვფიქრობ, შენი ამბები ბევრად გრძელი იქნება.

– ჩემს ამბებს არავის ვუყვები, – ჩაიბურტყუნა მსროლელმა.

– ამაღამ მოგიწევს, რათა უკეთ გავიგოთ...

– რა? რა არის ჩემი მიზანი? ისედაც იცი. ბნელი კოშკი უნდა ვიპოვო. ფიცი დავდე.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენი მიზანი კი არა, გონება მაინტერესებს, მსროლელო, რატომ ხარ ასეთი დინჯი, მიზანდასახული და შეუპოვარი. ასეთი გონება არათუ მსოფლიოს, ალბათ, მთელი სამყაროს ისტორიას არ ახსოვს. დადგა საუბრის დრო. დადგა ისტორიის დრო.

– მაშ, ილაპარაკე.

შავსამოსიანმა კაცმა მანტიის განიერი სახელო შეარხია. იქიდან ფოლგაში გახვეული საგანი გადმოვარდა და მის ნაკეცებში მბჟუტავი ნაკვერცხლების შუქი მრავალფრად აირეკლა.

– თამბაქოა, მსროლელო. მოსწევ?

მსროლელმა კურდღლის ხორცის ჭამისგან კი შეიკავა თავი, მაგრამ თამბაქოზე უარი ველარ თქვა. შეკვრა მონდომებით გახსნა. შიგ დაფშვნილი თამბაქო და თამბაქოს გასახვევი, გასაოცრად ნოტიო მწვანე ფოთლები ეწყო. ბოლო ათი წელი ასეთი ხარისხიანი თამბაქო არ ენახა.

ორი სიგარეტი გაახვია და ბოლოები წააკვნიტა, რომ თამბაქოს არომატი უკეთ ეგრძნო. ერთი სიგარეტი შავსამოსიან კაცს მიაწოდა და იმანაც გამოართვა. ორივემ ცეცხლმოკიდებული ხის წვრილი ტოტი აიღო სიგარეტის მოსაკიდებლად.

მსროლელმა ღრმად ჩაისუნთქა სიგარეტის არომატული კვამლი და აზრების მოსაკრებად თვალები დახუჭა. კვამლი ნელა ამოუშვა პირიდან, რომ სიამოვნება გაეხანგრძლივებინა.

– კარგია? – ჰკითხა შავსამოსიანმა კაცმა.

– კი, ძალიან კარგია.

– მაშინ ისიამოვნე. შეიძლება კიდევ დიდხანს აღარ გელირსოს მოწევა.

მსროლელი ამ სიტყვებს აუღელვებლად შეხვდა.

– მაშ, კარგი, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა, – დავიწყოთ: უნდა იცოდე, რომ ბნელი კოშკი ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იყვნენ ბიჭები, რომლებიც მისკენ თავდავიწყებით მიილტვოდნენ

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ძალაუფლება, სიმდიდრე და ქალები აღარც ახსოვდათ... ბიჭები, რომლებიც კოშკისკენ მიმავალ კარებს დაეძებდნენ...

VIII

შემდეგ საუბარი შედგა, საუბარი, რომელიც მთელ ღამეს და ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდა (ან რამდენი სიმართლე ითქვა). მსროლელმა მოგვიანებით ბევრი რამ ველარ გაიხსენა... თუმცა მის უჩვეულოდ პრაქტიკულ გონებას ბევრი რამ უმნიშვნელოდ მოეჩვენა. შავსამოსიანმა კაცმა კიდევ ერთხელ უთხრა, ზღვამდე უნდა მიხვიდე (ზღვა სულ ოცდაათი კილომეტრით დასავლეთით მდებარეობდა) და იქ *გამორჩევის* ძალა მოგენიჭებაო.

– თუმცა მთლად სწორად ვერ ჩამოვაყალიბე აზრი, – თქვა შავსამოსიანმა კაცმა და სიგარეტის ნამწვი მილეულ კოცონში ჩააგდო, – არავის შენთვის არანაირი ძალის მონიჭება არ სურს, მსროლელო; უბრალოდ, ეს ძალა შენშია. იძულებული ვარ, ეს გითხრა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბიჭი გასწირე, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ასეთია წესი, მოვლენათა ბუნებრივი წესრიგი. წყალი მუდამ დაღმა უნდა მიედინებოდეს, ხოლო სათქმელი გითხრან. როგორც ვიცი, სამს შეარჩევ... მაგრამ ეს დიდად არ მანაღვლებს და არც მაინტერესებს.

– სამს, – ჩაილაპარაკა მსროლელმა და მისანი გაახსენდა.

– და გართობაც დაიწყება, მაგრამ იმ დროისთვის დიდი ხნის წასული ვიქნები. მშვიდობით, მსროლელო. მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე. ჯაჭვი ისევ ხელთ გიპყრია, ოღონდ გაფრთხილდი, ყელზე არ შემოგეხვიოს.

– კიდევ რაღაც დაგრჩა სათქმელი, ხომ ასეა? – რაღაც გარეშე ძალამ აიძულა როლანდი, ეკითხა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – უპასუხა შავსამოსიანმა კაცმა, მსროლელს უძირო თვალებით გაულიმა და ხელი გაუწოდა, – დაე იყოს ნათელი!

და იქმნა ნათელი და ამჯერად ნათელი კარგი იყო.

IX

როლანდს ნაკოცონართან თორმეტი წლით დაბერებულს გაელვიძა. შავი თმა საფეთქლებთან შეთხელებოდა და შემოდგომის მიწურულის აბლაბუდის სინაცრისფრე გადაჰკრავდა. სახეზე კანი უფრო მეტად დანაოჭებოდა და გაუხეშებოდა. კოცონის დასანთებად შეგროვებული შეშა გაქვავებულიყო, ხოლო შავსამოსიანი კაცი დამპალ მანტიაში გახვეულ ჩონჩხად ქცეულიყო. უფრო მეტი ძვალი შემატებოდა ამ ძვლების მხარეს, კიდევ ერთი თავის ქალა – ამ გოლგოთას.

„იქნებ ეს შენ არ ხარ? – გაიფიქრა მსროლელმა. – რატომღაც მეეჭვება, რომ შენ იყო, უოლტერ ო'დიმ... რატომღაც მეეჭვება, მარტენად ყოფილო".

წამოდგა და მიმოიხედა. მერე მკვეთრად დაიხარა, თანამოსაუბრის ნეშტს (თუ ეს მართლაც უოლტერის ნეშტი იყო), რომლის გვერდითაც მთელი ღამე გაატარა – ღამე როგორღაც ათ წელს რომ გაგრძელდა – მისწვდა და ყბა მოამტვრია. ყბა დაუდევრად ჩაიჩურთა ჯინსის შარვლის მარცხენა უკანა ჯიბეში. მთისქვეშეთში დაკარგული ყბის შესაფერისი შემცვლელი იყო.

– რამდენი ტყუილი მითხარი? – ჰკითხა ჩონჩხს. დარწმუნებული იყო, რომ ძალიან ბევრი. თუმცა ეს ტყუილები იმით იყო კარგი, მათში სიმართლე ერია.

სადღაც წინ ბნელი კოშკი ელოდა – ცენტრი დროისა, ცენტრი სიდიდისა.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვლავ დასავლეთისკენ გაუდგა გზას, აისს ზურგი აქცია, ზღვისკენ აიღო გეზი. მისი ცხოვრების ეს დიდი მონაკვეთი დასრულდა.

– ძალიან მიყვარდი, ჯეიკ, – თქვა ხმამაღლა.

მისმა გაშეშებულმა სხეულმა თანდათან მოქნილობა დაიბრუნა და უფრო სწრაფად ამოძრავდა. საღამოს უკვე ხმელეთის კიდეს მიადგა და აქეთ-იქით უსასრულოდ გადაჭიმულ უკაცრიელ სანაპიროზე დაჯდა. ზღვის ნაპირს განუწყვეტლივ ეხეთქებოდა ტალღები. ჩამავალი მზე წყლის ზედაპირს პირიტისფრად ღებავდა.

იჯდა მსროლელი და სახე ძალადაკარგული შუქისთვის მიეშვირა. ფიქრებსა და ოცნებებში ჩაიძირა. შეჰყურებდა ცას, რომელზეც ვარსკვლავები აკიაფდნენ. მისი მიზანი უცვლელი იყო, გული – ძველებურად მტკიცე. შეთხელებულ და საფეთქლებთან შევერცხლილ თმას ქარი უწეწავდა. მამის სანდალოზისტარიანი რევოლვერები კვლავაც ბარძაყებზე ეხახუნებოდა. მარტო იყო, მაგრამ სიმარტოვე არ აწუხებდა და არც უღირს რამედ მიაჩნდა. სიბნელე ჩამოწვა და სამყარო ადგილიდან დაიძრა. მსროლელი *გამორჩევის* დროის დადგომას ელოდა და ბნელ კოშკზე დიდხანს ოცნებობდა: ერთ საღამოს ის ბნელ კოშკს მიადგება, ბუკს დააქუხებს და წარმოუდგენელ ბოლო ბრძოლას გამართავს.

© Akaki Tsitskishvili https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/